PRIME Time

N17 (267) ორშაბათი, 5 მაისი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

## ექსკლუზიური ინტერვიუ კოტე კუბლაშვილთან



EXCLUSIVE

რამდენ ადამიანს უსმენენ ოფიციალურად?

# SCANDAL



# 500 000 + 80 000-იანი მანქანა + „ახეული“ ბიზნესწილები + ჩადებული ჰეროინი - ნოშრევან ნამორაძის ანგარიშსწორების მიზეზი კოდუებზე



**ნინო სუთიძე:** დამიკავშირდა თვითონ დავით კოდუა, ვინაიდან წილი ჩემს სახელზე იყო. მითხრა, რომ რუსთაველზე ნოტარიუსში უნდა მისულიყავი და წილი ნომინალურ ფასად მეორე პარტნიორზე გადამეფორმებინა...

– რამდენად დათმეთ წილი?

– ზუსტად აღარ მახსოვს, მგონი, 2 ლარად.

EXCLUSIVE



## რაინდი და ვარდისფერი კოლგოტები – რა დასკვნები გააკეთა ვასაძემ



**ნინო დანელია:** „ხდება ფაშიზმის, სიძულვილის, არასწორი ინფორმაციის ტირაჟირება და ეს საზოგადოების მხოლოდ უკუსვლას უწყობს ხელს“

EXCLUSIVE

## ნინო ბურჯანაძის შენიღბული მისია და რუსული დაკვეთა არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის



EXCLUSIVE

## ექსკლუზიური ინტერვიუ კახა ბენდუქიძესთან



EXCLUSIVE



## წყვილი, რომელსაც სტეფანემ ქიმია დაუწუნა





EXCLUSIVE

## რა კავშირშია გიორგი სანაიას მკვლელობა ჟვანია-სააკაშვილის გეგმასთან

## რა ხდება სამთავროს მონასტერში



EXCLUSIVE

დაბრუნდება თუ არა დედა პარასკევა დედათა მონასტერში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რაინდი ლევან ვასაძე და ვარდისფერი კოლგოტები

ქეთი ხატიაშვილი



## ლევან ვასაძე სოციალურ ქსელებში ფაშისტს შეადარეს

**რა სიმპათიურად გამოიყურებოდა ლევან ვასაძე, როცა არავინ იცნობდა, როცა მის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ სადღაც ცხოვრობდა ბიზნესმენი, რომელსაც შვიდი შვილი ჰყავდა.**

**მერე კი ყველაფერი ისე ვითარდება, როგორც ერთ ანეკდოტში, ცოლ-ქმარს სამი ლამაზი ქალიშვილი რომ ჰყავთ და მაინც რომ ვერ ათხოვებენ. ძალიან ლამაზები და ტანადები კი არიან, მაგრამ საკმარისია, ხმა ამოიღონ, რომ საქმროები მათი უტვინობით იმდენად ფრთხებიან, მათ ქმრობაზე უარს ამბობენ. ამიტომაც ყოველ ჯერზე, როცა საქმრო გამოჩნდება, გოგონებს ხმის ამოღებას უკრძალავენ.**

ამ ლამაზი და ტანადი ქალწულების როლშია სწორედ ლევან ვასაძე. სანამ ჩუმად იყო, მისი გარეგნობაც აღტაცებას იწვევდა. ჰოდა, სჯობდა, ხმა საერთოდ არ ამოეღო.

სანამ ჩუმად იყო, ახოვან და ტრადიციებზე გაზრდილი მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ახლა ის მართლაც ხდება აგრესიისა და ფაშისტური იდეოლოგიის მქადაგებელი. მასში უკვე არც ტრადიციები ჩანს და ზოგჯერ ისეთ შთაბეჭდილებასაც ტოვებს, რომ გონებრივად უჭირს ინფორმაციის მიღება და სწორი ანალიზის გაკეთება.

სხვა შემთხვევაში გაუგებარია, როგორ მოახერხა ლევან ვასაძემ ამ კანონში ამოეკითხა ის, რაც სხვას აზრადაც არ მოუვიდა. არადა, ამ თემაზე ყველას ფანტაზია ფრთებივით ჰქონდა გაშლილი.

**ანტიდისკრიმინაციული კანონი ყველამ სხვადასხვანაირად გაიგო, ყველამ გამოთქვა საკუთარი კომპეტენტური აზრი, მაგრამ ლევანმა ყველას რეკორდი მოხსნა სისულელის თქმაში. ანტიდისკრიმინაციული კანონი მან ასე განმარტა:**

– ამ კანონში პირდაპირ წერია, რომ ნებისმიერი პირი, ვინც მიიჩნევს, რომ აწყენინეს, სასამართლოში უნდა წავიდეს და საკუთარი ინტერესების დასაცავად იჩივლოს... ეს არის დოკუმენტი, რომელიც ქვეყანაში მევექილეობასა და მომჩივანობას აღვივებს. დაანგრევს ბიზნესს, იმიტომ რომ, როდესაც ბიზნესმენი ვინმეს სამსახურიდან გაუშვებს, ის ვინმე იტყვის, სამსახურიდან იმიტომ გამიშვეს, რომ ვარდისფერი კოლგოტი მეცვა, ან ისეთი ჰალსტუხი მეკეთა, რომ ჩემი დისკრიმინაცია მოხდაო. სასამართლო გაივსება ინტრიგანი და მომჩივანი ხალხით და გაჩერდება ეკონომიკა...

ასეთი სისულელე დიდი ხანია არ წამკითხავს, იშვიათი შემთხვევაა, ვერაფერს იტყვი. როგორც ჩანს, ლევან ვასაძე მიიჩნევს, რომ სასამართლოზე მეტი წონა აქვს და ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც თავად იტყვის. თუმცა, აჯობებს ექსპერტებს მოვუსმინოთ:





**ეკონომისტი ირაკლი ლექვინაძე:**

– ბიზნესი თავად წყვეტს, ვინ მიიღოს სამსახურში და ვინ – არა, ვინ გაუშვას სამსახურიდან და ვინ – არა. თუ ეს გადაწყვეტილება ლოგიკური და არგუმენტირებულია, ვერანაირი სასამართლო პროცესი და კანონი მას გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებს და ხელს ვერ შეუშლის. ამიტომ საკითხის ასეთი დრამატიზება, ვფიქრობ, არარეალისტურია.

სოციალურ ქსელებში მას უკვე უწოდეს ფაშისტი (მის სხვა მეტსახელებს აღარ შეგახსენებთ).

**მედიაექსპერტი ნინო დანელია სოცქსელებში წერს:**

„პროფესიონალ ჟურნალისტებს ვეკითხები – ვასაძის მოწვევა ანტიდისკრიმინაციულ კანონზე სასაუბროდ რომელი საზოგადოებრივი ინტერესითაა გამოწვეული? სტატუსი უწყობს ხელს სალაპარაკოდ თუ შესაბამისი ცოდნა? მისი ფაშისტური პოზიცია ცნობილია. მისი მოწვევით ხდება ფაშიზმის, სიძულვილის, არასწორი ინფორმაციის ტირაჟირება და ეს საზოგადოების მხოლოდ უკუსვლას უწყობს ხელს. ვისაც საერო პროფესიის წესების დაცვა უჭირს, რატომ არ ანებებს თავს ამ პროფესიას და რატომ არ მიჰყოფს ხელს სასულიერო ცხოვრებას ან ისეთ პროფესიას, სადაც უმნიშვნელოვანესი არაა სამოქალაქო უფლებების ცოდნა და დაცვა? რა ვარდისფერი კალგოტები, რა „გასაგებია, ბატონო ლევან“? ავოეეე.

ამ კრიტიკულ დროს, მედია სწორედ ერთ-ერთი უძლიერესი ინსტრუმენტია სამოქალაქო უფლებების დასაცავად! ასეა წესიერ ქვეყნებსა და წესიერ მედიაში! რა ვნახე ეს! რა კითხვა-პასუხი მოვისმინე!

ელემენტარული პროფესიული უნარებითაც შეიძლება ფონს გასვლა: 1. ფაშისტი არ უნდა მოიწვიო; 2. თუ იწვევ, რამენაირი სტატუსი მაინც უნდა ჰქონდეს საამისო, მაგ.: ფაშისტი პარლამენტარია და უნდა ვიცოდეთ, რომ კანონს ასეთი ფაშისტები იღებენ, მაგრამ ამ დროს დიდი ჰარდ-თოქი უნდა მოუწყო; 3. აღარაა. ეს ორი წესია მარტო“.

თუმცა, ერთადერთი, ვინც უფლებამოსილია, ლევან ვასაძეს რამე ურჩიოს, ეს ისევ ლევან ვასაძეა.

ხუმრობა იქით იყოს და ვასაძე საბოლოოდ მაინც ცდილობს, პოლიტიკაში ფეხი ჩადგას. ალბათ, ამიტომაც სამართლიანობის თემაზე აპელირებს. ისე, ეს სამართლიანობის აღდგენა, სასოწარკვეთილი დიასახლისების არ იყოს, სასოწარკვეთილი პოლიტიკოსების თავშესაფარია და ამ ქოლგის ქვეშ ნეტავ, ჩვენი რაინდი თავს როგორ გრძნობს?

**ლევან ვასაძე:**

– თუ ამ პარლამენტს სურს, მართლაც დისკრიმინაციაზე იზრუნოს, მაშინ თითი თითზე დაადოს იმ 330 ათას დისკრიმინირებულ ქართველზე, რომელიც ციხეში ჩააყუდა სააკაშვილმა, 10 ათას ბიზნესმენზე, რომელთა დისკრიმინაცია მოხდა მარტო იმიტომ, რომ ნაციონალები არ იყვნენ და ყველაფერი „დაახიეს“ ქარხნებიანად, მამები და დედები გაუუპატიურეს... და როცა ამ ყველაფერს მორჩება ჩვენი სასამართლო, მერე ვიზრუნოთ სხვების დისკრიმინაციაზე.

ასე რომ, გაჩუმდით, ბატონო ლევან, აჯობებს, ხმა არ ამოიღოთ, ეგებ იმ ქალწული ლამაზმანების არ იყოს, უფრო მეტი შანსი გაქვთ, ელექტორატი შეიძინოთ.

## ნინო დანელია: „ხდება ფაშიზმის, სიძულვილის, არასწორი ინფორმაციის ტირაჟირება და ეს საზოგადოების მხოლოდ უკუსვლას უწყობს ხელს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კოდუებზე ფიზიკური



## „500 000 + 80 000-იანი მანქანა + ახეული ბიზნეს წილები + ჩადებული ჰეროინი - ნოშრევან ნამორაძის ანგარიშსწორების მიზეზი კოდუებზე“

მარიამ ნადირაძე

**სწორედ მაშინ, როდესაც ერეკლე კოდუას თემა სამართალდამცველების მხრიდან გააქტიურდა, ჯერ ნუგზარ წიკლაურს სცემეს... მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ნაციონალები ახალი ვალერი გელაშვილის გაკეთებას ცდილობდნენ. ეს ფაქტი თითქოს ერთგვარი მესიჯი გახდა სამართალდამცველებისთვის და სულ მალე ერეკლე კოდუასა და სოდ-ის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსს, გია სირაძეს ბრალი წარუდგინეს დეპუტატის ცემის ფაქტზე. თუმცა, არც იმას გამორიცხავდნენ, რომ გაჟონა ინფორმაციამ, გამოძიება საქმის დასკვნით ეტაპზე გადადიოდა და ნუგზარ წიკლაურიც დასისხლიანებული ცხვირ-პირით წარდგა ტელეეკრანების წინაშე... ეს ამბავი ისე, პრეისტორიისთვის.**

მთავარი თემა კი, რაღა თქმა უნდა, ერეკლე კოდუას ძმის, დათო კოდუას ცემის ფაქტია. სანამ კონკრეტული პირი, ნოშრევან ნამორაძე სამართალდამცველებს ჩაჰბარდებოდა, რაღა თქმა უნდა, ყველა ისარი ვალერი გელაშვილისკენ იყო მიმართული. მოგვიანებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნოშრევან ნამორაძის ჩვენება გაავრცელა (სტილი დაცულია):

„დათო კოდუა შემხვდა ბარნოვის ქუჩაზე შემთხვევით და ვინაიდან მე მქონდა მასთან გარკვეული პრეტენზიები იმისათვის, რომ 2008 წელს დათო კოდუამ და ერეკლე კოდუამ დაგეგმეს ჩემი დაჭერა და ნარკოტიკის ჩადება – შემომივარდნენ სახლში დამიჭირეს და ჩამიდეს ნარკოტიკი. ამის სანაცვლოდ წაიღეს მთელი ჩემი ქონება, გადამახდევინეს ნახევარი მილიონი ლარი. ვიყავი დამფუძნებელი „ტიფლის დეველოპმენტის“ ვფლობდი 50 პროცენტიან წილს, გადაიფორმეს ყველაფერი და წამართვეს ქონება, ამახიეს. ეს იყო ის ყველაფერი რის გამოც მანამდე მე შევხვდი დათო კოდუას და ვუთხარი, რომ ეს ამბავი ეგრე არ დამთავრდებოდა და აუცილებლად სიმართლე უნდა დადგენილიყო და ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო ისე, რომ ქონება უნდა დამბრუნებოდა და ის ლაფი და სიბინძურე, რაც მათმა ქმედებამ გამოიწვია ჩემი და ჩემი ოჯახის წინააღმდეგ, ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა დამთავრებულიყო. მან არ ისურვა ამ ყველაფრის დალაგება. რაც მოხდა დღეს... შევხვდი ბარნოვის ქუჩაზე. მომიწია ძალის გამოყენება და ვცემე. ერთი წლის ბავშვი, ჩემი, იყო მომსწრე იმის, როდესაც შემომივარდნენ და სახლში დამიდეს ნარკოტიკი. მე ამას არ ვაპატიებდი მას. არც ერეკლე კოდუას და არც დათო კოდუას. ქონების გამო ეს ყველაფერი. ქონება წაიღეს, ნახევარი მილიონი გადამახდევინეს. ასე დამთავრდა 2008 წელს ეს ისტორია“.

**ამ ამბავს „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში აკონკრეტებს ნოშრევან ნამორაძის მეუღლე, ნინო სუთიძე.**

– ჩემი ქმარი არის გმირი, იმიტომ რომ შუაზე გაგლიჯა დათო კოდუა. 2008 წელს, როდესაც ერეკლე კოდუა იყო სოდ-ის უფროსი, იმიტომ რომ დათო კოდუას უნდოდა „ტიფლის დეველოპმენტში“ ჩემი ქმრის კუთვნილი წილი, ჩემი ქმარი კი არ უთმობდა, ნოშრევანი დაიჭირა მისმა ძმამ, შემოგვივარდნენ სახლში, ჩაგვიდეს დიდი ოდენობით „ჰეროინი“, იმ დროს, როდესაც ჩემი ქმარი სიგარეტსაც არ ეწევა. გადაგვახდევინეს 500 ათასი, დაგვათმობინეს წილი ბიზნესში, რომელიც ჩემს სახელზე იყო გაფორმებული, ჩამომსვეს 80-ათასევროიანი მანქანიდან. საბოლოოდ საკუთარი სახლი გავყიდეთ და საერთოდ ქუჩაში დავრჩით. ამ ყველაფერზე საჩივარი გვაქვს შეტანილი პროკურატურაში. საქმეს იძიებს კრიმინალური პოლიცია. ამ ყველაფრის მერე დათო კოდუა შემთხვევით შეხვდა ჩემს ქმარს და ჩემმა ქმარმა სცემა. უნდა ეცემა კიდეც. ამტყუნებს ვინმე? ამ 4 წლის შვილთან ერთად ყოფილა სალონში, ჩემს სახლში 8 თვის შვილი მყავდა, როდესაც 15 გრამი ჰეროინი ჩაგვიდეს. სახლში ის ძიძასთან ერთად იყო, როდესაც ერეკლე კოდუას დავალებით სულ ტყუილად, ბანდიტურად შემოცვივდნენ და ბა-



ნოშრევან ნამორაძე

გაამწარეს. დღეს, სიმართლე გითხრათ, ჩემი ტელეფონი არ ჩერდება, აბსოლუტურად უცხო ადამიანები მირეკავენ და მეუბნებიან, გაიხარეთ, თქვენ გვერდით ვართო... ამასობაში გამოძიებაც დასრულდება და ერეკლე კოდუაც მიიღებს საკადრისს. ნანუკა კოდუა დღეს აღშფოთებული რომ არის, რომ თურმე დათო თავის დღეში მარტო ჩვენ რომ არ ვიყავით, ეს ხომ ყველამ იცის?

**– სოციალურ ქსელებში გავრცელდა თქვენი მეუღლის ფოტო, ჭიკაიძესთან ერთად...**

– ეს არის შემთხვევითი ფოტო, ვიყავით საპატრიარქოში. ჩემი მეუღლე ჭიკაიძეს არ იცნობს.

**– ამბობენ, რომ ერეკლე კოდუა გითვლიდათ, თავი დამანებოსო...**

– არა, ასეთი რამ არ ყოფილა. ჩემი ქმარი არ არის ის ადამიანი, ვინმეს მისთვის რამე შეეთვალა და ამ საქმისთვის თავი დაენებებინა.

**– ნანუკა ყორყოლიანი აცხადებს, რომ თქვენი მანქანა დღესაც შსს-ს ბალანსზეა და ჩამოგერთვათ იმიტომ, რომ არალეგალურად იყო შეძენილი.**

– დღეს ჩემი მანქანით დადის ვინმე ჯულელი.

**– რომელიც პოლიციაში მუშაობს...**

– მამამისი იყო მაღალჩინოსანი. ჯერ მამაზე იყო გაფორმებული მანქანა. მერე გადაფორმდა მის შვილზე. ამის შესახებ ცნობაც მაქვს საპატრულოდან.

**– მანქანა იმ დღეს წაგართვეს, როცა სახლში ნარკოტიკები ჩადეს?**

– დიახ, ბელინსკის კუთხეში გამაჩერეს.

**– თქვენი ქმარი როდის გამოვიდა ციხიდან?**

– სამი თვე იჯდა. მერე გადაიხადა ნახევარი მილიონი და გამოუშვეს.

**– მას შემდეგ დღემდე მათი გზები არ გადაკვეთილა?**

– არა და ვერც გადაიკვეთებოდა ვანო მერაბიშვილისა და ერეკლე კოდუას დროს. შეაბრუნებდნენ უკან ციხეში.

**– ახლაც ციხე არ ელოდება?**

– დაკავებულია? არა უშავს. გამოვა, როცა იქნება, მაგრამ გმირია...

**– მზად ხართ იმისთვის, რომ შეიძლება მძიმე მუხლი წარუდგინონ?**

– მგონი, არ იმსახურებს მძიმე სასჯელს. კოდუებმა უამრავი ადამიანი

## „ამ ყველაფრის მერე დათო კოდუა შემთხვევით შეხვდა ჩემს ქმარს და ჩემმა ქმარმა სცემა. უნდა ეცემა კიდეც. ამტყუნებს ვინმე?“



ნინო სუთიძე

## „ვინც ნოშიკოს იცნობს, კარგად იცის, რომ ის ნიღაბს არ გაიკეთებდა. თუ ნიღბით წავიდოდა, მაშინ პოლიციას არ ჩაჰბარდებოდა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანგარიშსწორება დაიწყო



## ● ვინ აიძულა ნინო სუთიძეს წილის გადაფორმება?

## ● ვის გადაუხადა ნახევარი მილიონი ნოშრევან ნამორაძემ?

## ● ვინ დადის ნინო სუთიძის 80 000-ევროიანი მანქანით?

ვშვი სამზარეულოში შეაგდეს. ისე, მგონი, ცემა სჯობია თავმოყვარე კაცისთვის ნარკოტიკის ჩადებას. სხვათა შორის, ამ ე.წ. ჩხრეკის დროს დაიკარგა ფული, ვიდეოკამერა, თუმცა ამ დეტალებზე აღარც გვაქვს საუბარი.

**– თქვენს მეუღლეს დაგეგმილი ჰქონდა კოდუას ცემა?**

– ჩემი ინფორმაციით, არა. არ ვიცი. მე ნოშიკო არ მინახავს.

**– მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ კოდუა ნიღბიანებმა სცემეს.**

– ვინც ნოშიკოს იცნობს, კარგად იცის, რომ ის ნიღაბს არ გაიკეთებდა. თუ ნიღბით წავიდოდა, მაშინ პოლიციას არ ჩაჰბარდებოდა.

**– მარტო იყო?**

– მე როგორც ვიცი, მარტო იყო, თუმცა დაზუსტებით არ ვიცი, არ მილაპარაკია ნოშიკოსთან.

**– თქვენს მეუღლეს აქვს ის ფიზიკური მონაცემები, რომ მარტო ასე გასწორებოდა დავით კოდუას?**

– მე არ ვიცი მისი რეალური დაზიანებები. რა ფოტოც ვნახე, იქ სახეზე იოდის კვალი მეტად აღმოვაჩინე, ვიდრე დაზიანების... თუმცა, ჩემი მეუღლე ყოფილი რაგბისტია.

**– ნანუკა ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ თქვენი მეუღლე და დათო ბავშვობის მეგობრები არიან. ასეა?**

– ეს არის ტყუილი. მათ ერთმანეთი 2007 წელს გაიცნეს, როცა „ტიფლის დეველოპმენტი“ დაფუძნდა. ჩემი ქმრის წილის წართმევა მან ჩვენს მეორე პარტნიორთან, გიორგი ზაქაიძესთან ერთად დაგეგმა.

**– წილი საპროცესო გარიგების ფარგლებში დაგათმობინეს?**

– არა. საპროცესო გარიგება შედგა მაშინ, როცა ნახევარი მილიონი გადაგვახდევინეს. წილთან დაკავშირებით ამის მერე დამიკავშირდა თვითონ დავით კოდუა, ვინაიდან წილი ჩემს სახელზე იყო. მითხრა, რომ რუსთაველზე ნოტარიუსში უნდა მივსულიყავი და წილი ნომინალურ ფასად მეორე პარტნიორზე გადამეფორმებინა. ეს გადაფორმება მის სახელზე, რა თქმა უნდა, ფორმალური იყო, რადგან დათო კოდუამ ისარგებლა იმ წილით.

**– რამდენად დათმეთ წილი?**

– ზუსტად აღარ მახსოვს, მგონი, 2 ლარად.

**„პრაიმტაიმი“ ნანუკა ჟორჟოლიანსაც ესაუბრა:**

**– გსმენიათ იმის შესახებ, რომ, როცა სოდ-ი ნოშრევან ნამორაძის სახლში შეიჭრა, იქ 8 თვის ბავშვი ძიძასთან ერთად იმყოფებოდა?**

– ძალიან ცუდი ფაქტია, სადისტური ფაქტია, როცა ოჯახში ვარდებიან, სადაც 8 თვის ბავშვია... ისევე, როგორც, ჩემი ძმა რომ დააკავეს წინა ხელისუფლების დროს, ორი არასრულწლოვანი უყურებდა ამას...

**– გქონდათ ინფორმაცია დათო კოდუასა და ნოშრევან ნამორაძის დაპირისპირების შესახებ?**

– ეს ძალიან დიდი ხნის ისტორიაა. როცა ნოშიკო დააკავეს, მისი და დათოს ურთიერთობები გაფუჭდა. როგორც ვიცი, ირაკლის ხშირად აწუხებდა დათო ე.წ. ნეპოტიზმით და თხოვნით, რომ ნოშიკო გამოეშვათ. ამ თემაზე ძმებს შორის კონფლიქტიც იყო. ისიც ვიცი, როცა ნოშიკოს საპროცესოს თანხა დაეკისრა, ეს მათმა საერთო მეგობარმა გადაიხადა. ანუ ეს იყო ერთ წრეში მომხდარი ამბავი. არჩევნების შემდეგ ნოშიკო ნამორაძემ არაერთი საერთო მეგობრის პირით შემოგვითვალა, რომ ჩივილს აპირებდა. ჩვენი პასუხი იყო, რომ სამართლებრივი გზით გარკვეულიყო ყველაფერი. იჩივლა კიდეც მალევე. დაიკითხა ყველა პარტნიორი და მას შემდეგ, რაც მათ წარადგინეს ოფიციალური დოკუმენტაცია, რომ ნინო სუთიძის, თუ დედამისის სახელზე, ზუსტად არ მახსოვს, გაფორმდა ბინები საცხოვრებელ კორპუსში, ანუ ამ სახით მოხდა მისი წილის გასტუმრება, საქმე აღარ აღძრულა. შეგიძლიათ ჰკითხოთ პოლიციას...

**– ნინო სუთიძე ტყუილში გადანაშაულებთ და აცხადებს, რომ დათო კოდუა და ნოშრევან ნამორაძე ბავშვობის მეგობრები არ ყოფილან და მათ ერთმანეთი 2007-ში გაიცნეს.**

– ამ დროიდან ისინი ბიზნესპარტნიორები არიან... კი ბატონო, შევასწორებ, ისინი იყვნენ ახალგაზრდობის მეგობრები და მათი ურთიერთობა 2007-მდე დაიწყო. ისინი საერთო მანქანებით დადიოდნენ, არაერთხელ ყოფილა ნოშიკო ნამორაძე დათოსთან სახლში, დაუსვენიათ ერთად... ეტყობა, ის არ თვლიდა მეგობრად და დათო კი თვლიდა.

**– თქვენი განცხადების საპირისპიროდ, რომ სუთიძის კუთვნილი ავტომანქანა დღესაც შსს-ს ბალანსზეა, ნინო სუთიძე ასახელებს კონკრეტულ მფლობელს, ვინმე ჯუღელს...**

– მე ეს ინფორმაცია ჩემს ქმართან გადავამოწმე და მისგან ვიცი, რომ ეს მანქანა, როგორც „ლევი“, ჩამოერთვა მას და დღესაც სუს-ის ბალანსზეა... მანამდე კი კუდ-ის ბალანსზე იყო, სხვათა შორის, და არა სოდ-ის. შეგიძლიათ ეს ინფორმაციაც გადაამოწმოთ შინაგან საქმეთა სამინისტროში, ერთგვარი ტესტია, რა მუხლით მიეცემა ის პასუხისგებაში და ვარაუდობენ, რომ, თუ საქმე სხეულის მსუბუქი დაზიანებით აღიძვრება, მაშინ ყველასთვის ყველაფერი ნათელი გახდება. როგორც „პრაიმტაიმმა“ სამინისტროში შეიტყო, გამოძიება 125-ე მუხლით, ანუ ცემის ფაქტით მიმდინარეობს.

დაბოლოს, ნანუკა ჟორჟოლიანი ეჭვობს, რომ შესაძლოა, სხვებისთვის ერთგვარი სტიმული გახდეს ასეთი სახით ანგარიშსწორება და აცხადებს: „ბევრს დღეს შურისძიების მოტივაცია აქვს და ის მოტივაცია, რომ წარსულში დაკავებული იყო სოდ-ის მიერ, ეს არის ეშმაკის ბორბალი და თუ ამ ეშმაკის ბორბალზე ვიტრიალებთ, ეს იქნება ძალიან ცუდი ჩვენი შვილებისთვის“.

ამ შიშის საფუძველი კი მას, ალბათ, მართლაც აქვს რეალურად, ვინაიდან სკანდალურ ოჯახის წევრებთან დაკავშირებით წლების განმ-

## „როცა ნოშიკო დააკავეს, მისი და დათოს ურთიერთობები გაფუჭდა“



**– იმ ინფორმაციის მიხედვით, რასაც ამ ისტორიასთან დაკავშირებით ფლობთ, ნოშრევან ნამორაძეს ანგარიშსწორების საფუძველი არ უნდა ჰქონოდა?**

– ერთმა ჩვენმა საერთო ახლობელმა მითხრა, რომ, რაკი საქმე არ აღიძრა, ამაზე ნოშრევან ნამორაძე ძალიან გაბრაზებული იყო. თქვენ დღეს ერთპროცენტიან შანსს უშვებთ, რომ კოდუამ რამე მოაგვარა საგამოძიებო ორგანოში?.. შეიძლება, რაკი სამართლებრივი გზით ვერ მოაგვარა ეს პრობლემა, ამიტომ აირჩია ეს გზა. არ ვიცი, ეს ჩემი ვარაუდია.

რა თქმა უნდა, ამ ინტერვიუს შემდეგ იმ ინფორმაციის დაზუსტება მოუნდება მკითხველს, რაც „პრაიმტაიმმა“, რა თქმა უნდა, დააზუსტა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ნინო გიორგობიანის განცხადებით, დღესაც მიმდინარეობს გამოძიება ნოშრევან ნამორაძის საჩივრის საფუძველზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე. რაც შეეხება ადრე ნინო სუთიძის მფლობელობაში არსებულ ავტომანქანას, ის დღეს ფიზიკური პირის, ჯუღელის მფლობელობაშია, რომელიც გასულ წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო.

ადამიანებისთვის, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ ნამორაძის მონაწილეობას დათო კოდუას ცემაში, ავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ დავით კოდუამ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს ანალოგიური ხერხებით მიითვისა სხვა ბიზნესებიც: გადაზიდვების, მანქანების, მშენებლობისა და ა.შ. არსებობენ კონკრეტული ადამიანები, რომლებიც ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც ადებდნენ მას ხელს. სხვისი ბიზნესის მისაკუთრების ხერხი კი თითქმის ყველა შემთხვევაში ერთნაირია – სადაც დავით კოდუას ინტერესია, იქ მოწინააღმდეგის გასანადგურებლად უსათუოდ ერთვება სოდ-ი, რომელსაც მისი ძმა, ერეკლე კოდუა ხელმძღვანელობდა... რაც შეეხება ამ უკანასკნელს, მის შესახებ კონკრეტული ფაქტების მოყვანით მკითხველს აღარ დავამძიმებთ, რადგან „პრაიმტაიმმა“ ამ თემას ისედაც არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა. დაბოლოს, ანგარიშის გასწორების ობიექტი შესაძლოა, კოდუების დედა, ლაურა ღაჭავაც გახდეს, ვინაიდან, რომ არაფერი ვთქვათ მის ბიზნესთან დაკავშირებულ უხერხულობებზე, რომელიც ხშირად სკანდალურად ხმაურდებოდა კიდეც, საქართველოში ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს აფხაზეთის ომის დროს მისგან ინდოეთიდან განხორციელებული ჩარტერული რეისებით დატოვებული „სიკეთე“...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რას აპირებს კოტე კუბლაშვილ



## რამდენ ადამიანს უსმენენ ოფიციალურად? – 3 თვეში სასამართლომ ფარული მოსმენების შესახებ 801 შუამდგომლობა დააკმაყოფილა

### რაზე ვერ თანხმდებიან კონსტანტინე კუბლაშვილი და თეა წულუკიანი? რა უქმნის საფრთხეს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და არსებობს თუ არა საკადრო კრიზისი მესამე ხელისუფლებაში?

მირიან ბოქოლიშვილი

**ფარული სატელეფონო მოსმენები საქართველოს ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს შორის კიდევ ერთხელ იქცა მწვავე დაპირისპირების საგნად. პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნებს არ იზიარებს და ამტკიცებს, რომ ქვეყანაში უკანონო მიყურადება წარსულს ჩაბარდა და სატელეფონო მოსმენები მხოლოდ კანონის დაცვით, მოსამართლის ნებართვის საფუძველზე ხორციელდება. „პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, რამდენად ხშირად მიმართავენ საგამოძიებო ორგანოები სასამართლოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე ნებართვის აღების მიზნით. უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებში ფარულ მოსმენებსა და მიყურადებაზე 2012 წელს განხილულია 11 ათას 580 შუამდგომლობა, მათ შორის დაკმაყოფილდა 11 ათას 551. 2013 წელს განხილულია 3 ათას 699 შუამდგომლობა, დაკმაყოფილდა – 3419. 2014 წლის 3 თვეში კი განხილულია 886 შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 801.**

ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით განხილულ შუამდგომლობებზე „პრაიმტაიმი“ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კონსტანტინე კუბლაშვილს ესაუბრა. ექსკლუზიურ ინტერვიუში სასამართლო ხელისუფლების პირველი პირი იმ საკითხებზეც საუბრობს, რომელიც მასა და იუსტიციის მინისტრს შორის ამ დრომდე უთანხმოების საფუძველი გახდა.

რაში ვერ თანხმდებიან კონსტანტინე კუბლაშვილი და თეა წულუკიანი? რა უქმნის საფრთხეს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და არსებობს თუ არა საკადრო კრიზისი მესამე ხელისუფლებაში? „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილთან.

**– ბატონო კოტე, პირველ რიგში, ფარულ მოსმენებზე მინდა გკითხოთ... როგორია დინამიკა იმ შუამდგომლობების, რომელიც სასამართლოში ფარულ მოსმენა-მიყურადებაზე შემოაქვთ საგამოძიებო ორგანოებს?**

– სხვათა შორის, პროექტი, რომელიც პარლამენტში ახლა იხილება, მოსმენებთან და მიყურადებებთან დაკავშირებით, არის ერთ-ერთი უმაღლესი სტანდარტი მსოფლიოში. კანონი ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ პირველად (1998 წელს) ძალიან დაუსაბუთებლად იყო მიღებული. ფაქტობრივად, პროკურატურას მაშინ შეეძლო, ერთი ფურცელი მოეტანა სასამართლოში და მხოლოდ მის საფუძველზე მოეთხოვა ფარულ მოსმენაზე სანქციის მიღება, 10-დან 9 შემთხვევაში ეს ასეც ხდებოდა. შემდეგ მცირე ცვლილება შევიდა 2005 წელს, როცა ჩაიწერა, რომ ერთი ფურცელი კი არა, გარკვეული მასალაც უნდა წარმოედგინა პროკურატურას. თუმცა ამ ცვლილებასაც არ მოუხდენია მაინცდამაინც დიდი გავლენა. 2012 წელს კიდევ შეიცვალა სტანდარტი და, არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, თავად მოსამართლეებმა აამაღლეს მოთხოვნა. ჩვენ შევქმენით სამუშაო ჯგუფი, შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რა სტანდარტით უნდა ეხელმძღვანელა მოსამართლეს ნებართვის გაცემის დროს. ამან, ცხადია, ძალიან ასწია სტანდარტი, თუმცა ამჟამად პარლამენტში განსახილველად გატანილ პროექტში კიდევ უფრო მაღალი სტანდარტია შემოთავაზებული. 2012 წლის შემდეგ ჩვენ გვაქვს მდგომარეობა, რომ მაღალი სტანდარტის გამო შეწყდა დიდი მომართვიანობა მოსმენებზე ნებართვის გაცემის მოთხოვნით, აქვე მინდა გითხრათ, რომ რაც თბილისში მოქმედმა საგამოძიებო ორგანოებმა შემოიტანეს, იმ დონეზე იყო მომზადებული შუამდგომლობები, რომ 80-90 პროცენტი კმაყოფილდება. თუმცა ეს ხდება ძირითადად თბილისში. რეგიონებში ეს მომართვიანობა თითქმის არ ფიქსირდება.

**– ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრი სტუმრობდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, სადაც გააკეთა განცხადებები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ... ღარიბაშვილის თქმით, ვერავინ ვეღარ გაბედავს სასამართლოს საქმიანობაში ჩარევას... უკვე წელიწად-ნახევარია, რაც ახალი ხელისუფლებაა სათავეში. აქედან გამომდინარე, მინდა გკითხოთ, რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით?**

– რა თქმა უნდა, პოლიტიკური ხელისუფლების პირველი პირის მხრიდან ასეთი განცხადება მისასალმებელია. ბუნებრივია, ეს ასეც უნდა იყოს. ვერავინ ვერ უნდა გაბედოს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევა. რაც შეეხება იმას, რა შეიცვალა ახალი ხელისუფლების პირობებში, მინდა ვთქვა, რომ პირველ ეტაპზე ხელისუფლების ურთიერთობა სასამართლოსთან ძალიან აგრესიული ფორმით იყო გამოხატული, იყო მოსამართლეების საქმიანობაში ჩარევის მცდელობები, საბედნიეროდ ასეთი მიდგომა აღარ შეიმჩნევა ბოლო პერიოდში. ამას დაემატა ისიც, რომ ადეკვატურად მოიმატა მოსამართლეთა ხელფასებმა, რაც ძალიან კარგია. სასამართლო ხელისუფლება მადლობას ამბობს ამაზე, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ ეს არის პოლიტიკური ხელისუფლების ვალდებულება. დიახ, სასამართლო ხელისუფლებისთვის ადეკვატური ფინანსური პირობები უნდა იყოს შექმნილი. კარგია, რომ მთავრობა ამ ვალდებულებას ასრულებს. აქვე ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანით, არ მოხდეს სასამართლო ხელისუფლების ფუნქციებისა და დამოუკიდებლობის შესუსტება. მაგალითად, როცა მთავრობის წარმომადგენლები ამბობენ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა პარლამენტის გადასაწყვეტი უნდა იყოს და არა თავად უზენაესი სასამართლოსი (როგორც ეს დღეს არის), ეს უკვე თავისთავად ქმნის პრობლემას. ანუ ხდება სასამართლო ხელისუფლებისთვის ფუნქციის ჩამორთმევა და გადაცემა საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის.

**– რატომ არის ეს პრინციპული საკითხი?**

– ეს ძალიან პრინციპულია. თუ საკანონმდებლო ხელისუფლება განსაზღვრავს, რამდენი მოსამართლე უნდა იყოს უზენაეს სასამართლოში, ეს გამოიწვევს მუდმივ რყევებს. მაგალითად, ახალი უმრავლესობა იტყვის, რომ იცით, 20 კი არა, 25-ია საჭირო, ან პირიქით და ასე შეიძლება გაგრძელდეს მუდმივად.

**– რაკი რაოდენობას შეეხეთ, აქვე გკითხავთ, დღეს რამდენად საკმარისია საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობა?.. ხომ არ არის ერთგვარი კრიზისი ამ მიმართულებით?**

– ამჟამად კონკურსი თითქმის დასრულებულია და დარჩა ახალი მოსამართლეების დასანიშნად კენჭისყრა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა უნდა გააცნობიერონ ის საჭიროება, რომელიც დღეს სასამართლოებში არსებობს. ჩვენ გვჭირდება მინიმუმ 15-დან 20-მდე მოსამართლე. ამის რესურსი გვაქვს. მეც და ბევრი ჩემი კოლეგა იუსტიციის საბჭოდან ჩამოყალიბებული ვართ, რომ 20-მდე ახალი მოსამართლე თავისუფლად შეგვიძლია დავნიშნოთ. მაგრამ იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრები არ თვლიან საჭიროდ სწრაფად მოქმედებას. ისინი ფიქრობენ, რომ დანიშვნის ვადამ გადაიწიოს.

**– და ეს რეალურად აფერხებს სასამართლოს ფუნქციონირებას?**

– რა თქმა უნდა, ეს აფერხებს პროცესს. მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს, სულ მცირე, 5 ახალი მოსამართლე სჭირდება. საქმეების რაოდენობა იმდენადაა გაზრდილი, რომ მოსამართლეები ვერ აუდიან განხილვას. დანიშვნის ვადა კიდევ რომ გადავწიოთ, შეიძლება ძალიან დიდი პრობლემები მოჰყვეს ამას. როცა მოსამართლეს 150-200 საქმე აწერია, შეიძლება სერიოზული ხარვეზი დაუშვას გადაწყვეტილებაში, არა განზრახ, არამედ იმის გამო, რომ გვქონდა საშუალება და არ დავნიშნეთ დამატებითი მოსამართლეები.

**– მთავრობიდან მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელება საკუთარ თავზე აიღო თეა წულუკიანმა... საინტერესოა, რა არის ამჟამად თქვენსა და იუსტიციის მინისტრს შორის მთავარი სადავო თემა? როგორც ცნობილია, რიგ შემთხვევებში თქვენ მის პოზიციას კატეგორიულად არ იზიარებთ...**

– ორი მთავარი საკითხია აქტუალური. მესამე თემაც ძალიან პრინციპულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლებას უკვე გადაწყვეტილი აქვს და არ აპირებს დათმობაზე წასვლას. ეს ეხება მოსამართლეთა 3-წლიანი

**„მოსამართლეები ვერ აუდიან განხილვას. დანიშვნის ვადა კიდევ რომ გადავწიოთ, შეიძლება ძალიან დიდი პრობლემები მოჰყვეს ამას“**



**„ხელისუფლების მხრიდან გაკეთებულ წინასწარ შეფასებებს შეუძლია, გავლენა მოახდინოს უვადოდ დანიშნული მოსამართლის გადაწყვეტილებაზე და როდესაც საუბარია გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეზე, რა თქმა უნდა, ეს რისკი გაცილებით მაღალია“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ი ვადის ამოწურვის შემდეგ?

გამოსაცდელი ვადით დანიშვნას. მოსამართლეთა კონფერენციამ, ანუ ყველა მოსამართლემ ერთხმად განაცხადა, რომ ჩვენ ვეწინააღმდეგებით ამ რეგულაციას. იგივე პოზიცია აქვს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რადგან ეს უქმნის საფრთხეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, ეს მოთხოვნა არ გაითვალისწინეს, ეს არის ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც ჩვენ პრინციპული უთანხმოება გვქონდა. როდესაც მოსამართლეს უწესებენ გამოსაცდელ ვადას და მან იცის, რომ მონიტორინგის ქვეშ იმყოფება, ბუნებრივია, იქმნება საფრთხე, რომ მისი დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალი არ იყოს. ვენეციის კომისიამ პირდაპირ მიუთითა, რომ ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, მოსამართლის გადაწყვეტილება პოლიტიკურად იყოს მოტივირებული. ჯერჯერობით ჩვენ არ გვაქვს სტაბილურად დამოუკიდებელი სასამართლო, ჩვენ გვაქვს დამოუკიდებლობისკენ მიმავალი სასამართლო და ამიტომ ასეთი ტიპის ცვლილებები, ცხადია, აბრკოლებს ამ პროცესს.

**– გარდა ამისა, სხვა რა საკითხებზე გაქვთ უთანხმოება წულუკიანთან?**

– უთანხმოებას იწვევს ის კრიტერიუმებიც, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს მოსამართლე ამ სამწლიან გამოსაცდელ პერიოდში. კრიტერიუმების ისეთი პროექტია წარმოდგენილი იუსტიციის სამინისტროს მიერ, რომ ასევე კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით. ჩვენი პოზიცია კი ეყრდნობა ისევ და ისევ ვენეციის კომისიის შეფასებას. კომისიამ თქვა, რომ, ჯერ ერთი, ეს სამი წელი არ უნდა იყოსო, თუ მაინც იქნება, სამი წლის შემდეგ მოსამართლეთა გადანიშვნის კრიტერიუმებად განისაზღვროს იგივე ნორმა, რაც მოქმედებს ჩვეულებრივ 10 წლით დანიშნულ მოსამართლეებთან მიმართებაში, რასაც იუსტიციის სამინისტრო არ ეთანხმება. ამის სანაცვლოდ გვთავაზობენ ისეთ დებულებებს, რომელიც აბსოლუტურად მიუღებელია მოსამართლეთა კორპუსისთვის. დაბოლოს, კიდევ ერთი პრობლემური საკითხი ეხება იმას, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა უნდა განსაზღვროს პარლამენტმა. ამ ყველაფერზე ჩვენ წერილობითაც გავუგზავნეთ იუსტიციის სამინისტროს შენიშვნები, არ დავეთანხმეთ არც ერთ საკითხში და წარვადგინეთ კონკრეტული არგუმენტები.

**– გაქვთ მოლოდინი, რომ თეა წულუკიანი დათმობაზე წავა?**

– დიახ, შეიძლება მან პოზიცია შეიცვალოს, რადგან სამინისტროს მოსაზრებები აბსოლუტურად დაუსაბუთებელია. მაგალითად, ჩვენ შევთავაზეთ, რომ, საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობაც კონსტიტუციით განისაზღვროს, რაც სტაბილურობის მეტ გარანტიას შექმნის, სტაბილურობა კი დამოუკიდებლობის გაცილებით მაღალ ხარისხს იძლევა.

**– მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დეპუტატებისთვის იმუნიტეტის შესაძლო მოხსნის საკითხი დადგა, ლოგიკურად გაჩნდა კითხვა – ხომ არ იქნება შემდეგი მოსამართლეთა კორპუსი?**

– ამ შემთხვევაში ეს არ გამოვა, რადგან მოსამართლეთა იმუნიტეტის საკითხი კონსტიტუციაშია გაწერილი და ასე მარტივად ვერ შეცვლიან. ამაზე ფიქრიც კი დაუშვებელია. ეს იქნება პირდაპირი ნიშანი იმისა, რომ ხელისუფლებას სურს, უფრო დაბალი სტანდარტით იყოს დაცული მოსამართლე და მისი დამოუკიდებლობა შეიზღუდოს.

**– გასულ წლებში თქვენ მიმართ ყოველთვის იყო ბრალდებები, რომ სასამართლო პროკურატურის დაკვეთებს ასრულებს... დღეს უკვე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ იმაზე, რომ მოსამართლემ რიგ შემთხვევაში ვერ გაუძლო პროკურატურის ზეწოლას... თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია ზეწოლის შესახებ და თუ შეგიძლიათ, დაგვისახელოთ კონკრეტული მაგალითი?**

– იყო რამდენიმე მაგალითი, როდესაც ყველასთვის აშკარა იყო ზეწოლის მცდელობა. მაგალითად, ფოთში მოსამართლის მიმართ პროკურატურამ საქმე აღძრა და გამოძიება დაიწყო იმის გამო, რატომ მიიღო ერთ-ერთ საქმეზე ისეთი გადაწყვეტილება, როგორიც მან მიიღო. მე მაშინ ღიად გამოვედი და გავაკრიტიკე ეს ფაქტი, რის შემდეგაც პროცესი შეწყდა. დაუშვებელია, მოსამართლეს მის გადაწყვეტილებაზე ანგარიში მოეთხოვოს და მით უმეტეს, ეს მის მიმართ საქმის აღძვრით გამოიხატებოდეს. თუკი ასეთი ღია და აშკარა ფაქტები იქნება, პირველი ვიქნები მე, ვინც გამოვა და ამას ხმამაღლა გააპროტესტებს, ხელისუფლებას მოუწოდებს, აღკვეთოს მსგავსი ზეწოლები. აქვე აღვნიშნავ, რომ შესაძლოა, მოსამართლის გარკვეული გადაწყვეტილებები იწვევდეს ზეწოლის ეჭვს, მაგრამ არ გვაქვს ამის დამადასტურებელი ფაქტები. მეც მაქვს ჩემი ეჭვები რამდენიმე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლოში არსებული პრაქტიკის აბსოლუტურად საწინააღმდეგოდ გადაწყდა. ამის მიუხედავად, ეს ეჭვი არ მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მაინცდამაინც პროკურორმა დააძალა მოსამართლეს, ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ბუნებრივია, ეჭვი ყველას შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ, როდესაც არ გაქვს ფაქტები, ამაზე ვერ ისაუბრებ.

## „მეც მაქვს ჩემი ეჭვები რამდენიმე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლოში არსებული პრაქტიკის აბსოლუტურად საწინააღმდეგოდ გადაწყდა... მოსამართლეს უფრო მეტი პრინციპულობა რომ გამოეჩინა, სხვა შედეგი შეიძლებოდა დამდგარიყო“

**– „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს უკვე აღიარებს, რომ მათ ვერ მოახერხეს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა და რეფორმის ბოლომდე მიყვანა... როგორ ფიქრობთ, რა უშლიდა ხელს ყოფილ ხელისუფლებას გასული 9-წლიანი მმართველობის დროს შეექმნა მყარი და დამოუკიდებელი სისტემა?**

– სხვათა შორის, პირველ რიგში, მე გამოვთქვამ აზრს, რომ ძალიან დიდი შეცდომა იქნა დაშვებული თავის დროზე. წინა ხელისუფლებას შეეძლო მთელი რიგი პრობლემების გადაჭრა. მაგალითად, როდესაც მიღწეულ იქნა გადაწყვეტილება მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის თაობაზე, სამწუხაროდ, იქვე ჩაიწერა ერთი ძალიან ცუდი ცვლილება, რომელიც მოსამართლეების 3-წლიანი ვადით დანიშვნის შესაძლებლობას იძლეოდა. ამ შეცდომამ დღეს უკვე სერიოზული პრობლემები გამოიწვია, რადგან ამ პატარა ჩანაწერით ახალმა ხელისუფლებამ კარგად ისარგებლა, ეს შესაძლებლობა გადააქცია ვალდებულებად და ახლა იძულებულნი ვართ, მოსამართლეები დავნიშნოთ მხოლოდ 3 წლით. რა პრობლემებთან არის ეს დაკავშირებული, უკვე ვისაუბრეთ. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა წინა ხელისუფლების. მე ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, წარსულშიც და ახლაც იყო საქმეები, სადაც მოსამართლეს უფრო მეტი პრინციპულობა რომ გამოეჩინა, სხვა შედეგი შეიძლებოდა დამდგარიყო. არასდროს არ მითქვამს, რომ პრობლემები არ გვქონდა. რა თქმა უნდა, ასეთი პრობლემები იყო. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საქმეების რაოდენობა მცირე იყო, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ეს მეტწილად გავლენას ახდენდა.

**– არის შემთხვევები, როდესაც მმართველი გუნდის წარმომადგენლების მხრიდან კეთდება წინასწარი განცხადებები ამა თუ იმ პირის ბრალეულობის შესახებ... პოლიტიკოსების მხრიდან მსგავსი შეფასებები რამდენად აისახება მოსამართლის საბოლოო გადაწყვეტილებაზე, მით უმეტეს იმ მოსამართლის გადაწყვეტილებაზე, რომელიც სამწლიანი მონიტორინგის ქვეშ იმყოფება?**

– მონიტორინგის ქვეშ ვინც იმყოფება, მათზე ასეთი გავლენა ყველა შემთხვევაში იქნება. ხელისუფლების მხრიდან გაკეთებულ წინასწარ შეფასებებს შეუძლია, გავლენა მოახდინოს უვადოდ დანიშნული მოსამართლის გადაწყვეტილებაზე და როდესაც საუბარია გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეზე, რა თქმა უნდა, ეს რისკი გაცილებით მაღალია. იგივე შეიძლება ითქვას, როდესაც სასამართლო პროცესის პარალელურად გარეთ შეკრებილი ადამიანების ჯგუფი სხვადასხვა შეძახილებს სკანდირებს და ამით ცდილობს გავლენის მოხდენას მოსამართლეზე. შეიძლება მოსამართლე ძალიანაც დამოუკიდებელი იყოს, მაგრამ თავისთავად ასეთი მოქმედება მიმართულია მოსამართლეების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

**– 2015 წელს გეწურებათ უფლებამოსილების ვადა. რას აპირებთ მას შემდეგ, რაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აღარ იქნებით?**

– ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული გეგმა არ მაქვს. 2015 წლის თებერვლის ბოლოს მეწურება ვადა. მე ვიცი რამდენიმე ადამიანი, რომელიც დღეებს ითვლის, როდის მოვა ეს თარიღი და, შეიძლება ითქვას, კალენდარი ჩემზე აქვს აწყობილი. ჯერჯერობით იმდენად ვარ ჩართული მიმდინარე საქმეებში, რომ სამომავლო გეგმებზე არ ვფიქრობ.

## „მე ვიცი რამდენიმე ადამიანი, რომელიც დღეებს ითვლის, როდის მოვა ეს თარიღი და, შეიძლება ითქვას, კალენდარი ჩემზე აქვს აწყობილი“



EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE ინტერვიუ

მარიამ ნადირაძე

**პარტიაში ორივე ფავორიტი იყო: ერთი – სტაჟიანი, მეორე – ახლად გამომცხვარი... პირველს წლობით დაგროვილი გავლენა აყოყოჩებდა, მეორეს კი – თანაპარტიელებისთვის ჯერ კიდევ გამოუცნობი „კრიშა“... ფავორიტებს შორის დაწყებული ფარული დაპირისპირება მალე ღია ომში გადაიზარდა და ერთ-ერთი კონკრეტულ ეტაპზე დამარცხდა...**

## როგორ აღმოჩნდა სანდრა რულოვსის ხელში დავით პაიჭაძის ტელევიზია, რომელმაც დაკითხვიდან დაბრუნების შემდეგ თავი მოიკლა?



# იყო თუ არა გიორგი სანაიას მკვლელობა ჟვანია-სააკაშვილის გეგმის ნაწილი?!

# ლევან მამალაძის სკანდალური ინტერვიუ

„პრაიმტაიმი“ პირველწყაროსთან ინტერვიუში გაშიფრავს იმ კონკრეტულ დეტალებს, რამაც ერთ დროს ძლევამოსილი გუბერნატორი, შევარდნაძის ხელისუფლების სახედ, სიმბოლოდ ქცეული ლევან მამალაძე საქართველოდან გადახვეწა. სწორედ ამ დეტალებზე საუბრისას შევიტყობთ, რა სტრატეგიით მოდიოდა სააკაშვილი ხელისუფლებაში და რა ტიპის ძალადობას მიმართავდა ის მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა აბსოლუტური ძალაუფლება.

**მაშ ასე, გთავაზობთ ინტერვიუს ლევან მამალაძესთან:**

– პოლიტიკაში 26 წლის წინათ ჩავები. სტუდენტი ვიყავი, როდესაც ზურაბ ჟვანიას „მწვანეთა მოძრაობას“ შევუერთდი და საკმაოდ აქტიურად ჩავები ეროვნულ მოძრაობაში. 1992 წელს პარლამენტის წევრი გავხდი. მაშინ 23 წლის გახლდით. ამას იმიტომ გიყვებით, რომ სხვადასხვა ძალები, მათ შორის სააკაშვილი, მაშინ შემოგვემატნენ, როდესაც საქართველოში საგარეო და შიდა პოლიტიკის დალაგება დაიწყო. მანამდე მისი არსებობა არავინ იცოდა. ჟვანიამ მოიყვანა, „მოქალაქეთა კავშირის“ სიაში ჩაწერა და შევარდნაძემ ის „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციის თავმჯდომარედ დანიშნა.

**– იმ დროს თქვენ ფავორიტი იყავით... მოგიწიათ სააკაშვილთან გუნდური მუშაობა?**

– მასთან ასეთი ურთიერთობა წარმოუდგენელი იყო. თავიდანვე დაულაგებელი ფსიქიკა ჰქონდა. თუმცა, თავიდან ურთიერთობა ნორმალური იყო. გუბერნატორი რომ ვიყავი, სააკაშვილი ჩემთან ჩამოვიდა და ინტერვიუებიც მისცა – მამალაძისნაირი გუბერნატორი არ გვყავს და მისი რეგიონი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემებით ყველაზე მაგარიაო.

**– თქვენი დაპირისპირების მიზეზი რა გახდა?**

– სააკაშვილი ჟვანიას დაქვემდებარებაში იყო. რასაც ზურა გეგმავდა, ის ასრულებდა.

**– როგორც ამბობენ, ის ხშირად გადიოდა ჟვანიას კონტროლიდან...**

– ეს უკვე მერე ხდებოდა... სააკაშვილი სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა პარტიაში. მიშა მაჭავარიანი და სხვებიც, რომლებიც ჩემს მეგობრებად ითვლებოდნენ, საშინელ დღეში იყვნენ. მთხოვდნენ, მათთვის მხარი დამეჭირა.

**– სააკაშვილთან მათი დაპირისპირების მიზეზი რა იყო?**

– ფიქრობდნენ, რომ სააკაშვილს დაუმსახურებლად ჰქონდა დიდი გავლენა ფრაქციაში. ეს არ მოსწონდათ და ჩემს მხარდაჭერას ითხოვდნენ. მაშინ მაჭავარიანი „მოქალაქეთა კავშირის“ აღმასრულებელი მდივანი იყო. ჩვენი დაპირისპირება 2000 წელს დაიწყო, როდესაც ჟვანიას დაჟინებული მოთხოვნით პარლამენტმა მიიღო კანონი, როცა საქართველოში შემოიღეს პრემიერ-მინისტრის პოსტი. ზურას პრემიერმინისტრობა ძალიან უნდოდა, მერე კი – პრეზიდენტობა. ამაში არაფერია დასაძრახი. თავისი გეგმა ჰქონდა. შევარდნაძემ, მიუხედავად იმისა, რომ შეპირებული იყო, არ დანიშნა პრემიერ-მინისტრად. ამის გამო მათ შორის შავმა კატამ გაირბინა და ჟვანიამ და სააკაშვილმა დაიწყეს გეგმის შემუშავება ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ გეგმის ძირითადი ნაწილი თავიდან რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით იწერებოდა და საკმაოდ გასაიდუმლოებულიც იყო, შემდეგ დასავლეთიც ჩაერთო. საკმაოდ სერიოზული ნამუშევარი გახლდათ. დეტალურად იყო გაწერილი, როგორ უნდა მოხდეს ხელისუფლების ხელში ჩაგდება. პირველი ეტაპი მედიაზე გავლენის მოპოვებას გულისხმობდა. ასეც მოხდა. მოწინააღმდეგის დისკრედიტაციას ამ იარაღით სრულიად მარტივად ახერხებდნენ. ამის კვალდაკვალ მოხდებოდა პარტიის მისაკუთრება და ყველა სახელმწიფო მიმართულების ხელში ჩაგდება... ვინც წინააღმდეგი იქნებოდა, მოხდებოდა მათი დისკრედიტაცია-განადგურება და საჭიროების შემთხვევაში – რევოლუცია, ხალხის ქუჩაში გამოყვანის გზით.

**– თქვენ პირადად გაეცანით ამ გეგმას?**

– რა თქმა უნდა. ჩვენ მაშინ ერთად ვიყავით, მაგრამ ჟვანიამ გადაწყვიტა, რომ სააკაშვილი უნდა ყოფილიყო მისი საყრდენი...

**– რა უცნაურია ეს დამოკიდებულება, როდესაც უკვე სახეზე გვაქვს ამ ურთიერთობის შედეგი... ვგულისხმობ ჟვანიას გარდაცვალებას...**

– ჟვანიას 1988 წლიდან ვიცნობდი. იმ დროიდან ურთიერთობდა მასთან გია ბარამიძეც და მან ყველაზე კარგად იცის, რომ ის სიბინძურე, რაც ზურას აუგორეს, მტკნარი სიცრუეა. ამაზე დამეფიცება, რადგან ჩვენ საკმაოდ ახლოს ვიცნობდით ერთმანეთს. არ რცხვენია გია ბარამიძეს, დღეს რომ სააკაშვილის ვერსიას ადასტურებს ზურას გარდაცვალებაზე?

**– ჟვანიასთან ერთად გარდაცვლილი რაულ უსუპოვი „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულ ფრთას ხელმძღვანელობდა თურმე თქვენს რეგიონში, იცნობდით მას?**

– არა, არ ვიცნობდი.

**– ამბობენ, რომ, სანამ კონსპირაციულ ბინაში აღმოჩნდებოდა, რაულ უსუპოვს შეხვედრა ჰქონდა ვაჟა ლელუაშვილთან, რომელიც იმ დროს კუდ-ის მაღალჩინოსანი გახლდათ. მანამდე კი თქვენთან მუშაობდა ის. ვაჟა ლელუაშვილთან, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ კარგი ურთიერთობა გქონდათ... ამ საქმეში ლელუაშვილი საეჭვოდ ჩნდება. მეტიც, ინფორმირებული წყაროები ამტკიცებენ, რომ ლელუაშვილი და უსუპოვი ერთმანეთს სწორედ იმ დროიდან იცნობენ, როდესაც ორივე თქვენი გუბერნატორობის დროს რეგიონში მუშაობდა. თქვენ გსმენიათ რამე ამის შესახებ?**

– ეს ამბავი პირველად მესმის. ვაჟა ლელუაშვილი რწმუნებულის აპარატში ნამდვილად მუშაობდა, კოორდინატორი იყო რაიონებში, მერე კი – პარლამენტის წევრი.

**– როცა თქვენს აპარატში იყო, მაშინაც უშიშროების ხაზით მუშაობდა?**

– არა. ვაჟა ლელუაშვილი ერთ-ერთი კარგი შემსრულებელი იყო, რომელიც სახელმწიფო დავალებებზე მუშაობდა და რომელსაც შეეძლო, კარგი ურთიერთობები დაემყარებინა სხვადასხვა ეროვნებისა და წარმომავლობის ადამიანებთან. ამის უნარი მას ნამდვილად აქვს. დანარჩენს ვერაფერს გეტყვით, რადგან არ ვფლობ ინფორმაციას.

**– კარგი... თემას გადავუხვიეთ. დავუბრუნდეთ ისევ იმ ეპიზოდს, როდესაც ჟვანიამ არჩევანის წინაშე დაგაყენათ...**

– ჟვანიამ პირდაპირ დამიყენა საკითხი, ან ჩვენთან ხარ, ან ჩვენს წინააღმდეგო. მე დრო ვითხოვე მოსაფიქრებლად. მათ არ აწყობდათ ჩემთან კონფრონტაცია. მე მყავდა სერიოზული ჯგუფი პარლამენტში. ეს იყო ხალხი, დაახლოებით 20 კაცი, რომლებიც ძირითადად ჩემი რეგიონიდან იყვნენ არჩეულები. მათზე გავლენა მქონდა. ელექტორატიც მყავდა, მით უმეტეს, მოგეხსენებათ, ქვემო ქართლი რთული რეგიონი იყო თავის დროზე. ამდენად, მათ სჭირდებოდათ ჩემი მხარდაჭერა, როგორც პარლამენტში, ისე ელექტორატის კუთხითაც.

**– რა იყო თქვენი პასუხი?**

– ვუთხარი, რომ ამ გეგმაში ჩემს ფუნქციას ვერ ვხედავდი. მიპასუხა, ნახავ, რაც მოხდებაო. მოგვიანებით მაჭავარიანმა დამირეკა და მაცნობა, რომ ჩემს წინააღმდეგ კონკრეტული სტრატეგია იყო შემუშავებული და მისი შემოქმედი მიხეილ სააკაშვილი იყო.

**– რა პერიოდსაც თქვენ ეხებით, სწორედ მაშინ მოკლეს ჟურნალისტი გიორგი სანაია. ეს მკვლელობა ამ გეგმის ნაწილი ხომ არ იყო?**

– არაფერს გამოვრიცხავ... როცა ასეთი სკანდალური მკვლელობა ხდება, საქმეს იძიებენ და მიდიან დასკვნამდე. მაშინ არავის აინტერესებდა არც ძიება და არც დასკვნა. მთავარი იყო, აქციები მოწყობილიყო ქუჩაში. დასკვნა თქვენ თვითონ გააკეთეთ. თუ მეკითხებით, იყო თუ არა სანაიას მკვლელობა გამოყენებული ჟვანია-სააკაშვილის გეგმის ერთ-ერთ ნაწილად, მიმაჩნია, რომ იყო.

**– თქვენ დარჩით გაღმა ნაპირზე და იქეცით კორუფციის სიმბოლოდ...**

– ასე მითხრეს კიდეც – შენ გაქცევთ კორუფციის სიმბოლოდო. ეს მაჭავარიანის პირით გადმომცა ჟვანიამ.

**– არადა გვახსოვს თქვენი ცნობილი ფოტოები ოქროს ზოდებით...**

– ქვემო ქართლში მუშაობდა „მადნეული“, „აზოტი“, ოქროს საწარმო“... იმ ოქროს საწარმოში ერთხელ ოფიციალური შეხვედრა გვქონდა. სააკაშვილიც იყო. მაშინ გადამიღეს ფოტოები. ისინიც ჩემთან ერთად იყვნენ. შემდეგ კი ამ კონტექსტით გამოიყენეს.

**– ამბობდნენ, რომ გყავდათ საკუთარი ძვირადღირებული ცხენები...**

– ხერხემალი მაწუხებდა და ექიმმა მირჩია, იპოდრომზე იარე, ცხენზე დაჯექიო. ხერხემლის კუნთების გასამაგრებლად იყო საჭირო. გადამიღეს ფოტოები და ამით „დაადასტურეს“, რომ თითქოს რაშები მყავდა.



„ჟვანიამ და სააკაშვილმა დაიწყეს გეგმის შემუშავება ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ გეგმის ძირითადი ნაწილი თავიდან რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით იწერებოდა და საკმაოდ გასაიდუმლოებულიც იყო, შემდეგ დასავლეთიც ჩაერთო. საკმაოდ სერიოზული ნამუშევარი გახლდათ. დეტალურად იყო გაწერილი, როგორ უნდა მოხდეს ხელისუფლების ხელში ჩაგდება. პირველი ეტაპი მედიაზე გავლენის მოპოვებას გულისხმობდა“

**„ჩვენი დაპირისპირება 2000 წელს დაიწყო, როდესაც ჟვანიას დაჟინებული მოთხოვნით პარლამენტმა მიიღო კანონი, როცა საქართველოში შემოიღეს პრემიერ-მინისტრის პოსტი. ზურას პრემიერმინისტრობა ძალიან უნდოდა, მერე კი – პრეზიდენტობა“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლევან მამალაძესთან

## რა ფინანსური ინტერესები ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს ქვემო ქართლში?



**– ნიანგებზე გიყვარდათ ნადირობა...**

– ამაზეც მოგახსენებთ: ბრაზილიაში ოფიციალური ვიზიტი მქონდა. დმანისის გათხრების დროს ჰომო ერექტუსის ნაშთები რომ აღმოაჩინეს, ტურისტული პროგრამა წარვადგინეთ მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის სიმპოზიუმზე. რომ ჩამოვედი, მთავრობის სხდომაზე მოხსენება გავაკეთე და გამივრცელეს, თითქოს ნიანგებზე ვიყავი სანადიროდ. მეტი რა უნდოდათ? რუსთავ-თბილისის სამარშრუტო ტაქსებსა და ავტობუსებში სვამდნენ ქალებს, ფულს უხდიდნენ, რომლებიც იწყებდნენ საუბარს, რომ თითქოს ჩემი მეზობელი იყო და დამინახა, როგორ ვალაგებდი მანქანაში ნიანგის ტყავებსა და ოქროს ზოდებს. ამის შესახებ ხმამაღლა საუბრობდნენ, რა თქმა უნდა. ასე ჩამოუყალიბეს ხალხს აზრი და ჩემს დანახვაზე ყველას რაშები და ნიანგები ახსენდებოდა.

**– თქვენი და სააკაშვილის დაპირისპირებამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა მთავრობის სხდომაზე მან შევარდნაძის ხელისუფლების ჩინოვნიკების სურათები ააფრიალა. მაშინ სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე იყო, არა?**

– სხვათა შორის, სააკაშვილთან დაპირისპირებას მინისტრები ერიდებოდნენ. ის კი ჩემთან დებატებს გაურბოდა. სამჯერ გამექცა პირდაპირი ეთერიდან. მთავრობის იმ სხდომაზე რაც მოხდა, ახლა მოგახსენებთ. მაშინ მე უნდა გამოვსულიყავი მოხსენებით და გამეშიფრა მათი გეგმა. ამის შესახებ სააკაშვილმა შეიტყო და გადაფარვა გადაწყვიტა. სპეციალურად მოვიდა. დასწრებაზე იყვნენ. ასეთ ხერხს სხვა დროსაც მიმართავდნენ. ერთ ამბავსაც გიამბობთ: არჩევნების წინ დავაკავეთ მანქანა, სადაც 300-ზე მეტი პასპორტი აღმოჩნდა ბოლნისის რაიონიდან წამოღებული. ხალხს მოტყუებით გამოართვეს „კარუსელების“ გასაკეთებლად. ეს მანქანა რომ დავაკავეთ და იმ ხალხმა პირდაპირ დაასახელა, ვისი დავალებით გააკეთეს ეს, მაშინვე წავიდნენ და ბოლნისში პროვოკაცია მოაწყვეს, ხომ გახსოვთ?

**– ყვებით იმ სკანდალზე, როდესაც ადგილობრივები და ნაციონალები ერთმანეთს ჯოხებით, ქვებითა და იარაღით დაერივნენ?**

– იარაღი სააკაშვილის ხალხმა ისროლა. თავიდან ესენი მივიდნენ და სოფლის გამგებელი სცემეს, მერე რაიონის გამგებელიც მიაყოლეს. ხალხი გამოვარდა და ამათ გამოეკიდა. სააკაშვილს აწყობდა ეს პროვოკაცია... ამით გადაფარეს საკუთარი დანაშაული.

**– თქვენს რეგიონში სააკაშვილს ფინანსური ინტერესები არ ჰქონია?**

– იმ რეგიონში სახელმწიფო საწარმო იყო „მადნეული“. ამ კომპანიამ, ავსტრალიელ ინვესტორებთან ერთად, დააფუძნა ოქროს მწარმოებელი კომპანია „კვარციტი“. ავსტრალიელებმა, იმის ნაცვლად, რომ ინვესტიციები განეხორციელებინათ, პირიქით, ვალი დაადეს საწარმოს. კონტროლის პალატამ შეამოწმა და აღმოჩნდა, რომ იმ დროს, როდესაც უცხოელები სახელმწიფოს 17 მილიონ დოლარს ედავებოდნენ, აქეთ ჰქონდათ სახელმწიფოსთვის 19 მილიონი მისაცემი. სააკაშვილი მაშინ იუსტიციის მინისტრი იყო და ლობირებდა, რომ სახელმწიფოს მათთვის ეს 17 მილიონი გადაეხადა.

**– რა ინტერესი ამოძრავებდა?**

– მის მოადგილეს, ირაკლი ოქრუაშვილს საადვოკატო ფირმა ჰქონდა და სააკაშვილის დავალებით ეს ფირმა იცავდა „კვარციტის“ ინტერესებს. მე ეს ყველაფერი მთავრობის სხდომაზეც დავაფიქსირე, ჩავრთე უცხოელი ექსპერტები, დავდე მასალები და ვამხილე სააკაშვილი ფინანსურ დაინტერესებაში. ეს საქმეც ჩვენი დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი საგანი გახდა. საბოლოოდ ჩვენ მოვიგეთ და გაგიჟდა სააკაშვილი.

**– ავსტრალიელებმა გადაიხადეს 19 მილიონი?**

– მერე გადატრიალება მოხდა... ერთი კი დანამდვილებით ვიცი, რომ „კვარციტიცა“ და „მადნეულიც“ სააკაშვილის წარმომადგენლობის მფლობელობაშია დღესაც. სხვათა შორის, იქ მერე მიშა მაჭავარიანის ძმა მუშაობდა დირექტორად და იმანაც ყველაფერი ძალიან კარგად იცის.

**– ვანო მაჭავარიანზე საუბრობთ, პრეზიდენტ მარგველაშვილის მრჩეველზე?**

– დიახ.

**– კონტროლის პალატის უფროსი მაშინ სულხან მოლაშვილი არ იყო?**

– დიახ... სხვათა შორის, ამ საქმემ ძალიან დიდი როლი ითამაშა შემდგომში იმაზე, როგორ გაუსწორა ანგარიშები სააკაშვილმა სულხან მოლაშვილს. სააკაშვილი გაგიჟდა, ავსტრალიელები მას წინასაარჩევნოდ ფულს ჰპირდებოდნენ და ჩვენ ეს გეგმა ჩავუშალეთ. ამიტომაც გახდა სულხან მოლაშვილი მისი პირადი პატიმარი...

**– თქვენ კი საქართველოს დატოვება მოგიხდათ....**

– როდესაც გადატრიალება მოხდა, ზურაბ ჟვანიას შევუთვალე, კანონიერად, თუ უკანონოდ, ახლა თქვენ ხართ ხელისუფლება, მე მაინც ხელს გიშლით ყველაფერში და წავალ, გაგერიდებით-მეთქი. მაინც არ გამანებეს თავი. მათ ვიღაცის სამაგალითოდ დასჯა სჭირდებოდათ. რაკი ჩემგან მონსტრი უკვე შექმნილი ჰყავდათ, ხომ უნდა დავესაჯეთ კიდეც... დავალება მიიღო ყველა საგამოძიებო სტრუქტურამ, რომ ჩემგან ფასადები შექმნილიყო... ფონი უკვე შექმნილი იყო და ამის შემდეგ დამიჭერდნენ. ისე მომკლავდნენ, თუ დამხვრეტდნენ, ხალხი მაინც ტაშს დაუკრავდა. სხვათა შორის, გადატრიალების შემდეგ პირველი სესია რომ მოიწვიეს, სააკაშვილმა თავის სიტყვაში თქვა: რა ბედნიერი ვარ, რომ ამ დარბაზში მამალაძე არ ზისო. არადა, მაჟორიტარი ვიყავი და ერთადერთ მაჟორიტარს ჩამომართვეს უფლებამოსილება. ამაზე კარგად იმუშავა თინა ხიდაშელმა და ჩემი ინფორმაციით, ჩემს პოლიტდევნილობის სტატუსსაც სწორედ ის ეწინააღმდეგება დღესაც.

**– თქვენი სიმდიდრის შესახებ ლეგენდები დადიოდა. თქვენ კი ამბობთ, რომ მიუხედავად ძალაში შესული განაჩენისა, თქვენს წინააღმდეგ მტკიცებულება გამოძიებას არ ჰქონდა. 32 ეპიზოდიდან 31 ქრთამის ფაქტს ეხება და თუ არ გამიწყრებით, გეტყვით, რომ თქვენი მაშინდელი იმიჯის წყალობით, ამაში ეჭვის შეტანა ხალხს გაუჭირდებოდა...**

– გამოძიებამ ჩემი დეკლარაციით იხელმძღვანელა. მისი შემოწმება დაიწყო და მივიდნენ დასკვნამდე, რომ თურმე, რაც მეწერა, ყველაფერი კორუფციის გზით მქონდა შეძენილი. საქმეში ერთი მტკიცებულებაც არ არის. ბუნებრივია, ყველა ეპიზოდს ვერ განვიხილავთ, ერთ-ერთის შესახებ გიამბობთ: 1997 წელს შევიძინე მანქანა „შევროლე ბლეიზერი“, რომელიც ვიყიდე ირაკლი ჩუბინიშვილის ფირმაში. ეს სწორედ ის ფირმაა, საიდანაც ჟვანიამ პარლამენტისთვის შეიძინა მანქანები თავის დროზე. ირაკლი ჩუბინიშვილი ზურა ჟვანიას ძმის კლასელი და ჩვენი საერთო მეგობარი იყო. ეს მანქანა შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორის, ირაკლი ბოჭორიძის მამის მანქანასთან ერთად ერთი კონტეინერით ჩამოვიდა. მაშინ დეკლარაციები არ ივსებოდა. მოგვიანებით ეს მანქანა გავყიდე და უკვე 1999 წელს დეკლარაციაში ჩავწერე, რომ 35 ათასი ლარი მივიღე ამ მანქანის გაყიდვით. როცა გამოძიება დაიწყეს, იპოვეს „აზოტზე“ განაწყენებული ვიღაც ინდუსი და დააწერინეს, რომ მან ქრთამად მომცა მანქანა. თან ფაქსით გამოაგზავნინეს. სანამ ფაქსი ჩამოვიდოდა, საქმე უკვე აღძრული იყო. ინდუსი მიუთითებს ფირმას, სად იყიდა ეს მანქანა. ჩემმა ადვოკატმა საბაჟოდან ამოიღო მასალები და აღმოჩნდა, რომ იმ დროს ეს ფირმა საერთოდ არ მუშაობდა და თავისი არსებობის მანძილზე „ბლეიზერი“ არასდროს შემოუყვანია.

**– ირაკლი ჩუბინიშვილი ხომ ცოცხალი მოწმე გყავდათ?**

– საქმეც ის არის, რომ მან და მისმა ძმამ სასამართლოზე თქვეს, რომ მათ მხოლოდ ირაკლი ბოჭორიძის მამის მანქანა ჩამოიყვანეს, ჩემი კი არა. მერე მე მას დავუკავშირდი. იცით, რა მითხრა? – შენზე ოქრუაშვილი ბევრ სხვა რაღაცებს იპოვის და ეს ამინდს არ ქმნისო. მალე ირაკლი ჩუბინიშვილი მოსკოვში ელჩად დაინიშნა, როცა მანამდე არანაირი დიპლომატიური გამოცდილება არ ჰქონდა....

> **„დასკვნა თქვენ თვითონ გააკეთეთ. თუ მეკითხებით, იყო თუ არა სანაიას მკვლელობა გამოყენებული ჟვანია-სააკაშვილის გეგმის ერთ-ერთ ნაწილად, მიმაჩნია, რომ იყო“**

**– ისე, ბატონო ლევან, 35 ათას ლარად სახელმწიფო მოხელისგან მანქანის შეძენა, ეჭვის საფუძველს არ იძლევა?**

– ეს პრინციპი სააკაშვილს ჰქონდა, რომ თითქოს ჩინოვნიკად დავიბადე და მანამდე არ ვარსებობდი.

**– თავად არ თქვით ადრე, ახალგაზრდობიდან რომ ხართ ჩართული პოლიტიკაში?**

– 1990 წელს საქართველოში გაიხსნა პირველი საფონდო ბირჟა საქართველოში. მამაჩემთან ერთად შევიძინე 100-ათასიანი აქცია, რომლის საფუძველზეც საბროკერო ფირმა გავხსენით, „გუბაზი“, შემოგვქონდა ორგტექნიკა მოსკოვიდან და ვაწარმოებდით მეტალის ყიდვა-გაყიდვას. ირაკლი ბოჭორიძე იყო ჩემი ბროკერი, ირაკლი ჩუბინიშვილიც ჩვენთან თანამშრომლობდა... ერთი ოპერაციიდან შემოსავალი 500 ათასი ჰქონდა ამ ფირმას. „მწვანეთა პარტიაში“ ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვისაც მანქანა ჰყავდა. ეს ბიზნესი შემდგომშიც დარჩა ჩემს ოჯახს. თორემ ხელფასზე წარმოუდგენელი იყო მაშინ არსებობა.

**– დღეს საქართველოში რამე საკუთრება გაგაჩნიათ?**

– დედაჩემს აქვს ბინა ვაჟაზე და გურიაში, სოფელ ხევში მამაპაპეული სახლი. ჩემი დევნა მარტო ჩემით არ ამოიწურებოდა. თუ ვინმე ნათესავი მყავდა, ყველა დაკითხეს, ყველა გაჩხრიკეს, თუ ვინმე ახლობელი, ან მოგვარე მყავდა, ყველა გაათავისუფლეს სამსახურიდან. კოლმეურნეობის ბაზართან კაცი მუშაობდა, ჩემი მოგვარე, არც კი ვიცნობდი. ისიც კი გაუთავისუფლებიათ... ამ რეპრესიებს ის ადამიანები მიხვდებიან, ვინც ეს საკუთარ თავზე გამოსცადეს. თავის დროზე ჩვენც ვუყურებდით, სომალიში ერთმანეთს რომ ხოცავდნენ, მაგრამ სანამ ჩვენთან არ დაიწყეს ერთმანეთის ხოცვა, ვერ გავიგეთ, რა იყო ომი... ბიძაჩემი, დავით პაიჭაძე რუსთავში ერთ-ერთი ტელევიზიის დამფუძნებელი იყო. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ეს ტელევიზია სააკაშვილის ცოლს მიუსაკუთრებია. პროკურორი, ვალერი გრიგალაშვილი სისტემატურად იბარებდა ბიძაჩემს. უნდოდათ, რაღაც ეთქმევინებინათ ჩემთან დაკავშირებით. არ ვიცი ზუსტად, რას ეუბნებოდნენ. ის კი ვიცი ზუსტად, რომ კაცი ერთ-ერთი დაკითხვის შემდეგ სახლში დაბრუნდა და თავი მოიკლა.

**– არც ოჯახის წევრებისთვის გაუმხელია, რას სთხოვდა პროკურატურა?**

– არ იყო მოლაპარაკე ადამიანი. იქამდე მიიყვანეს, რომ თავი მოიკლა კაცმა. ეს უნდა შერჩეთ მაგათ? მამაჩემი ინსულტგადატანილი იყო, პროკურატურაში იბარებდნენ, დედაჩემის სახლიდან გაყვანა უნდოდათ, შანტაჟს აწყობდნენ, როგორმე ჩემს ხელში ჩასაგდებად. „სპეცნაზს“ აგზავნიდნენ, ჩემს ცოლს სატელეფონო მუქარებს უთვლიდნენ, მუქარების წერილებს უგდებდნენ სახლში... მეტი რა უნდა გაეკეთებინათ? ბიძაჩემს თავი მოაკვლევინეს, მამაჩემი ნერვიულობას გადაჰყვა, კაცი გარდაიცვალა...

**– ბიძათქვენს იქნებ თავის ტელევიზიასთან დაკავშირებით იბარებდნენ?..**

– გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ერთხელ ტელეფონით მელაპარაკა ბიძაჩემი. მითხრა, უნდათ, შენზე რაღაც დამაწერინონო. დეტალები აღარ ამიხსნა. მალევე დაკითხვიდან დაბრუნდა, არავისთვის არაფერი უთქვამს და საკუთარ ავტოფარეხში თავისივე იარაღით მოიკლა თავი... სააკაშვილს ერთი ამოცანა ჰქონდა, როგორმე ხელში ჩავეგდე. მერე დამიჭერდნენ და ზუსტად ვიცი, რომ მომკლავდა.

**– საიდან იცით?**

– 2003 წლის დეკემბერში მინისტრად ბარამიძე დანიშნეს. გავიგე მისი ტელეფონი და დავურეკე, – რა ამბები ატეხეთ, თუ გინდათ, ჩამოვალ, ციხეშიც ჩავჯდები, მხოლოდ იმ გარანტიით, რომ სასამართლოზე ზეწოლა არ გექნებათ და ღია სხდომა ჩატარდება-მეთქი. მითხრა, ზურას დაველაპარაკებიო. მეორე დღეს კი განმიცხადა, შენი ჩამოსვლა აქ არ შეიძლება, რადგან სააკაშვილს შენზე კონკრეტული გეგმები აქვსო. ერთი სიტყვით, მიმანიშნა, მოგკლავენო.

**– ახლა სააკაშვილის რეჟიმი აღარ არის, შესაბამისად, ლიკვიდაციის საფრთხეც აღარ არსებობს. არ გიფიქრიათ, ჩამოხვიდეთ და სასამართლოზე გაიმაგროთ თქვენი პოზიციები?**

– მე ახლაც ვითხოვ ღია სასამართლო სხდომას, თუმცა მანამდე აღმკვეთი უნდა მომიხსნან. ხომ გახსოვთ, რა უქნეს ემზარ კვიციანს? ჩამოიყვანეს კაცი და ახლაც ციხეში ზის, თუმცა შეეძლოთ, რამდენიმე დღეში აღმკვეთი შეეცვალათ და შემდეგ სასამართლოზე გარკვეული იყო ყველაფერი.






„კვარციტიცა“ და „მადნეულიც“ სააკაშვილის წარმომადგენლობის მფლობელობაშია დღესაც. სხვათა შორის, იქ მერე მიშა მაჭავარიანის ძმა მუშაობდა დირექტორად და იმანაც ყველაფერი ძალიან კარგად იცის“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანტიდისკრიმინა
# ლუსტრაცია პროვ

ქეთი ხატიაშვილი

**ანტიდისკრიმინაციული კანონი მიღებულია, პროპუტინისტურმა ძალებმა ომი უკვე გამოაცხადეს, თუმცა, როგორც ჯერ ბიძინა ივანიშვილმა განმარტა და შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, მცირე ჯგუფები პოლიტიკურ ამინდსა და საქართველოს ნებას ვერ შეცვლიან.**

**პროექტი წულუკიანის უწყებაში მომზადდა, თუმცა კანცელარიაში სერიოზული ხარვეზებით შევიდა და ირაკლი ღარიბაშვილს თითქმის ხელახლა მოუწია მასზე მუშაობა. ამის თაობაზე მინიშნება დავით უსუფაშვილმაც გააკეთა, როცა თქვა, რომ კანცელარიაში კანონპროექტმა სერიოზული ცვლილებები განიცადა, პარლამენტის თავმჯდომარემ პრემიერს მადლობაც გადაუხადა.**

**ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ ის ძლიერია, რომ ის სახელმწიფოს მართავს და არ ექვემდებარება ცალკეული ადამიანების მუქარებს. ამ მხრივ, პარლამენტი ერთსულოვანი იყო.**

## ევროპა თუ რუსეთი

დასავლეთს ღრმად სწამდა, რომ ნინო ბურჯანაძე არა მხოლოდ თავისი გარეგნობით იყო კლასიკური გაგებით პოლიტიკოსი, არამედ შეგნებითაც. ალბათ, ამიტომაც მათთვის დიდი აღმოჩენა იყო, როცა ნინომ პირველივე პოლიტიკურ კრიზისს ვერ გაუძლო და კრემლში გადაინაცვლა.

გარკვეული იმედგაცრუება ექნებოდა დასავლეთს გიორგი თარგამაძის მიმართ. მას მჭიდრო კავშირები ჰქონდა დასავლეთთან, მეგობრობდა ამერიკის ელჩთან, როგორც პოლიტიკოსი და, ალბათ, კითხვა: როგორ მოხვდა პროდასავლური ორიენტაციის პარტია საბოლოოდ ნინო ბურჯანაძის ხელში, ჯერჯერობით კითხვად რჩება.

რას იზამს ირაკლი ალასანია მომავალში, რომლის მიმართაც ასევე ბევრი კითხვაა. ერთი მხრივ, ის მუდმივად აფიშირებს (როგორც ადრე ბურჯანაძე და თარგამაძე) პროდასავლურ ღირებულებებს და მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს დასავლეთში ინტეგრირების პროცესს, თუმცა, მეორე მხრივ, ხელს ართმევს ზურაბ ნოღაიდელს და „შემთხვევით“ ხვდება სერგეი ლავროვს...

გარკვეულ მომენტამდე რთულია ხოლმე ზუსტი შეფასება გააკეთო. თუმცა არის ისეთი საკითხები, რომელიც ლუსტრაციის როლს თამაშობს. ანტიდისკრიმინაციული კანონი სწორედ ასეთია.

საინტერესოა, რომ პარლამენტში ანტიდისკრიმინაციულ კანონს მოწინააღმდეგე არ ჰყავდა, რაც ერთადერთ რამეს ნიშნავს: რუსეთს პარლამენტში დასაყრდენი არ ჰყავს. არასაპარლამენტო პარტიებს შორის კი პრორუსული ძალები არიან და შესაბამისად, ამ კანონს სწორედ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ.

**ყველაზე სკანდალური განცხადება მაინც ნინო ბურჯანაძემ გააკეთა, მან თქვა:**

– ძალიან სერიოზული კითხვის ნიშანი ისმება ამ საკითხთან დაკავშირებით. მე ვერასოდეს მივიღებ ჰომოსექსუალიზმის, ინცესტის დაკანონებას, ჩვენს ქვეყანაში ეს მიუღებელია, და თუ არჩევანი დგას ასე: ინცესტის მიღება, თუ დარჩენა იქ, სადაც ვართ, მე არ ვარ რუსეთში, მე ვარ საქართველოში, მე მინდა დავრჩე ჩემს ქვეყანაში. ვივლი ტრადიციების გზით პროგრესისკენ, მაგრამ იმ პროგრესისკენ, რომელიც არის ნორმალურ, ჯანსაღ, ადამიანურ ფსიქიკასთან შესაბამისობაში. არავის არ დავჩაგრავთ, ოღონდ თავის ცხოვრების წესს ნურავინ მოგვახვევს თავს.

საერთოდ, არანაირი კავშირი ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და ინცესტის დაკანონებას შორის არ არსებობს და ეს არ შეიძლება ეთქვა ქალს, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ არის იურისტი და პოლიტიკოსი. რეალურად, კანონი კრძალავს დისკრიმინაციას რაიმე ნიშნით და ის ყველა ადამიანის უფლებების დაცვის გარანტია უნდა გახდეს.

რეალურად, საქართველომ ყველა ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება ჯერ კიდევ მაშინ აიღო, როცა ბურჯანაძე „მოქალაქეთა კავშირის“ წევრი იყო. 1999 წელს ევროსაბჭოში გაწევრიანებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, დაეცვა ყველა ადამიანი, მისი რელიგიური, პოლიტიკური, სექსუალური თუ სხვა რაიმე ნიშნის მიუხედავად. რაიმე ფორმით განსხვავებული ადამიანი არ შეიძლება აგრესიის ობიექტი გახდეს. სწორედ აგრესიის წინააღმდეგი გამოდის ანტიდისკრიმინაციული კანონი და ამის ინცესტის დაკანონებად გასაღება დიდი ბოროტებაა.

სინამდვილეში გასაგებია, რომ ამ ბოროტებით ბურჯანაძე საკუთარ პრორუსულ ორიენტაციას ნიღბავს. ამ კანონით ჩვენ კიდევ უფრო ვუახლოვდებით ცივილიზებული ქვეყნების სივრცეს, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები. რუსეთი, რომელსაც ევროკავშირის ალტერნატიული სივრცის შექმნა სურს და ამას უკვე აღარც მალავს, ცდილობს, ხელი შეუშალოს საქართველოს ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოებას, პუტინის ამოცანაა, საქართველო, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დროს, რუსეთის საკანონმდებლო სივრცეში იყოს მომწყვდეული.

თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როცა საქმე გემოვნებასთან არ გვაქვს, ანუ ევროპული სჯობია თუ რუსული. რუსეთი არ არის დემოკრატიული ქვეყანა, პუტინი დიქტატორია და უამრავი სხვა ფაქტის გახსენება შეიძლება, რომელიც ამ ქვეყანაში უსამართლობასა და სხვა ადამიანების ჩაგვრაზე მიუთითებს. შესაბამისად, რუსული სივრცე ვერ იქნება დემოკრატიული, უსაფრთხო და ვერ დაიცავს თითოეული ჩვენგანის უფლებებს.

**ნინო ბურჯანაძე ამბობს:** არც ევროპა და არც რუსეთი, საქართველო, მე პროქართული ორიენტაციის ვარო. მაშინ რატომ ისწავლეს მისმა შვილებმა საზღვარგარეთ? ან თუკი ასეთი კარგია რუსეთი, რატომ არჩიეს ბურჯანაძეებმა შვილისთვის ლონდონი და არა მოსკოვი სასწავლებლად?

ასე რომ, ბურჯანაძის ამოცანა მარტივი და გასაგებია – ხელი შეუშალოს საქართველოს ევროპასთან მიახლოებას. ახლა ასეთი ამოცანა აქვს, თორემ მაშინ, როცა პარლამენტის თავმჯდომარე იყო, 2006 წელს, სექსუალური უმცირესობის უფლებების აღიარება არ უჭირდა. ამის შესახებ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს **პარლამენტის მოქმედმა თავმჯდომარემ** შეახსენა:

– არასწორია იმის მტკიცება, რომ პარლამენტს ამ კანონპროექტში საკანონმდებლო სივრცეში ახალი ტერმინები შემოაქვს: სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. არადა, ჩვენი ოპონენტები გარკვეული პოლიტიკური წრეებიდან სწორედ ამას აჟიტირებენ და, სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია საზოგადოებაშიც გავრცელდა. მინდა მოგახსენოთ, რომ ტერმინი სექსუალური ორიენტაცია და ამ ნიშნით გარკვეული დისკრიმინაციის დაუშვებლობა საქართველოს კანონმდებლობაში 1997 წლიდან მოყოლებული გვხვდება. 1997 წელს პირველად ჩაიწერა კანონში, რომ ამ ნიშნით პაციენტის დისკრიმინაცია დაუშვებელია სამედიცინო პერსონალის მხრიდან. ეს საკითხი განვითარდა და 2004 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონში ჩაიწერა, რომ მაუწყებელს ეკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომელიც მიმართულია პირის ფიზიკური შესაძლებლობების, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისების გამო შეურაცხყოფისკენ. მოგეხსენებათ, რომ 2004 წელს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ბრძანდებოდა, ის ახლა არის იმ პოლიტიკური გუნდის ლიდერი, რომელსაც თბილისის მერობის ერთ-ერთი კანდიდატი წარმოადგენს და რომელიც ყველაზე მეტს საუბრობს იმაზე, რომ თურმე ჩვენ შემოგვაქვს რაღაც ახალი ტერმინი და რაღაცა ახალს ვაკანონებთ. ეს საკითხი განვითარდა შრომის საკითხთა კოდექსში, რომელიც 2006 წელს იქნა მიღებული, სადაც ჩაიწერა, რომ შრომით ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, ენის, სექსუალური ორიენტაციისა და ასე შემდეგ ნიშნით...

როცა ამ კანონში წერია, რომ რელიგიური ნიშნით ადამიანის დისკრიმინაცია დაუშვებელია, ეს იმას ნიშნავს,



**საინტერესოა, რომ პარლამენტში ანტიდისკრიმინაციულ კანონს მოწინააღმდეგე არ ჰყავდა, რაც ერთადერთ რამეს ნიშნავს: რუსეთს პარლამენტში დასაყრდენი არ ჰყავს**





**სოსო ჯაჭვლიანი: „ყველა ადამიანს აქვს თავისი ცხოვრების წესი და ყველა ადამიანი თავისუფალია. არ შეიძლება ადამიანის დასჯა იმის გამო, რომ ის უმცირესობის წარმომადგენელია. ჩვენ არ უნდა დავჩაგროთ არავინ“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ცხიმოვანი კანონი – უმცირესობებისთვის





**სოციალურ ქსელში ბოლო პერიოდში ხმაურიანი განხილვის თემა ანზორიკო ბიწაძის ფოტო გახდა. ფოტო ჯაბა ქარსელაძესთან ერთად არის გადაღებული**

## ნინო ბურჯანაძე ამბობს: არც ევროპა და არც რუსეთი, საქართველო, მე პროქართული ორიენტაციის ვარო...

რომ ჩვენ რომელიმე არაქრისტიანული რელიგიის პროპაგანდას ვახდენთ? ხომ არ ნიშნავს? ან როდესაც ვწერთ, რომ ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, ადამიანის დისკრიმინაცია არ შეიძლება, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სხვა რომელიმე ერის პროპაგანდას ვახდენთ? რა თქმა უნდა, არა. ასე რომ, როცა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობაზეა საუბარი, ამით არაფრის პროპაგანდა არ ხდება, ერთი რამის გარდა – დიახ, ამ კანონის ამოცანაა იმის პროპაგანდა, რომ ძალადობა დანაშაულია, ცოდვაა და მიუღებელია თანამედროვე მსოფლიოსთვის. ძალადობის გამართლება ამ ნიშნებით არც კანონიერია, არც ცივილიზებული და არც ქრისტიანული. ეს წერია ამ კანონში.

რაც შეეხება ჩამონათვალს, აქ არის ძალიან პრინციპული პოზიცია. ეს ჩამონათვალი არის ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარი. როდესაც ჩვენ დღეს გვეუბნებიან, იქნებ რაღაც ამოვიღოთო, ეს ძალიან პრინციპული პოზიციაა. რას ნიშნავს, დღეს ამოვიღოთ ეს სიტყვები? 2004 წელს, 1997 წელს, თუ 2010 წელს მზად ვიყავით, რომ ამ ნიშნით ადამიანები არ გვეცემა, ახლა გვეუბნებიან, ამოიღეთ, იმიტომ, რომ ძალადობა გვინდაო?! რა თქმა უნდა, სახელმწიფო ამას არ დაუშვებს. ეს ძალიან პრინციპული ამბავია. ვისაც გულწრფელად აღელვებს, რომ რამე ნეგატიური შედეგი არ დადგეს, მათთან ზეგაც გავაგრძელებთ დისკუსიას და ამ კანონპროექტის აღსრულების დროსაც, მაგრამ ვისაც პოლიტიკური ნიშნით შეჰყავს შეცდომაში სხვები და ადამიანები თავად ისხდნენ იმ პარლამენტში, რომელშიც 2010 წელს შრომის კოდექსი კიდევ ერთხელ დამტკიცდა და ხმა არ ამოუღიათ ამ თემაზე, დღეს მიდიან და სწორედაც რომ ცოდვას სჩადიან: ამბობენ ტყუილს. შეცდომაში შეჰყავთ ბევრი ადამიანი და, სამწუხაროდ, სასულიერო პირებიც, რომ თითქოს ჩვენ ვიგონებთ ახლა ამ ტერმინს, – **განაცხადა დავით უსუფაშვილმა.**

ცნობილია, რომ ეკლესიაში, ისევე როგორც პარლამენტში, არის მცირე ჯგუფი, რომელიც რუსეთის გულშემატკივარია. იმის მოლოდინიც იყო, რომ ეს ჯგუფები ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების გაფორმებას წინააღმდეგობას გაუწევდნენ.

ბიძინა ივანიშვილმა ადრე თქვა, რომ მან ამ ძალების შესახებ იცის და მათ არა აქვთ ისეთი გავლენები, რომ საქართველოს ევროპისკენ სვლას ხელი შეუშალონ. ამ ფონზე კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო პარლამენტის ერთსულოვნება ამ კანონის მიმართ. ის, რომ პარლამენტში ანტიდისკრიმინაციულ კანონს მხარი რადიკალებმაც კი დაუჭირეს, მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ხელისუფლება აკონტროლებს ვითარებას და პარლამენტში პრორუსული ძალები არ არსებობენ.

**სოსო ჯაჭვლიანი, მმართველი კოალიცია:**

– ირკვევა, რომ 2004-ში, 2010-ში, კონსტიტუციით და ყველგან იყო და დევს ეს რეგულაციები. მე იმ სფეროში ვიყავი, სადაც უმცირესობის ბევრი წარმომადგენელი იყო. ჩვენი დედა ეკლესია ფიქრობს, რომ კანონში რაღაც ისე არ ხდება, როგორც საჭიროა და იმიტომ ღიზიანდება, თუმცა ეს ასე არ არის. დედამიწის ზურგზე ერთ მაგალითს ვერ მოიყვანს ვინმე და იტყვის – იმის გამო, რომ უმცირესობის წარმომადგენელია, სოსომ ვინმეს შეაფურთხა, სცემა, ახრჩობდა, კლავდა ან მოუწოდა, დაამცირეთო. ასეთ მაგალითს ვერ მოიყვანთ. მაგრამ მე მაქვს ჩემი ცხოვრების წესი, მათ – თავისი; ყველა ადამიანს აქვს თავისი ცხოვრების წესი და ყველა ადამიანი თავისუფალია. არ შეიძლება ადამიანის დასჯა იმის გამო, რომ ის უმცირესობის წარმომადგენელია. ჩვენს წელთაღრიცხვამდეც, მერეც – მე-2, მე-3, მე-19, მე-20 საუკუნეებში იყვნენ, ოცდამეორეში და ოცდამეოთხეშიც იქნებიან ასეთი ადამიანები. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავჩაგროთ არავინ. ყველას უნდა ჰქონდეს თავისი ადგილი. რატომ ატყდა ასეთი რია-რია, მე ეს მაკვირვებს.

პრორუსული ძლებისთვის დამახასიათებელია რადიკალიზმი. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ბურჯანაძე სამართლიანობის აღდგენის თემის გამოყენებით ცდილობდა ელექტორატის მოზიდვას, ახლა ცდილობს ანტიდისკრიმინაციულ კანონზე რეიტინგის აკრეფას.

ლაპარაკობს ინცესტის დაკანონებაზე, სამართლიანობის აღდგენაზე, კოჰაბიტაციაზე. სასაცილოა თითოეული ამ თემით აპელირება.

ინცესტის თემა სასაცილოა, ბევრ მიზეზთან ერთად, იმის გამოც, რაც **დიმიტრი შაშკინმა** სოცქსელებით გაავრცელა: „თურმე ანტიდისკრიმინაციული კანონი ახალისებს ინცესტს და ასეთი ევროპა ჩვენ არ გვჭირდებაო. როგორც იურისტმა, ქ-6 ნინოს მინდა შევახსენო: ევროპის უმრავლეს ქვეყანაში ნებაყოფლობითი და იძულებითი ინცესტი ისჯება კანონის მთელი სიმკაცრით (მაგალითად, გერმანია, დანია და ა.შ.). რუსეთში კი ნებაყოფლობითი ინცესტი დაშვებულია (იხ. რუსეთის საოჯახო კოდექსის მე-14 მუხლი)“.

სამართლიანობის თემის გამოყენება მისგან კიდევ უფრო აბსურდულია, რადგანაც მისი ლოგიკა ასეთია: სამართლიანობა იყო 2008 წლამდე, შემდეგ დაიწყო უსამართლობაო. ანუ სანამ თავად იყო ხელისუფლებაში, მანამდე სამართლიანობა ყოფილა საქართველოში, ასე ამბობს თავად.

და მესამე, კოჰაბიტაცია. ძალიან სასაცილოა, როცა ბურჯანაძე ნაციონალებთან კოჰაბიტაციის გამო პოლიტიკოსებს საყვედურობს მაშინ, როცა მისი პარტიის მერობის კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე პარლამენტში მაშინ შევიდა, როცა „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ მანდატები პროტესტის ნიშნად დახია. ის ამ ბლოკში სალომე ზურაბიშვილის პარტიიდან იყო, პარლამენტში კი გია თორთლაძესა და „ქდმ“-სთან ერთად შევიდა. თუმცა, რატომღაც თორთლაძესა და თარგამაძეს ამის გამო სასტიკად აკრიტიკებდნენ, ლორთქიფანიძეს კი – არა. თუკი ისინი მაშინ ნაციონალებს გაურიგდნენ, ლორთქიფანიძე არ გაურიგდა? ან რატომ „იყიდა“ ბურჯანაძემ ნაციონალებთან კოჰაბიტაციაში მყოფი „ქდმ“? სულ ამ პარტიის ლანძღვაში იყო და ახლა რატომ გააკეთა მასთან ბლოკი?

მოკლედ, კითხვა ბევრია, ეჭვი – კიდევ უფრო მეტი.



**დავით უსუფაშვილი: „2004 წელს, 1997 წელსა თუ 2010 წელს მზად ვიყავით, ამ ნიშნით ადამიანები არ გვეცემა, ახლა გვეუბნებიან, ამოიღეთ, იმიტომ, რომ ძალადობა გვინდაო?! რა თქმა უნდა, სახელმწიფო ამას არ დაუშვებს“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იაშვილის კლინიკაში გარდაცვლილი ჩვი

სალომე გოგოხია

**25 აპრილს იაშვილის კლინიკაში 1 წლის და 2 თვის ბავშვი გარდაიცვალა. დათუნა ვეფხვაძის გარდაცვალების მიზეზი სუნთქვის მწვავე უკმარისობა გახდა. დეკემბერში ბავშვი კლინიკაში ფილტვების ანთების დიაგნოზით მიიყვანეს. მოგვიანებით ტვინის შეშუპება განუვითარდა, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ამ ხნის მანძილზე ბავშვი სუნთქვის ხელოვნურ აპარატზე იყო გადაყვანილი. ოჯახი მის გარდაცვალებაში მკურნალ ექიმს ადანაშაულებს, ხოლო კლინიკაში აცხადებენ, რომ ბავშვს ავადმყოფობის ზუსტი დიაგნოზი ვერ დაუდგინეს.**

შესაძლოა, ბავშვს გარდაცვალების ფაქტი საზოგადოებისთვის უცნობი დარჩენილიყო, რომ არა გარდაცვალების შემდგომ განვითარებული მოვლენები. გარდაცვლილის ბაბუა ნოდარ ლომიძე, 28 აპრილს, კლინიკაში მისულ ბავშვის მკურნალ ექიმს პაატა გვეტაძეს ფიზიკურად გაუსწორდა. ექიმის ცემის ამსახველი ვიდეოკადრები ინტერნეტით გავრცელდა.

ვიდეოკადრებში ჩანს, როგორ სცემს ლომიძე ექიმს, შემდეგ მიდის და ქვის ფილით ხელში ბრუნდება, სავარაუდოდ, ექიმისთვის უნდა ესროლა. თუმცა, დაცვის თანამშრომლებმა განზრახვის სისრულეში მოყვანაში ხელი შეუშალეს. ამის შემდეგ, ბაბუა ექიმის მანქანაზე ავიდა და სახურავს წიხლები დაუშინა, შემდეგ კი მანქანის საქარე მინა დააზიანა.

სხეულის დაზიანებებით ექიმი კლინიკაში მოათავსეს, ხოლო ნოდარ ლომიძემ შემთხვევის ადგილი დატოვა.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 125-ე და 187-ე მუხლებით - ცემისა და სხვისი ნივთის ან ქონებისთვის ზიანის მიყენების ფაქტზე. ამ დროისთვის გამოძიებამ უკვე დაკითხა დაზარალებული და ბრალდებულიც.

პარალელურად, ბავშვის გარდაცვალების ფაქტზე ჯანდაცვის სამინისტრომ მოკვლევა დაიწყო. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, თეორიულად შეცდომა შეიძლება ყველა ექიმს მოუვიდეს.

„მინდა გითხრათ, რომ მსგავსი შემთხვევა პირველი არ ყოფილა. ადრეც ხდებოდა ხოლმე, იყო შემთხვევა, როდესაც ექიმს ისე გაუსწორდნენ, დაასახიჩრეს კიდეც. ნებისმიერი სახის ძალმომრეობა არ შეიძლება იქნეს მოწონებული. მიუღებელია ასეთი დამოკიდებულება. აღნიშნული ფაქტის შესწავლა ჯერ არ დასრულებულა. ჩვენ ექიმთა უფლებების დაცვაზე დავიწყეთ მუშაობა. თეორიულად შეცდომა შეიძლება ყველას მოუვიდეს, მაგრამ ექიმის შეცდომა, სამწუხაროდ, ხშირად ფატალურად მთავრდება ხოლმე. თუმცა, ლინჩის წესით გასამართლების მცდელობები უარყოფითად აისახება ექიმებზეც და პაციენტებზეც", - განაცხადა სერგეენკომ.

სამწუხაროდ, ბავშვის გარდაცვალება და ექიმთან დაპირისპირება პირველი შემთხვევა არ არის. საზოგადოებას ბევრი ხმაურიანი გარჩევები ახსოვს, როცა ჩვილის გარდაცვალებას ჭირისუფლის მხრიდან ექიმის მიმართ აგრესია მოჰყოლია. ისიც ფაქტია, რომ ხშირად ექიმებიც ცდებიან.






ცხადია, დამნაშავის გამოვლენა ჩვენი პრეროგატივა არ არის.

„პრაიმტაიმმა" ორივე მხარის პოზიცია მოისმინა. დასკვნა მკითხველმა გამოიტანოს.

რა გახდა ბავშვის გარდაცვალების მიზეზი? ექიმის გულგრილობა თუ დაუდევრობა? გარდაცვლილი ჩვილის ოჯახი და ექიმები ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებზე საუბრობენ.

ექიმების განცხადებით, ბავშვი ხშირად ავადობდა, კლინიკაში ყოველთვის ფილტვების ანთებითა და მისგან გამოწვეული სუნთქვის გაძნელების დიაგნოზით შემოჰყავდათ. ხშირად საჭირო ხდებოდა ხელოვნური სუნთქვის აპარატზე გადაყვანა. ექიმების განცხადებით, პნევმონიის გამომწვევი ზუსტი დიაგნოზი ვერ დაადგინეს.

ბოლოს დათუნა კლინიკაში გასული წლის დეკემბერში მოათავსეს. მიზეზი კვლავ ფილტვების ანთება იყო. ჩვილი გარდაცვალების დღემდე რეანიმაციაში იყო მოთავსებული. ოჯახის განცხადებით მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ბავშვის საზღვარგარეთ სამკურნალოდ წაყვანა, თუმცა, ექიმებმა დასკვნაში კონკრეტული დიაგნოზი არ დაწერეს.

„როცა დოკუმენტები გერმანიაში გავგზავნეთ, პასუხი მივიღეთ, რომ ვერაფერი გავიგეთ ბავშვს რა სჭირსო. წერია, რომ პნევმონია ჰქონდა, გამოჯანმრთელდა, შემდეგ ისევ პნევმონია, გამოჯანმრთელება და ა.შ. დაწერეთ ზუსტი დიაგნოზი და თუ ვერ წერთ, მაშინ დაწერეთ, რომ დიაგნოზი დაუდგენელია. როცა ექიმი ამბობს, რომ დიაგნოზი დაუდგენელია, ეს მართალი არ არის, რადგან ჩემი შვილის ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ კუჭის სარქველი არ ჰქონდა, საკვები საყლაპავი მილიდან ფილტვებში გადადიოდა და მწვავე ანთებაც ამიტომ ემართებოდა. ამ დიაგნოზით ბავშვები არ კვდებიან", - ამბობს „პრაიმტაიმთან" საუბარში ჩვილის დედა, სალომე ლომიძე.

> „დოკუმენტაციას გაეცნობიან თუ გაუჩნდებათ შეკითხვები, მზად ვარ ვუპასუხო. ბავშვი გაკვეთილია, ჩატარებულია ექსპერტიზა. ეს ყველაფერი შეჯამდება თუ გაუჩნდებათ შეკითხვები, მზად ვარ ვუპასუხო. ჩემი თავდასხმის ფაქტზე პოლიციამ უკვე დამკითხა"

გარდაცვლილის ოჯახი ამბობს, რომ მათ ჰქონდათ მცდელობა, რომ ბავშვი საზღვარგარეთ წაეყვანათ. ისრაელში ცნობილი კლინიკაც - „შება" შეარჩიეს, თუმცა, ბოლოს ბავშვის მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ტრანსპორტირება სარისკო გახდა.

ჩვენთან საუბარში ჩვილის დედა ამბობს, რომ ექიმები საზღვარგარეთ მისი შვილის წაყვანაზე მხოლოდ მაშინ ალაპარაკდნენ, როცა მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა. მანამდე, როგორც სალომე ლომიძე ამბობს, ბავშვის მკურნალი ექიმი პაატა გვეტაძე ჩვილის საზღვარგარეთ გაგზავნის წინააღმდეგი ყოფილა, რადგან მიაჩნდა, რომ ბავშვს საამისო არაფერი სჭირდა და გარკვეული დროის შემდეგ, მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. თუმცა, ასე არ მოხდა.

დათუნა ვეფხვაძე დაბადებისთანავე რამდენიმე დღეში იაშვილის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში აღმოჩნდა. თავდაპირველად იგი ლარინგო მალაციის ანუ ხორხის შევიწროების დიაგნოზით მიიყვანეს, რაც სუნთქვის გაძნელებას იწვევდა. თუმცა, ორი თვის ასაკში სულ სხვა დიაგნოზი - გასტროეზოფაგური რეფლუქსი დაუდგინეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კუჭს სარქველი არ ჰქონდა და კუჭში ჩასული საკვები საყლაპავი მილით ფილტვებში გადაეცემოდა.

პაატა გვეტაძემ ჩვილს 5 თვის ასაკში ოპერაცია გაუკეთა. ექიმისა და ჩვილის დედის თქმით, მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. თუმცა, პნევმონიის და სუნთქვის უკმარისობის დიაგნოზით დათუნა იაშვილის კლინიკაში ამის მერეც არაერთხელ მიიყვანეს.

ექიმების - პაატა გვეტაძის და რეანიმაციული განყოფილების უფროსის გია ბიბილაშვილის თქმით, მათ ვერ დაადგინეს პნევმონიის გამომწვევი მიზეზი.

თუმცა, საპირისპიროს ამტკიცებს გარდაცვლილის დედა და ამბობს, რომ მის შვილს მხოლოდ რეფლუქსი ჰქონდა, ჩატარებული გამოკვლევებით სხვა პათოლოგია ან დაავადება ბავშვს არ აღენიშნებოდა.

ოჯახი მედიკოსებს გულგრილობაში ადანაშაულებს.

„21-ე საუკუნეში ამ დიაგნოზით ბავშვები არ კვდებიან. 5 თვის ასაკში პაატა გვეტაძემ ოპერაცია გაუკეთა. გვეტაძემ გვითხრა, რომ თუ ოპერაციას შემდგომი გართულებები არ მოჰყვებოდა, ამის შემდეგ ბავშვს არანაირი პრობლემა არ ექნებოდა. ასე არ მოხდა. ბოყინისას ლურჯდებოდა, ტვინს ჰაერი არ მიეწოდებოდა, საკვები საყლაპავი მილით ფილტვებში გადადიოდა... ამაზე გვეტაძემ გვითხრა, რომ ეს რეფლუქსის ნარჩენია და თავისით გაივლისო. დეკემბერში ისევ საავადმყოფოში მოგვიწია მისვლა. სულ ერთი და იგივე პრობლემით ვხვდებოდით - ფილტვების ანთებით, რაც შემდეგ იწვევდა სუნთქვის უკმარისობას. მათ კარგად იცოდნენ, რომ ჩემს შვილს მხოლოდ ეს პრობლემა ჰქონდა და ტყუილია, როცა ამბობენ, რომ პნევმონიის გამომწვევი მიზეზი არ ვიცოდითო". - ამბობს სალომე ლომიძე.

დედის თქმითვე, რეანიმაციის განყოფილების უფროსმა საზღვარგარეთ გამგზავრება მხოლოდ ბავშვის მდგომარეობის დამძიმების შემდეგ ურჩია. თუმცა, გვეტაძე მიიჩნევდა, რომ ამის საჭიროება არ არსებობდა. ოჯახი მკურნალ ექიმს ენდო, დღეს ამას ძალიან ნანობენ.

„ჩემი შვილი ექიმების გულგრილობას და ამპარტავნებას შეეწირა. ტვინის შეშუპება როცა დაემართა, თავიდან არ გვითხრეს, დაგვიმალეს. როცა გავიგე, რომ ძლიერი სპაზმი ჰქონდა და გალურჯდა, ბიბილაშვილს ვკითხე, ტვინი ხომ არ დაუზიანდა-მეთქი. არაო, ჩემი დაჟინებული თხოვნით კომპიუტერული ტომოგრაფია გადავუღეთ და აღმოჩნდა, რომ ტვინის შეშუპება ჰქონდა. ჩემი შვილი აქამდე არ უნდა მიეყვანათ. ბავშვი გონიერი იყო, კონტაქტური, როცა კარგად იყო ვერცხლისწყალივით მოძრაობდა. ბოლო დღეებში ვხედავდი, რომ ჩემი შვილის სიცოცხლის შანსი მინიმუმამდე იყო დასული", - ამბობს ჩვილის დედა.

სალომე ლომიძეს ეჭვი აქვს, რომ გვეტაძემ ბავშვის ოპერაცია სრულყოფილად ვერ გააკეთა.

„ოპერაციის შემდეგ პაატა გვეტაძეს ვთხოვე, რომ საკონტროლო გამოკვლევა გაგვეკეთებინა, რომ გაგვეგო რა შედეგი გამოიღო ოპერაციამ. ყველაზე მარტივია, ბარიუმის ფაფით რენტგენზე გაშუქება, მაგრამ ამის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა, არ სჭირდებაო. გვეუბნებოდა, რომ პრობლემა მოუგვარდებაო. ტყუილია, როცა გია ბიბილაშვილი ამბობს, რომ ბავშვს დიაგნოზი ვერ დავუსვითო, ეს არსად წერია. პაატას ვთხოვე, თუ ეჭვი გეპარებათ რამეში და დიაგნოზს ვერ სვამთ, მითხარით-მეთქი, ასე მიპასუხა, დიაგნოზს მე ვსვამ და ვინც ვერ სვამს იმან დაწეროსო. ჩემს შვილს ჰქონდა ერთადერთი პრობლემა - რეფლუქსი, ეს არ არის



განუკურნებელი. ამის გამო ბავშვები არ კვდებიან. როდესაც იაშვილის კლინიკის მთავარი ექიმი ვანიკო ჩხეიძე ამბობს, თითქოს ერთი წლის წინ შემოგვთავაზეს ბავშვის საზღვარგარეთ წაყვანა, ეს არის ტყუილი. მათ ვერ მართეს ან არ მართეს სიტუაცია, მათ უცოდინრობას შეეწირა ჩემი შვილი. ფინანსურად ჩვენს ოჯახს არ ჰქონდა იმის პრობლემა, რომ ბავშვი ვერ წაგვეყვანა. ახლაც სახლში მაქვს ფულის ნაწილი, რომლითაც ჩემი შვილი უნდა წაგვეყვანა",- ამბობს სალომე ლომიძე.

ოჯახი იმასაც ამბობს, რომ პაატა გვეტაძეს დამატებით ფულს უხდიდნენ.

რაც შეეხება პაატა გვეტაძეს, ამ თემაზე მედიასთან საუბარზე უარს აცხადებს. „პრაიმტაიმი" ერთადერთი მედიასაშუალება აღმოჩნდა, რომელმაც ექსკლუზიურად ჩაწერა გვეტაძესთან ინტერვიუ.

ნაცემი ექიმი იარებს იშუშებს, მას სახეზე სისხლჩაქცევები აღენიშნება. ამბობს, რომ ზედა ტუჩი, წარბი გახეთქილი აქვს, ცემის შედეგად ტვინის შერყევა მიიღო.

„ექიმები რაღაცებს ვერ ვერევით. სამწუხაროდ, ბევრი რამ კიდევ არ ვიცით და ვერც ვერასდროს გავიგებთ. სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ყველაფერი ღმერთიდან მოდის. ამ უბედურ ბავშვთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ჩვენთან დაბადებიდან რამდენიმე დღეში მოიყვანეს. ერთ-ერთ საავადმყოფოში ხორხის შევიწროების დიაგნოზი დაუსვეს. სუნთქვის მძიმე უკმარისობა ჰქონდა. ჩატარებული კვლევით ეს დიაგნოზი მოვუხსენით და სულ სხვა დიაგნოზი დავუდგინეთ - საყლაპავისა და კუჭის შენაერთს შორის ბუნებრივი სარქველის არარსებობა. ხუთი თვის ასაკში ოპერაცია გავუკეთე. ჩამოვუყალიბე კუჭის ჩამკეტი მექანიზმი ანუ სარქველი. საკმაოდ უნიკალური ოპერაციაა, რაც მხოლოდ ჩვენს კლინიკაში კეთდება. პრაქტიკულად, ბავშვი გამოჯანმრთელდა. თუმცა, დროდადრო სუნთქვის გაძნელება უვითარდებოდა. ბოლოს ძალიან მძიმე სუნთქვის უკმარისობა განუვითარდა. როგორც ჩანს, ბავშვს სხვა დაავადებებიც ჰქონდა. ბოლო ორი თვე, მანამდე თუ ყველა მისი მტერი იყო და მე








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლის ოჯახი მკურნალ ექიმს ადანაშაულებს

# ექიმის გულგრილობა თუ არასწორად დასმული დიაგნოზი?

**„ჩემს შვილს ჰქონდა ერთადერთი პრობლემა - რეფლუქსი, ეს არ არის განუკურნებელი. ამის გამო ბავშვები არ კვდებიან“**




ვიყავი ერთი მისი მარჩენალი, რატომღაც მე გავხდი ერთი მტერი და დანარჩენებზე ისეთი აგრესია აღარ ჰქონდათ. ასევე, ჩემთვის გაუგებარია რატომ მომაკრეს მკურნალი ექიმის იარლიყი, მე მხოლოდ ოპერაცია გავუკეთე. როცა რეანიმაციაში სჭირდებოდათ კონსულტაცია, მაშინ ავდიოდი“, - ამბობს გვეტაძე.

ექიმი ამბობს, რომ მზად არის ითანამშრომლოს გამოძიებასთან და ჯანდაცვის სამინისტროსთან.

„დოკუმენტაციას გაეცნობიან თუ გაუჩნდებათ შეკითხვები, მზად ვარ ვუპასუხო. ბავშვი გაკვეთილია, ჩატარებულია ექსპერტიზა. ეს ყველაფერი შეჯამდება თუ გაუჩნდებათ შეკითხვები, მზად ვარ ვუპასუხო. ჩემი თავდასხმის ფაქტზე პოლიციამ უკვე დამკითხა. ეგ რომ აფექტში არ მოხდა იმაზე მეტყველებს, რომ ბავშვის გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს, ორშაბათს მოვიდა ბაბუა. ჩასაფრებული ელოდა ჩემ მოსვლას. სამწუხაროდ, ისეთი ტენდენცია შეიქმნა, რომ ექიმის დაცვა არავის აინტერესებს. შემოაქვთ კანონები, რომელიც იცავს პაციენტს, მაგრამ ექიმს არავინ, ეს კოშმარია“,- ამბობს პაატა გვეტაძე.

დაუდგენელ დიაგნოზზე საუბრობს იაშვილის კლინიკის მთავარი ექიმი ივანე ჩხეიძეც.

„ეს ბავშვი 12-ჯერ იყო ჩვენთან მოყვანილი. ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო გადაყვანილი, რაც ნიშნავს, რომ ამ დროს გარდაცვალების დიდი რისკი არსებობს. ოჯახს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ბავშვის მდგომარეობა იყო მძიმე. მე ვერ ვხედავ სირცხვილს იმაში, რომ ვთქვა, ჩვენი მედიცინისთვის შეუძლებელი იყო დიაგნოზის დადგენა. ამიტომ, შევთავაზეთ საზღვარგარეთ წაყვანა. რა იწვევდა მდგომარეობის დამძიმებას, ამის დადგენა ვერ მოხერხდა. ჩვენთან დიაგნოსტიკური კვლევის ყველა რესურსი ამოწურული იყო. ჩვენ კლინიკაც შევთავაზეთ, სადაც ჩაუტარებდნენ კვლევას და მკურნალობას. ამის მცდელობა მშობლებსაც ჰქონდათ. საუბარი იმაზე, თითქოს არ გვინდოდა საზღვარგარეთ გაგზავნა, მართალი არ არის“, - ამბობს ჩხეიძე.



რეანიმაციის განყოფილების უფროსი გია ბიბილაშვილი, რომელსაც ჩვილთან ყოველდღიური შეხება ჰქონდა, „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ ის თავად სთხოვდა გარდაცვლილის ოჯახს ჩვილის საზღვარგარეთ წაყვანას.

„ვეხვეწებოდი, წაიყვანეთ საზღვარგარეთ, პასუხი იყო ასეთი, თქვენ გვეუბნებით წაიყვანეთ, მაგრამ პაატა გვეტაძე გვეუბნება არ წაიყვანოთო. ვაფრთხილებდი, ერთხელაც იქნება საბედისწერო შედეგი დადგება და ვერ გადავარჩენთმეთქი; ან ბინაში მოკვდება, ან მანქანაში, ან ეზოში, ან საავადმყოფოში. ეს სიტყვები მაქვს მათთვის ნათქვამი. ჩვენ არ ვიცით დიაგნოზი, რა იწვევდა პნევმონიას. რამდენჯერ შეიძლება ბავშვი მოიყვანო უმძიმესი მდგომარეობით, ერთი კვირა გყავდეს ხელოვნურ აპარატზე, გაუცოცხლო და უკან გაატანო? ერთი თვის მერე ისევ იგივე მდგომარეობით მოიყვანოს. წარმოუდგენელია ბავშვს თორმეტი პნევმონია ჰქონდეს, ჯანმრთელ ბავშვზე ეს არ ხდება. წონაში ველარ იმატებდა. გამთენიისას განვითარდა ლარინგოსპაზმი, მოხდა ის, რისი შიშიც მქონდა. ძალიან განვიცდი ამ ბავშვის მდგომარეობას, ჩემს თვალწინ გაიზარდა, ხელში ამყავდა, მეპოტინებოდა. საათ-ნახევრის წასული ვიყავი, როცა გარდაიცვალა. მანამდე სამოცდათორმეტი საათი რეანიმაციიდან არ გამოვსულვარ. არ მინდოდა მისი სიკვდილი მენახა. ბოლო პნევმონია მისთვის საბედისწერო გამოდგა. გამოჯანმრთელების შანსი არ არსებობდა“, - ამბობს ბიბილაშვილი.

**„ბავშვის გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს, ორშაბათს მოვიდა ბაბუა. ჩასაფრებული ელოდა ჩემ მოსვლას. სამწუხაროდ, ისეთი ტენდენცია შეიქმნა, რომ ექიმის დაცვა არავის აინტერესებს“**

რა გახდა 1 წლის და 2 თვის დათუნას გარდაცვალების მიზეზი, ეს მას შემდეგ გახდება ცნობილი, როცა ჯანდაცვის სამინისტრო დოკუმენტაციის შესწავლას დაასრულებს.

სამინისტროს ჩვილის დედამ 14 აპრილს მიმართა. სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტმა საჩივრის განხილვა დედის განცახდების საფუძველზე დაიწყო.

დეპარტამენტის კონტროლის უფროსის ლადო კეპულაძის განცხადებით, პაციენტის დედა პრეტენზიას გამოთქვამდა, რომ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება სამედიცინო პერსონალის არასწორმა ჩარევამ გამოიწვია. ლადო კეპულაძის თქმით, პაციენტი იმ დროისთვის სტაციონარში მკურნალობდა.

დეპარტამენტი, ფაქტობრივად, საკითხის შესწავლას ასრულებდა, როდესაც ბავშვი გარდაიცვალა, ამიტომ კომისიამ მუშაობის ვადა გააგრძელა. მისივე განცხადებით, ამ ეტაპზე, ძირითადად, დოკუმენტის გაფორმების წესებთან დაკავშირებული ხარვეზები გამოიკვეთა.

დასკვნის შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდება ექიმის კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმისა თუ დაუდევრობის შესახებ საუბარი.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ORBELI ორბელი

ჯგუფი GROUP





## ერისთავის ქ. N1

**ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13**

Ⓐ






ORBELI ორბელი ჯგუფი GROUP

**100 ლარიანი**

**ვაუჩერი ორბელისგან**

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

**მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13**




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როდის დაბრუნდება დედა პარასკევა დედათა მონასტერში



## სამთავროს მონასტრის მონაზონი: „დედა არასოდეს გაგბრაზებიათ?.. მერე შვილმა ეს ამბავი გარეთ უნდა გაიტანოს და ყველას მოუყვეს?“

## რა მოხდა სამთავროს დედათა მონასტერში?

**EXCLUSIVE**

ხათუნა მგალობლიშვილი

**დედა პარასკევა სამთავროს დედათა მონასტერს რომ დატოვებდა, ამაზე საუბარი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დაიწყო. მაშინ ამბობდნენ, რომ მამა გაბრიელის ნეშტის გახსნისა და მონასტერში დაკრძალვის შემდეგ დედა პარასკევას იქ ყოფნის აუცილებლობა აღარ იარსებებდა და, შესაბამისად, წასვლა მოუწევდა. დეტალები არც მაშინ ხმაურდებოდა და ახლა მით უმეტეს. თუმცა თავად დედაოს საკმაოდ სკანდალურმა განცხადებამ საზოგადოების ყურადღება, ბუნებრივია, მიიპყრო. დედაოს განცხადებით, ის აიძულეს, მონასტერი დაეტოვებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ...**

**დედა პარასკევა:**

– მემუქრებოდა, თავს გაგიტეხ და ახლავე წადი აქედანო. უშვერი სიტყვებით მლანძღავდა. შე გაფუჭებულოო, – მეძახდა. მეც ავდექი და უჩუმრად დავტოვე მონასტერი, დიახ, ზუსტად ასეა – გამომიშვეს მონასტრიდან. ჩამოვა პატრიარქი და ყველაფერს ვუამბობ. ჩემზე აგრესია განხორციელდა. დედა ქეთევანი მამა გაბრიელის სიყვარულისა და ერთგულების მსახურებისთვის მდევნიდა. კელიის გასაღებიც ჩამომართვეს. სინჯარა, სადაც მამა გაბრიელის წმინდა სისხლია მოთავსებული, არ დავთმე. ის ჩემია, რატომ უნდა მიმეცა? ის მამა გაბრიელმა მისახსოვრა. საერთოდ, მამა გაბრიელისადმი მონასტერში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა და ამას დედა ქეთევანი ახორციელებს. საქართველოს პატრიარქი 5 დღეში ჩამოვა, დაველაპარაკები და ყველაფერს ვუამბობ. როგორც პატრიარქი გადაწყვეტს, ისე მოვიქცევი.

კომენტარის გავრცელებას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. მონასტერში ეჭვი ეპარებათ, რომ კომენტარი, რომელიც დედა პარასკევას სახელით გავრცელდა, რეალურად მას არ ეკუთვნის. ბუნებრივია, მონასტერში დაპირისპირებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ დედა ქეთევანს ყველა უყვარს. როგორც ამბობენ, დედა პარასკევას მონასტერში მისვლა აკრძალული აქვს. დამატებითი კომენტარისგან დედები თავს იკავებენ, მათ შორის დედა პარასკევაც. მის პირად ტელეფონს უცხო ადამიანი პასუხობს. მისი განცხადებით, დედა პარასკევა თავს შეუძლოდ გრძნობს და არავინ იცის, როდის დაბრუნდება მონასტერში: „არაფერი არ ვიცი, არც ის, როდის დაბრუნდება დედა პარასკევა მონასტერში და არც სხვა რამე, საერთოდ არავინ არაფერი არ იცის“.

სავარაუდოდ, დედა პარასკევას მონასტერში დაბრუნებასა და დედა ქეთევანთან დაპირისპირების ისტორიას პატრიარქი გადაწყვეტს. თავად დედა პარასკევაც მთელი კვირის განმავლობაში სწორედ პატრიარქის საქართველოში დაბრუნებას ელოდებოდა, რომ კონსულტაცია სწორედ უწმინდესთან გაევლო. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ იკავებდა თავს ახსნა-განმარტებებისგან. მანამდე კი ის თბილისში, საკუთარ ძმასთან იმყოფებოდა.

დედაოსგან ახსნა-განმარტებებს მონასტერშიც ელოდებიან. მიიჩნევენ, რომ საზოგადოებისთვის უცნობი უნდა დარჩენილიყო მონასტერში მიმდინარე ამბები. ერთ-ერთი მონაზვნის განცხადებით, ეს იგივეა, შვილმა დედის დატუქსვის ისტორია უცხოებს ქუჩაში მოუყვეს...



**სამთავროს დედათა მონასტრის მონაზონი:**

**– დედა არასოდეს გაგბრაზებიათ?**

– კი, რა თქმა უნდა.

**– მერე შვილმა ეს ამბავი გარეთ უნდა გაიტანოს და ყველას მოუყვეს?**

მონასტერში მოღვაწე ერთ-ერთი მონაზვნის განცხადებით, დედა პარასკევამ მონასტერი საკუთარი სურვილით დატოვა დასვენების მიზნით. დედები დედა პარასკევას უკან, 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე ელოდებიან. ამბობენ, რომ პარასკევა მონასტერში აუცილებლად დაბრუნდება, როგორც კი დაისვენებს: „დედა პარასკევამ მონასტერი მიცვალებულების კვირაში დატოვა, თავის ძმასთან არის წასული. ჩვენ, მონაზვნებს, გვაქვს უფლება, რამდენიმე დღით წავიდეთ სახლში. დედა პარასკევას სურვილი იყო, თავად სურდა, რომ წასულიყო, პირადად შევესწარი მის საუბარს და თქვა, რომ დასვენება უნდოდა, ცოტა ხნით დატოვებდა მონასტერს და 6 მაისისთვის, გიორგობას დაბრუნდებოდა, ჩვენ მას დღესასწაულისთვის ველოდებით.

**– ადრეც ყოფილა წასული დასასვენებლად?**

– კი, მიდიოდა ხოლმე. ერთხელ ერთი თვითაც კი იყო წასული.

**– დედა ქეთევანთან დაპირისპირება რატომ მოხდა?**

– არ ყოფილა არანაირი დაპირისპირება. დედა ქეთევანს ყველა უყვარს და არ ვიცი, ასეთი რამ რატომ გავრცელდა.

**– დედა პარასკევამ თავად თქვა კომენტარში, რომ მას დაემუქრნენ და ისე გააგდეს.**

– არ ყოფილა ასეთი რამ, რატომ თქვა ეს დედა პარასკევამ, თუ მართლა მისი სიტყვებია, ალბათ, როცა დაბრუნდება, მაშინ იტყვის.



დედა პარასკევა: „მემუქრებოდა, თავს გაგიტეხ და ახლავე წადი აქედანო. უშვერი სიტყვებით მლანძღავდა. შე გაფუჭებულოო, – მეძახდა. მეც ავდექი და უჩუმრად დავტოვე მონასტერი, დიახ, ზუსტად ასეა – გამომიშვეს მონასტრიდან. ჩამოვა პატრიარქი და ყველაფერს ვუამბობ“

აბსოლუტურად განსხვავებულ ისტორიას ყვება მონასტრის მრევლი, მათი განცხადებით, დედა პარასკევას არასოდეს დაუტოვებია მონასტერი დიდი ხნით. ეს ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ავადმყოფის მოსანახულებლად მიდიოდა და ისიც ძალიან მცირე დროით: „სულ აქ იყო, არასოდეს დაუტოვებია მამა გაბრიელი, არც მის სიცოცხლეში და მით უმეტეს არც გარდაცვალების შემდეგ. მუდამ თავზე ედგა, მაშინაც, როდესაც მამა გაბრიელი სამებაში გადააბრძანეს და აქაც. დედა პარასკევასნაირი ადამიანი მონასტერში უნდა იყოს, დიდი იმედი გვაქვს, რომ დაბრუნდება“.

მართალია, თავად მონასტრის დედები ყურადღების ცენტრში ყოფნამ გადაღალა, მაგრამ ფაქტია, რომ დაპირისპირების დეტალებმა გამოჟონა და საზოგადოების რეაქციაც ადეკვატური იყო. ყველას აინტერესებს, რეალურად რა მოხდა დედათა მონასტერში. ვერსია საკმარისზე ბევრია. როგორც ამბობენ, სამთავროს მონასტრის დედები დედა პარასკევას მიმართ აგრესიულობით გამოირჩევიან და მასთან დაკავშირებით, ცრუ ინფორმაციები სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან, ილია მეორესთან მიაქვთ. მრევლის განცხადებით, პატრიარქს არასწორი ინფორმაცია მიუტანეს, თითქოს დედა პარასკევა მამა გაბრიელის ლუსკუმასთან ისე დგას, რომ ხალხს მონასტერში შესვლაში ხელს უშლის, რაც დიდი სიცრუეა... ისიც ითქვა, რომ დედა პარასკევა მონასტერში იმაზე მეტ უფლება-მოვალეობებს იღებდა საკუთარ თავზე, ვიდრე ეს იქ მყოფებს სურდათ. შესაბამისად, დაპირისპირებაც დიდხნიანია და ასევე, დიდხანს ცდილობდნენ მის საიდუმლოდ შენახვას...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# გოგა ხაინდრავა და გიორგი თარგამაძე ფერმერები გახდნენ



პოლიტიკიდან პირდაპირ სოფლის მეურნეობაში... როგორც ჩანს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გოგა ხაინდრავამ სკანდალებისთვის თავის არიდება გადაწყვიტა და ფერმერობას მიჰყო ხელი. ის მეცხოველეობის განვითარების მიზნით თეთრი წყაროს რაიონში გეგმავს გადაბარგებას. ხაინდრავას თქმით, ათი ოჯახი თეთრი წყაროში ახალ სოფელს დააარსებს – კოოპერატივი უკვე შექმნეს და ახლა სესხის აღებას აპირებენ.

სკანდალური პოლიტიკური ფიგურა აცხადებს, რომ ახლა ის ფერმერობას მიჰყოფს ხელს. კოოპერატივს უკვე ჰყავს 50 ძროხა, თუმცა ხაინდრავა ჩივის, რომ ექვსი თვეა, პროექტი გამზადებული აქვს, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტანციაში დადის, მაგრამ ის ადგილიდან ვერ დაძრა:

„ვაუჩერები ახალდაწყებულებს არ ეკუთვნით. ასე რომ, ამითაც ვერ ვსარგებლობ, ტექნიკაზე, საერთოდ, ლაპარაკიც ზედმეტია".

თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში გოგა ხაინდრავა ფერმერთა დახმარების ცენტრის წარმომადგენლებსაც შეხვდა, რომლებმაც სხვადასხვა საკითხებზე, მაგალითად, მიწის დაზღვევასა და აგროდაზღვევაზე დააკვალიანეს.

ფერმერობას აპირებს პოლიტიკიდან წასული კიდევ ერთი პოპულარული სახე – გიორგი თარგამაძე. მას შემდეგ, რაც თარგამაძემ საკუთარი პარტია ნინო ბურჯანაძეს გადაულოცა (პირდაპირ თუ ირიბად) თავად მეცხოველეობამ გაიტაცა. ამბობენ, რომ „ქდმ"-ს ყოფილი ლიდერი საქართველოში ჰოლანდიური ტიპის ფერმის შექმნას გეგმავს და ჰოლანდიური ძროხების ჩამოყვანას აპირებს. ის ცოტა ხნის წინ, მართლაც სტუმრობდა ჰოლანდიას, სადაც სწორედ ფერმები დაათვალიერა და ადგილობრივი ფერმერების გამოცდილებას გაეცნო.







# „ასე ამბობდა ბოკერია თინა ხიდაშელზე 2004 წელს"



„ზუსტად ასე ამბობდა ბოკერია ხიდაშელზე 2004 წელს", – ასე გამოეხმაურა „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა თინა ხიდაშელის განცხადებას სამოქალაქო სექტორთან დაკავშირებით.

მისი ეს შეფასება თინა ხიდაშელის იმ განცხადებას მოჰყვა, სადაც დეპუტატი არასამთავრობო ორგანიზაციებს აკრიტიკებს.

„არასამთავრობო სექტორის ძალიან მნიშვნელოვანი და ჩემთვის პატივსაცემი ნაწილი ჩარჩა იქ, სადაც 2012 წლის 1-ელ ოქტომბრამდე იყო", – ასე აფასებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის მიერ წამოწყებულ კამპანიას „ეს შენ გეხება".

როგორც ხიდაშელმა განაცხადა, არასწორია, როცა „გუშინ და 8 წლის წინათ არჩეულ ხელისუფლებას" ერთნაირი ტერმინებით ელაპარაკებიან.

„არასამთავრობო სექტორის ნაწილი იმავე ენაზე მეტყველებს, იმავე ტერმინებს იყენებს, იმავე პრობლემებზე საუბრობს, თითქოს ისევ იქ ვიყოთ. ეს მხოლოდ ამ თემას არ ეხება, ძალიან ბევრ შემთხვევაში გვაქვს ეს ნანახი. ხშირად გაკვირვებული ვარ, როცა ასეთი ტიპის კრიტიკა მესმის. როცა გუშინ არჩეულ ხელისუფლებას ისე ელაპარაკები, როგორც 8 წლის წინათ არჩეულ ხელისუფლებას, რომელზეც ფაქტობრივი მტკიცებულებები არსებობს პრობლემებთან დაკავშირებით, ეს არასწორი და არაადეკვატურია, რადგან მათ იციან და თვითონ არიან მონაწილენი პროცესისა, რომ ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე მუშაობა ერთი დღე არ გაჩერებულა. ეს უკვე ერთგვარ ახირებას ემსგავსება", – განაცხადა ხიდაშელმა.

მისივე განმარტებით, ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე მუშაობა, ფაქტობრივად, დასრულებულია და ელის, რომ პარლამენტი მას პირველი მოსმენით მალე, საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე მიიღებს.

# სესიაშვილი



ამბობენ, საკითხი უკვე გადაწყვეტილია და პარლამენტში ირაკლი სესიაშვილს უკვე ულოცავენო და ის მილოცვებს იღებსო. რას ულოცავენ? ამბობენ, არჩევნების შემდეგ თავდაცვის მინისტრად სწორედ ის დაინიშნება მინისტრადო. ანუ ირაკლი ალასანიას მემკვიდრე თითქოს უკვე ცნობილია.

ირაკლი სესიაშვილი ამჟერად პარლამენტში თავდაცვის კომიტეტს თავმჯდომარეობს.

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, მან ერთხელ უკვე შეაფასა საკუთარი მოღვაწეობა ამ თანამდებობაზე, როცა თქვა, რომ სერიოზული რეფორმები გაატარა და ახლა მზად არის, ეს გამოცდილება სხვებსაც გაუზიაროს საქართველოს ფარგლებს გარეთ; მეორედ აღნიშნა, რომ თავდ-



# ოთარ ფარცხალაძე და თეა წულუკიანი საქართველოს ტოვებენ



როგორც ამბობენ, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მინისტრები შეიცვლებიან. ზოგი გუნდში დარჩება და ზოგს საერთოდ წასვლა მოუწევს. ვარაუდობენ, რომ წამსვლელთა რიგში იუსტიციის მინისტრიც მოხვდება. ამბობენ, რომ წულუკიანი საცხოვრებლად სტრასბურგში აპირებს გადასვლას, სადაც მას ბინაც აქვს და თავის ძველ საქმიანობას დაუბრუნდება. აღნიშნული ინფორმაცია ადრეც გავრცელდა. მაშინ წულუკიანმა განაცხადა, რომ ხელისუფლების სათავეებში მუდმივად არავინ მოდის. შინაარსის ქვეტექსტი ყველასთვის გასაგები იყო, თუმცა მოლოდინი, რომ მინისტრის პოსტს სწორედ წულუკიანი დატოვებს, მას შემდეგ გაჩნდა, როცა კოალიციაში შიდადაპირისპირებაზე დაიწყეს საუბარი.

წულუკიანთან კავშირში არ არის, თუმცა იგივე ინფორმაცია ვრცელდება ყოფილ პროკურორზეც. როგორც ამბობენ, ოთარ ფარცხალაძე საცხოვრებლად გერმანიაში მიდის.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინო ბურჯანაძეს წამლავენ?




ნინო ბურჯანაძეს ან ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს და არავის ენდობა, ანდა, უბრალოდ, ტიკი აქვს, თუმცა, როგორც წესი, ქალებს ასეთი რამ არ ემართებათ ხოლმე.

ამას ის ადრეც აკეთებდა, მაგრამ ადრე მხოლოდ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს. შოკირებულები ვიყავით, როცა შეხვედრებზე ბურჯანაძის დაცვის უფროსი ჩანთიდან ერთ ბოთლ წყალსა და ერთჯერად ჭიქას ამოაცურებდა და იქ დადებდა, სადაც ნინო უნდა დამჯდარიყო. მისთვის უკვე გამზადებულ ჭიქასა და წყალს შორის გადადებდა.

ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, ბურჯანაძე მუდმივად დადიოდა საკუთარი ბოთლითა და ერთჯერადი ჭიქით. ასე იყო ყოველთვის და მუდმივად ჟურნალისტებთან. ისე ჩანდა, თითქოს მხოლოდ მეოთხე ხელისუფლებას არ ენდობოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბურჯანაძე არც უცხოელებს ენდობა. თომას მელიასთან შეხვედრის დროსაც მისმა დაცვამ წყლით სავსე ბოთლი და ერთჯერადი ჭიქა ამოიღო და ბურჯანაძეს წინ დაუდო.

ისე, საინტერესო ფუნქციებს ითავსებს დაცვა. ადრე ისინი მზარეულების როლში არ მინახავს. ან ეგებ არის რაიმე ინფორმაცია, რომელიც მისი დაცვის ობიექტს საფრთხეს უქმნის? ვინმე ჩვენთან ან დასავლეთში ბურჯანაძის მოწამვლას ცდილობს?

# სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებას გაურიგდა?



სალომე ზურაბიშვილის პარტია არჩევნებზე დამოუკიდებლად გადის. თანაც დარწმუნებულები არიან, რომ ბარიერს უპრობლემოდ გადალახავენ. ოპოზიციის საერთო კონსულტაციებში პარტიას არც ერთ ეტაპზე არ მიუღია მონაწილეობა. ისინი თავიდანვე დამოუკიდებლად მოქმედებდნენ.

**ნინო ტაბიძე, „საქართველოს გზის" წევრი:** „პარტია არ აპირებს კონსულტაციების გამართვას არასაპარლამენტო ოპოზიციასთან და შემიძლია, დავადასტურო, რომ „საქართველოს გზა" დამოუკიდებლად გამოვა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში".

პარტიის გადაწყვეტილებამ ბევრი კითხვა გააჩინა ოპოზიციაში. როგორც ამბობენ, კახა კუკავა და ნინო ბურჯანაძე კულუარებში ეჭვს გამოთქვამენ, რომ სალომე ზურაბიშვილის პარტია ხელისუფლებასთან გარიგებაშია და ბარიერის ვერგადალახვის შიშიც სწორედ ამიტომ არის დაძლეული.

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ პირადად სალომე ზურაბიშვილის მოთხოვნით პარტიის თავმჯდომარე სწორედ იგივე ეჭვების გამო შეიცვალა. ზურაბიშვილს ინფორმაცია მიუტანეს, რომ კახა სეთურიძე უმრავლესობასთან საიდუმლო კონსულტაციებს მართავდა საარჩევნო საკითხებზე. შიდაპარტიული ცვლილებაც ამ მიზნით განხორციელდა. თუმცა მაშინ პარტიაში ინფორმაცია არ დაადასტურეს. ნინო ტაბიძის განცხადებით, კახა სეთურიძემ თავმჯდომარის პოსტი პირადი პრობლემების გამო დატოვა.

# ოქრუაშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ

**ირაკლი ოქრუაშვილი მეორე პოლიტიკური ფიგურაა, ვინც პოლიტიკოსის წინააღმდეგ ჩვენება მისცა. ერთი ბურჯანაძე იყო და მეორე სწორედ ოქრუაშვილია. მან ღიად აღიარა, რომ ჩვენება პრეზიდენტის წინააღმდეგ მისცა და თქვა, ამის მიზეზი მქონდაო.**

– თქვენ როგორ გგონიათ? მაგ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი? არავის არ გაუკვირდეს, რომ მე მასთან ჩემი ანგარიშები მაქვს და ბუნებრივია, ჩვენ არ ვართ „კაი ბიჭები", ჩვენ ვართ სხვა ტიპის გზით მიმავალი ადამიანები. ამ შემთხვევაში აქ არაფერი განსაკუთრებული არ არის, რომ მოწინააღმდეგეა, ოპონენტია, მოწინააღმდეგეზე მეტია... – ასეთია თავდაცვის ყოფილი მინისტრის კომენტარი.





# თავდაცვის მინისტრად?








აცვის მინისტრობიდან არსად წასვლას არ აპირებს. თუმცა, ასეთი შეფასებებისა და თავდაჯერებულობის მიუხედავად, ალასანიას ყველა რატომღაც პოსტის დატოვებას უწინასწარმეტყველებს. ამბობენ, რომ მას საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანენ. ალასანია საკუთარ თავს წარმატებულს უწოდებს და შესაძლოა, ასეც არის. თუმცა, ის ხშირად ეხვევა ხოლმე სკანდალებში.

როგორი ცვლილებები განხორციელდება ხელისუფლებაში ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ძნელი სათქმელია, თუმცა, როგორც ჩანს, ეს სესიაშვილს ხელს არ უშლის, მილოცვები მიიღოს. თუმცა, შესაძლოა, მან უფრო მეტი იცის, ან გავრცელებული ხმები ტყუის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კახა ბენდუქიძე ეკონომიკაზე,




ქეთი ხატიაშვილი

**ექსკლუზიური ინტერვიუ „თავისუფალი უნივერსიტეტის“ დამფუძნებელთან, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარესთან კახა ბენდუქიძესთან.**

**– ბატონო კახა, ბოლო დროს ბევრს საუბრობენ თქვენს შესაძლო დაკავებაზე. თქვენი აზრით, რას იგებს ხელისუფლება თქვენი დაკავებით? ის თქვენ პოლიტიკურ და სახიფათო ფიგურად აღგიქვამთ თუ ამით იტყვის, რომ სამართლიანობა აღადგინა?**

– სამართლიანობის აღდგენა საერთოდ უაზრო ტერმინია. ამ შემთხვევაში კი ეს სამართლიანობის აღდგენის კი არა, უსამართლობის აღდგენის მაგალითია. არარსებული საქმე, შეთითხნილი პოლიტიკური ნიშნით.

რაც შეეხება მიზეზებს, აქ რამდენიმე მიზეზი შეიძლება იყოს – ალბათ, გახსოვთ, ივანიშვილმა რამდენჯერმე მომიხსენია უარყოფით კონტექსტში. ასე იყო წინასაარჩევნო კომპანიის დროს და მერეც.

ჯერ თქვა, ბენდუქიძე ჩემი იდეების განხორციელებას ხელს უშლიდაო. ჩემი კონკრეტული შეთავაზებები ბენდუქიძემ დაბლოკაო.

**– მართლა ბლოკავდით?**

– რეალურად, მისი რამდენიმე იდეის წინააღმდეგი მართლაც ვიყავი. მაგალითად, ივანიშვილი სთავაზობდა მთავრობას, მილიარდ დოლარს გასესხებთ (მაშინ ეს 2 მილიარდი ლარზე ნაკლები გამოდიოდა), თუ ამ ფულს სოფლად ყოველ ოჯახს გადაასესხებთო. ეს იქნებოდა დაბალპროცენტიანი თუ უპროცენტო ვალი. თითოეული ოჯახი დაახლოებით 2 500 ლარს მიიღებდა ხუთი წლით. მთავრობაში ზოგიერთის რეაქცია იყო – რა მაგარია, სოფელს დავეხმარებითო. მე ვთქვი, რომ ეს ცუდი იდეა იყო და ამას შედეგი არ ექნებოდა.

**– როგორ შეძელით დაბლოკვა?**

– ერთადერთი კითხვა დავსვი მაშინ: როგორ დაიბრუნებს ამ ვალს მთავრობა? ეს კითხვა დავსვი მხოლოდ. დამაინტერესა, ოჯახს 2 ათას ლარს ვინ გამოართმევდა? კიდევ ვთქვი, რომ ჯალალედინს, მურვან ყრუსა და თემურ ლენგს ერთადაც კი გაუჭირდებოდათ ამის გაკეთება: მეტი არაფერი მითქვამს, გეფიცებით.

თუმცა, იყო საკითხები, სადაც ვერაფერი ვერ შევძელი. 2004 წელი იყო და გადავწყვიტეთ გაგვეყიდა ფილარმონია. არ მესმოდა, მთავრობას საკონცერტო დარბაზი რატომ უნდა ჰქონოდა. ეს ხომ არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ეს უბრალოდ ბეტონისა და შუშისგან აშენებული შენობაა, სადაც კონცერტები და „იუმორინა“ ტარდება. ჟვანიას ივანიშვილის სახელით დაურეკეს და ჰკითხეს: რატომ ყიდით ფილარმონიასო? ჟვანიამ უპასუხა, ფული არ გვაქვს, რომ მოვუაროთო. უთხრეს, ფულს მოგცემთ იმ პირობით, რომ ფილარმონია არასოდეს გახდება კერძოო. რამდენიც არ ვიკამათე და ვამტკიცე, რომ მთავრობას არ უნდა ჰქონდეს საკონცერტო დარბაზი, რესტორანი და ტაშფანდურის ანსამბლი, მთავრობის საქმეა ჯარი და პოლიცია, ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოვახდინე და ფილარმონია სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩა.

კიდევ ერთი მაგალითი. ჩვენ მაშინ ჯანდაცვაში გადავედით სადაზღვევო სისტემაზე. ხელისუფლებამ გაჭირვებული ხალხის ჯანმრთელობის დაზღვევა დაიწყო. ივანიშვილს უნდოდა, გაერემონტებინა და აღეჭურვა რესპუბლიკური საავადმყოფო, ოღონდ იმ პირობით, რომ მთავრობა იქ უფასო საავადმყოფოს გახსნიდა და ბიუჯეტის ხარჯებით შეინახავდა. ეს არასწორი და ცუდი იდეა იყო.

გაჭირვებული ხალხი უკვე დაზღვეული იყო. ამ ფონზე უფასო საავადმყოფოს გახსნა არაეფექტურია. მავნებელიცაა. რეალურად ხომ უფასო არაფერი არ არის, მთავრობას მინიმუმ 40-60 მილიონი დაუჯდებოდა წელიწადში.

მეორეც, მარტივი კითხვა: დავუშვათ, არის უფასო საავადმყოფო, ორი ადამიანიდან ერთი ცხოვრობს საბურთალოზე და პარლამენტის წევრია, მეორე კი ვაქირში მცხოვრები 72 წლის მარტოხელა ბებიაა. ახლა მითხარით, ვის აქვს შანსი, ამ საავადმყოფოში უმკურნალონ?

**– დეპუტატს...**

– მარტივია ხომ? ეს ჩვენ გვინახავს და გვესმის, ასე რატომ მოხდება. ეს იქნებოდა უფასო საავადმყოფო შეძლებული ხალხისთვის, თანაც არ იქნებოდა იქ ხარჯებზე კონტროლი.

მე ვამბობდი, რომ ასეთი იდეები პოლიტიკურ ან ეკონომიკურ კრიზისს გამოიწვევდა.

კიდევ იყო რაღაც საკითხები, რომლებიც მე არ გამიჩერებია, მაგრამ ჩემთვის დაბრალება ადვილი იყო...

მერე უკვე ითქვა, – უნდა შევამოწმოთ, რას ასწავლის ბენდუქიძე იმ უნივერსიტეტში, ეგ ხომ სოფლის მეურნეობის მტერიაო. რატომ ვარ მტერი, არ ვიცი. სოფლის მეურნეობა წამყვანი დარგი ვერ იქნება

**– ამის აღიარება რატომ ნიშნავს მტრობას?**

– ეტყობა, უბრალოდ, არასასიამოვნო ხალხის სიაში ვარ. შეიძლება კიდევ არის მეორე სია ხალხისა, ვინც ასოცირდება ნაციონალებთან და მე ამ სიაშიც ვარ.

მემინისტრებთანაც მიკამათია, მაგრამ მაინც ნაციონალებთან ვარ ასოცირებული.

დღევანდელ პირობებში ამორალურად მიმაჩნია, განვაცხადო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია უფრო დეტალური და დასაბუთებული კრიტიკა წინა ხელისუფლების, ვიდრე ამ მთავრობას. გამიკრიტიკებია კიდეც. ისინი, ვინც ადრე ხელისუფლებაში იყვნენ და ახლა პირი უქციეს და ამბობენ, 9 წელი პირსისხლიანი იყოო, ნაბიჭვრები არიან, ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით. იდიოტი იყავი და ვერ ხვდებოდი, თუ გაიძულეს მინისტრობა ან დეპუტატობა?

დღევანდელმა სიტუაციამ – „ნაციონალური მოძრაობის“ დევნამ – დამარწმუნა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმატება უნდა ვუსურვო. ბევრ შეცდომას ვხედავ, პრობლემებსაც, რომელიც მომავალში გაჩნდება, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია.

ვფიქრობ, „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია, შედგა 2012 წლის არჩევნების შემდეგ. ფანტასტიკური შედეგია, რომ პარტია შენარჩუნდა და მეორე პოზიცია უკავია. ამ ხელისუფლებ-

> **„თუ ჩვენ ვლაპარაკობთ რწმენაზე, ღმერთზე, ანუ იდეალურ იდეაზე, მისი შემოწმება ფიზიკის, ქიმიის ან რაღაც სხვა მეთოდებით შეუძლებელია. ღმერთის იდეის არსებობას არ სჭირდება ფიზიკის რომელიმე კანონი“**

ამ ზეწოლით ნაციონალები გააძლიერა. ნიცშე ამბობდა, რაც არ გვკლავს, გვაძლიერებსო – „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეძლო, გაეძლო და როგორც ჩანს, ნაციონალები პოლიტიკური არენიდან აღარ გაქრებიან.

ეჭვი მაქვს, იმ ადამიანების სიაშიც მთვლიან, ვინც ნაციონალებს ფულს აძლევს...

**– აძლევთ?**

– საპრეზიდენტოზე არ მიმიცია, საპარლამენტოზე გადავურიცხე, რაც კანონით დაშვებულია, ახლაც შეიძლება დავეხმარო... მაგრამ აუცილებლად დავეხმარები. მელიას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მიმაჩნია, რომ მთელ საქართველოში და თბილისშიც ადგილობრივი არჩევნები ნორმალურად უნდა ჩატარდეს.

**– რატომ აღგიქვამენ პოლიტიკურ ფიგურად?**

– პოლიტიკური ფიგურა ვარ, ცხადია. ადამიანი, რომელიც გამოხატავს საკუთარ აზრს და ეს აზრი არ გამოიხატება ხელისუფლების ქებაში, მე არ ვამბობ, რომ ეს მთავრობა მაგარია, რა მაგარ რაღაცებს აკეთებს. ხანდახან სუსტად ვაკრიტიკებ.

**– სულ ეს არის, რატომაც გებრძვიან?**

– კიდევ ერთი მომენტია – დღეს შენარჩუნებულია ორი მკაფიოდ არასახელისუფლებო დიდი ორგანიზაცია – „რუსთავი 2“ და ჩვენი უნივერსიტეტები, აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტები.

რადგან რეალური წინსვლა ქვეყანაში არ ხდება, საჭიროა სანახაობებით ხალხის გაბრუება. ფიქრობენ, ვისი დასჯა გაუხარდება ხალხს? რა თქმა უნდა, ის უნდა იყოს ცნობილი ფიგურა. ვიღაც რაიონის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანაშემწის დასჯა გაუგებარი იქნება. ჩემი დასჯა, ალბათ, ითვლება მოსაწონ ამბად.

**– რატომ გაქვთ ეგეთი იმიჯი, ბატონო კახა?**

– ჩემს წინააღმდეგ ბევრი მუშაობდა, პოლიტიკოსებიც და მედიაც. ბევრი გავლენიანი ადამიანის კერძო ინტერესს შევეხე. მაგალითად, ეკონომიკის მინისტრი სანამ ვიყავი, 5 თვის განმავლობაში ყოველდღე დილის ათიდან საღამოს ექვსამდე სამინისტროსთან მიტინგი იმართებოდა, ძირითადი სლოგანი – „ბენდუქიძე იუდა“. ვინც იქ იდგა, იმათ დღეში ჯერ 5 ლარს უხდიდნენ, მერე – 10 ლარს. ვინც იდგა იმ აქციების უკან, სადღაც 50 000 დაახარჯა ამ მიტინგებს.

ყველა, ვის ინტერესებსაც შევეხე, ცდილობდა ჩემთვის ცუდი იმიჯის შექმნას. მარტო პარლამენტში რამდენიმე ათეული ადამიანი იყო – პოზიციაშიც და ოპოზიციაში, ვინც შეიტანა წვლილი იუდას იმიჯის შექმნაში.

**– რაიმე მაგალითს ხომ არ გვეტყოდით?**

– მახსოვს, როცა ლიცენზირების რეფორმას ვიწყებდით, ყველაზე დიდი წუხილი, ჩემდა გასაკვირად, საქალაქთაშორისო გადაზიდვებზე ლიცენზიების გაუქმებამ გამოიწვია. ეს საკითხი პარლამენტის ყველა კომიტეტმა, მათ შორის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტმაც კი განიხილა. ვერ ვხვდებოდი, რა შუაშია ადამიანთა უფლებებთან თბილისი-ქუთაისის რეისის ლიცენზირება. მაშინ არ ვიცოდი და მერე დავადგინე, რომ პარლამენტის წევრების მნიშვნელოვან ნაწილს – ოპოზიციაშიც და ხელისუფლებაშიც, მათი ოჯახის წევრებს, ჰქონდათ ეს ხაზები. რეგულაცია გულისხმობდა, რომ მათ კონკურენციის პირობებში უნდა ემუშავათ, რაც, რა თქმა უნდა, არ აწყობდათ – ფულს კარგავდნენ. ადამიანის უფლებების საკითხიც გაირკვა – კომიტეტის თავმჯდომარის ელენე თევდორაძის ოჯახიც



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „დღევანდელ პირობებში ამორალურად მიმაჩნია, განვაცხადო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგი ვარ“

ამ ბიზნესში და მის რეგულირებაში იყო ჩართული.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მცირე საკითხი, სხვა უამრავი ადამიანის ინტერესებს შევეხეთ პრივატიზაციით, დერეგულაციით, ბიუროკრატიის შემცირებით...

ასე რომ, ახლა შეიძლება ფიქრობენ, ბენდუქიძეს დავსჯით და ხალხს გაუხარდებაო...

**– ანუ მაინც უკავშირდება ეს თემა სამართლიანობის აღდგენას...**

– ეგრეთწოდებულ სამართლიანობის აღდგენას. ცხადია, ყველა ეს კომპონენტია... მიზანია, ვავნოთ.

**– არ გიფიქრიათ, ელენე თევდორაძესავით გეთქვათ, რომ, მაგალითად, ბოკერია ნამდვილად მონაწილეობდა ციხის ბუნტში, როგორც ეს თევდორაძემ გააკეთა?..**

– უშველის თევდორაძეს ეგ ტყუილი? ამაზრზენია ეს ყველაფერი და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რამხელა გზა გვაქვს გასავლელი, რომ ჩვენი პოლიტიკური კლასი გულისრევას არ იწვევდეს.

**– ახლა საუბარია „ნაცმოძრაობის“ განახლებაზე, რებრენდინგზე. ლიდერშიფში ცვლილებები აუცილებელია?**

– ამის გარეშე შეუძლებელია. ასეც ხდება და მელია ამის მაგალითია. სამი წლის წინათ მას არავინ იცნობდა. მე მთავრობაში 5 წელი ვიყავი და მას არ ვიცნობ. ეს მაგალითია იმისა, რომ ახალგაზრდა ხალხი პარტიაში გზას იკვალავს. ეს გარდაუვალია. გაჩერებული არაფერი არ ვარგა. ლაოძის ნათქვამი აქვს: შეიცვალე და გადარჩები, ვინც არ იცვლება, კვდებაო.

**– რა განსხვავებაა ნაცებსა და ქოცებს შორის?**

– „ნაციონალური მოძრაობა“ არის მემარჯვენე ცენტრისტული პარტია. „ქართული ოცნება“ მემარცხენე ცენტრისტულია. ნაციონალური მოძრაობა არის ანტიოკუპაციური პარტია. პროოკუპაციური არც „ქართული ოცნებაა“, თუ მის ზოგიერთ წევრს არ ჩავთვლით, მაგრამ მას ამ საკითხზე მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს.

„ქართული ოცნების“ წევრებზე, მხარდამჭერებზე, მთავრობაზე, პარლამენტზე რომ ვისაუბროთ, იქ არის სპექტრი, რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთთან მეგობრობა კარგია და ნატო არ გვინდა. მაგალითად, ასეთი პოზიცია აქვთ თოფაძეს, ჯაჭვლიანს და მათნაირებს. უფრო განსხვავებული ფლანგია რესპუბლიკელები და ალასანიას ალიანსი. კლასიკური ოცნებისტის ტესტირება შეიძლება რამდენიმე მარტივი კითხვით: ვინ დაიწყო ომი? პასუხი – საქართველომ და სააკაშვილმა. მეორე კითხვა: ჩვენ რომ სულ კუდი ვუქიცინოთ რუსეთს, შეიცვლება თუ არ ამით რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ? გიპასუხებენ, – შეიცვლება.

მე კი მგონია, რომ რუსეთს აქვს თავისი მკაფიო ინტერესები საქართველოში და შენ რაც არ უნდა კუდი უქიცინო, ის ამ ინტერესებს არ დათმობს. ამის მაგალითია: თავიდან ლაპარაკი იყო, რომ საზღვრის გადმოწევა და მავთულხლართების გავლება ოლიმპიადას უკავშირდება და მერე უკან წაიღებენო, არაფერიც არ წაუღიათ.

ვითომ რუსეთის დაყვავება შეიძლება და მარგველაშვილმა ეს აზრი ყველაზე კარგად გამოხატა. მან თქვა, რომ, თუ ჩვენ რუსეთს უხეშად მოვექცევით, ის კიდევ უფრო გაბოროტდება და ცუდად მოგვექცევაო. ეს არის შეცდომა, მსგავსი იმისა, კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომამდე რომ მიიყვანა. ეს არის დალადიესა და ჩემბერლენის იდეოლოგია, რომ გერმანია გავხადოთ დიალოგის მონაწილე, რაღაცები დავუთმოთ და მორჯულდებაო.

**– რას იტყვით „ქართულ ოცნებაზე“, მისი დაშლა ლოგიკურია?**

– მგონი, ის ყველაზე არასტაბილური წარმონაქმნია მთელ ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში. ის არ არის იდეის გარშემო გაერთიანებული, ეს არის ერთი ადამიანის გარშემო და ერთი ადამიანის მიერ შექმნილი გაერთიანება.

**– ხედავთ „ქართულ ოცნებაში“ ძალას ან ფიგურას, ვინც შეიძლება დამოუკიდებლად ჩამოყალიბდეს?**

– ორი პროცესი იქნება – ჯერ კოალიცია დაიშლება და იქამდე არსებული პარტიები, ასე თუ ისე, დამოუკიდებლობას აღიდგენენ. რაც შეეხება თავად პარტია „ქართულ ოცნებას“, არა მგონია ის გადარჩეს, თუ ივანიშვილმა ფულით არ დააბა.

პირადად მე, არ მესმის, როგორი შეიძლება იყოს კოალიციის პოზიტიური პოლიტიკური ევოლუციის გზა, როგორ უნდა განვითარდეს და ჩამოყალიბდეს ის დამოუკიდებელ, რეალურ ძალად.

**– უკრაინაზე მინდა გკითხოთ. იქ მესამე მსოფლიო ომი იწყება?**

– ცივი მსოფლიო ომი დაწყებულია, ბირთვული მესამე მსოფლიო ომის არ მჯერა...

რა მივიღეთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებით?

რუსეთის ხელისუფლები რბილ პოზიციას არ აფასებს. იქ არავინ იტყვის, ხედავთ, ქართველები რა კარგად იქცევიან, მოდით, ახლა ამათ აფხაზეთი დავუბრუნოთ ან ერთი მეტრით უკან გადავწიოთ ე.წ. საზღვარიო. ასე ხომ არ ხდება? გავიმეორებ, რუსეთს თავისი მკაფიო ინტერესები აქვს. მას უნდა კონტროლი საქართველოზე, მას უნდა ჰქონდეს საშუალება, როცა მოუნდება, დაბლოკოს აზერბაიჯანიდან, შუა აზიიდან ნებისმიერი ექსპორტი საქართველოს გავლით. ასევე რუსეთს იმპერიის გაფართოება-აღდგენა სურს.

რა მივიღეთ იმით, რომ რუსეთთან ურთიერთობა დავალაგეთ? ერთადერთი, რაც მოვიგეთ, ეს ბაზრის გახსნაა – ღვინო, „ბორჯომი“ და „ნაბეღლავი“ რუსეთის ბაზარზე შევიდა და ეს ნამდვილად კარგია, მაგრამ ხანგრძლივად ვერ შენარჩუნდება...

**– ბაზარს დაუმატებენ იმ ფაქტსაც, რომ საქართველოში, უკრაინისგან განსხვავებით, ომი არ მიმდინარეობს, რაც ასევე ამ ხელისუფლების რუსეთისადმი პოზიციით შეიძლება ახსნან...**

– სად გადის ჩვენი დამოუკიდებლობის ზღვარი? ანუ რამდენით უნდა გადმოიწიოს საზღვარმა, რომ შევშფოთდეთ?

დარწმუნებული ვარ, აგვისტოს ომის დროს რომ არაფერი გაგვეკეთებინა, რომ არ გვებრძოლა, რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები სიკვდილის საფრთხის ქვეშ რომ არ დამდგარიყვნენ, დამოუკიდებელი საქართველო აღარ იარსებებდა.

მე კი არ ვამბობ, რომ ჩვენ შევაშინეთ რუსეთი, ჩვენ ის შევაკავეთ. ამ რამდენიმე დღემ შეანელა მათი იერიში და მსოფლიოში ჩამოყალიბდა აზრი, რომ რუსეთი სწორად არ იქცევა. პროცესებში ევროპა და აშშ ჩაერთო... უკრაინაში სხვა ვითარებაა. ომი უკრაინასა და საქართველოს შორის რომ დაწყებულიყო, შეიძლება მოგვეგო კიდეც. უკრაინული ჯარის ნაწილი დემორალიზებულია და სავსეა რუსული აგენტურით. მეუბნებოდნენ უკრაინელი მინისტრები კიევში – უშიშროების სამსახურში მესამედი, ალბათ, რუსეთის აგენტები იყვნენო.

**– არსებობს უკრაინის კრიზისიდან გამოსვლის გზა?**

– ბევრ ქვეყანაში ვარ ნაყოფი, კიდევ უფრო მეტი შემისწავლია, რამდენიმე ქვეყნისთვის მთავრობისათვის რჩევებიც მიმიცია, მაგრამ ეგეთ ცუდ მდგომარეობაში ქვეყანა არ მინახავს. ბეწვის ხიდზე უნდა გაიარონ.

**– საქართველომ?**

– ჩვენც ჩვენი ხიდი გვაქვს, მაგრამ ბეწვის ხიდი არა. ყველამ თავისი გზა უნდა გაიაროს, რომელიც სავსეა პრობლემებით, ტკივილით.

**– რა პრობლემები გვაქვს გადასალახი?**

– მაგალითად, რელიგიური ფანატიზმი. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ესეც უნდა გავიაროთ. ყველა ერმა, რომელიც ვიცით და გვშურს, ეს გზა გაიარა. შვეიცარია შესანიშნავი ქვეყანაა, მაგრამ აქ თითქმის 500 წლის წინათ კალვინი ხალხს ქუჩაში წვავდა. ყოველი მესამე გერმანელია დაღუპული შიდარელიგიურ ბრძოლებში. საფრანგეთში ბართლომეს ღამეს კათოლიკეებმა მუსრი გაავლეს პროტესტანტებს. ინგლისმა რამდენიმე რელიგიური რევოლუცია განიცადა. ჩვენ გვგონია, რომ უმტკივნეულოდ გავივლით ჩვენს გზას? 21-ე საუკუნეა და ასეთი სისხლი არ იქნება, მაგრამ წყნარი და მდოვრე ცხოვრება არ მოგველის.

**– თქვენ რელიგიური ხართ?**

– კი, მაგრამ ეკლესიური არა... ბებიაჩემი ძალიან მორწმუნე იყო. მამაჩემი და დედაჩემი მუშაობდნენ, ჩემი და ჩემზე ბევრად დიდი იყო, ბებია მზრდიდა ძირითადად, ზღაპრებს მიკითხავდა. ბებიაჩემს ფოთის გიმნაზიიდან შენახული საღვთო სჯულის სახელმძღვანელო ჰქონდა . სულ ფურცლებად იყო დაშლილი და მახსოვს, მიკითხავდა ხოლმე. მერე ეს წიგნი ავკინძე. მამაო ჩვენოც მასწავლა. 5-6 წლის ვიყავი.

მეორე მხრივ, კარგი საბუნებისმეტყველო განათლება მაქვს მიღებული, რაც რადიკალურ ეკლესიურობას გამორიცხავს. ზოგადად, რელიგიურია თუ არა ადამიანი, რთული საკითხია, ბევრს ჰგონია, რომ არ არიან, მაგრამ სინამდვილეში არიან, და პირიქით – არიან ურჯულო ქრისტიანები. რელიგია ხომ ადამიანის მორალის წყაროს ეხება. და ამიტომ სრულიად არარელიგიური ადამიანი ცოტაა, ალბათ.

**– არ ყოფილხართ არჩევანის წინაშე? არ გიფიქრიათ, სამყარო ღმერთმა შექმნა თუ მაინც დიდი აფეთქება მოხდა?**

– მაგ კითხვას შინაარსი არ აქვს, თუ ჩვენ ვლაპარაკობთ რწმენაზე, ღმერთზე, ანუ იდეალურ იდეაზე, მისი შემოწმება ფიზიკის, ქიმიის ან რაღაც სხვა მეთოდებით შეუძლებელია. ღმერთის იდეის არსებობას არ სჭირდება ფიზიკის რომელიმე კანონი.

მეცნიერებმა დაამტკიცესო, რომ ღმერთი არსებობსო – ეს სასაცილო ფრაზაა. მეცნიერები ამას ვერც უარყოფენ და ვერც დაამტკიცებენ, არ არსებობს ისეთი ფორმულა, რომელიც ღმერთს გამოიყვანს...

კანტმა თქვა: ორი რამ მაოცებს ცხოვრებაში – ვარსკვლავების ზეცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში. მორალური კანონი რელიგიური გრძნობაა, სხვა რა წყარო აქვს მორალურს?



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სოფო შევარდნაძე - ალექსანდრე ერნსტის თვითმკვლელობის ფაქტი არ დასტურდება



ხათუნა მგალობლიშვილი

**რუსეთის პირველი არხის გენერალური დირექტორის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ალექსანდრე ერნსტმა თვითმკვლელობა სცადა, არ დასტურდება. ამის შესახებ სოფო შევარდნაძე Prime Time News-თან საუბრისას აცხადებს.**

სოფო შევარდნაძის განცხადებით აღნიშნული ინფორმაცია მან მედიის საშუალებით გაიგო და მაშინვე შეეცადა დეტალების გარკვევას. სოფო შევარდნაძე: "როგორც ჩვენ გავიგეთ არ არის სწორი ინფორმაცია, მსგავსი ფაქტი არ დადასტურებულა. მე თბილისში ვარ უკვე ორი დღეა, მედიიდან გავიგე ეს ინფორმაცია და გადავურეკე ჩემს მეგობრებს. ვისაც ვკითხეთ ამ ფაქტის შესახებ ყველამ უარყო და თქვეს, რომ ეს არ არის სიმართლე. ალბათ უფრო ცრუ ინფორმაციაა. არ მიკვირს, რადგან ბაბუაჩემს კლავენ წელიწადში რამდენჯერმე და ამას აქვეყნებენ შემდეგ, ასე რომ, ეს ინფორმაციაც შეიძლება არასწორი იყოს.

**- მაშინ როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა გავრცელებულიყო ასეთი ინფორმაცია?**

- რატომ ვრცელდება ხოლმე ბაბუაჩემის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია, რომ მოკვდა და დაასაფლავეს? არ ვიცი, რატომ ვრცელდება ხოლმე მსგავსი ინფორმაციები.




# „ტოიოტა მოტორ კორპორეიშენი“ იწყებს ბრენდების დაცვის ღონისძიებების განხორციელებას საქართველოში

TOYOTA

სწრაფვა უკეთესისკენ

**„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენი“** საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის აქტიური ღონისძიებების განხორციელებას იწყებს, რაც დაკავშირებულია კონტრაფაქციულ ავტონაწილებზე და აქსესუარებზე **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენის“** კუთვნილი სასაქონლო ნიშნების უკანონო გამოყენებისა და, აგრეთვე, აღნიშნული სასაქონლო ნიშნების სავაჭრო ობიექტებზე აბრის სახით არასანქცირებული განთავსების აღკვეთასთან.

**„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენი“** მიიჩნევს, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა წარმოადგენს ნებისმიერი ცივილიზებული ეკონომიკური სისტემის განუყოფელ ელემენტს. სასაქონლო ნიშნების დაცვის ღონისძიებები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია საქართველოში მომხმარებელთა უხარისხო ავტონაწილებისა და აქსესუარებისგან დაცვისაკენ, სამომხმარებლო ბაზარზე ამჟამად არსებული კონტრაფაქციული საქონლის წილის ჯერ შემცირების, ხოლო უახლოეს მომავალში სამოქალაქო ბრუნვიდან სრულად ამოღების გზით.

**„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენი“** კონტრაფაქციული ავტონაწილებისა და აქსესუარების საქართველოში უკანონო იმპორტთან ეფექტურად ბრძოლის მიზნით, უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მიმართავს შემოსავლების სამსახურს, რათა მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშნები შეტანილ იქნეს შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრში და მათ მიმართ დაიწყოს დაცვის სასაზღვრო ღონისძიებების გატარება. აღნიშნული განხორციელდება **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენის“** წარმომადგენლის, იურიდიული კომპანიის შპს „მიქაძე, გეგეჭკორი, თაქთაქიშვილი“-ს განცხადების საფუძველზე. აღნიშნული ქმედების შედეგად და „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებები, რაც გულისხმობს საქართველოში იმპორტირებისათვის განკუთვნილი ისეთი კონტრაფაქციული ავტონაწილებისა და აქსესუარების შეჩერებას, რომლებზეც უკანონოდ არის დატანილი **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენის“** სასაქონლო ნიშნები და მათი გადაადგილდება საქართველოს საზღვარზე იწვევს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

**„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენმა“** დეტალურად შეისწავლა და გაანალიზა კონტრაფაქციული ავტონაწილებისა და აქსესუარების საქართველოში იმპორტირებასთან დაკავშირებული გარემოებები. აღნიშნულზე დაყრდნობით **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენმა“** მიიღო გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, წინამდებარე პრეს-რელიზის საჯარო გავრცელების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, კონტრაფაქციული საქონლის რეალიზაციით დაკავებული მეწარმეების მაქსიმალურად დიდი რაოდენობის წერილობითი გაფრთხილების შესახებ, რათა ამ უკანასკნელთ მიეცეთ სამოქალაქო ბრუნვიდან კონტრაფაქციული საქონლის ამოღებისათვის საჭირო გონივრული ვადა და კონტრაფაქციული საქონლის იმპორტირების მიზნით აღარ შეუკვეთონ მათ უცხოელ მომწოდებლებს ასეთი საქონელი. ანალოგიური წერილობითი გაფრთხილება, აგრეთვე, დაეგზავნება იმ მეწარმეებს, რომლებიც უნებართვოდ იყენებენ **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენის“** სასაქონლო ნიშნებს სავაჭრო ობიექტების შესასვლელზე და ვიტრინებზე აბრების დანიშნულებით და მიეცემათ გონივრული ვადა ამ დარღვევის აღმოსაფხვრელად.

იმავდროულად, იმ მეწარმეებს, რომლებიც ახდენენ ან მოახდენენ **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენის“** ადგილობრივი ოფიციალური დისტრიბუტორებისაგან შეძენილი ნამდვილი (ორიგინალური) საქონელის რეალიზაციას, **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენი“** უფლებას რთავს სავაჭრო ობიექტებზე, ინტერნეტ გვერდებზე, საქმიან ბარათებზე, სარეკლამო ბროშურებში, საგაზეთო და სხვა სახის რეკლამებში გამოიყენონ სიტყვიერი სასაქონლო ნიშნები TOYOTA და LEXUS, აგრეთვე, მათი ქართული ვერსიები (ტოიოტა, ლექსუსი). ამასთან, აღნიშნული სასაქონლო ნიშნების გამოყენების წესის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია თანდართულ გზამკვლევში, რომლის გაცნობაც სასარგებლო იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის.

**„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენი“** მიმართავს მისი ავტონაწილების და აქსესუარების ერთგულ მომხმარებლებს და სურს მათი ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ კონტრაფაქციულ საქონელთან ბრძოლა და სამოქალაქო ბრუნვიდან ასეთი საქონელის სრულად ამოღება მოითხოვს გარკვეულ დროს, რის გამოც **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენი“** არ გამორიცხავს საბოლოო შედეგის მიღწევამდე ბაზარზე კონტრაფაქციული საქონლის მოხვედრის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო და მომხმარებელთა კანონიერი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენი“** თხოვს მომხმარებელს, რომ ავტონაწილებისა და აქსესუარების შესაძენად მიმართოს შპს **„ტოიოტა ცენტრი თბილისს“** (მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კილომეტრი, ქ. თბილისი. ტელ.: +99532 252 20 22) და შპს **„ტოიოტა ცენტრი თეგეტას“** (მისამართი: უნივერსიტეტის ქ. 6, ქ. თბილისი. ტელ.: + 99532 229 20 00), რომლებიც წარმოადგენენ **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენის“** ოფიციალურ დისტრიბუტორებს საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან ოფიციალური დისტრიბუტორებისაგან საქონლის შეძენისას მომხმარებელი მიიღებს ასი პროცენტით ნამდვილ (ორიგინალურ) საქონელს, გარანტიას შეძენილ პროდუქციაზე და მომსახურების მაღალ ხარისხს.

**შეგახსენებთ, „ტოიოტა მოტორ კორპორეიშენი“** არის ისეთი საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების მფლობელი, როგორებიც არის **TOYOTA, LEXUS, LAND CRUISER, COROLLA, CAMRY, HILUX, RAV4** და სხვა. **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენის“** ეს და სხვა სასაქონლო ნიშნები კანონით დადგენილი წესით დაცულია საქართველოში, მათი საქპატენტში რეგისტრაციის გზით და მათზე განსაკუთრებული უფლებები ეკუთვნის **„ტოიოტა მოტორ კორპორეიშენს“**.

**http://www.toyota.ge/brand_protection/index.tmex**

Ⓐ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## თენგიზ კიტოვანი: „ჩვენ აუცილებლად შევალთ პარლამენტში, თუ არა და პარლამენტს ალყას შემოვარტყამთ და არავის არ შევუშვებთ შიგნით“



# „ვისაც ქართული სისხლი უდუღს და კავკასიური სული აქვს, ჩვენ გვერდით დადგება“

**EXCLUSIVE**

ქეთი ხატიაშვილი

**სამღვდელოება ანათემას გადასცემს, – ასე გამოაცხადეს ერთეულმა აგრესიულად განწყობილმა საეკლესიო პირებმა და კიტოვანი შემდეგ 90-იანი წლების ნგრევის გამოცდილებას გამოიყენებს. თბილისის პარლამენტი ერთხელ ხომ დაანგრია, ესროლა, რაც კი ხელში მოხვდა. მახსოვს, ჟვანია იხსენებდა, კიტოვანი ატომს ეძებდა, საქართველოში აფხაზეთის ასაფეთქებლადო. ახლა ქუთაისის პარლამენტის „დასანგრევად“ მიდის. „ატომს“, ალბათ, რუსეთიდან ატანენ.**

**კიტოვანს, ეტყობა, დავალებული აქვს, ანტიდისკრიმინაციული კანონი აქ ვითარების ასაფეთქებლად გამოიყენოს:**

– ამ კანონის მიღება გამოიწვევს უდიდეს ომს, პირდაპირ ვამბობ – ეს იქნება ომი, პარლამენტის შემოღებული კანონით. მივმართავ უსუფაშვილსა და მის მეუღლეს, რომლებიც ასე მონდომებული არიან – არ დაუშვათ ამ კანონის მიღება! კანონპროექტი ქართველი ერის შეურაცხყოფაა! კავკასიაში ასეთი რამ არ მომხდარა და არც მოხდება. ქართველი კაცის შემარცხვენელი კანონის მიღებას არ დავუშვებ! პირველი ჩვენ დავიწყებთ ომს ამ კანონის წინააღმდეგ, პარლამენტში შევალთ, ცხვირ-პირს დავუმტვრევთ და ისე გამოვყრით ყველას, არც არაფრის მომერიდება!

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას თენგიზ კიტოვანმა განაცხადა, რომ ამ ომში ის მარტო არ იქნება, რომ მას მხარს დაუჭერს ეკლესია და ქართველი ერი. სცენარი კი იგივეა, რაც 90-იან წლებში იყო: „ჩვენ აუცილებლად შევალთ პარლამენტში, თუ არა და პარლამენტს ალყას შემოვარტყამთ და არავის არ შევუშვებთ შიგნით... დაინიშნება ვადამდელი არჩევნები. ეს პარლამენტი უნდა დაიშალოს, ის საქართველოს ადათ-წესებს არ ემსახურება“.

თენგიზ კიტოვანის სახელი მხოლოდ სისხლს, უბედურებას, ომსა და კანონიერ პრეზიდენტთან ბრძოლას უკავშირდება. ზვიად გამსახურდიას დამხობისთვის კიტოვანი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც რუსეთისგან ფულიც მიიღო და შეიარაღებაც. როგორც ჩანს, რუსეთი მას „შავი დღისთვის“ ინახავდა.

„შავი დღე“ კი ახლა დადგა. საქართველომ შეიძლება კიდევ ერთი მყარი ნაბიჯი გადადგას ევროპისკენ. პუტინს კი ევრაზიული კავშირის აღდგენა უნდა.

**90-იან წლებში კიტოვანს გვარდია ედგა გვერდით. ამბობენ, რომ მათ თენგიზმა ჩამოუარა და მხარდაჭერა სთხოვა. როგორც თავად აცხადებს, ამ ომში მხარს ეკლესიაც დაუჭერს. „პრაიმტაიმთან“ საუბარში კიტოვანმა განმარტა:**

– ყველა, ვისაც შვილი ჰყავს, შვილიშვილი ჰყავს და უყვარს ქართველი ერი, ამ კანონს მხარს არ დაუჭერს. არც შეიძლება საქართველოში მაგ კანონმა გაიხაროს... მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენ გვერდით დგას. გახსოვთ, რუსთაველზე რომ გაიარეს და აღლუმი მოაწყვეს, სამღვდელოება როგორ დაესია მაგათ და ცემა-ტყეპა აუტეხა... შევალთ პარლამენტში, შევარდნა სხვა არის.

პარლამენტი უნდა დაიშალოს, პრეზიდენტთან და ხელისუფლებასთან რა ხელი მაქვს? პრეზიდენტთან არაფერი მაქვს სადავო. არც აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ხელისუფლება ევროპამ აიძულა, ეს კანონი პარლამენტში შეეტანა, ამიტომაც ის ჩვენს წინააღმდეგ არანაირ ქმედებას არ განახორციელებს. მე მხოლოდ პარლამენტთან მაქვს საქმე.

ვისაც ქართული სისხლი უდუღს და კავკასიური სული აქვს, ჩვენ გვერდით დადგება. – ასეთია კიტოვანის მისია საქართველოში. ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოს, მანამდე პარლამენტში უნდა შევარდეს ან ალყა შემოარტყას...

თენგიზ კიტოვანი რესპუბლიკელებს პირადად დაემუქრა. განსაკუთრებით ხიდაშელსა და უსუფაშვილს. არადა, თავდაცვის ყოფილი მინისტრის შვილი ნათია რამდენიმე წლის განმავლობაში სწორედ ამ პარტიის წევრი იყო. „რესპუბლიკურ პარტიაში“ გვითხრეს, რომ ნათიამ პარტია საკუთარი სურვილით 2010 წელს დატოვა. 2008-2009 წლებში, მაშინ როცა ოპოზიცია ხელისუფლებას პერმანენტულად გადაყენებით ემუქრებოდა, „რესპუბლიკურ პარტიაში“ ნათია კიტოვანი ირიცხებოდა.

თენგიზ კიტოვანი ამბობს, რომ მისმა შვილმა სწორი არჩევანი გააკეთა, როცა იქიდან წამოვიდა. და რომ რესპუბლიკელები არასწორ გზას დაადგნენ.

> **„ქართველი კაცის შემარცხვენელი კანონის მიღებას არ დავუშვებ! პირველი ჩვენ დავიწყებთ ომს ამ კანონის წინააღმდეგ, პარლამენტში შევალთ, ცხვირ-პირს დავუმტვრევთ და ისე გამოვყრით ყველას, არც არაფრის მომერიდება!“**



> **„პარლამენტი უნდა დაიშალოს, პრეზიდენტთან და ხელისუფლებასთან რა ხელი მაქვს? პრეზიდენტთან არაფერი მაქვს სადავო“**



კიტოვანმა „სამოქალაქო ანტიტერორისტული ორგანიზაცია“ დააარსა. მიზანში პარლამენტი ამოიღო. „აფეთქებას“ უკვე მალე აპირებს.

მანამდე კი ის ძველ გვარდიას უკავშირდება და, ნინო ბურჯანაძის მომხრეებთან ერთად, მოძრაობს. რამდენიმე დღის წინ ის დვანში ზაურ ლაზარაშვილის, მეტსახელად იაპონკას, ნათესავების სანახავად ჩავიდა. „ფრონტნიუსის“ განმარტებით, იაპონკა ზვიად გამსახურდიას არაოფიციალური შვილია, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ იარაღის უკანონო ტარებისა და ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ბრალდებით 4 წლით გაასამართლა.

„ფრონტნიუსის“ ჟურნალისტი პირადად ესაუბრა თენგიზ კიტოვანს, რომელმაც პირველად კატეგორიულად უარყო დვანში ჩასვლის ფაქტი, თუმცა მოგვიანებით დაადასტურა, რომ დვანშიც იყო და იაპონკასაც პირადად იცნობს.

ასე რომ, კიტოვანი ემზადება და უკვე კომიკური ხდება ის თავისი განცხადებებითა და მუქარებით. რატომ ჰგონია, რომ ახლა ხელისუფლება სუსტია, რთული სათქმელია. ამბობს, რომ სააკაშვილი საქართველოში შემოსვლის უფლებას არ აძლევდა. ელენე თევდორაძის მადლობელია, დღემდე ახსოვს, როგორ გულმოდგინეთ იბრძოდა მისი ამნისტირებისთვის.

ბევრი რამ ახსოვს, ოღონდ თავისებურად. ამბობს, რომ სამოქალაქო ომში მას შემდეგ ჩაერთო, რაც ზვიად გამსახურდიამ იარაღი აიღო და ხალხს ცეცხლი გაუხსნა. ასეთ ისტორიას ბევრს ყვება.

რას იზამ, ზოგს არც რეალობის განცდა აქვს და არც სწორი შეფასების უნარი. და საერთოდაც, არ ღირს ამ ადამიანზე წერა და მისი მოსმენა, მაგრამ მაინც, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რამდენი ადამიანი შეიწირა კიტოვანის რუსულმა მისიამ საქართველოში 90-იან წლებში. კიტოვანს ტყუილად ჰგონია, რომ ახალი ხელისუფლება სუსტია და ის შეძლებს რაიმეს არევას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სად გააგრძელებს მოღვაწეობას ირაკლი შიხიაშვილი



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ვინ გამოაკლდება კიდევ „ქართულ ოცნებას“? ეს არის კითხვა, რომელიც სხვადასხვა პარტიებიდან „დაპორტირებულებს“ ყველაზე მეტად აწუხებთ. საარჩევნო სიას მინუს ირაკლი შიხიაშვილი – დადასტურებული ამბავია. მედია აღნიშნულ ინფორმაციას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ ვარაუდობდა, მაგრამ მაშინ ამ დეტალზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა, გულიკო ზუმბაძის გარდა. ის ერთადერთი იყო, ვინც პირველივე დღიდან უპირისპირდებოდა შიხიაშვილს. რესპუბლიკელების წევრი ვარაუდობდა, რომ შიხიაშვილის სიაში დარჩენის შემთხვევაში პრობლემა გაცილებით სერიოზული გახდებოდა.**



## შიხიაშვილი გუნდმა ბოლომდე არ გაწირა

**გულიკო ზუმბაძე:**

– სამწუხაროდ, შეიძლება შიხიაშვილის პრობლემა მთლიანად კოალიციის პრობლემად იქცეს. შიხიაშვილს დღეს არ აქვს ის რეიტინგი, ის გავლენა, რომელიც კოალიციას ადგილობრივ არჩევნებზე წაადგება. ესეც გასათვალისწინებელია. ბუნებრივია, ელემენტარული ფსიქოლოგიური მდგომარეობაა იმ ადამიანისთვის, რომელმაც ერთი პოლიტიკური ძალა დატოვა და მეორეში გადავიდა. ის ცდილობს, დაამტკიცოს საკუთარი ერთგულებაც, უნარიც, შესაძლებლობებიც. მით უფრო, თუ ეს ადამიანი გარკვეულ ბერკეტებს ფლობს საკუთარ ხელში. ყოველ შემთხვევაში ჩემი გამოცდილებით ძალიან კარგად ჩანს, რომ შიხიაშვილი იქმნის ისეთ გარემოებებს, რომ მისი უნარები, ძლიერი, შეუპოვარი, მიმწოლი ლიდერის პოზიციები გამოიკვეთოს. ხანდახან მგონია, რომ შიხიაშვილი ასეთ ველს შეგნებულად ქმნის.

კარგად ჩანს, რომ შიხიაშვილის ყველა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. თუმცა მანამდე პოლიტიკაში აქტიურად დარჩენის იმედს თავადაც არ კარგავდა. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ის აცხადებდა, რომ არჩევნებში მონაწილეობას „ოცნების“ სიით იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუ მისი რეიტინგი მაღალი იქნებოდა და გუნდში ამის სურვილი ექნებოდათ. გუნდის სურვილის გამჟღავნების შემდეგ მისი რეიტინგის გაზომვას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ყოფილი ნაციონალები წამგებიან ფიგურებად დასახელდნენ.

უკვე დღეს, როდესაც მისი მომავალი პოლიტიკის მიღმა რჩება, იმედგაცრუებას არ იმჩნევს და ნაძალადევი სიცილით ცდილობს, ყველა დაარწმუნოს, რომ მის სამომავლო გეგმებში ისედაც არ შედიოდა „ოცნებაში“ დარჩენა, ვინ თქვა, რომ ეს ჩემი სურვილი იყოო... პრინციპში, შიხიაშვილი გუნდმა ბოლომდე არ გაწირა. ერთ-ერთი ვერსიით, ის თბილისის განვითარების ფონდში გადაჰყავთ. ფონდს გაცილებით დიდი ბიუჯეტი აქვს, ვიდრე დედაქალაქს. შესაბამისად, შიხიაშვილიც არ უნდა იყოს უკმაყოფილო, თუმცა კომენტარს ის მაინც გაურბის, ისევე როგორც დანარჩენი „დაპორტირებულები“. ჯაბა სამუშია, ზაზა გაბუნია, კოკი იონათამიშვილი – ყველა მათგანი თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა. შეიძლება ითქვას, რეალობას თვალი მხოლოდ კოკი იონათამიშვილმა გაუსწორა. ის საკუთარ გეგმებზე უკვე ფიქრობს და აცხადებს, რომ წავა იქ, საიდანაც პოლიტიკაში მოვიდა.

**კოკი იონათამიშვილი, საკრებულოს წევრი:**

– მე არასოდეს გამიცხადებია, რომ რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში უნდა შევსულიყავი. აბსოლუტურად გასაგებია, რომ პოლიტიკურ გუნდს აქვს თავისი ხედვა, თუ ვინ უნდა იყოს მის საარჩევნო სიაში. პირადად მე არ ვთვლიდი, რომ ნაციონალებიდან გამოსვლის შემდეგ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი ან მხარდამჭერი უნდა გავმხდარიყავი. ძალიან ბევრ ჩემს კოლეგას აქვს ანალოგიური დამოკიდებულება. ასევე არ გამიგია, შიხიაშვილს ეთქვას, რომ ის „ოცნებაში“ დარჩებოდა...

**– თუმცა მან ადრე, ჩვენთან ინტერვიუში ამის სურვილი გამოთქვა...**

– ვერ გეტყვით ზუსტ პასუხს. ვფიქრობ, ადეკვატური გამოხატულება იქნება პოლიტიკური პარტიებიდანაც და პოლიტიკოსებიდანაც, რომ ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღონ.

**– სად გააგრძელებთ მოღვაწეობას?**

– პირადად მე არასამთავრობო სექტორში ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას. რაც შეეხება სხვებს, კონკრეტული გეგმები არ ვიცი, თუმცა რამდენადაც ვიცი, ბევრი კოლეგა იგივენაირად ფიქრობს.

**– არასამთავრობო სექტორში გადასვლას?**

– დიახ.

**– გამოდის, რეალური იყო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც კალაძე კატეგორიულად მოითხოვდა შიხიაშვილის სიიდან ამოღებას?**

– მე არ მაქვს ინფორმაცია დაპირისპირების შესახებ. უბრალოდ, ახლა არის ისეთი გარემო, რომ მედიასაშუალებებისთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის ეს საკითხი ინტერესის თემად იქცა.

შიხიაშვილის სიიდან ამოღებას, „ყოფილი ნაციონალის“ სტატუსის გარდა, ბევრი სხვა მიზეზიც ჰქონდა. ის იყო საკრებულოს თავმჯდომარე, რომელიც გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებდა. ურთიერთობის პრობლემა კოლეგებთან მაშინ გამჟღავნდა, როდესაც საკრებულოს მიერ გაფორმებული მემორანდუმების დეტალები გაირკვა. საკრებულოს წევრის, გულიკო ზუმბაძის განცხადებით, „ხრუშოვკების“ პროექტთან და არაბ ინვესტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ კითხვები არათუ ამომრჩევლებს, არამედ საკრებულოს დანარჩენ წევრებსაც კი აქვთ.

**გულიკო ზუმბაძე:**

– შიხიაშვილისა და რამდენიმე დეპუტატის მიმართ საზოგადოებას განსაკუთრებული მგრძნობელობა აღმოაჩნდა, შესაძლებელია, ტაქტის, შესაძლებელია იმ შეცდომების გამო, რომელსაც ის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე სჩადიოდა. ყოველთვის ვამბობდი, რომ შიხიაშვილი ამ თანამდებობისთვის შეუფერებელი იყო და ეს სხვადასხვა პროცესმაც დაადასტურა, რამაც კოალიცია, ზოგადად, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, მის მიმართ საზოგადოებას ბევრი კითხვა ჰქონდა.

აშენდება თუ არა „ხრუშჩოვკების“ ნაცვლად ახალი საცხოვრებელი სახლები, უცნობია. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, არაბ ინვესტორებთან გაფორმებული მემორანდუმი მხოლოდ სურვილის დეკლარირება იყო. ირაკლი შიხიაშვილის თქმით, სამუშაოები მხოლოდ ქალაქის განაშენიანების კონცეფციის შემუშავების შემდეგ დაიწყება.

არაბ ინვესტორებთან მემორანდუმი 10 მარტს გააფორმა. როგორც ითქვა, 600 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებისთვის ბიზნესმენი სახელმწიფო გარანტიას ითხოვდა. „ექუით ინთერნეიშენალი“, რომელთანაც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მემორანდუმი გააფორმა, ინტერნეტში არ იძებნება და არ არსებობს ინფორმაცია ამ კომპანიის მიერ შესრულებული პროექტების შესახებ. მიუხედავად ამისა, შიხიაშვილი ამტკიცებს, რომ მსგავსი მემორანდუმები კიდევ 6 ქვეყანასთან გააფორმა. არაბულ მხარესთან დადებული შეთანხმება კი ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც საკრებულოს ვებგვერდზე კონკრეტულ პროექტებს ეხება. ორი თვის წინ სალემ უმაიდ საიფთან შეხვედრის შემდეგ ირაკლი შიხიაშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ სამუშაოები ზაფხულში დაიწყებოდა. არაბ ინვესტორთან საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაფორმებულ მემორანდუმთან დაკავშირებით კითხვები აქვთ ექსპერტებსაც. მათი განცხადებით, შეთანხმება თაღლითური სქემის ნიშნებს შეიცავს. ყველა ამ კითხვაზე და ეჭვზე შიხიაშვილს მარტივი პასუხი აქვს: ყველა ჩემი კოლეგის კაბინეტი 20 ნაბიჯით არის დაშორებული ჩემი კაბინეტიდან. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც მე საკრებულოს თავმჯდომარე ვარ, დაახლოებით 7 ათასი მოქალაქე მივიღე და ვესაუბრე, ურთიერთობის პრობლემა არც ჩემს კოლეგებს არ უნდა ჰქონოდათო...









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „პრაიმტაიმის“ სტატიას გატაცებაში მხილებული ტოგო კარიაული გამოეხმაურა



კახა ოქრიაშვილი



დიმიტრი ბერუაშვილი

**„დღეს მისი აქტიურობა გამოწვეულია იმით, რომ კახა ოქრიაშვილი და ტოგო კარიაული ახლო მეგობრები არიან და მათ ნათელ-მირონი აკავშირებთ. ვიღაც დაინტერესებულია, რომ კახა ოქრიაშვილისკენ მიმართოს ისრები“**

# კახა ოქრიაშვილი კი კვლავ დუმილს არჩევს

მირიან ბოქოლიშვილი

**„პრაიმტაიმი“ წინა ნომერში წერდა 22 წლის წინათ დმანისელი დიმიტრი ბერუაშვილის გატაცების შესახებ, რაშიც ბერუაშვილების ოჯახი დეპუტატ კახა ოქრიაშვილს ადანაშაულებს. ამ საქმემ უკვე სამი ხელისუფლება გამოიცვალა, თუმცა დღემდე პასუხისგებაში არავინ მიუციათ. თუ არ ჩავთვლით, კახა ოქრიაშვილის უახლოეს მეგობარს, ტოგო კარიაულს, რომელიც წლების წინათ რამდენიმე დღით დააკავეს, თუმცა მტკიცებულებების არარსებობის გამო, მალევე გაათავისუფლეს. კარიაულს დანაშაული არ დაუმტკიცდა. დიმიტრი ბერუაშვილის მამა, ვლადიმერ ბერუაშვილი კი შვილის გატაცებაში სწორედ ტოგო კარიაულს ადებს ხელს, კახა ოქრიაშვილს კი „ნაკოლის“ მიმცემად ასახელებს. ამ საქმეზე კანონით დადგენილი 25-წლიანი ვადა მალე იწურება, ამიტომაც ბერუაშვილები ახალი ხელისუფლებისგან დამნაშავეების დასჯას მოითხოვენ.**

თავად დეპუტატი გასულ კვირას „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მცირე კომენტარით შემოიფარგლა და ბერუაშვილის გატაცებასთან ყოველგვარი კავშირი უარყო. ის ვრცელ ინტერვიუზე არც ამჯერად დაგვთანხმდა, თუმცა სტატიას გამოეხმაურა ტოგო კარიაული, რომელიც ბერუაშვილების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს. „პრაიმტაიმში“ გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ მან ადვოკატი დაიქირავა და რეპუტაციის შელახვის საფუძვლით სარჩელის მომზადება გადაწყვიტა.

**ტოგო კარიაული:**

– რაც ილაპარაკეს, სისულელეა. თვითონ ეგ კაცია დასასჯელი, ფეხებითაა ჩამოსაკიდი. ამდენი ხანი გავიდა და დღესაც არ მეშვება. მაშინ არ ვიკადრე და არ ვიჩივლე. რაკი არ ჩერდება, იძულებული ვარ, სხვა გზებს მივმართო. მაგის გამო დაჭერილი ვიყავი, მთელი ცხოვრება, სამსახურებრივი კარიერა გამიფუჭა. დროა, ამის გამო პასუხი მოეთხოვოს.

**– ბერუაშვილები ამბობენ, რომ გატაცებულმა ამოგიცნოთ კიდეც...**

– საიდან მოელანდა, აზრზე არ ვარ. მე პირადად დმანისთან მხოლოდ ის მაკავშირებს, რომ იქ ცხოვრობს ჩემი მეგობარი კახა ოქრიაშვილი. ის ჩემი მეჯვარე და ბავშვის ნათლიაა. რატომ დამადო ხელი მე, სრულიად გაუგებარია. მაშინ რომ დამაკავეს, გამოძიებამაც ვერაფერი მონახა, დანაშაულში მონაწილეობის არარსებობის გამო გამათავისუფლეს.

**– და როგორ ფიქრობთ, რა ინტერესი აქვს ბერუაშვილს, თუკი მართლა უდანაშაულო ხართ?**

– მას ჰქონდა ფინანსური დაინტერესება. გამომძიებლებს ეუბნებოდა, ფული ამომაღებინეთ და ნახევარს თქვენ მოგცემთო. მე საერთოდ არ მაინტერესებს ეგ ოჯახი. ერთი რამ ვიცი – მთელი ქალაქი მიცნობს, ერთი ნემსი არ მომიპარავს ცხოვრებაში, არათუ ადამიანის გატაცებაში ვმონაწილეობდი.

**– ადვოკატის აყვანა რატომ გადაწყვიტეთ?**

– უნდა ვუპასუხო, თორემ ეს ადამიანი არ ჩერდება. თქვენი სტატიის შემდეგ გადავწყვიტე, რომ სასამართლოს გზით მოვთხოვო პასუხი. არც კი ვიცნობ ამ ადამიანს, გაგონილიც კი არ მქონია მისი არსებობა მანამდე, რაც გავიგე, რომ მე მადებენ ხელს, ანუ რომ დამაკავეს, მერე გავიგე, ვინ იყო.

ტოგო კარიაულის ადვოკატი ზურაბ თოდუა კი ბერუაშვილების ოჯახის გააქტიურებას კახა ოქრიაშვილის მიმართ პოლიტიკურ ზეწოლას უკავშირებს. ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ ამ საქმის უკან გარკვეული პოლიტიკური ძალები იდგნენ.



ზურაბ თოდუა

**ზურაბ თოდუა, ადვოკატი:**

– მიმაჩნია, რომ 2014 წელს ამ პიროვნების გააქტიურება პოლიტიკური ძალების მიერ მართული პროცესია. გამორიცხულია, რომ ამ ხნის განმავლობაში, როდესაც სამი ხელისუფლება შეიცვალა, არც ერთ ეტაპზე არ დამტკიცებულა კარიაულის დანაშაული, თუმცა ეს ბერუაშვილი მაინც ცდილობს, ჩირქი მოსცხოს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს და ამით დაარტყას დეპუტატ კახა ოქრიაშვილს. დღეს მისი აქტიურობა გამოწვეულია იმით, რომ კახა ოქრიაშვილი და ტოგო კარიაული ახლო მეგობრები არიან და მათ ნათელ-მირონი აკავშირებთ. ვიღაც დაინტერესებულია, რომ კახა ოქრიაშვილისკენ ისრები მიმართოს და ამისთვის იყენებენ მის მეგობარს, რომელიც სრულიად უდანაშაულოა ამ საქმეში. კახა ოქრიაშვილს დმანისის რაიონში ამჟამადაც საკმაოდ სერიოზული ელექტორატი ჰყავს და მის წინააღმდეგ წინასაარჩევნოდ ასეთი გააქტიურება ეჭვს ბადებს, რომ ამ ყველაფრის უკან პოლიტიკური დაკვეთა დგას.

**– გინდათ თქვათ, რომ თავის დროზეც, ბერუაშვილი სხვა მიზნით მოქმედებდა, მაგალითად, 1995 წელს, როდესაც ტოგო კარიაულს დაადო ხელი და სწორედ ის ამოიცნო გამტაცებლებს შორის?**

– თქვენ როგორ ფიქრობთ, ბერუაშვილს კარიაული მართლა რომ ამოეცნო, გატაცებიდან 3-4 წლის შემდეგ განაცხადებდა ამის შესახებ პოლიციაში? რატომ არ მიმართა მან მაშინვე სამართალდამცველებს? 1995 წლის გაზაფხულზე დაასახელა მან პირველად კარიაული. ალოგიკურია დღეს, 25 წლის შემდეგ, მისი განცხადებები.

– და აბა, თქვენ რა ვერსია გაქვთ? ვინ გაიტაცა ეს ადამიანი?

– არ გამოვრიცხავ, რომ მათ გატაცების იმიტაცია გაეთამაშებინათ. ეს ის პერიოდია, როდესაც საკმაოდ ხშირად იტაცებდნენ ადამიანებს. მე მაქვს სტატისტიკა, რომ მხოლოდ დმანისის რაიონიდან 1991-92 წლებში 31 ადამიანია გატაცებული. ძირითადად აზერბაიჯანული წარმოშობის ადამიანებს იტაცებდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც მაშინდელი ნომენკლატურა, რომელიც შეძლებულ ფენას წარმოადგენდა, გატაცების იმიტაციას ახდენდა.

**– რა მიზნით?**

– ეს ხდებოდა იმიტომ, რომ რეალურ გამტაცებლებს ე.წ. „შავი სიიდან“ ამოეგდოთ. ასეთი ტერმინიც კი იყო იმხანად – „უკვე გაპარსული“. ჰოდა, იქმნიდნენ ისეთ იმიჯს, რომ თითქოს უკვე „გაპარსული“ იყო და მისგან წასაღებიც აღარაფერი დარჩა. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ეს წინასწარ გათამაშებული სცენარი იყო. ამ საქმეში რამე ისეთი რომ ყოფილიყო, როგორ ფიქრობთ, ვინ გაათავისუფლებდა კარიაულს? საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელი პირველი პირები იძიებდნენ. უშუალოდ უძღვებოდა გამოძიებას ცნობილი დავით კეკუა, რომელმაც მოგვიანებით თავი მოიკლა, ასევე, ნუგზარ საჯაია, რომელმაც ასევე თავი მოიკლა. ამ დონეზე მიდიოდა ძიება და კარიაულს ვერ მოუძებნიდნენ რამეს, ნამდვილად დამნაშავე რომ ყოფილიყო? გამოძიებას არ ჰქონდა არანაირი მტკიცებულება კარიაულის, მით უმეტეს ოქრიაშვილის წინააღმდეგ და შეწყდა საქმე.

**– თქვენი მტკიცების მიუხედავად, ბერუაშვილებმა კიდევ ერთხელ მიმართეს საგამოძიებო ორგანოს... გამორიცხავთ, რომ ამჯერად უკვე რეალურად დადგეს ტოგო კარიაულის პასუხისმგებლობის საკითხი?**

– მე არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება. ასეთი მტკიცებულება კი მაშინ ბუნებაში არ არსებობდა და შესაბამისად, ვერც ახლა გაჩნდება. ჩვენ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის მოტივით ძალიან მალე შევიტანთ სარჩელს ბერუაშვილის წინააღმდეგ, რამეთუ მან წინასწარი შეცნობით დაარღვია კარიაულის უდანაშაულობის პრეზუმფცია. მას მოუწევს სამოქალაქო წესით პასუხის გაცემა.

სარჩელი უკვე შეტანილი აქვს დიმიტრი ბერუაშვილის მამას, ვლადიმერ ბერუაშვილს, ოღონდ არა სასამართლოში, არამედ პროკურატურაში. გთავაზობთ ამონარიდს მისი ინტერვიუდან:

– ჩემი შვილები ცხოვრობდნენ ტაბიძის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში, ვაჟა ოქრიაშვილი, კახას ძმა მეგობრობდა ჩემს ბიჭთან, ხშირად მოდიოდა ჩვენთან სახლში, გიტარაზე უკრავდნენ, „ნაკოლი“ სწორედ ოქრიაშვილებმა მისცეს კარიაულს. ის კარიაული მე საერთოდ არ მიცნობდა, არც ის იცოდა, რა თანამდებობა მეკავა, ოქრიაშვილებმა უთხრეს, ალმასკომის თავმჯდომარეა, ბევრი ფული აქვს, კარგი სამეგობრო ჰყავს და მოდი, დავაყაჩაღოთო. ფული პირადად მე გადავეცი კარიაულს დღის ოთხ საათზე და სწორედ მაშინ ვნახე პირველად ტოგო კარიაული.

**– საჩივარი არ დაგიწერიათ თავიდანვე, ან გატაცების მომენტში არ მიგიმართავთ დასახმარებლად სამართალდამცავებისთვის?**

– არა, რადგან მირეკავდნენ და მემუქრებოდნენ, გოგოსაც მოგიკლავთ და ბიჭსაცო. ამიტომ თავი შევიკავე, მეშინოდა, უბედურება არ მომხდარიყო.

**– რა თანხა გადაეცით?**

– 300 ათასი რუბლი და 200 ათასი რუბლის ღირებულების ოქრო. ახლაც ჩამოწერილი მაქვს, რამდენი ბეჭედი და „ცეპი“ მივუტანე. მაშინ კარიაულს ვუთხარი, მთა მთას არ შეხვდება, მაგრამ კაცი კაცს აუცილებლად გადაეყრება სადმე-მეთქი. უკვე შემდეგ, როდესაც საქმის ძიების დროს ამოცნობაზე დაგვიბარეს მე და ჩემი ბიჭი, მაშინ გავახსენე ჩემი სიტყვები. ჩუმად ჩაილაპარაკა, მახსოვსო...

**ცნობისთვის:** დიმიტრი ბერუაშვილი 1992 წლის 29 მარტს თბილისში, ტაბიძის ქუჩიდან გაიტაცეს. გამტაცებლებმა ის გამოსასყიდის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

**„კახა ოქრიაშვილს დმანისის რაიონში ამჟამადაც საკმაოდ სერიოზული ელექტორატი ჰყავს და მის წინააღმდეგ წინასაარჩევნოდ ასეთი გააქტიურება ეჭვს ბადებს, რომ ამ ყველაფრის უკან დგას პოლიტიკური დაკვეთა“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გადის თუ არა საქართველოზე


ფრედი ვუდროფი


გიორგი სანაია


ვეფხია მარგოშვილი

## ფრედი ვუდროფი... გიორგი სანაია... ვეფხია მარგოშვილი... გია გულუა...

## ნარკოტრაფიკთან დაკავშირებული მკვლელობები

მარიამ ნადირაძე

**თავშივე გაგიმხელთ ნარკომანიაზე მომუშავე პოლიციელებისგან მიღებულ ერთ-ერთ გაკვეთილს: თურმე თუ ვინმე მოულოდნელად გამდიდრდება, ძვირადღირებულ მანქანას შეიძენს და უძრავ ქონებაში დაიწყებს ფულის დაბანდებას, ის მაშინვე გახდება ოპერატიული თანამშრომლების დამუშავების ობიექტი, რადგან ალბათობა იმისა, რომ ეს ობიექტი შესაძლოა ნარკობიზნესში იყოს ჩართული, ძალიან მაღალია...**

**თუმცა, ქვემოთ შემოთავაზებული პუბლიკაცია წვრილფეხა „ბარიგების“ მასშტაბებს ცდება და დღეს განვიხილავთ ნარკოტრაფიკს. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს დღემდე ყველაზე მუშა თემაა თუნდაც ოპონენტის დისკრედიტაციისთვის. რა თქმა უნდა, გვერდს ვერც ნარკოტრანზიტთან დაკავშირებულ ცნობილ მკვლელობებს ავუვლით.**

**მაშ ასე, რა დატვირთვას ანიჭებენ ნარკოკარტელები, რომელთა წლიური შემოსავალი ტრილიონ დოლარს აღწევს, საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას? არის თუ არა საქართველო მთავარი სატრანზიტო ხაზი? ვინ მფარველობდა ნარკოტიკების გადაზიდვებს სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში? რა სქემითა და რა მიმართულებით გაედინება ნარკოტიკების დიდი პარტიები?**

**რა სქემით და რა მიმართულებით გაედინება ნარკოტიკების დიდი პარტიები?**

### მკვლელობები

ამერიკელი მზვერავის, ფრედი ვუდროფის მკვლელობასთან დაკავშირებით „პრაიმტაიმი“ უკვე წერდა. ამიტომ ამჯერად მხოლოდ იმ ეპიზოდზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რომელიც საქართველოს, როგორც ნარკოტრასას შეეხება.

1993 წლის გვიან შემოდგომაზე თურქეთის ერთ-ერთ კურორტზე ამერიკის დაზვერვის ეგიდით ჩატარდა ნარკოტიკების ტრანზიტის წინააღმდეგ მიმართული შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ამერიკის დაზვერვის მაღალჩინოსანი ოლდრიჩ ეიმსი იყო. სწორედ მის დაქვემდებარებაში მუშაობდა ვუდროფიც. გარდა იმისა. მისი საქართველოში მოვლინების ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ნარკოტრანზიტის შესახებ ინფორმაციების შეგროვება იყო. ზოგიერთი ვერსიით, მან სრული ინფორმაცია მიიღო საქართველოში ნარკობიზნესის მფარველთა შესახებ. მეტიც, მან ხელისუფლებაში გაშიფრა ისინიც, ვინც პირდაპირ კრემლს ემორჩილებოდნენ და ამის თაობაზე მოახსენა კიდეც კონფერენციის მოსამზადებლად ზაფხულში ჩამოსულ შეფს, ეიმსს. ორ კვირაში, 1993 წლის 8 აგვისტოს ნატახტარის გზაზე ამერიკელ მზვერავს კლავენ...

იმ დროს, როდესაც საქართველოში, პრაქტიკულად, აბსოლუტური ქაოსი იყო და ხალხს პირდაპირ ქუჩებში ცხრილავდნენ, უამრავი მკვლელობა სწორედ ნარკოტიკებთან იყო დაკავშირებული. ნარკოტიკების ტრანზიტის მაშინდელ პატრონად, რაღა თქმა უნდა, ჯაბა იოსელიანს ასახელებდნენ. თუმცა იყო სხვაც, შოთა კვირაიაც. რაკი ამ ფიგურას შევეხეთ, მიუხედავად იმისა, რომ ისტორია, რომელიც უნდა შეგახსენოთ, ამ ქვეთავს არ შეესაბამება, მაგრამ მაინც... გახსოვთ, ალბათ, „იმელის“ შენობაში იყო სახელმწიფო საბჭო. ქალაქის პოლიციის სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა მიიღო ინფორმაცია, რომ ტაჯიკეთიდან ნარკოტიკების დიდი პარტია ჩამოჰქონდათ, რომელსაც თბილისში სპეცსამსახურის წარმომადგენლები უნდა დახვედროდნენ და ტვირთი პალერმოში გადაეტანათ... ამ ყველაფერს კი შოთა კვირაია „კრიშავდა“. ზეიკიძემ სპეცსამსახურელთა დაჭერა მოითხოვა, მაგრამ ეს სახელმწიფოს მეთაურთან შეთანხმების გარეშე ვერ მოხდებოდა... ზეიკიძეს კაბინეტში მოსასმენი აპარატურა ჰქონდა დამონტაჟებული და სულ მალე ის სპეცსამსახურის ხაფანგში გაება: ხმა დაყარეს, 31 მარტს, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები „იმელში“ შეჭრას აპირებენო. დავით ზეიკიძეს თანამშრომლების მობილიზაცია დაავალეს... იმავე დღეს შოთა კვირაია შს მინისტრად დაინიშნა, რის გამოც ზეიკიძე აღშფოთდა, ნარკოტრეფიკის საქმეზე დასაკავებელი პირი მინისტრი გახდაო და გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ სახელმწიფო მეთაურს შეხვედროდა. უშიშროება შენობაში არ უშვებდა, მაგრამ მაინც შევიდა... შეხლა-შემოხლა ატყდა... ზეიკიძე სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დაადანაშაულეს...

შოთა კვირაიას ადებს ხელს ირინა სარიშვილი, როდესაც გია ჭანტურიას მკვლელობის დამკვეთებზე საუბრობს. თუმცა, რა თქმა უნდა, მოტივად სულ სხვა, პოლიტიკა სახელდება...

ნარკოტრაფიკის საქმეს უკავშირებენ გია გულუას მკვლელობას. სხვათა შორის, ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა იხსენებს, რომ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, გია გულუამ მას გაანდო, – საქმე გავხსენი, რომელიც საქართველოს ნარკოდერეფნად ქცევას ითვალისწინებდაო... მალე გია გულუაც მოკლეს...

უფრო ახლო წარსულში თუ გადავიხედებით, უსათუოდ გაგვახსენდება სანაიას მკვლელობა, რომლის ერთ-ერთ მოტივად სწორედ სკანდალური კასეტა სახელდებოდა, რომელიც მას ელენე თედორაძემ გადასცა, სადაც ნარკობარონების შესახებ უნდა ყოფილიყო მასალები. ეს კასეტა მას პანკისიდან გამოატანეს...

პანკისთან დაკავშირებით კი ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ სანამ იქ ცნობილი სპეცოპერაცია ჩატარდებოდა, ფუნქციონირებდა ნარკოტიკების გადამამუშავებელი ლაბორატორია და ნარკოტრაფიკს ამ მხარეშიც არაერთი მსხვერპლი მოჰყვა, მათ შორის ვეფხია მარგოშვილის უცნაური მკვლელობა. პანკისელი კრიმინალური ავტორიტეტი საკუთარ საპირფარეშოში აფეთქდა...

დაბოლოს, ცნობილი ოპერატიული თანამშრომლის, გია თელიას მკვლელობა, რომელიც სიცოცხლეში სოდ-ის ხელმძღვანელს, ერეკლე კოდუას ამხელდა ნარკოტრაფიკის მფარველობაში...


თემურ ხაჩიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი პოლიციელი არსად მალავდა, კოდუა იმიტომ აპირებს ჩემს ლიკვიდაციას, რომ ნარკოტრანზიტს მფარველობს და სქემები გავუშიფრეო, ის მაინც მოკლეს. 2006 წლის 16 თებერვალს მეგობრის სახლში მყოფ თელიაზე სპეცოპერაცია სწორედ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეცრაზმმა განახორციელა. ის ადგილზე იქნა ლიკვიდირებულია. ამ თემას „პრაიმტაიმი“ მომდევნო ნომერში კვლავაც დაუბრუნდება...

### ვინ მფარველობდა ნარკობიზნესს სააკაშვილის ხელისუფლებაში?

**რაკი შევთანხმდით, რომ უკონტროლო ტერიტორიები ნარკოტრაფიკისთვის საუკეთესო გზაა, შესაბამისად, ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა 90-იანების საქართველოში. თუმცა, შინაგან საქმეთა მაშინდელ ერთ-ერთ მინისტრს, თემურ ხაჩიშვილს სულ სხვა პოზიცია აქვს ამასთან დაკავშირებით:**

– იმ პერიოდში ისეთი ტრანზიტული გადაზიდვები, როგორიც შემდგომ ჩამოყალიბდა, არ იყო.

**– გინდათ თქვათ, რომ მაინც იყო...**

– ნარკოტიკები შემოდიოდა, მაგრამ გადაზიდვები არ იყო. სისტემური სახე ამან მიიღო 1995 წლის შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში ახალგაზრდა რეფორმატორები გამოჩნდნენ.

**– ჟვანია-სააკაშვილის გუნდს გულისხმობთ?**

– ეს უფრო მეტად სააკაშვილის ფრთას ეხება. მათ დაიწყეს ნარკოტიკებით ვაჭრობა – ყიდულობდნენ პანკისში და ყიდდნენ დანარჩენ საქართველოში. გახსოვთ, ალბათ, ცისკარიშვილის გატაცების ფაქტი. მაშინ ის გაიტაცეს იმიტომ, რომ ნარკობარონები ფულის დაბრუნებას ითხოვდნენ. თუმცა მარტო ცისკარიშვილის გამოყოფა არაობიექტური იქნებოდა. მისი ამბავი, უბრალოდ, გახმაურდა, თორემ სხვებიც მონაწილეობდნენ ასეთ საქმიანობაში. პირადად მე დიდი სიმპათიით ნამდვილად არ ვარ განწყობილი კახა თარგამაძის მიმართ, მაგრამ ის, მიუხედავად იმისა, რომ შს მინისტრი იყო, ამ პროცესში ნამდვილად არ მონაწილეობდა. მისი დაპირისპირების მთავარი საგანი ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებთან, სწორედ ნარკოტიკებით ვაჭრობას შეეხებოდა. თარგამაძე მათ ხელს უშლიდათ. ამიტომაც არ აწყობდათ მინისტრად თარგამაძე. სხვათა შორის, თამაზ თამაზაშვილის დაჭერაც ამ თემას უკავშირდებოდა. ეს იყო შურისძიება, რადგან თამაზაშვილმა ამ საქმიანობასთან დაკავშირებით ძალიან ბე-

**„გახსოვთ, ალბათ, ცისკარიშვილის გატაცების ფაქტი. მაშინ ის გაიტაცეს იმიტომ, რომ ნარკობარონები ფულის დაბრუნებას ითხოვდნენ“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მთავარი სატრანზიტო ხაზი?

ვრი იცოდა... მეტიც, როდესაც სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი გახდა, მე მაშინ პატიმარი ვიყავი და კარგად ვიცი, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადმინისტრაციამ დაიწყო ნარკოტიკების გაყიდვა. „ბარიგა“ ციხეში ნარკოტიკს ვერ შეიტანდა, რადგან ეს სახელმწიფო სტრუქტურის მიერ იყო მონოპოლიზებული. შსს-საც ჩამოერთვა ოპერატიული კონტროლი ციხეებზე და იყო სრული თავაშვებულობა. ამის მიუხედავად ერთხელ სკანდალიც მოხდა, როდესაც თარგამაძემ დაუპატიმრა იუსტიციას თანამშრომლები ამ საქმეზე. რაც შეეხება პერიოდს, როდესაც სააკაშვილმა აბსოლუტური ხელისუფლება მიიღო, ნარკოტიკებს მერაბიშვილის სტრუქტურა განაგებდა სააკაშვილის დავალებით.




EXCLUSIVE

## საქართველოს ტრასა გაეროს მოხსენებაში

თემურ ხაჩიშვილის ვარაუდს ამყარებს გაეროს 2009 წლის მოხსენების შინაარსიც, რომლის მიხედვითაც ევროპაში საქართველოს გავლით ყოველწლიურად 7 ტონა ჰეროინი შედის იმ დროს, როდესაც მთლიანად სამხრეთი კავკასიის ქვეყნებიდან – 11 ტონა.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ ავღანური წარმოშობის ნარკოტიკი საქართველოში ძირითადად ორი გზით ხვდებოდა – ავღანეთი-ირანი-აზერბაიჯანი-საქართველო და მეორე: ავღანეთი-თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო. ჰეროინი ძირითადად წითელი ხიდის გავლით ხვდებოდა ფოთში და ფოთის პორტიდან ბორნებით იგზავნებოდა ევროპისკენ.

გაერო-ს მოხსენებაში მითითებულია, რომ ფოთიდან ბულგარეთისკენ მიმავალი ნარკოტრანზიტის გზა შედარებით ახალია. ნარკოგადაზიდვების ეს ახალი მარშრუტი, რომელიც 2007-2008 წლებში გაიზარდა, ბოლომდე გამოკვლეული არ არის.

საქართველოს პირდაპირი საბორნე მიმოსვლა აქვს უკრაინის ილიჩევსკის პორტთან და ბულგარეთის ბურგასის პორტთან. საქართველოდან გასულ ბორნებს ჰეროინი სწორედ ამ პორტებში ჩააქვთ. მეზობელი ქვეყნების ძალოვან სტრუქტურებს ჰეროინის დიდი პარტიები საზღვარზე არაერთხელ დაუკავებიათ.

ეს მოხსენება სააკაშვილის ხელისუფლების წისქვილზე ნამდვილად არ ასხამდა წყალს, რომელიც თავის დროზე ამოღებული ნარკოტიკული საშუალების სიმცირეს პოლიციის კეთილსინდისიერი მუშაობით ხსნიდა.

**რა სქემებით გადიოდა საქართველოზე ნარკოტიკი და იყო თუ არა ჩვენი ქვეყანა მთავარი დერეფანი, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის ყოფილ მოადგილეს ლევან გვენცაძეს ესაუბრა:**

– დღეს მსოფლიოში არსებობს ძლიერი ნარკოინდუსტრია. ამ ინდუსტრიის საქმიანობაში პირველი არის გაუკონტროლებელი ტერიტორიების ათვისება, ისეთების, როგორიც ავღანეთია. იგივეა კოლუმბიაც... სეპარატისტული რეგიონებიც შესაძლოა, ნარკოტიკების მწარმოებელ საშიშ ადგილებად იქცეს. ტერიტორიების ათვისების შემდეგ, სადაც მოჰყავთ ეს საშუალებები, დღის წესრიგში დგება ამ ტერიტორიების დაცვა – შეიარაღებული ჯარები ჰყავთ, თვითმფრინავებით და წყალქვეშა ნავებით. ესკობარს ასე ჰქონდა. მერე ხდება მოსავლის აღება, მერე მისი გადამუშავება, ქარხნებამდე მიტანა. ქარხანა არ გეგონოთ უზარმაზარი შენობა. ერთი ოთახი თავისუფლად ჰყოფნის, სადაც 7 პროცესია ჩასატარებელი – გარეცხვა, სოდირება, აცეტილირება, ნარკოტიკის გამოყოფა და ა.შ. ეს ფუჭებადი პროდუქტია, ყაყაჩოა. ამიტომ ხდება მისი აცეტილირება იმისთვის, რომ ტრანსპორტირებას გაუძლოს. თუ ადგილზე მიჰყავთ ჰეროინამდე, მისი ფასი, ბუნებრივია, მეტია. ხდება ისეც, რომ აცეტილირებული შეაქვთ ევროპაში და შემდეგ ხდება მისი დამუშავება. მერე მოდის ამ ინდუსტრიის ფინანსური მხარე – რეალიზაცია. მუდმივად ყბადაღებული თემა იყო, რომ საქართველო ერთ-ერთი ტრასაა თითქოს. საქართველო უმცირესი ქვეყანა და შესაბამისად, ბაზარი არ არის დიდი რეალიზაციისთვის. ამიტომაც აქ არასდროს ყოფილა სერიოზული იატაკქვეშეთი. იყო ინდივიდუალური გადასვლები აზერბაიჯანის მიმართულებით, თურქეთში... ოპიატის ყველაზე კარგი ნიადაგი არის ავღანეთში, პაკისტანსა და ირანში. როგორც საქართველოში არის კარგი ნიადაგი ყურძნისთვის, ისეა იქ ოპიუმისთვის. შესაბამისად, ეს იქ ერთგვარი კულტურაა. წარმოიდგინეთ, აქ მიხა პაპას რომ გაჰყავს შვილიშვილი და ასწავლის შეწამვლას, გაფოთვლას, გასხვლას, ისე გაჰყავს იქ შვილიშვილი ვიღაც ვაგიფა პაპას – ასწავლის მოსავლის აღებას და ა.შ. ირანში უკვე კარგად ებრძვიან ნარკოტრაფიკს, მაგრამ წარმოიდგინეთ, მას 1900-კილომეტრიანი ზოლი აქვს პაკისტანთან და ნარკოტიკი ყველა კილომეტრიდან შედის, რადგან ძალიან სარფიანი საქმეა. პაკისტანიდან ნარკორეალიზატორთა ქარავანი რომ დაიძვრება, მას ირანიდან ებრძვის ჯარი, რომელიც პრეზიდენტს ექვემდებარება მძიმე ტექნიკით, ვერტმფრენებით. ჩვეულებრივი ომი მიდის. თუმცა, ოპიუმის მიღების კულტურა ირანშიც არის. პატარა შარიკებივით აქვთ მოხუცებს სუფთა ოპიუმი. მიიღებენ და მერე ლოცულობენ, ნირვანაში არიან. საკმარისია, ვენაში გაიკეთონ, მაშინვე დასჯიან. შუა აზიაში ფლოვს რომ ამზადებენ, ზემოთ ოპიუმს ადებენ. ის რომ დნება, ქვემოთ ჩამოდის. ამიტომაც, ფლოვს ქვემოდან გაჭმევენ. ზემოდან რომ დაიწყონ ჭამა, დიდ დოზას მიიღებენ და ცუდად გახდებიან. ანუ იქაც ერთგვარი კულტურაა. ასე რომ, ეს ოპიუმი ტრადიციულად ავღანეთიდან მიდიოდა ირანში, მერე აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში.

**– ანუ ამ ტრასის არსებობას თქვენც აღიარებთ?**

– კი, მაგრამ ეს არის სათადარიგო ტრასა და საუბრები იმაზე, რომ ვიღაც „კრიშავს“ ამ ტრანზიტს, გადაჭარბებულად მეჩვენება. როცა რამე ინფორმაციას მივიღებდით და გავიდოდით ღონისძიებაზე, იქ მოდიოდა კრიმინალურიც, პატრულიც... ანუ, ყველა ებრძოდა ამ დანაშაულს და დასწრებაზე იყო ეს ბრძოლა.

**– მაგრამ თქვენ საუბრობთ ადგილობრივ რეალიზატორებზე და არა ტრანზიტზე...**



ლევან გვენცაძე

– როდესაც ქვეყანაზე ხდება ნარკოტიკული ტვირთის გატარება, ბუნებრივია, გარანტია უნდა მიიღონ მის დაცვაზე. ვთქვათ, გარანტია უნდა მიიღონ პოლიციისგან. იმ პოლიციაში რამდენი დანაყოფია? ინფორმაციას ვინც მიიღებდა, ყველას შეეძლო ამის წინააღმდეგ ებრძოლა. ამიტომ, თუ შემოდის ტვირთი, მაშინ ურთიერთობა ყველასთან უნდა გაირკვეს, ან პირველ პირთან უნდა გაირკვეს, რომ, თუ რამე მოხდა, იმან გააჩეროს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ამის ალბათობა ნაკლებია.

**– ტრანზიტის გაჩერების უფლება არავის აქვს. ხომ შეიძლება ისე გაიაროს ტერიტორია, რომ ვერავინ გაიგოს რამე?**

– საქმე ის არის, რომ ჩვენს საბაჟოებზე დგას დეტექტორები, რომლებიც რადიაციულ ნივთიერებებს ალმოაჩენენ, მაგრამ ვერ ალმოაჩენენ ნარკოტიკს. ევროპაში ტრაილერი გადის ჰაივანში შემოწმებას, დეტექტორზე ხედავ, სად არის დამალული ნარკოტიკი და რა სახის ნარკოტიკია. ოპიუმს ყავისფერ შეფერილობას აძლევს, ჰეროინს – ცისფერს, კოკაინს – მწვანეს. თუ ნარკოტიკი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის მომენტში არ გამოვლინდა, ტვირთი დაპლომბილია და მისი გახსნის უფლება არ გვაქვს.

**– რა ხდება, როცა ინფორმაცია გაქვს ნარკოტრანზიტზე?**

– არსებობს ცნება – კონტროლირებადი მიწოდება. ეს წყდება საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე და ერთვებიან ძალოვნები. ვთქვათ, გვაქვს მწარმოებელი ქვეყანა ავღანეთი. ამავდროულად, დავუშვათ, დაზარალებული ქვეყანა არის ირანი. აზერბაიჯანი, ირანი და საქართველო მოილაპარაკებენ, რომ კონკრეტული ტვირთი გაატარონ და დააკავონ იქ, სადაც საბოლოო დანიშნულება აქვს ტვირთს. ოპერაცია სწორედ იქ ჩატარდება. როცა კონტროლირებადი მიწოდება იწყება, მოჰყვება დაზარალებული ქვეყნის ოპერატიული სამსახური, რა თქმა უნდა, ჩუმად. სადაც ის დაკარგავს კონტროლს ტვირთზე, იქ უნდა დაარტყას, რადგან სწორედ ამ დროს შეიძლება მოხდეს ნარკოტიკის გადმოტანა. თუ არ მოხდა კონტროლის დაკარგვა, მაშინ გადმოაბარებს აზერბაიჯანს, თუმცა, ინიციატორი ქვეყნის ერთი თანამშრომელი ბოლომდე მიჰყვება ჩუმად ტვირთს. აზერბაიჯანიც გამოიარა ტრანზიტმა, არ გაჩერდა, ან გაჩერდა, მაგრამ ტექნიკური საშუალებით ხერხდება მისი კონტროლი, მერე საქმე გადმოებარება საქართველოს და ა.შ. თუ ჩვენს ტერიტორიაზე გავიდა ტვირთი კონტროლიდან, მაშინ აქ ტარდება სპეცოპერაცია.

**– ხომ შეიძლება ტვირთზე კონტროლი დაიკარგოს, დაარტყათ და არ ალმოჩნდეს ნარკოტიკი. ხომ აპრიორი საერთაშორისო სკანდალში ეხვევით?**

ჩინოვნიკები, რომლებიც ნარკოტრაფიკს მფარველობდნენ...

– სწორედ ესაა საქმე, რაკი ჩვენ ეს ტვირთი, ტრაილერი ჰაივანში ვერ გავატარეთ, არ ვფლობთ სრულ ინფორმაციას და ამიტომაც ჩვენ კონტროლირებადი მიწოდება ვერასდროს განვახორციელეთ. ქვეყნები, რომლებსაც ასეთი ტექნიკური საშუალება აქვთ, ახერხებენ კონტროლირებადი მიწოდების განხორციელებას. ალმოაჩენენ ნარკოტიკს, მაგრამ არ ხმაურობენ, რადგან ბოლომდე მისდევენ, მომხმარებლებამდე. მეტიც, მოხერხებული სპეცსამსახურები იმასაც ახერხებენ, რომ, თუ მანქანა სადმე გაჩერდება, ამოიღონ ნარკოტიკი, ჩადონ ფქვილი, ანუ მულაჟი გააკეთონ და მერე მიჰყვნენ ბოლომდე. იყო ასეთი ისტორია: ფოთიდან უკრაინაში უნდა გასულიყო ტვირთი. კონტროლირებადი მიწოდება გააკეთეს. ჩართული იყო თურქეთი და უკრაინა. ფოთის პორტში შემოდიოდა სამი ბორანი. ბორანზე ეტეოდა 160-მდე ტრაილერი და მათ ზემოთ კიდევ ერთი შემადგენლობა ეშელონი იდგმებოდა. მგონი, 2007 წელი იყო, როცა მივიღეთ ინფორმაცია, რომ ამ ბორანზე ნარკოტიკი იყო. მე და ჩემი მაშინდელი უფროსი დრელეებით დავძვრებოდით ბორანზე და ვხვრეტდით მანქანების ძირებს. დარღვევა იყო, მაგრამ, როცა საშუალება არ გაქვს, ყველაფერზე უნდა წახვიდე. რა თქმა უნდა, ვერ ვიპოვეთ, რადგან უკრაინამ კონკრეტული მონაცემები არ მოგვცა.

**– რატომ?**

– სწორედ ეს არის საქმე, არ გვთვლიდნენ არაფრად. არის მეორე მომენტიც: შუალედური ქვეყანა ამ დროს ხშირად არტყამს ხოლმე, იმისთვის, რომ თავი გამოიჩინოს და ამ დროს საერთო გეგმა იფუშება, რომ ტვირთმა საბოლოო ადგილს მიაღწიოს. ასეთი ერთხელ თურქეთმა გაგვიკეთა. როგორც იქნა, ბელგიელებთან მივაღწიეთ ურთიერთთანამშრომლობას. ასეთი თანამშრომლობის გარეშე ტრანზიტთან ბრძოლა წარმოუდგენელია, რადგან ტრანსნაციონალური დანაშაულია. ერთი სიტყვით, ტვირთი დაიძრა ევროპიდან. საბოლოოდ საქართველოში უნდა დაგვეჭირა, მაგრამ თურქეთმა დაგვასწრო და დაარტყა... სხვათა შორის, შარშან დაიჭირეს საქართველოში 116 კილო ჰეროინი. ასეთი ფაქტი ჩვენს ისტორიაში არასდროს ყოფილა. როგორც ჩანს, ეს სწორედ კონტროლირებადი მიწოდების ფარგლებში მოხდა.

**– თქვენი საუბრიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ, თუ ჩვენთან ამ სახის ტრანსნაციონალური დანაშაულის გამოვლინების მაჩვენებელი დაბალია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო სერიოზულ სატრანზიტო დერეფნად არ აღიქმება?**

– ეს არის სათადარიგო გზა და თანაც უკვე მოგახსენეთ იმ ნიუანსების შესახებაც, რის გამოც ჩვენ ამდენი წლის განმავლობაში ასეთ ოპერაციებში ვერ ვერთვებოდით.

„როდესაც ქვეყანაზე ხდება ნარკოტიკული ტვირთის გატარება, ბუნებრივია, გარანტია უნდა მიიღონ მის დაცვაზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# უკანონო ტენდერები და რეაგი

my View
მირიან ბოქოლიშვილი

მას შემდეგ, რაც გასულ კვირას „პრაიმტაიმმა“ უკანონო ტენდერების სქემა გაშიფრა და ამ თემაზე ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხრიდან შესაბამისმა გადაწყვეტილებამაც არ დააყოვნა. რა ვერდიქტი გამოიტანა სააგენტოს დავების განხილვის საბჭომ? ამაზე ოდნავ ქვემოთ გიამბობთ, მანამდე კი გაგახსენებთ, რომ საქმე ეხებოდა სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ რამდენიმე ასეული ათასი ლარის ღირებულების აპარატურის შესყიდვას. სამედიცინო მოწყობილობები განკუთვნილი იყო არა სამეცნიერო კვლევებისთვის, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულებების ბალანსზე მყოფი კლინიკებისთვის, შესაბამისად, ამ შემთხვევაში ახალი რეგულაცია (პირდაპირი შესყიდვის შესახებ) არ ვრცელდებოდა და სამედიცინო უნივერსიტეტმაც პროდუქციის შესყიდვაზე ჩვეულებისამებრ ტენდერი გამოაცხადა. ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერში სულ 9 კომპანია მონაწილეობდა. „პრაიმტაიმმა“ საჯარო რეესტრიდან გამოითხოვა ამ კომპანიების მონაცემები და გაირკვა, რომ 9 კომპანიიდან ორი – შპს „ჯანი“ და შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“ – ურთიერთდამოკიდებულ პირებს წარმოადგენენ. საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ შპს „ჯანის“ 50 პროცენტს ფლობს შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“, ხოლო, თავის მხრივ, „ჯანის“ დირექტორი ფლობს მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიების“ 25 პროცენტს. საჯარო რეესტრის ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ხსენებულმა კომპანიებმა უხეშად დაარღვიეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი და სატენდერო განაცხადის ძირითადი პირობა, სადაც პირველივე წინადადებაში მითითებულია, რომ: „გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად“. ის ფაქტი, რომ ხსენებული კომპანიები ურთიერთდამოკიდებულ პირებს წარმოადგენენ, არსებითად გამორიცხავს მათ მიერ წინადადებების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარდგენას. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მოცემული ტენდერი წარიმართა სრული კონკურენციის დარღვევით. გამოდის, რომ აღნიშნული კომპანიები იმყოფებოდნენ უპირატეს მდგომარეობაში სხვა დანარჩენ პრეტენდენტებთან მიმართებაში, რითაც დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი (მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები).

ანალოგიური სქემით ეს ორი კომპანია სხვა ტენდერებშიც მონაწილეობდა და რიგ შემთხვევაში „წარმატებითაც“. სქემა საკმაოდ მარტივია: ტენდერში მონაწილეობის თაობაზე განაცხადს აგზავნის ორივე ეს კომპანია, თუმცა ერთ-ერთი უთითებს საგრძნობლად დაბალ ფასს, რითაც ქმნის კონკურენციის ილუზიას.

**ილიაუნი: „სატენდერო კომისიის წევრები ინტერესთა კონფლიქტს არ აღიარებენ, თუმცა, უნივერსიტეტის იმიჯისა და ღირსების საკითხიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია სადავო ტენდერის გაუქმება“**

ამ თემაზე „პრაიმტაიმში“ გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ, კერძოდ კი, პირველ მაისს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭომ სპეციალური გადაწყვეტილება გამოიტანა, სადაც წერია:

„საბჭომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის #11 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და გადაწყვიტა:

სსიპ „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სატენდერო კომისიამ იმსჯელოს შპს „ჯანისა“ და შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისის“ მიერ სატენდერო წინადადებების წარდგენის აფიდავიტის პირობებთან შესაბამისობის თაობაზე და საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ორგანოების წინაშე დააყენოს შესყიდვის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი“, – წერია გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

მიმართავს თუ არა სამედიცინო უნივერსიტეტის სატენდერო კომისია შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს, ეს უკვე მოგვიანებით გაირკვევა. ფაქტია, რომ სისხლის სამართლის კოდექსით ტენდერში მონაწილეობის წესის დარღვევა დანაშაულებრივ ქმედებად ითვლება. კოდექსის 195-ე მუხლი გულისხმობს სწორედ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევას და სასჯელის სახით ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმე პროკურატურამდე არ მისულა, თუმცა ტენდერი მთლიანად გაუქმდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ასევე სამედიცინო მოწყობილობებთან შესყიდვაზე ჯერ კიდევ 2013 წლის 28 ოქტომბერს გამოცხადდა. ჩვენთვის ცნობილი გახდა ის კანონდარღვევა, რომელიც ილიაუნში ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაფიქსირდა. ილიაუნი ამ ტენდერით 19 დასახელების იშვიათი სამედიცინო მოწყობილობის შეძენას გეგმავდა. აღნიშნულ ტენდერში გაიმარჯვა კომპანია „ელ ბი ეს ჯორჯიამ“, რომელიც დარეგისტრირდა ტენდერის გამოცხადებამდე 11 დღით ადრე, 2013 წლის 17 ოქტომბერს, შესაბამისად, მას ამ დრომდე არც ერთ ტენდერში მონაწილეობა არ მიუღია.

საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ ამ კომპანიის 100-პროცენტიანი წილის მფლობელი გახლავთ ვინმე ნინო ჩხიკვაძე. მისამართი, რომელზეც ჩხიკვაძე გახლავთ რეგისტრირებული, ასევე რეგისტრირებულია ვინმე ივანე აბიათარი. ეს უკანასკნელი კი „ილიაუნის“ წარმომადგენელია, სატენდერო დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელი პირი. ჩვენ





ივანე აბიათარი

# სამედიცინო უნივერსიტეტის შემდეგ უკანონო ტენდერის ფაქტი „პრაიმტაიმმა“ ილიაუნშიც აღმოაჩინა

გავარკვიეთ, რომ ნინო ჩხიკვაძე, ანუ ტენდერში გამარჯვებული პირი და ივანე აბიათარი, ანუ სატენდერო დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელი პირი, ცოლ-ქმარი არიან. გამოდის, რომ ქმარი უზრუნველყოფდა ტენდერს, რომელიც მისივე მეუღლის მიერ 11 დღის წინ დაარსებულმა კომპანიამ მოიგო. აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ კომპანია „ელ ბი სი ჯორჯია“ აღმოჩნდა პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რაც პირდაპირ მიუთითებს კონკურენციის მოსპობაზე.

გარდა ამისა, საგულისხმოა ერთი გარემოებაც: აღნიშნული ტენდერი გამოცხადდა 28 ოქტომბერს და დასრულდა პირველ ნოემბერს. ამ დარგის სპეციალისტები განმარტავენ, რომ ოთხდღიანი ვადა არ იყო საკმარისი სატენდერო დოკუმენტაციის ჯეროვანი დამუშავებისთვის, ვინაიდან მოთხოვნილი იყო 19 სხვადასხვა დასახელების სპეციფიკური დანიშნულების საქონელი.

ილიაუნის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გახლავთ გიორგი მენაბდე, რომელიც ხელს აწერს სატენდერო კომისიის იმ ოქმს, რომლის საფუძველზეც „ელ ბი სი ჯორჯია“ გამარჯვებულად გამოცხადდა. ანუ მენაბდე გახლდათ უშუალოდ სატენდერო კომისიის წევრი, მის დაქვემდებარებაშია სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი – ზემოხსენებული ივანე


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...რება „პრაიმტაიმის“ სტატიაზე

# EXCLUSIVE




## ქმარი უზრუნველყოფდა ტენდერს, რომელიც მისივე მეუღლის მიერ 11 დღის წინ დაარსებულმა კომპანიამ მოიგო. აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ კომპანია „ელ ბი სი ჯორჯია“ აღმოჩნდა პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რაც პირდაპირ მიუთითებს კონკურენციის მოსპობაზე

ინტერესთა კონფლიქტს არ აღიარებენ, თუმცა უნივერსიტეტის იმიჯისა და ღირსების საკითხიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია სადავო ტენდერის გაუქმება“, – განმარტეს ილიაუნის წარმომადგენლებმა.

**„პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, რა ადმინისტრაციული საქმის წარმოება განხორციელდა ივანე აბიათარის მიმართ და კვლავ აგრძელებს თუ არა ის საქმიანობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამის გასარკვევად ჩვენ თავად აბიათარს დავუკავშირდით. გაირკვა, რომ ის ილიაუნში კვლავინდებურად საქმიანობს. აბიათარის მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოება მხოლოდ საყვედურით შემოიფარგლა.**

**– ბატონო ივანე, გვაინტერესებს, კვლავ ილიაუნში საქმიანობთ?**

– დიახ.

**– ილიაუნის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამო თქვენ მიმართ გატარდებოდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება... რაში გამოიხატა ეს?**

– ეს საკითხი გაიტანეს საბჭოს სხდომაზე და მე გამომეცხადა საყვედური. უნივერსიტეტი ამით შემოიფარგლა, თუმცა იყო თუ არა ინტერესთა კონფლიქტი, ეგ კიდევ სხვა საკითხია.

**– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ არ იყო?**

– თავის დროზე ასე ამიხსნეს იურისტებმა. უნივერსიტეტის მხრიდან ჩაითვალა, რომ ეს იყო ინტერესთა კონფლიქტი და შესაბამისად, შეწყდა ტენდერი. სამწუხაროდ, მე არ ვიცნობდი ქართულ კანონმდებლობას, რადგან ახალი ჩამოსული ვიყავი საქართველოში. ჩემი მეუღლე კი ფლობს ამ კომპანიას, ის არის დამფუძნებელი, მაგრამ დირექტორი სულ სხვა პიროვნებაა, რომელიც საკუთარი შეხედულებით მართავს კომპანიას.

**– თქვენმა მეუღლე ტენდერის გამოცხადებამდე 11 დღით ადრე დაარეგისტრირა ეს კომპანია... გქონდათ თუ არა წინასწარ ინფორმაცია, რა ტენდერს აცხადებდა ილიაუნი?**

– არა, ეს ინფორმაცია არ ჰქონდა ჩემს მეუღლეს, რადგან, როგორც უკვე გითხარით, ის არ მონაწილეობს კომპანიის მართვაში. რაც შემეხება მე, მე მას შემდეგ გავიგე, რაც ეს ტენდერი გამოცხადდა. არანაირი კავშირი ტენდერის გამოცხადებასა და კომპანიის შექმნას შორის არ არსებობს. ეს კომპანია ახლაც ფუნქციონირებს საკმაოდ წარმატებით.

მოკლედ, ილიაუნის გადაწყვეტილებით, ივანე აბიათარს საყვედური გამოეცხადა. **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს ვერდიქტი კი ასეთია:**

„სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სატენდერო კომისიამ გადასინჯოს ამავე სატენდერო კომისიის 2013 წლის 4 ნოემბრის #2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება, წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით და სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით...

აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში“, – წერია დავების საბჭოს გადაწყვეტილებაში.

ეს გადაწყვეტილება ილიაუნის სასამართლოში არ გაუსაჩივრებია. ტენდერი გაუქმდა, იმ პროდუქციაზე, რომლის შესყიდვასაც ილიაუნი აპირებდა, ხელახალი ტენდერი აღარ გამოცხადებულა.

აბიათარი, რომელიც ამავე დროს, როგორც გითხარით, სატენდერო დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელ პირად ფიქსირდება.

**მცირე საკანონმდებლო განმარტება:** საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგზე“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ისეთი ურთიერთობები, რომელთა დროსაც ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს“. გარდა ამისა, „ფიზიკური პირი ითვლება წილის არაპირდაპირ მფლობელად, თუ ამ წილს ფლობს მისი ნათესავი“.

აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება ინტერესთა კონფლიქტი სატენდერო კომისიის წევრის, გიორგი მენაბდესა და მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლის, ივანე აბიათარის მეუღლეს – ნინო ჩხიკვაძეს შორის. ვინაიდან ივანე აბიათარი არის ნინო ჩხიკვაძის მეუღლე (იგივე ნათესავი), გამოდის, რომ შპს „ელ ბი ეს ჯორჯიას“ რეალური მფლობელი სწორედ აბიათარია.

ეს საკითხი უკვე განიხილა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭომ. სხდომაზე მიწვეული იყვნენ ილიაუნის წარმომადგენლები, კერძოდ, იურიდიული სამსახურის უფროსი დალი ცქიტიშვილი და სხვა რამდენიმე სპეციალისტი. სადაც სადავო ტენდერის გაუქმების გადაწყვეტილების შესახებ გააკეთეს განცხადება.

„რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტს, ამასთან დაკავშირებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა განახორციელა შესაბამისი ქმედებები, კერძოდ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სადავო ტენდერი შეწყდეს და ივანე აბიათარის მიმართ დაიწყოს საუნივერსიტეტო საქმის წარმოება.

სატენდერო კომისიის წევრები

## „ეს საკითხი გაიტანეს საბჭოს სხდომაზე და მე გამომეცხადა საყვედური. უნივერსიტეტი ამით შემოიფარგლა, თუმცა იყო თუ არა ინტერესთა კონფლიქტი, ეგ კიდევ სხვა საკითხია“







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ იყო აუცილებელი ანტიდი





ხათუნა მგალობლიშვილი

**რატომ არის საჭირო ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება? წესით, მსგავსი კითხვა არც უნდა დასმულიყო, მით უფრო პოლიტიკურ წრეებში, თუმცა იმდენად განსხვავებული მოსაზრებები და ვერსიები გამოითქვა და თანაც იმდენად არარეალური, რომ საფუძვლიანი ახსნა-განმარტებები საჭირო გახდა. მიუხედავად ამისა, მაინც გასარკვევია, რამდენად გასაგები გახდა აღნიშნული კანონის შინაარსი თვით პოლიტიკოსებისთვის. ბევრმა შეიძლება ბუნებრივად ვერ გაიაზრა, უფრო მეტმა კი მას პოლიტიკური მიმართულება მისცა და საკუთარი ქულების გამრავლებაზე იზრუნა. ეს საქართველოში მიღებული ფორმაა. ყველა ურეიტინგო პარტია საკუთარი ცნობადობის ამაღლებას მსგავსი კანონების კრიტიკით ცდილობს. „საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ არანაირად არ მოიცავს არც ერთსქესიანთა ქორწინების ნებართვას და მით უფრო მასში არანაირად არ არის განსაზღვრული ინცესტის ნებადართულობა. პირველი მათგანი, ანუ ერთსქესიანთა ქორწინების ნებადართულობა, აღნიშნულ კანონპროექტში უმრავლესობის დეპუტატმა, მანანა კობახიძემ „ამოიკითხა“. ოღონდ ყველასთვის უცნობია, რომელ გვერდზე, რომელ მუხლში და რომელ ქვეპუნქტში იპოვა კობახიძემ მსგავსი დეტალი. როგორც ჩანს, დეპუტატი საერთოდ არ გასცნობია კანონპროექტს...**

თავისუფლად შეიძლება თქვას, რომ პარლამენტში რეალობიდან ყველაზე ამოვარდნილი ქალბატონი მანანა კობახიძე აღმოჩნდა, პარლამენტს გარეთ კი ასეთი ნინო ბურჯანაძეა.



**მანანა კობახიძე ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტზე:**

– ამ კანონში საუბარია იმაზე, რომ დავიცვათ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენგან, უმრავლესობისგან, განსხვავდებიან. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ჩვენ შორის არიან. თუკი ვინმე რამის უფლებებს არღვევს, კანონის ფარგლებში მათი უფლებები უნდა დავიცვათ... იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინებას დააკანონებს, მე ჩემს მანდატს დავთმობ“...

**ნინო ბურჯანაძე ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტზე:**

– ვერასდროს ვერ მივიღებ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდასა და ინცესტის დაკანონებას. არის ქვეყნები ევროპაში, სადაც ინცესტი დაკანონებულია. მათ თავის საქმე თვითონ იციან. ჩვენს ქვეყანაში ეს მიუღებელია. თუ არჩევანია ინცესტის ნორმად აღიარებასა და იქ, სადაც ვართ, იმას შორის (და მე არ ვარ რუსეთში, მე საქართველოში ვარ), მე მინდა დავრჩე ჩემს ქვეყანაში...

**„ვერასდროს ვერ მივიღებ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდასა და ინცესტის დაკანონებას. არის ქვეყნები ევროპაში, სადაც ინცესტი დაკანონებულია. მათ თავის საქმე თვითონ იციან. ჩვენს ქვეყანაში ეს მიუღებელია. თუ არჩევანია ინცესტის ნორმად აღიარებასა და იქ, სადაც ვართ, იმას შორის (და მე არ ვარ რუსეთში, მე საქართველოში ვარ), მე მინდა დავრჩე ჩემს ქვეყანაში“...**

აშკარაა, ცალკე კვლევის საკითხია, სად უნდა დარჩენა გულით ბურჯანაძეს, მაგრამ დადასტურებული ფაქტია, რომ ნებაყოფლობითი ინცესტი სწორედ მის საოცნებო რუსეთშია დაშვებული. პოლიტიკოსების იმ ნაწილს, რომელიც ბურჯანაძის მსგავსად აზროვნებს, მიაჩნია, რომ დისკრიმინაცია მხოლოდ მაშინ არის პრობლემა, როცა საქმე სექსუალურ უმცირესობებს ეხება. შეიძლება ბურჯანაძე აღშფოთდეს, მაგრამ თუნდაც სახალხო დამცველის წლიური ანგარიშებიდან ნათლად ჩანს, რომ ყველაზე ნაკლებად საქართველოში სწორედ მათი უფლებები ირღვევა, სამაგიეროდ ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანს საშუალება, არ ეძლევა ილოცოს, ან თუნდაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს საზოგადოება სწორედ მისი წარმომავლობის გამო დევნის და მაინც ყველაზე ხშირია ფაქტები, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს არაადამიანურად ექცევიან... სწორედ მათი უფლებების დასაცავადაა საჭირო აღნიშნული კანონის მიღება.

სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში, როგორც წესი, სწორედ დისკრიმინაციულ ფაქტებზეა აგებული. ყველამ თუ არა, საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა მაინც იცის, რომ სახალხო დამცველის პარლამენტში ვიზიტის დროს დეპუტატები საკუთარ თავს გამძლეობას უსურვებენ, რადგან, როგორც წესი, ანგარიში რამდენიმე ასეული გვერდისგან შედგება. გვერდების სიმრავლეს სწორედ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები განსაზღვრავს.



ყველა ისტორია, რომელიც „პრაიმტაიმმა“ სახალხო დამცველის ანგარიშიდან მოიძია, გასულ წელს დაფიქსირდა. ადამიანის უფლებების დარღვევის ისტორიები გაცილებით დიდია, თუმცა ჩვენ მხოლოდ ნაწილს გთავაზობთ.

### დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობების ნიადაგზე

ეს სწორედ ის „ქეისია“, რომელმაც კიდევ ერთხელ აქტუალური გახადა კითხვა – რამდენად დაცულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები საქართველოში?

რეზო ოთარაშვილი დუშეთის მუნიციპალიტეტში სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობდა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებს კურირებდა. თავად ცერებრალური დამბლითაა დაავადებული, რის გამოც ზედა კიდური პარალიზებული აქვს. ადგილობრივ თვითმმართველობებში პოლიტიკურ ძალთა ბალანსის შეცვლისთანავე ის ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა, ვინც დუშეთის მუნიციპალიტეტის ახალმა გამგებელმა სამსახურიდან გაათავისუფლა, ყოველგვარი კომპენსაციისა და ახსნა-განმარტების გარეშე. თავად გამგებელი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ ოთარაშვილმა კონკურსი ვერ გაიარა და შეზღუდული შესაძლებლობა სამსახურში მისი დატოვების საფუძველი ვერ გახდებოდა. თუმცა ოთარაშვილი ყვება, რომ გამგებელი მას დამამცირებლად მოიხსენიებდა და მის შეზღუდულ შესაძლებლობებს უსვამდა ხაზს.

**რეზო ოთარაშვილი:**

– გამგებელმა გიზო ჩოხელმა ვერანაირი მიზეზი რომ ვერ მომიძებნა, ბოლოს საკრებულოს მიმართა, ჩემი შტატი საერთოდ გაეუქმებინა. ანუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სპეციალისტი გამგეობას აღარ სჭირდება. აქედანაც კარგად ჩანს, რა დამოკიდებულებაა ინვალიდთა მიმართ. მარცხენა ხელი მთლიანად პარალიზებული მაქვს, ცერებრალური დამბლა მაქვს კიდურზე და ჩემს ზურგს უკან არის ოჯახი, ცოლი და შვილი, რომლებიც დღეს ჰაერში დამიტოვეს. მთელი ცივილიზებული მსოფლიო ცდილობს, არ მოხდეს ჩემი კატეგორიის ადამიანების გარიყვა და მაქსიმალურად მოახდინონ ჩვენი ადაპტაცია საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. კარგით, შეიძლება მე არ მოვწონდი, მაგრამ მთლიანად რატომ გააუქმეს შტატი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით მუშაობდა? გიზო ჩოხელი ჩემზე ამბობს, რომ ვარ გამოთაყვანებული, ლაპარაკის უნარი არ მაქვს, სიტყვას სიტყვაზე ვერ ვაბამ და საერთოდ არ ვარ იმ კატეგორიის ადამიანი, რომელიც მუნიციპალიტეტში უნდა მუშაობდეს. მე ჩემი გაჭირვება არ მეყოფა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რომ ვარ? როგორ შეიძლება ამხელა თანამდებობის პირი ასეთ შეურაცხყოფას აყენებდეს ადამიანს.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი: „მე ჩემი გაჭირვება არ მეყოფა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რომ ვარ? როგორ შეიძლება, ამხელა თანამდებობის პირი ასეთ შეურაცხყოფას აყენებდეს ადამიანს“**

ბუნებრივია, დუშეთის მუნიციპალიტეტის ყოფილმა გამგებელმა, გიზო ჩოხელმა უარყო, რომ შეზღუდული შესაძლებლობების გამო მოხდა თანამშრომლის განთავისუფ-



**„არაერთგზის განვიცადე რეპრესია, მუქარა, ამბობდნენ, რომ თითქოს ბუქსირი უნდა მომაბან და ისე მათრიონ, თურმე მე საცოცხლებელი ადამიანი არ ვარ, ვერ ვაზროვნებ, არ მაქვს ლოგიკურად აზროვნების უნარი, ორ სიტყვას ვერ ვაბამ ერთმანეთს. ასეთ საუბარზე თუ ვინმე შეედავებოდა, პასუხი იყო ასეთი: შეხედეთ და ვიზუალზეც მიხვდებით, როგორიც არისო“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკრიმინაციული კანონის მიღება





„მუსლიმანთა წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს პერმანენტული ხასიათი ჰქონდა, დაპირისპირება პარასკევის ტრადიციული ლოცვების ჩაშლითა და მუსლიმანთა სულიერი წინამძღოლის სოფლიდან წასვლით დასრულდა“

**EXCLUSIVE**

„ევროპის ორგზის ჩემპიონს, რომელიც სპორტსმენებს წლების განმავლობაში ავარჯიშებდა და ჩემპიონატებისთვის ამზადებდა, მოღვაწეობა მხოლოდ იმიტომ აუკრძალეს, რომ ის ისლამის მიმდევარი იყო“

ლება, თუმცა თავად ოთარაშვილი აცხადებს, რომ ჩოხელის მხრიდან ზიზღს თავიდანვე გრძნობდა: „არაერთგზის განვიცადე რეპრესია, მუქარა, ამბობდნენ, რომ თითქოს ბუქსირი უნდა მომაბან და ისე მათრიონ, თურმე მე საცოცხლებელი ადამიანი არ ვარ, ვერ ვაზროვნებ, არ მაქვს ლოგიკურად აზროვნების უნარი, ორ სიტყვას ვერ ვაბამ ერთმანეთს. ასეთ საუბარზე თუ ვინმე შეედავებოდა, პასუხი იყო ასეთი: შეხედეთ და ვიზუალზეც მიხვდებით, როგორიც არისო“.

ოთარაშვილმა სასამართლო პროცესი ნაწილობრივ მოიგო. მას დაუკმაყოფილეს მოთხოვნა, აუნაზღაურეს სამი თვის ხელფასი და ასევე დამტკიცდა, რომ მისი განთავისუფლების მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება არ ყოფილა.

### დისკრიმინაცია რელიგიურ ნიადაგზე

სოფელ სამთაწყაროში 1978 წლიდან ცხოვრობენ აჭარიდან ჩასახლებული სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ოჯახები, მათ შორის არიან ისლამის მიმდევრები, მუსლიმანები და ამ წლების განმავლობაში არასოდეს პრობლემები არ შექმნიათ რელიგიური რიტუალების ჩატარებაში. ადგილობრივ მოსახლეობაში დაპირისპირება მაშინ დაიწყო, როდესაც განსხვავებული აღმსარებლობის მიმდევრებმა სალოცავად სოფელში საკუთარი სახლი შეიძინეს. ფაქტი არა მარტო ადგილობრივებმა, არამედ მეზობელი სოფლების მაცხოვრებლებმაც გააპროტესტეს და მუსლიმანებს არ მისცეს საშუალება, ელოცათ. მათ გზა გადაკეტეს და ქვემო ქართლის მუფთი სოფელში არ შეუშვეს. მუსლიმანთა წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს პერმანენტული ხასიათი ჰქონდა, დაპირისპირება პარასკევის ტრადიციული ლოცვების ჩაშლითა და მუსლიმანთა სულიერი წინამძღოლის სოფლიდან წასვლით დასრულდა. სამთაწყაროში ზეწოლა ხორციელდებოდა არა მარტო მუსლიმანთა მიმდევრებზე, არამედ მათი სასულიერო წინამძღოლის ოჯახზე, დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც მოსახლეობამ სამლოცველოდან ყურანი, მაგიდები და ხალიჩები გამოყარა და გაანადგურა. როგორც დაზარალებულები ყვებიან, მათ დევნაში აქტიურად მონაწილეობდა სამთაწყაროს რწმუნებული და დედოფლისწყაროს გამგებელი. მათ განაცხადეს, რომ სოფელში მეჩეთის ამოქმედება ადგილობრივების გადასაწყვეტი იყო.

სამთაწყაროს რწმუნებული პირადად შეეწინააღმდეგა მუსლიმანთა სამლოცველოს გახსნას სოფელში, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო. შესაბამისად, მიზანმიმართულად ხდებოდა უმცირესობების დისკრიმინაცია და მათი უფლებების დარღვევა. მსგავსი ფაქტების დაფიქსირების შემდეგ ადგილობრივი მუსლიმანები დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით ერიდებოდნენ შეკრებასა და რელიგიური რიტუალების გამართვას.

ლოცვები მუსლიმანებმა მხოლოდ მას შემდეგ აღავლინეს, რაც სოფელში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, სახალხო დამცველის წარმომადგენლები და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ჩავიდნენ. პროცესმა მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა, როგორც რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, სტუმრების წასვლის შემდეგ მათზე ზეწოლა კვლავ გაგრძელდა.



ამ მხრივ, სამთაწყარო გამონაკლისი არ არის. იგივე მდგომარეობაა სოფელ ჭელაში...

დაპირისპირებები რელიგიურ ნიადაგზე არამარტო ლოცვების აკრძალვითა და ხელისშეშლით გამოიხატება. მაგალითად, ევროპის ორგზის ჩემპიონს, რომელიც სპორტსმენებს წლების განმავლობაში ავარჯიშებდა და ჩემპიონატებისთვის ამზადებდა, მოღვაწეობა მხოლოდ იმიტომ აუკრძალეს, რომ ის ისლამის მიმდევარი იყო. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა 2013 წლის აგვისტოში, როდესაც საქართველოს ნაკრები ბულგარეთში ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ემზადებოდა. მწვრთნელს ჯერ წვერის მოპარსვა მოსთხოვეს, რაზეც მან უარი განაცხადა, აეროპორტში მისულს კი გამგზავრების საშუალება არ მისცეს, როგორც მაშინ აღინიშნა, პრობლემა ტექნიკური იყო და მალე გამოსწორდებოდა. თუმცა საბოლოოდ სპორტსმენები მწვრთნელის გარეშე გაემგზავრნენ.

რელიგიურ თემებზე დაპირისპირებები და დისკრიმინაციის ფაქტები სახალხო დამცველის მოხსენებაში ყველაზე მრავლადაა. ეს ის საკითხია, სადაც ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. ლოცვების აკრძალვის, სპორტსმენის დაბლოკვის გარდა, პრობლემები ექმნებათ არასრულწლოვნებსაც. სწორედ ასეთი ფაქტი დაფიქსირდა ჩუმლაყში. ერთ-ერთი საჯარო სკოლის მეექვსეკლასელი და მისი ოჯახი ევანგელიურ-ბაპტისტური სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ. არასრულწლოვნის დამრიგებელი მოსწავლეს ხშირად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და კატეგორიულად ითხოვდა მისგან მონათვლას. თუმცა შეურაცხყოფისა და ზეწოლის პიკი 2013 წლის 16 ოქტომბერს დაფიქსირდა, როდესაც მოსწავლეს მუსიკის მასწავლებელი ფიზიკურად გაუსწორდა. მშობელი მასწავლებლების საქციელს ყოველგვარი ეჭვების გარეშე უკავშირებდა სარწმუნოებას. აღნიშნული ფაქტის შემდეგ ბავშვს სკოლაში რამდენიმე კვირის განმავლობაში არ უვლია, რადგან მას ფიზიკური ანგარიშსწორების ეშინოდა.

### დისკრიმინაცია ასაკის გამო

74 წლის ქალბატონი სახალხო დამცველისგან შვილის აგრესიისგან დაცვას ითხოვს. საკუთარი ოჯახის წევრები მოხუცს არაადამიანურად ექცეოდნენ და აიძულეს, სახლი დაეტოვებინა: „სახლიდან რძალმა და შვილმა გამომაგდეს და უკვე 5 წელია, ღამის გათენება სხვადასხვა მისამართზე მიწევს“.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ მოხუცს საკუთარ სახლში ერთი კუთვნილი ოთახი მიაკუთვნა, ოჯახის წევრები ყველაფერს აკეთებენ, რომ მშობელმა სახლში ღამის გათევა ვერ შეძლოს.

სახალხო დამცველმა საქმე სამართალდამცავებს გადასცა, სამართალდამცავებმა ოჯახში ძალადობრივი დანაშაული დააფიქსირეს, რაც ეკონომიკურ ძალადობაში გამოიხატებოდა. უფრო კონკრეტულად კი მოხუცის დისკრიმინაცია სწორედ ასაკობრივი მიზეზით ხორციელდებოდა, რაც, თავის მხრივ, სისხლის სამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენდა.

### დისკრიმინაცია სექსუალური უმცირესობებისა და განსხვავებული შეხედულებების გამო

ეს ის ნაწილია, რომელიც ყველაზე მეტად ყვირის და ჩანს. რეალურად სახალხო დამცველის ანგარიშებიდანაც დასტურდება, რომ ყველაზე ნაკლებად სწორედ სექსუალური უმცირესობის უფლებები ილახება. ბუნებრივია, ფაქტები ფიქსირდება, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორიც, მაგალითად, რელიგიურ ნიადაგზე, ან თუნდაც შეზღუდული შესაძლებლობების ნიადაგზე ხდება.

ამ მხრივ, ყველაზე სკანდალური 2013 წლის 17 მაისი იყო, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა „იდენტობამ“ და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია გამართეს. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორებმა აქციის დრო, თარიღი, ადგილ-მდებარეობა წინასწარ შეატყობინეს მერიასა და ძალოვან უწყებებს რამდენიმე დღით ადრევე გახდა ცნობილი, რომ სიტუაცია აუცილებლად დაიძაბებოდა. მიზეზი 17 მაისის საწინააღმდეგოდ დანიშნული კონტრაქცია გახდა. კონტრაქციის მთავარ ორგანიზატორებად სასულიერო პირები დაფიქსირდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აქციისა და დაპირისპირების შემდეგ ორივე მხარე ირწმუნებოდა, ქაოსი ჩვენი მხრიდან არ დაწყებულაო, ფაქტია, რომ იმ დღეს საქართველოში უმცირესობების უფლებები შეილახა და ამ დეტალებზე საერთაშორისო ორგანიზაციები საკმაოდ დიდხანს საუბრობდნენ...

არანაკლები ვნებათაღელვა გამოიწვია 2014 წლის 8 იანვარს საპატრიარქოსთან გამართულმა შეკრებამ. აქაც ორი დაპირისპირებული მხარე შეიკრიბა: ის, ვინც პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში გამოთქმულ მოსაზრებას სუროგაციის თემასთან დაკავშირებით ეწინააღმდეგებოდა და ის, ვინც სუროგაციით გაჩენილი ბავშვების უფლებებს იცავდა. პრინციპში, ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ორივე მხარემ დაარღვია განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანების უფლებები. საბოლოოდ დაპირისპირება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა და სიტუაცია მხოლოდ მას შემდეგ განეიტრალდა, რაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის პოლიცია ჩადგა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნატა მურვანიძის არტისტუ



„საქართველოსთან ყოფნა მოუნდება აფხაზს იმის გამო, რომ ჩვენ ვაჟა გვყავს და რუსთაველი? ხომ ანეკდოტია? ზუსტად იგივეა, ვინმეს უნდოდეს რუსეთი ახმატოვას, ჩეხოვის, დოსტოევსკის გამო და არც უნდათ მათ ამის გამო, ვისაც უნდა...“



რეზო შატაკიშვილი

**ყველა ადამიანს თავის პრაიმტაიმი აქვს - მისი ცხოვრების საუკეთესო დრო. ზოგის პრაიმტაიმი ხანმოკლეა, გაელვებას ჰგავს, ზოგის უფრო ხანგრძლივია. მაგრამ იშვიათებს აქვთ შნო, ჰქონდეთ მუდამ პრაიმტაიმი. ეს რომ შეძლო, ცხოვრებას უნდა აღიქვამდე პრაიმტაიმად. თუმცა განგებამაც უნდა შეგაშველოს ხელი, შინ გყავდეს და გზრდიდნენ მედეა ჩახავა, მაკა მახარაძე, რომ ბედნიერების დანახვა, შეგრძნება შეძლო ყველგან, ყველა ვითარებაში.**

**ნატა მურვანიძე 44-წლიანი პრაიმტაიმით და არტისტული წარმატების სურნელოვანი საიდუმლოთი.**

**ნატა მურვანიძე:** - ყველა პერიოდს, შემოქმედებითს თუ პირადს, ფონად შენი ასაკი აქვს და ყველა ასაკს განსაკუთრებული ადგილი აქვს ცხოვრებაში. საუკეთესო დროდ რომ გავიხსენო ის პერიოდი, პროფესიის აღმოჩენის, როდესაც 20 წლის ვიყავი, გამოდის რომ უნდა გავჩერდე, წინ არ წავიდე და ვიქექო წარსულში. დღემდე მახსოვს, ის განცდა, 4 წლისამ პირველად რომ ვნახე ყაზბეგი, მაგრამ იმ განცდაზე რომ ვყოფილიყავი მიჯაჭვული, ველარ დავინახავდი მთის სილამაზეს სვანეთში, რაჭაში... ცხადია, ცუდი პერიოდებიც მქონია ცხოვრებაში, მაგრამ ესეც აუცილებელი იყო იმისთვის, რომ გამეგო რომელია დადებითი. მე მიყვარს ცხოვრება და მიყვარს ყველა ის მონაკვეთი, ყველა ის ადამიანი, რომლებმაც ბედნიერება მომიტანეს და მეც ვცდილობ, რომ დავუბრუნო, ისინიც, რომლებმაც მატკინეს, იმიტომ რომ ეს ტკივილი აუცილებელი იყო იმისთვის, რომ თუნდაც ის ბედნიერება გამეგო და მეც, ალბათ, ბევრს ვატკინე და მათთვისაც კარგი საქმე მაქვს გაკეთებული (იცინის).

**- როდესაც ასპარეზზე გამოხვედით, თქვენ გედგათ უკან დიდი ისტორია, რაც კოზირიცაა, იოლად იქცევ ყურადღებას, აინტერესებ საზოგადოებას და ამასთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაცაა.**

- მე არ განვეკუთვნები მათ, ვისაც რაღაც აქვს და არ ფიქრობს იმაზე, ვისაც ეს არ აქვს და არ აანალიზებს რამდენად კარგ მდგომარეობაშია თვითონ. ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაც იყო და დიდი ფუფუნებაც ის, რომ დავიბადე ჩემს ოჯახში, ძალიან საინტერესო ადამიანებთან მომიწია ყოველდღიური ურთიერთობა, შეიძლება ამას არ აქცევ ყურადღებას, მაგრამ ეს ილექება. როცა რაღაცის კეთებას იწყებ, ცხადია, უფრო მალე გაქცევენ ყურადღებას, მაგრამ სამაგიეროდ, ადამიანს რომელსაც ეს არ აქვს და არის ვთქვათ, შენნაირი მონაცემის პატრონი, ყოველი შემდგომი ნაბიჯი აღტაცების საგანია, მაშინ, როდესაც ჩემი ნაბიჯები ჩვეულებრივ ამბად იყო აღქმული: იცეკვებს, აბა რა იქნება, ითამაშებს, აბა რა იქნება... კი, თავიდან ყურადღების მიქცევა ძალზე იოლია, მაგრამ მერე პერსონალურად შენ არ ფასდები.

**- რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ ძალიან ბევრი იზრდება ასეთ ოჯახში და ვერც ვერაფერს ქმნის ღირებულს.**

- არა, მე არაფერს ვითხოვ საზოგადოებისგან, მე, უბრალოდ, ვაფასებ, თორემ ჩემ მდგომარეობასაც აქვს პლუსები და შენსასაც. მინუსები არც ერთს არ აქვს, რაც შენ გგონია მინუსი, ის არის ის, რის გამოც შენ აკეთებ რაღაცას, რაც გაძლევს სტიმულს, თორემ ყველაფერი თუ დალაგებულია, წამოგორდები და არაფერს გააკეთებ... მე ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ არ არსებობს ჯანსაღი კრიტიკა, ჯანსაღი, ხახს ვუსვამ, როდესაც შეურაცხყოფას არ გაყენებენ. მე ვსაუბრობ პროფესიულ ანალიზზე, როცა აანალიზებენ რა შეცდომები გქონდა, რა გაასწორე შემდეგ ნამუშევარში, იმაზე თუ როგორ ბადებს კრიტიკა მსახიობს, რეჟისორს. გენიალური წიგნი არსებობს, თავმოყრილია სარა კეინის პიესების ანალიზი და ჩვენ ვხედავთ, როგორ შვა ინგლისის კრიტიკამ გენიალური დრამატურგი. სერიოზული კრიტიკის ნაკლებობა ნამდვილადაა. „არ მომეწონა“ არ არის პასუხი, „მომეწონა - არ მომეწონა“ გემოვნების საკითხია, მაგრამ გემოვნებაზე არ დაობენ. ჩვენ ქებაც და კრიტიკაც ვიცით ჰიპერ! არც ერთი მიდის იქამდე, მე მსახიობმა რა გამოვასწორო? სად მივქარე, რა იყო არასწორი. კრიტიკისგან, რაც უნდა დასაბუთებული იყოს, არავინ სიამოვნებას არ იღებს, მაგრამ ფიქრის და პროგრესის საშუალებას ხომ გაძლევს? ჩვენს ოჯახში ამის ფასი ძალიან კარგად იცოდნენ და თუ არაფერს ამბობდნენ, ესე იგი კარგი იყო და თუ მაკრიტიკებდნენ, ესე იგი გასასწორებელია.

**- ანუ რაც ქვეყანაში არ იყო და არაა, ოჯახი ითავსებდა.**

- დიახ, და ჩემ ზრდაში ძალიან დიდი როლი ითამაშა მაგან. ხან ისე მკაცრად მაკრიტიკებდნენ, თავს ვიმართლებდი, ღამეები არ მეძინა, შემდეგ კი ყოველთვის ვცდილობდი ის შეცდომები გამესწორებინა. როდესაც მსახიობს ეს არ აქვს, მგონია, რომ ძალიან სერიოზული პრობლემაა, იმიტომ რომ თვითკრიტიკის გარდა, ობიექტური კრიტიკაც საჭიროა და ამიტომ, ყოველთვის ვცდილობ ჩემს კოლეგებს ვუთხრა ჩემი აზრი, მეუბნებიან კიდეც ხოლმე, რა იცი ეს პირდაპირ დაჯახებაო, მაგრამ მე იმისიანი ვარ და მინდა სანამ სხვა ეტყვის, მე ვუთხრა. გაასწორებს თუ არ გაასწორებს მისი საქმეა.

**- მოგნატრებიათ პერსონაჟები, გმირები, რომელსაც აღარ თამაშობთ სცენაზე?**

- მონატრებით არა, მაგრამ გული დამწყვეტია, როცა მოხსნილა სპექტაკლი, რომელიც ბევრჯერ არ გვითამაშია. საერთოდ არ ვხმარობ სუნამოს ცხოვრებაში, იმიტომ რომ მგონია, სისუფთავე არსებობს და მორჩა, მაგრამ პირველი როლიდან დღემდე, ვირჩევ და მაქვს ხოლმე კონკრეტული სუნამო, რომელსაც მიჩვეული არ ვარ, ვირაცას არ ასხია, ნაცნობი სუნი არ არის. ვირჩევ, აი ამ პერსონაჟს აქვს ასეთი სუნი, ეს სუნი აკეთებს ისეთ რაღაცას, რომ რეპეტიციის გარეშე მახსენდება ყველაფერი. აი, ეს, „პიგმალიონის“ სუნამოა, ძალიან დიდი ხანია აღარ მითამაშია „პიგმალიონი“, ახლა რომ ვუსუნო, რეპეტიცია აღარ დამჭირდება, ყველაფერი გამახსენდება, კოსტიუმიან, გრიმიან, ტექსტიან, განათებიანად. ეს სუნამო თუ ვინმე სხვას ექნება დასხმული, შეიძლება, რაღაც მომენტში, უცებ დამაბრუნოს სცენაზე, იმ ატმოსფეროში და უცებ მომენატროს.

**- სუნამოებს როგორ არჩევთ?**

- მგონია, რომ სუნით ხასიათს ვხვდები, ეს „პიგმალიონის“ სუნამო, ნახე რა უბედურებაა, პანაშვიდის სუნი აქვს, ყვავილების, მოტკბო რაღაცა. ეს „ანტიგონეს“ სუნია,

„დაბადება უკვე თავისთავად პრაიმტაიმია და სიკვდილიც თავისთავად პრაიმტაიმია“

ეს სახელით ავირჩიე, „კონტრადიქშენ“, წინააღმდეგობის ამბავია, აქ შინაარსობრივი ამბავი იყო, ეს „ჟოლოს“ სუნია, ეს „ურიელ აკოსტას“ სუნამო, ცოტა ძველი სუნი აქვს, ვერიკო ხმარობდა რაღაცა სუნამოს, „მაგრიფს“, რომელიც აღარ არსებობს ბუნებაში, მაგრამ მახსოვს ის სუნი, ბებიაჩემსაც ჰქონდა, დაახლოებით ისეთი სუნი ვიპოვე, რომელიც მახსენებდა იმ სუნს.

**- მსგავსი რამ წიგნებშიც არ წამიკითხავს...**

- ასე რომ, სუნი თუ არ ვიგრძენი არაფერიც არ მენატრება, დიდი სიამოვნებით გავუზიარებდი ამას ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს, არის გენიალური საშუალება იმისთვის, რომ მეხსიერება აღიდგინო, გაიხსენო შეგრძნებები.

**- ისე, არ გქონიათ ცოდნის გაზიარების, სტუდენტებთან ურთიერთობის სურვილი?**

- წლების წინ მყავდა ჯგუფი. ძალიან დიდხანს არ მინდოდა, მერე ერთი წელი მოვემზადე ამისთვის, ერთი წელი ვასწავლიდი კიდეც, მაგრამ მერე მივხვდი, იმისთვის, რომ რაღაც ასწავლო, პირადად არ უნდა თამაშობდე. მე შემიძლია შევაფასო ვიღაცის ნამუშევარი და ვუთხრა, რომ არ არის სწორი, მაგრამ იმის გარანტიას არ ვიძლევი, რომ მე იგივეს არ გავაკეთებ, ერთია, როდესაც გარედან ხედავ ამ შეცდომას და მეორეა, როდესაც თვითონ უშვებ. შეიძლება ვცდები, მაგრამ როდესაც გავიგე, რომ ჩემი სტუდენტები მოდიან სპექტაკლზე, ის სპექტაკლი ვერ ვითამაშე... კი ვითამაშე, მაგრამ ისე ვითამაშე, ვაი იმ თამაშს.

**- ვერიკოს ჰკითხეს - თქვენი ჩავარდნილი როლიო და არც ერთიო, ის ვერიკო იყო, გასაგებია...**

- ვგიჟდები მაგ ქალზე, აი მაგის თავი უნდა გქონდეს, რომ ეგ თქვა! (ხარხარებს) შეიძლება ზუსტად იცოდა რომელია, მაგრამ ხომ უნდა შეგეძლოს, ეგ თქვა. დღეს შენ გათქმევინოს ვერიკოა!! აი ვგიჟდები, აი, უხ! მე ძალიან ბევრი ჩავარდნები მქონდა და დღეს რასაც ვთამაშობ, აქაც მაქვს ბევრი ჩავარდნები. შეიძლება მთლიანად როლი არ ჩამივარდა, მაგრამ რაღაცა მონაკვეთები არის ისეთი, რომელთანაც დღემდე ვჭიდაობ. მე ვთვლი, რომ კარგი მსახიობი არის ის მსახიობი, რომელმაც ზუსტად იცის, რა არ უნდა ითამაშოს. ძალიან რთულია, რომ ზუსტად იცოდე რისი თავი არ გაქვს. უნდა შეგეძლოს რაღაცაზე არას თქმა. იმიტომ რომ ვერ აწევ, მე მითქვამს ბევრ რაღაცაზე უარი. ეს იგი, ვხვდები სწორად...

**- იქნებ ცდები?**

- არაა... ჩემზე კარგად ვინ იცის, რისი თავი მაქვს, რაც არ უნდა მომწონდეს, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ხომ არ წავალ“? ხერხემალი გამირბის ცალ-ცალკე, ვერაფერს გავაკეთებ. ხომ უნდა იცოდე რას აწევ და რას ვერა.

**- კი მაგრამ, სად წავიდა ნატა მურვანიძის პლასტიკა?...**

- დავასახიჩრე და აღარ მაქვს, ველარაფერს ვერ ვშვრები. ეს, რაღაც მხრივ, უსისტემობამ გამოიწვია. „ოდიოტი“ სამ თვეში ერთხელ ინიშნება, ორგანიზმი მზადაა და მე გავდივარ სცენაზე, ისე არ მინდა გამომივიდეს, რომ რამეს ვაბრალებ, არის თავისუფალი დრო და შეგიძლია თვითონ ითამაშო, მაგრამ ცოტა ჩემი სიზარმაცის ბრალია... ცოტა კი არა, კარგი სიზარმაცე, მოტივაციის გარეშე არაფრის კეთება არ მინდა, სპექტაკლი თუ არ მაქვს, რატომ ვივარჯიშო? მაგრამ მერე ინიშნება „იდიოტი“, არ ხარ მზად და გადიხარ...

**ნატა ამბობს, რომ არ ტყუვდება და არც თავად უყვარს ტყუილი.**

- როდესაც ადამიანს ვხვდები, ვლაპარაკობთ სხვა თემაზე, მაგრამ პროფესიიდან გამომდინარე, სულ მაინტერესებს, რა ხდება მიღმა, რა მოტივაცია აქვს, რა ამოცანა, სულ ვფიქრობ ამაზე, მაგრამ ეს უკვე ავტომატურად ხდება, ასე ვთქვათ, ავტოპილოტზეა.

**- ასე „რენტგენივით“ ყოფნა რთული არაა?**

- ჩემთვის თუ მათთვის?..(იცინის). ჩემთვის რთული არაა, მე არც ტყუილის თქმა მიყვარს, არც თავის მოტყუება. სხვათა შორის, იშვიათად ვცდები...

**- პირადი ცხოვრება და შემოქმედება. რა უფრო გეხმარებოდა, როდესაც რთული პერიოდები გქონდა პირად ცხოვრებაში თუ პირიქით?**

- რეცეპტზე საუბარი სისულელეა, იყო ისეც, იყო ასეც. მქონდა რთული პერიოდები, როდესაც პროდუქტიული ვიყავი და ყოფილა იგივე ფონი, მაგრამ არაფერი მიკეთებია. ასეა თუ ისე, მსახიობებს რაც არ უნდა გონებრივი სამუშაო გვქონდეს, ბოლოს მაინც გრძნობის აპარატთან მივდივართ. ეს გრძნობის აპარატი, რაც უფრო გაღიზიანებულია, გახსნილია, უფრო ქმნი. მახსოვს, ბატონმა მიშა თუმანიშვილმა გვითხრა, არ შეიძლება შემოქმედი ადამიანი კმაყოფილი იყოსო. აბსოლუტურად ვეთანხმები. წლები გავიდა და მახსოვს, როგორც ფორმულა. მაშინ გამიკვირდა, და ვკითხე, თუ ბედნიერი ვარ და დალაგებული მაქვს ყველაფერი, უნდა ვინატრო, რომ მშიო-







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# ნატა მურვანიძის პრაიმტაიმი

## EXCLUSIVE

დეს, წამლის ფული არ მქონდეს, ვიღაც მომიკვდეს, უბედური ვიყო, იმისთვის, რომ შემოქმედებითად სავსე ცხოვრება მქონდეს მეთქი? არა, არ უნდა ინატროო. ყველაფერი უნდა გამოიყენოთ, რომ შემოქმედებითად პროდუქტიული იყოთო. აი, ვთქვათ და ყველაფერი დალაგებული მაქვს მეთქი? მაშინ სპექტაკლის წინ საჭმელს ნუ შეჭამო. უცებ მივხვდი, ფიზიოლოგიურად იწვევს დისკომფორტს, რომ აპარატი გაღიზიანებული იყოს. მას შემდეგ, აგერ 25 წელია, სპექტაკლის წინ არ მიჭამია.

**- შეიძლება ვთქვათ, რომ ეს 25 წელი, რაც თამაშობ, პრაიმტაიმია?**

- რომელი წელი არ არის პრაიმტაიმი? დაბადება უკვე თავისთავად პრაიმტაიმია და სიკვდილიც თავისთავად პრაიმტაიმია, ეგ არის ყველაზე მნიშვნელოვანი წამები და მერე მთავრდება ყველაფერი...

**- საინტერესოა, მაგრამ შენგან არ მიკვირის ამის მოსმენა... ქალბატონი მედეა, იმ შავბნელ 90-იან წლებში, მახსოვს, ინტერვიუში გვასწავლიდა, როგორ უნდა ვიყოთ ბედნიერები, როგორ უნდა გვიხაროდეს გათენება, ყვავილის გაშლა. თქვენ მედეა მუდმივად გყავდათ.**

- კი... მახსოვს, მაშინ, ერთი „კერასინკა" გვქონდა, ყველა იმის გარშემო ვისხედით, სხვაგან ვერც გახვიდოდი, ერთ ნაბიჯს გადადგამდი და გაიყინებოდი. დეკემბერი იყო, 24 დღე არ გვქონდა შუქი, საშინელება იყო... ვიჯექით გაჭვარტლულები, ვიცინოდით რაღაცაზე და უცებ მედიკო გვეუბნება, ახლა რომ შუქი იყოს, ხომ ჩავრთავდით ტელევიზორს, ნატუნა წავიდოდა, გადაშლიდა წიგნს და იქით წაიკითხავდა, მაკა სამზარეულოში გავიდოდა, ვიღაც სახლიდან წავიდოდა და ჩვენ ხომ არ ვისხდებოდით ასე ახლოს ერთმანეთთან, შეიგრძენით ეს ბედნიერებაო. ანუ ყველანაირ უარყოფითში შეეძლო დაენახა დადებითი და ამას გასწავლიდა.

**ნატა აქტიური „ფეისბუკელია", პოსტებით, კომენტარებით ეხმაურება მოვლენებს. პოსტი, რომლის დაწერაც უნდოდა და არ დაწერა „ფეისბუკში":**

- დღეს, კიდევ ერთი პოსტის დაწერა მინდოდა, დავანებე თავი, მერე ისე მლანძღავენ ხოლმე. ეტყობა ვერ გამოვხატავ ისე, როგორც მინდა, სხვანაირად ვფიქრობ და სხვანაირად იკითხება. სანამ ან ცოლის მოყვანის დროს, ან გათხოვების დროს აქტუალური იქნება კითხვა, როგორი ოჯახიდანაა, ანუ იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ბაღი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, ანუ ეს ინსტიტუტები არაფერს აძლევს ადამიანს. რამდენი ბიოგრაფია წაგვიკითხავს უცხოელი მსახიობების, რომელთა მშობლები ლოთები იყვნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს მსახიობები მსახიობებად, პიროვნებებად განათლებამ ჩამოაყალიბა. არაჩვეულებრივი რამ მოხდა ჩვენთან, ეროვნული გამოცდები ტარდება, ჩაწყობა აღარ არის. უნივერსიტეტებში გამოცდებით ნიჭიერები ხვდებიან და არა „კარგი" დედიკოს და მამიკოს შვილები, მაგრამ მერე? მერე რაღას ვაძლევთ? ის კარგი დედიკო და მამიკო კი დიდ ფულს გადაიხდიან და გაუშვებენ ინგლისში. ეს ნიჭიერი აქ რეალურად გაჩერდება, ის იქიდან კარგი განათლებით დაბრუნდება, არადა განათლების პოტენცია ამას ჰქონდა, აქ დარჩენილს...

**- სხვა რა უსამართლობა გიშლის ნერვებს?**

- ნებისმიერი. ამ ქვეყანასთან ერთად, მე თვითონაც უამრავი შეცდომა მაქვს დაშვებული, უზარმაზარ რაღაცას მოვწყდით, ახლაღა ვაანალიზებთ, რა გვინდა, რა არჩევანი გავაკეთოთ. ვერანაირად ვერ ასცდები პოლიტიკას, ზღაპარია. დამოუკიდებლად გვინდა ვიცხოვროთ, ოღონდ ჯერ პასუხისმგებლობა ჩვენ საქციელებზე არა გვაქვს აღებული. თავისუფლები ვართ, მაგრამ კაცს რომ მოვკლავთ, გავიძახით, შემომაკვდაო, მე არაფერ შუაში ვარო. ვამბობთ, 70 წელი კომუნისტებმა გამოგვაშტერესო. სხვა რატომ ვერ გამოაშტერეს? ახლა რუსეთი... მტრის ხატი კი არა, მტერია, რად უნდა ხატი. მტერია პირდაპირ, მაგრამ სულ გადაბრალებაში ვართ...

**- მტრის ხატს ვქმნით, მაგრამ დიდი ნაწილი რუსეთს რეალურად არ აღიქვამს მტრად, ნაწილს კი ღიად უნდა რუსეთი...**

- უნდათ? ღმერთმა შეარგოთ, ეს მათი არჩევანია, აზრიც არ აქვს მათთვის რაიმეს ახსნას. ეჭვი მეპარება მათ რუსეთი იმის გამო უნდოდეთ, რაც კარგია, კულტურას ვგულისხმობ, თორემ არანაირი ორი რუსეთი არ არსებობს, ერთი რუსეთია. ძალიან დიდი როლი ითამაშა რუსულმა ლიტერატურამ ჩემ განვითრებაში, მაგრამ ამის გამო რუსეთი უნდა მინდოდეს? საქართველოსთან ყოფნა მოუნდება აფხაზს იმის გამო, რომ ჩვენ ვაჟა გვყავს და რუსთაველი? ხომ ანეკდოტია? ზუსტად იგივეა, ვინმეს უნდოდეს რუსეთი ახმატოვას, ჩეხოვის, დოსტოევსკის გამო და არც უნდათ მათ ამის გამო, ვისაც უნდა...

**ამ ზაფხულს, ნატა მურვანიძე პოლონეთში, პოლონურად ითამაშებს მედეას, მაია კლეჩევსკას სპექტაკლში. ჯერ მედეას „დამუნათების" სტადიაშია, არ ესმის, ცდილობს ჩაწვდეს მის ლოგიკას. საერთოდ, ამბობს, რომ როლებზე ოცნება არ სჩვევია და ოცნებას მხოლოდ მაშინ იწყებს, როცა რეპეტიციები იწყება.**

- არ მიოცნებია კონკრეტულ როლზე, მაგრამ მინანია ძალიან ბევრ დაკარგულ დროზე და ჩემ პასიურობაზე. მგონია, რომ უფრო მეტი რაღაცა შეიძლება მცოდნოდა, მეტი რაღაც შემძლებოდა, მზად ვყოფილიყავი. იგივე მედეაზე, ძალიან ბევრი რამ არ მაქვს წაკითხული, ამის დედა ვატირე, ამდენი ხანი ვიჯექი „ფეისბუკში", ვაკაკუნებდი... ისედაც ხო გაინტერესებს, მიდი რა დაჯექი და წაიკითხე... დღეს „ფეისბუკია", გუშინ სხვა რაღაცა იყო. „ფეისბუკს" კიდევ რა უჭირს, რაღაცას მაინც იგებ... სიკვდილის წინ, როდესაც წამებს აქვს მნიშვნელობა, რამდენი ასე გაფლანგული დრო გამახსენდება და ვინერვიულებ... მაგრამ ადამიანი ხარ, ხანდახან ტვინს დასვენება სჭირდება, ამასაც ვითვალისწინებ, მაგრამ ესეც გამართლებაა, მოდი ესეც ვთქვათ...

> „აი, ეს, „პიგმალიონის" სუნამოა, ძალიან დიდი ხანია აღარ მითამაშია „პიგმალიონი", ახლა რომ ვუსუნო, რეპეტიცია აღარ დამჭირდება, ყველაფერი გამახსენდება, კოსტიუმიან, გრიმიან, ტექსტიან, განათებიანად..."

> „სიკვდილის წინ, როდესაც წამებს აქვს მნიშვნელობა, რამდენი ასე გაფლანგული დრო გამახსენდება და ვინერვიულებ..."



მასალაში გამოყენებულია გურამ წიბახაშვილის, ირინა აბჟანდაძის, მარი ნაკანი მამასახლისის და საიმონ რიჩარდსონის ფოტოები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „Slim Factor“ – „ლოტუსის“ უპრეცედენტო პროექტი სხეულის ფორმაში მოსაყვანად

ზაფხული მოახლოვდა და ქალბატონების მთავარი საზრუნავიც ახლა სხეულის ფორმაში მოყვანაა. მზეს და ზღვას ხომ დაკლებული კილოგრამებითა და გამკვრივებული სხეულით უნდა შევხვდეთ. შესაბამისად, დიეტების სეზონიც უკვე დაწყებულია, თუმცა შიმშილი და კვების რაციონიდან სხვადასხვა პროდუქტების ამოღება, კარგი სხეულის სრული გარანტია სულაც არ არის. სასურველი შედეგის მიღწევა ახლა მტანჯველი დიეტების გარეშეც თავისუფლად არის შესაძლებელი: სწორი კვება, თვენახევრიანი პროცედურები და შედეგიც არ დააყოვნებს. ამ ყველაფრის დასამტკიცებლად ესთეტიკური მედიცინის ცენტრმა „ლოტუსმა“, საქართველოში პირველად, უპრეცედენტო პროექტი წამოიწყო. კონკურსის წესით ორი გოგო შეარჩიეს, რომლებსაც თვე-ნახევრის განმავლობაში „ლოტუსში“ არსებული სხვადასხვა პროცედურები სრულიად უფასოდ უტარდებოდათ. ორივე მათგანი სხვადასხვა შედეგის მიღწევას ცდილობდა: 22 წლის ნინიკო დიდებაშვილს წონის პრობლემა აწუხებდა, 26 წლის თიკო კარდენს კი სხეულის კორექცია ესაჭიროებოდა. ორივე გოგონას თვე-ნახევრის განმავლობაში სხვადასხვა აპარატურული პროცედურები და ხელით მასაჟები უტარდებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ პროგრამის მონაწილეები ენდოკრინოლოგის მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. 10 დღეში ერთხელ ეცვლებოდათ დიეტა, რომელიც ჯანსაღ, დღეში ოთხჯერად კვებას გულისხმობდა. როგორც ესთეტიკური მედიცინის ცენტრის მენეჯერი ქეთი მაჭავარიანი ამბობს, ამ პროგრამის მთავარი მიზანი იყო, ქართველი ქალბატონებისთვის დაენახვებინათ, როგორ შეიძლება უმოკლეს ვადებში, დიეტისა და აკრძალვების გარეშე, ჩადგე ფორმაში. პროგრამის შედეგი მართლაც გასაოცარი აღმოჩნდა. გოგონამ, რომელსაც წონის პრობლემები აწუხებდა, 18 კილო დაიკლო და, შესაბამისად, პროგრამის გამარჯვებულადაც ის დასახელდა. არანაკლები შედეგები აჩვენა მეორე გოგონამაც, რომელსაც სხეულის გარშემოწერილობა მკვეთრად შეუმცირდა, ფორმები კი უფრო დაეხვეწა და გაუმკვრივდა.







ესთეტიკური მედიცინის ცენტრი „ლოტუსი“ საქართველოში უკვე წლებია ფუნქციონირებს და, უმაღლესი ხარისხის პროფესიონალების დახმარებით, მომხმარებელს მუდმივ სიახლესა და თანამედროვე ტექნოლოგიებით მომსახურებას სთავაზობს. ცენტრის ყველა ფილიალში მსოფლიოს წამყვანი ბრენდების თითქმის ყველა აპარატია წარმოდგენილი, რასაც ესთეტიკური მედიცინა სხეულის მოვლის სფეროში გვთავაზობს. „ლოტუსში“ შეხვდებით ვაკუიტსა და ლიპოლაზერს, რომლით სარგებლობა მთელ ამიერკავკასიაში მხოლოდ აქ არის შესაძლებელი. ესთეტიკის ცენტრში გასახდომი პროგრამები ყოველთვის წარმატებით ინერგებოდა. ყველა პროგრამა ინდივიდუალურია და თითოეულ კლიენტზე პერსონალურად მორგებული. ასე რომ, თუ ზამთარში მოგროვილმა კილოგრამებმა შეგაწუხათ და გინდათ, ზაფხულში იდეალური სხეული გქონდეთ, თანაც ისე, რომ დიეტებით თავი არ გაიტანჯოთ, „ლოტუსი“ იდეალურ შანსს გაძლევთ, თქვენი სურვილები უმოკლეს ვადებში შეისრულოთ!

თვე-ნახევარში მიღწეულ შედეგებზე პროგრამის მონაწილე გოგოები თავადაც საუბრობენ.

**ნინიკო დიდებაშვილი:** „რომ არა „ლოტუსი“, არ ვიცი, რა მეშველებოდა. 18 კილოს დაკლება ჩემთვის მართლა ძალიან დიდი მიღწევაა. ჩემი მეგობრები მხვდებიან და ვერ მცნობენ. კიდევ იმიტომ

**„ეს თვენახევრიანი პროცედურები და დიეტა საერთოდ არ გამჭირვებია, პირიქით, უფრო მეტი მოტივაცია და დიდი სტიმული მქონდა. მიხაროდა ყოველდღე იქ მისვლა“**

ვარ ძალიან კმაყოფილი, რომ არანაირი კანის ჩამოკიდება და ასეთი პრობლემები არ მქონია. თავიდან ძალიან მოწადინებული არ ვიყავი, უბრალოდ, ჩემზე ბევრი ადამიანი იყო დამოკიდებული და თითოეული დამეხმარა, ვისაც ყოველდღე ვხედავდი. მართლა ძალიან კარგი გარემოა, ეს 90%-ით გეხმარება, რომ მარტივად გადალახო ყველაფერი. თვიდან ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ იმხელა შედეგი მივიღე, რომ, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ბევრს შემიძლია ვურჩიო. ახლა ისევ დავდივარ ფიტნესზე და სწორ კვებას ვაგრძელებ. კიდევ 15 კილოს დაკლება მინდა და ამ შედეგსაც უნდა მივაღწიო“.

**თაკო კარდენი**: „ეს თვენახევრიანი პროცედურები და დიეტა საერთოდ არ გამჭირვებია, პირიქით, უფრო მეტი მოტივაცია და დიდი სტიმული მქონდა. მიხაროდა ყოველდღე იქ მისვლა და ამ პროცედურების ჩატარება. ფორმები ხომ საგრძნობლად შემეცვალა და წონაშიც დავიკელი. ცილოვანი დიეტა მქონდა დანიშნული, სადაც იმდენი რაღაც შედიოდა, რომ ვერ ვჭამდი და რაღაცებს ვტოვებდი ხოლმე. ახლაც ისევ ვცდილობ, რომ ცხიმიანი საკვები არ ვჭამო და „ლოტუსში“ ფიტნესზე სიარულიც უნდა გავაგრძელო“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რას კითხულობენ თანამ

სალი კიპაროიძე







**„წიგნები ისეთი ადამიანებისთვისაა, რომლებსაც სურთ, დროებით სადღაც სხვაგან იყვნენ“. ამაში ეჭვი არავის ეპარება, თუმცა მხოლოდ ასეთი ადამიანებისთვის რომ არაა წიგნები, ესეც ფაქტია. რთულია ისაუბრო იმაზე, როგორი სიამოვნება შეიძლება მოგანიჭოს წიგნის კითხვამ, თუმცა შედეგი რომ შესაშურია, ამაზე არავინ დაობს. აქედან გამომდინარე, საკმაოდ მარტივდება წიგნის კითხვის პრივილეგიებზე საუბარიც, თანაც იმ ფონზე, როცა ზუსტად ვიცით, რომ „ყოველი ნორმალური ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ, ადამიანი ხდება იმაზე უკეთესი, ვიდრე არის“. წიგნის კითხვის ერთ-ერთი დადებითი ეფექტი წარმოსახვისა და აზროვნების განვითარებაა. კითხვის დროს წარმოვიდგენთ საკუთარ თავს პერსონაჟის ადგილზე, ვფიქრობთ, ვაზროვნებთ და ვმსჯელობთ ნაწარმოებში წამოჭრილ საკითხზე. კითხვა, როგორც პროცესი, განმარტოებასთან ასოცირდება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მარტოობასთან, რადგან, როდესაც კითხულობ, პერსონაჟები შენს ცხოვრებაში შემოდიან და ავსებენ მას. ყოველი ახალი წიგნის წაკითხვის დროს ადამიანს შეუძლია, აღმოაჩინოს, რომ ამ წიგნის გარეშე ჩვენი შეხედულება ცხოვრებისეულ ნებისმიერ ფასეულობებზე პრიმიტიული ყოფილა, „უწიგნოდ ხომ თვალთახედვის ისარი მოკლეა“. თუ გვინდა, ცივილიზებული სამყაროს სრულუფლებიანი მოქალაქეები გავხდეთ და კულტურულ ადამიანებად ჩამოვყალიბდეთ, აუცილებელია, გავეცნოთ სხვადასხვა შემოქმედების ნაწარმოებებს. როცა ნამდვილი მკითხველი ხდები, დიდი ბედნიერებაა. როცა ნელ-ნელა აცნობიერებ, რომ ამა თუ იმ ნაწარმოებზე საკუთარი შეხედულებები გიჩნდება, აღარ გეშინია გამოთქვა შენი კრიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი შეიძლება მსოფლიოს მიერ იყოს აღიარებული. ცოტა ხანში კი თავისუფალ აზროვნებასაც ეჩვევი. მკითხველად ყოფნაც ხომ ასე სასიამოვნოა. „იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია, მკითხველი – ეს სწორედ ისაა, ვისაც შეგიძლია ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის იწვე და სულაც არ იყო ზედმეტი“.**

ზოგადად, ახალგაზრდები და წიგნები ის თემაა, რომელზეც საკმაოდ ბევრს საუბრობდნენ ადრეც და საუბრობენ დღესაც. საერთოდ, მიჩნეულია, რომ ყოველი ახალი თაობა უფრო ნაკლებად კითხულობს წიგნებს, რადგან მეტ დროს სხვა აქტივობებს უთმობს, ისეთებს როგორიცაა სპორტი, კომპიუტერი და ა.შ. თანამედროვე მკითხველთა რაოდენობა დღეს არცთუ ისე დიდია. ქართველი ახალგაზრდები ან საერთოდ არ კითხულობენ წიგნებს, ან კითხულობენ მხოლოდ იმიტომ, რომ თავი მოიწონონ, ზოგს არც აინტერესებს, მაგრამ რაღაც იმიჯისა და „დონის“ შესაქმნელად ცდილობს, თანამედროვე მწერლების შემოქმედებას მაინც გაეცნოს. ერთმანეთს წიგნებს სხვების დასანახად დიდი მონდომებით უცვლიან და ასე შემდეგ (თუმცა ეს კარგია, იქნებ ასე მაინც შეგვიყვარდეს კითხვა). სწორედაც, ზოგი ადამიანი მხოლოდ ერთი აკვიატებული სურვილის დასაკმაყოფილებლად კითხულობს, შეიქმნას სხვათა თვალში გემოვნებიანი მკითხველის იმიჯი. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დიდ სირცხვილად მიაჩნია იმის აღიარება, რომ სულაც არ ეჭაშნიკება ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვა. ესირცხვილებათ და იქნებ ასე სჯობდეს კიდეც. საბედნიეროდ, არსებობენ ისეთებიც, რომლებსაც წიგნის კითხვას არაფერი ურჩევნიათ, ისინი კითხულობენ იმისთვის, რათა ამაღლდნენ საკუთარ ცხოვრებაზე და ჩასწვდნენ სხვისას. ლიტერატურაში ყოველი წვრილმანიც ხომ ნამდვილი მკითხველისთვის აშკარა და ნათელი ხდება.





**სოფო პეტროვა (20 წლის, სტუდენტი):**

– წიგნის კითხვა ჩემთვის გართობის, განტვირთვისა და დროის სასიამოვნოდ გატარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მიმაჩნია, რომ წიგნი ადამიანს გონებრივად და სულიერად ზრდის, უვითარებს აზროვნებასა და თვალსაწიერს. მე პირადად სწორედ წიგნი მაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიმოგზაურო წარმოსახვით სამყაროში, შემიყვარდეს, ვიბრძოლო, გავიცნო სხვადასხვა საუკუნისა თუ სოციალური ფენის წარმომადგენლები, საშუალება მეძლევა, შევიგრძნო ის ემოციები, რომელიც შეიძლება რეალურ ცხოვრებაში სიცოცხლის ბოლომდე ვერ განვიცადო. აი, მაგალითად, ბოლო დროს წაკითხული წიგნებიდან გამოვყოფდი ჯორჯ ორუელის „ქვემოთ და გარეთ პარიზში და ლონდონში“, ამ ნაწარმოების საშუალებით გავიცანი უკიდურესად გაჭირვებული, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, რამაც დამაფიქრა იმაზე, რას ნიშნავს, იყო უკიდურესად გაჭირვებული, დავფიქრდი ავტორის მოსაზრებაზე, რომ გაჭირვება ყველაზე კარგად გაცნობს საკუთარ თავს. სხვადასხვა ჟანრის წიგნებს ვკითხულობ, ასე კონკრეტულად ერთის გამოყოფა არ შემიძლია. გააჩნია ჩემს განწყობას, ჩემთვის ნაწარმოების არჩევა ბევრ რამეზეა დამოკიდებული, თუნდაც იმ ადგილზე, სადაც ამ წიგნის წაკითხვა მომიწევს. მაგალითად, ვცდილობ, ზღვაზე წასაკითხად რაიმე მარტივი, სასიამოვნო წიგნი შევარჩიო, რომელიც გარემოსა და განწყობას შეესაბამება. ჩემთვის მთავარია, წიგნის კითხვის დროს ვიგრძნო მასში აღწერილი ისტორია ემოციურად, მეც განვიცადო, გამიხარდეს, შემებრალოს და მეც გავბრაზდე, მოქმედ პერსონაჟებთან ერთად, ბულგაკოვის „ძაღლის გულის“ წაკითხვის შემდეგ, ალბათ, ერთი კვირა დავდიოდი გაბრაზებული და ვფიქრობდი, არასოდეს დავმსგავსებოდი ამ ნაწარმოებში არსებულ ნეგატიურ პერსონაჟებს. თუ წიგნის წაკითხვის დროს ემოცია არ გამიჩნდა, ძალიან მიჭირს მისი წაკითხვა. ზოგიერთ წიგნში არის წამოჭრილი ისეთი საკითხები, რომელიც ამჟამად ჩემს ემოციებთან არაა ახლოს. აი, მაგალითად, ძალიან არ მომეწონა ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელი“, თუმცა თავად მწერალიც აღნიშნავს, რომ ეს წიგნი არ არის განკუთვნილი ახალგაზრდა მკითხველისთვის. ასე რომ, ვაპირებ, ასაკის მატებასთან ერთად, კიდევ ერთხელ წავიკითხო. საბოლოოდ კი ჩემთვის კარგი წიგნის განმარტება პირდაპირ შეესაბამება ჯერომ სელინჯერის ერთ-ერთი პერსონაჟის მოსაზრებას, როდესაც ის ამბობს, რომ „კარგი წიგნი არის ის, რომლის დამთავრების შემდეგაც გვიჩნდება სურვილი, დავურეკოთ ავტორს ნებისმიერ დროს და ვესაუბროთ მას, როგორც ჩვენს მეგობარს“. სამწუხ-









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ედროვე ახალგაზრდები?







**„წიგნებთან ურთიერთობა სიყმაწვილეს კვებავს, სიბერეს ამხიარულებს, ბედნიერებას ამშვენებს, ხოლო უბედურებაში თავშესაფარსა და დამშვიდებას იძლევა“**








აროდ, ცხოვრებაში ხშირად ვერ ვხვდები ბევრ საინტერესო, ჭკვიან და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს, თუმცა წიგნების მეშვეობით შეგვიძლია, გავეცნოთ ყველა დროის ყველაზე ჭკვიანი ადამიანების მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და რაც მთავარია, შეგვიძლია, ცხოვრებაში, მაგალითად, გამოვიყენოთ ის, რასაც ვკითხულობთ“.

ასე რომ, საზოგადოების კითხვისადმი დამოკიდებულება მრავალგვარია. უსამართლობაა და თანაც საკმაოდ რთულია, ყველა ერთ ქვაბში მოვხარშოთ. სხვათა შორის, ისევ დაიწყეს ახალგაზრდებმა წიგნის კითხვა, რაღაცნაირად თითქოს მოდაში შემოდის ის, რომ იყო ნაკითხი. მშვენიერია, ვერაფერს იტყვი. თუმცა მიზანი წიგნთან მიმართებაში თითოეული ადამიანისთვის ჯერჯერობით მაინც განსხვავებულია და ეს განსხვავება, სამწუხაროდ, აშკარად შესამჩნევია. ხშირად განიხილება ის საკითხიც, რას კითხულობენ ახალგაზრდები. გავრცელებულია აზრი, თითქოს ისინი წიგნებს მხოლოდ იმის მიხედვით ირჩევენ, რომელიც მათ ინტელექტს გაუსვამს ხაზს. კლასიკური ნაწარმოებების კითხვა კარგ ტონად ითვლება და შესაბამისად, ბევრი ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ თავის მოსაწონებლად კითხულობს მათ. გასაგებია, რომ კითხვა ყველას შეუძლია, მაგრამ გააჩნია, რას, რისთვის და რატომ წაიკითხავ. სწორი არჩევანის გაკეთება, ალბათ, მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ. მიუხედავად ამისა, ალბათ, მაინც სჯობს, ყველაფერი ეს მოდაში შემოვიდეს, მისასალმებელია, როცა ახალგაზრდობა თავის მოწონებას იწყებს იმით, რა უდევს თავში, და არა იმით, რა აცვია.

**მარიამ პატატიშვილი (სტუდენტი, 21 წლის):**

– გაცვეთილი ფრაზაა, მაგრამ დღესდღეობით წიგნს მართლაც ანაცვლებს კომპიუტერი. უფრო მეტ დროს სწორედ კომპიუტერთან ვატარებთ. ეს აისახება კიდეც, ზოგადად, ჩვენი განათლების დონეზე, მეტყველებს ლექსიკაზეც. ცუდია, როცა ყველა ერთნაირად ვსაუბრობთ. სწორედ აქედან გამომდინარე, როცა გავაცნობიერე, როგორ მივივიწყე წიგნი, ჩემს თავს ერთგვარი წესი დავუწესე, რომ ყოველ საღამოს კომპიუტერისთვის გამოყოფილი დრო კითხვას დავუთმო. სახლში ყოველთვის მელის საინტერესო წიგნი, რაც კითხვის მოტივაციასაც მიჩენს. თუ წიგნი შენთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, ჩაგითრევს და სხვა წიგნს წაგაკითხებს, გაიცნობ იმ კონკრეტული ავტორის შემოქმედებას. ჩემს შემთხვევაშიც მოხდა ასე. ძალიან ბევრი საუბრობდა ფამუქის თოვლზე, წავიკითხე და ახლა ფამუქის შემოქმედებას საკმაოდ კარგად ვიცნობ. თუ მოდას აყოლა წიგნის კითხვის სურვილს გააჩენს, მივესალმები ამ მოდას.

ერთი სიტყვით, წიგნის კითხვას უამრავი დადებითი მხარე აქვს. თუ ჩვენ საუბრისას წარმოვაჩენთ ღრმა ცოდნას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით (რაც წიგნების კითხვის დამსახურებაა), ეს გარშემომყოფებზე აისახება და შედეგს მივიღებთ იმას, რომ საზოგადოება თქვენს მიმართ უფრო მეტ პატივისცემას გამოიჩენს, ნაკითხი და განათლებული ადამიანის იმიჯი კი საბოლოოდ დადებითად აისახება თვითშეფასებაზე. წიგნი თითოეულ ჩვენგანს უფრო შემოქმედებითს ხდის, კრეატიული ადამიანები კი უამრავი შესანიშნავი იდეის გენერატორები არიან და მათ ამ იდეების გარშემომყოფთათვის განაწილება შეუძლიათ. კითხვა აუმჯობესებს კონცენტრაციას, რადგან კითხვის პროცესში აუცილებელია კონცენტრაცია ერთ თემაზე, რადგან ჩვენ ნაწარმოების გაცნობის დროს ყურადღება არ გაგვეფანტოს ყოფით საგნებზე. კონცენტრაცია კი, როგორც მოგეხსენებათ, ნებისმიერი საქმიანობის დროს უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. რაც მთავარია, დაგიცავთ ტვინის ფატალური დაზიანებისგან, ე.წ. ალცჰეიმერის დაავადებისგან. დაავადებულ ადამიანებს ტვინში ინსულინის ნაკლებობა აღენიშნებათ, ამ სნეულებით მსოფლიოს 26 მილიონი ადამიანი იტანჯება. თქვენ კი ამ დაავადებისგან დაზღვეული იქნებით, თუ რეგულარულად წაიკითხავთ წიგნებს, რადგან კითხვის პროცესში, ტვინის მოქმედება იზრდება, ეს კი მასზე დადებითად მოქმედებს. კითხვა ამდიდრებს ჩვენს ლექსიკას და გვათავისუფლებს მოწყენილობისგან. ასევე, თუკი თქვენ სისტემატურად წაიკითხავთ წიგნს ძილის წინ, ორგანიზმი შეეჩვევა ამას და თავად დაარეგულირებს დასაძინებელ დროს. ამრიგად, თქვენ არა მარტო ძილს გაიუმჯობესებთ, არამედ ყოველ დილით უფრო მხნედ და კარგად იგრძნობთ თავს. საბოლოოდ კი ყველას გვახსოვდეს, რომ „ადამიანი კარგი წიგნით ხელში არასოდეს იქნება მარტო“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# წყვილი, რომელსაც სტეფანემ ქიმია დაუწუნა



**ლევან კუბლაშვილი: „ჩვენც დარბაზისკენ გავიხედეთ, ჟიურისაც მივაქციოთ ყურადღება-მეთქი, ვფიქრობდით და საბოლოოდ გადავაჭარბეთ, ერთმანეთი დაგვავიწყდა“**



**ანა ნიქაბაძე: „მე ვთვლი, სტეფანემ სიმართლე თქვა. ის შეგრძნება, რაც მე სცენაზე მქონდა, მთლად კომფორტული არ იყო. მე და ლევანი გვერდიგვერდ არ ვგრძნობდით თავს, ეს, ალბათ, იგრძნობოდა და სტეფანემ დაიჭირა კიდეც“**

**my View**
თამარ გონგაძე

**ანა ნიქაბაძისა და ლევან კუბლაშვილის წყვილს „X ფაქტორში“ ასეთი შეფასებები გაუკეთეს - ორიგინალური გამოსვლა, განსხვავებული სტილი, ტემბრალურად შეწყობილი ხმები და იმიჯი... მართალია, სტეფანემ წყვილს შორის ქიმია ვერ შენიშნა, თუმცა მისი არარსებობის შესახებ არაფერი უთქვამს. ანა და ლევანი არა მხოლოდ სცენიური წყვილი, არამედ ცხოვრებაშიც წყვილი გახლავთ. მეოთხე წელია შეყვარებულები არიან. ჰყავთ ბენდი „Evergreen“-ი, რომლის მეშვეობითაც საკუთარი თავის მხარდასაჭერ კონცერტსაც გამართავენ. წყვილი მართლაც ორიგინალურია, თუნდაც ამ ჟესტით. მეგაშოუში ბრძოლას აპირებენ, თუმცა კონკურენტებს ემეგობრებიან და გულს არც სახლში წასვლა დაწყვეტთ.**

მეოთხე წელია ერთმანეთს უნივერსიტეტიდან იცნობენ. ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტზე სწავლობენ. ერთმანეთი ცოტა შორიდან ვიპოვეთო, ამბობენ.

**ლევანი:** - ანა უბრალო და თავისუფალი ადამიანია, იცის გვერდში დგომა და მივხვდით, რომ ჩვენიანია. იუმორის გრძნობაც მისაღები აქვს და ჩვენსავით თავისუფალი დროც ჰქონდა.

**ანა:** - ქალაქი ენერგიას გაცლის. სამეგობროც ვგრძნობდით ჩატებს და სოციალურ ქსელებს შთანთქმული რომ ვყავდით და როგორც კი ერთი იტყოდა, აბა, წავედით ქალაქგარეთო, მაშინვე ბუნებაში ვაწყობდით გასვლას. მივდიოდით კოჯორში, კიკეთში.

**ლევანი:** - ინტელექტუალური და მოძრავი თამაშები გვქონდა.

ისინი მაინც მუსიკამ დააახლოვა. ლევანს ბენდი ჰყავდა, „Then I'll Die“. ანი რეპეტიციებს ესწრებოდა. ბენდთან მეგობრობდა. ვინაიდან კლავიშზე უკრავს, მეორე ბენდში დაკვრა შესთავაზეს. „Evergreen“-ში უფრო ახლოს და სიღრმისეულად გაიცნეს ერთმანეთი. ბენდს სხვადასხვა პრიზები აქვს აღებული და არა მხოლოდ უნივერსიტეტის ფესტივალებზე.

**- რატომ მოხვედით „X ფაქტორში“?**

**ლევანი:** - არის მომენტები, მიმოიხედავ და მონოტონური ხდება ყველაფერი, რაღაცას მიაღწევ და გზა იკეტება. რატომაც არა, ეს შოუ ახალი შესაძლებლობა და ახალი გზაა. ვოკალური მონაცემები საბაზისო დონეზე, ვფიქრობ, გვაქვს. მეოთხე წელია სცენაზე ვდგავარ და ანაც ავიყოლიე. ხალხი ბევრ რამეს წერს. მათ შორის, თითქოს მე და ანა ერთმანეთს არ ვიცნობდით და ამ პროექტისთვის შეგვაერთეს. ბაძავთ ამერიკის „იქს ფაქტორში“ გამარჯვებულ წყვილსო. ვინც ჩვენს კონცერტებზე ყოფილა, მათ იციან ვინ ვართ რეალურ ცხოვრებაში. ძირითადმა ნაწილმა დადებითად შეაფასა. ბევრმა აღნიშნა, რომ დარბაზში შესრულებული და მოსმენილი სიმღერა ბევრად ეფექტური იყო, ვიდრე ტელევიზორშიო.

**- ქიმია შედგა თუ ვერა თქვენ შორის, როგორ ფიქრობთ?**

**ლევანი:** - სტეფანემ როგორც შეგვაფასა, ქიმია ვერ დავინახეო - მის ნათქვამში სიმართლის მარცვალი იყო.

**ანა:** - მე ვთვლი, სტეფანემ სიმართლე თქვა. ის შეგრძნება, რაც მე სცენაზე მქონდა, მთლად კომფორტული არ იყო. მე და ლევანი გვერდიგვერდ არ ვგრძნობდით თავს, ეს, ალბათ, იგრძნობოდა და სტეფანემ დაიჭირა კიდეც.

**ლევანი:** - ნერვიულობის ფაქტორი გვქონდა. მეცადინეობის დროს ერთმანეთს ვუყურებდით. ორნი ვიყავით. ეკრანიდან ცუდად ჩანს ორი მომღერალი ადამიანი ყურადღებას რომ არ გაქცევს. ჩვენც დარბაზისკენ გავიხედეთ, ჟიურისაც მივაქციოთ ყურადღება-მეთქი, ვფიქრობდით და საბოლოოდ გადავაჭარბეთ, ერთმანეთი დაგვავიწყდა.

**ანა:** - თუ წყვილი გადაგყავს უნდა უთხრა, როგორ გამოასწოროს დაშვებული შეცდომა.

**- რითი იქნებით გასნხვავებული?**

**ლევანი:** - ჩვენ ხომ „X ფაქტორის“ ქიმია და ნამდვილი წყვილი ვართ?!

**- როგორი წყვილი ხართ?**

**ლევანი:** - ჩვენ მეგობრობით დავიწყეთ ურთიერთობა, ეს მეგობრობა არ დაკარგულა.

**ანა:** - ვცდილობთ, გავუფრთხილდეთ და სხვა გრძნობაზე ორიენტირებული არ ვიყოთ. სიყვარულის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა ჩნდება და უნდა მოუარო, ამ დროს მეგობრობა შეიძლება გვერდით დაგრჩეს. სხვანაირი აღქმაა მეგობრობასთან ერთად სიყვარული. ჩვენ მაინც კარგი მეგობრები ვართ.

**ლევანი:** - ჯერ მეგობრები ვართ, მერე შეყვარებულები. თუ ადამიანს ბოლომდე არ იცნობ, სხვანაირად ის ნდობა და გულწრფელი ურთიერთობა არ იქნება, რაღაც კედელი დარჩება. მას ყოველთვის ეყოლება ის მეგობრები, რომელსაც თავის გულისტკივილს მეტად გაუზიარებს, ვიდრე შენ. ეს ცუდია.

**ანა:** - „მე შენ მიყვარხარ“ არ ყოფილა, თუმცა მივხვდით, რომ მეგობრობაზე მეტი მოვიდა, მოკლე დროში გაჩნდა შეკითხვა - რა ხდება ჩვენს თავს?

**ლევბანი:** - მოკლე დროში მოხდა გარდატეხა, ერთ თვეში.

**ანა:** - მორიელები ვართ და წამიკითხავს, თუ წყვილი მორიელი ერთ საკითხში მაინც ეთანხმება ერთმანეთს, იდეალური წყვილიაო.

**- ერთმანეთი დაახასიათეთ.**

**ანა:** - ადამიანია, ამ სიტყვის ადამიანური გაგებით. მზრუნველია და მებრძოლი ხასიათი აქვს. თუკი შეგიყვარა გაგრძნობინებს, რომ შენ გამო თავს გადადებს. თუ უყვარს, ბოლომდე უყვარს.

**ლევანი:** - ანას ღრმა, დიდი და ლამაზი სამყარო აქვს. იცის, რომ მხოლოდ რჩეული ადამიანი უნდა შეიყვანოს და აზიაროს თავის სამყაროს. ეს სამყარო ფერადია. მებრძოლია. თუ გადაწყვიტა წინ უნდა წავიდეს, ბარიერს გადალახავს და მაინც წავა. არტისტულია. მისი მიმიკებიდან ბევრ პერსონაჟს შევქმნიდი, მინიონისებურს. ვგიჟდები მის ნახატებზე.

**- ერთ ჭერქვეშ არ აპირებთ ცხოვრებას?**

**ანა:** - არა, კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი.

**ლევანი:** - მშობლიურ მიწაზე რომ მიდის, ჩემი ტანჯვა მაშინ იწყება.

**ანა:** - მშობლიური მიწა ქუთაისია. იქ რომ ჩავდივარ ვითიშები და იმ სითბოს, რაც ამ ქალაქში მხვდება, ვისრუტავ. ლევანი რომ მირეკავს, არ მესმის. ამაზე გიჟდება.

**ლევანი:** - გვირაბს რომ გასცდება, იკარგება. გაგიჟდები, აბა, რა იქნება.

**ანა:** - იქ სულ სხვა სითბოა.

**ლევანი**: - და ცა არის ახლოს, როგორც ამბობს.

**- რას აპირებთ მეგაშოუში?**

**ანა:** - იქ ოჯახური სიტუაციაა, გული არ დაგწყდება შენ რომ გამოგიშვან და სხვა დატოვონ. იქეთ უგულშემატკივრებ. ამის მიუხედავად, ბუნებრივია, ბრძოლას ვაპირებთ.

**ლევანი:** - ბრძოლა შენი საქმის ბოლომდე გაკეთებაში გამოიხატება და არა სხვისი გადალახვით. დავიხარჯებით. გვინდა ხალხში დადებითი მარცვალი დავტოვოთ.






**ანა: „მე შენ მიყვარხარ“ არ ყოფილა, თუმცა მივხვდით, რომ მეგობრობაზე მეტი მოვიდა, მოკლე დროში გაჩნდა შეკითხვა - რა ხდება ჩვენს თავს?“**





**„ანას ღრმა, დიდი და ლამაზი სამყარო აქვს. იცის, რომ მხოლოდ რჩეული ადამიანი უნდა შეიყვანოს და აზიაროს თავისი სამყარო. ეს სამყარო ფერადია. მებრძოლია“**

**ლევანი: „ხალხი ბევრ რამეს წერს. მათ შორის, თითქოს მე და ანა ერთმანეთს არ ვიცნობდით და ამ პროექტისთვის შეგვაერთეს“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „X ფაქტორისთვის“ „ნაჭუჭიდან გამოსული“ ცია ლაბაძე თავის პრობლემებზე გვიყვება




„პრობლემაა ის, რომ დედას ფეხზე ოპერაცია აქვს გასაკეთებელი და ამისთვის ფული არ გვაქვს. ბავშვობიდან ჩემი ოცნება იყო დედასთვის ვენების ოპერაცია გამეკეთებინა. მაჟრიალებს, როდესაც კაბას აიწევს და მის ფეხზე მდინარეების რუკასავით ზის ვენები. იმედია, მომავალში ყველაფერი კარგად იქნება“

**my View**

თამარ გონგაძე

**ცია ლაბაძე თავისი განსხვავებული სტილის გამო „X ფაქტორის“ სცენაზე ბევრს დაამახსოვრდა. მარტოსული, მორიდებული, უჩვეულო გოგონას შთაბეჭდილება დატოვა. ტკბილად იმღერა, ჟიური მოხიბლა და ახლაც პროექტშია. შოუს ეთერში გასვლის მეორე დღეს სულ სხვანაირმა ციამ გაიღვიძა. ხალხის უანგარო სიყვარულმა აავსო. ბედნიერია. სამი წელია თბილისში ცხოვრობს. 21 წლის ცია წარმოშობით ზესტაფონიდან არის. ცხოვრობს კატა ტეოსთან ერთად. სწავლობს უცხო ენების განხრით და ჟურნალისტიკაზე, ბაკალავრია. ცია, გამოცოცხლდი, შენნაირი მორიელი არ გვინახავსო, ეუბნებიან. შოუს სიუჟეტში მიწისქვეშა გადასასვლელში მჯდომ ბანანის გამყიდველ კაცზე თქვა, ჩემი ყოველდღიურობაა და როცა არ მხვდება, ის დღე სხვანაირიაო. ციამ ჩვენთან აღიარა, რომ ამ სიუჟეტის გადაღებისას იმ კაცთან დაეძაბა ურთიერთობა, არ გადამიღოთო უთქვამს, მაგრამ... „ახლა ისე ჩავუვლი, რომ არ შემამჩნიოს, ჩუმად. უნებურად ასე ვაწყენინე. არ მინდა ადამიანებს ვაწყენინო ხოლმე. ამ კაცის თვალები ყოველდღიური ტრადიცია იყო ჩემთვის, ჯერ ზევით აწეული, მერე ქვევით დახრილი. დღე ასე იწყებოდა. მერე „ფეისბუქზე“ დაწერეს, ეს გოგო იმიტომ არის განსხვავებული, ბანანის გამყიდველ კაცს რომ ჩაუვლისო? მინდოდა ყველასთვის მეპასუხა - პოზიტივზეც და ნეგატივზეც. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ბევრნი არიან. ამიტომ ჩუმად ვიქნები“.**

ციას გამოსვლის დროს გიორგი გაბუნიამ თამთა გოდუაძეს გადაულაპარაკა, თავს უხერხულად გრძნობს სცენაზეო. ამბობს, რომ ისეთი იყო, როგორიც არის. თან ამ გამოსვლას სიურპრიზად მისი საყვარელი ადამიანი ესწრებოდა. ცია თავის თავზე გვიყვება...

**ცია ლაბაძე:** - ყოველთვის ჩემთვის ვმღეროდი. გადავწყვიტე ნაჭუჭიდან გამოსვლა. ოცნება მქონდა, ოდესმე სცენაზე მემღერა. მინდოდა მთელი ერთი დღე გამეფერადებინა. შემდეგ ტურში რომც არ გადავსულიყავი, ეს დღე ჩემთვის მაინც ფერადი იქნებოდა, იმიტომ, რომ მე ვიმღერე. თავიდან ის დღე იყო ლურჯი, მერე გაწითლდა. მივხვდი, რომ კარგად უნდა მემღერა. ჩემი თავი ისეთად წარმოვაჩინე, როგორიც ვარ სინამდვილეში.

**- როგორი ხარ სინამდვილეში?**

- ძალიან ჩვეულებრივი, ძალიან უბრალო.

**- მგონია, შენს ნაჭუჭში ცოტას თუ უშვებ.**

- ჩემი ნაჭუჭი ძალიან დიდია და შეიძლება მასში მთელი სამყარო ჩაეტიოს. საზოგადოებაში ვცხოვრობ, მიწევს მასთან ურთიერთობა. მირჩევნია ვიყო ფერადი და მომღიმარი, მაგრამ თავს ბოლომდე არ ვავლენდე. როდესაც ადამიანს ვუახლოვდები, ჩემს შეცვლას ცდილობენ ან უბრალოდ მიდიან.

**- რატომ უნდათ შენი შეცვლა?**

- თავი რომ კომფორტულად იგრძნონ. საზოგადოება რთულად აღიარებს ინდივიდის განსხვავებულობას. უნდათ, რომ მათ ჰგავდეს ყველა. რთულად აღიქვამს, რომ ვინმე მისგან განსხვავებულია. ყველა უნდა ცდილობდეს, რომ ყველაზე მეტად საკუთარ თავს ჰგავდეს.

**- დედაქალაქმა როგორ შეგცვალა?**

- დედაქალაქს არ შევუცვლივარ, მე ასეთი ვიყავი. სხვებზე მეტად საკუთარი თავი გამაცნო. არ მიყვარს, როდესაც ადამიანებზე ვარ დამოკიდებული. საკუთარი თავი მყავს ყველაზე დიდი დოზით.



„ყოველთვის ჩემთვის ვმღეროდი. გადავწყვიტე ნაჭუჭიდან გამოსვლა. ოცნება მქონდა, ოდესმე სცენაზე მემღერა. მინდოდა მთელი ერთი დღე გამეფერადებინა. შემდეგ ტურში რომც არ გადავსულიყავი, ეს დღე ჩემთვის მაინც ფერადი იქნებოდა“





**- მგონია ხატავ.**

- ჩემთვის ვხატავ და ვწერ ლექსებს. ზესტაფონში დაიბეჭდა ჩემი ლექსები. პოეზიის საღამო მქონდა. ძალიან ბედნიერი ვიყავი. ის გავაკეთე, რაც მიყვარს. „განათლება და პოეზია რეგიონებში“ - ამ პროგრამით ხაშურში ვიყავით. თბილი ბავშვები დამხვდნენ სკოლაში, ავტოგრაფი აიღეს, თავი კომფორტულად ვიგრძენი. ძალიან მაგარია, როდესაც ადამიანს თავისი პოზიტივის გამოხატვა შეუძლია, თუნდაც ორი სიტყვით.

**- როდის წერ ლექსებს?**

- როცა რაღაცას ვუღრმავდები. მაგალითად, როდესაც მოხუცი კაცი თავის მოხუც ცოლს ხელს ხვევს, გაჟრიალებს და ყველაფერი იწყება შიგნით, ქვევიდან თუ ზევიდან. ეს იმ წუთასვე უნდა დააფიქსირო, თორემ სხვა დროს სულ სხვანაირი ხარ. ვერ დაბრუნდები, შენი თავიც სხვა ხდება. როდესაც წინ მიდიხარ, იმ ემოციებს უკან იტოვებ. ლექსი უმჯობესია ნამდვილი იყოს, ვიდრე შესწორებული, გადადღაბნილი. მე აწმყო ვარ და ახლაზე ვწერ. მაგრამ არსებობს წარსულში რაღაც, რაც არასდროს იცვლება.

**- როდის ხატავ?**

- სახლში მარტო ყოფნისას. ძალიან მინდა შიშველმა ვხატო ბუნებაში, ან მხოლოდ წელზემოთ შიშველმა. ან დიდ ფანჯრებიან სახლში ვხატო. ვიქნებოდი უზომოდ ბედნიერი. სამწუხაროდ, როდესაც ფინანსურად დამოუკიდებელი არ ხარ, ამაზე ოცნება ზედმეტია.

**- შიშველმა რატომ?**

- ტანსაცმელი გვზღუდავს. არ მიყვარს ტანსაცმლით ადამიანებზე მსჯელობა. მე სულ დედას ტანსაცმელი მაცვია. ის მაცვია, რაც ტანს ფარავს ან რაც მაქვს. ზოგიერთი ტანსაცმელი ან ნივთები ადამიანზე მეტად მიყვარს და მეძვირფასება. მიყვარს ბებოს გულსაბნევი, მთვარის ქვაა, კონცერტზე მეკეთა, იღბლიანია.

**- მეგობრები გყავს?**

- მართალია არ მწყინდება საკუთარ თავთან, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი, რომელიც მოდის ჩემთან, ახლოს ვუშვებ. არ მინდა გული ვატკინო. მაგრამ ჩემთვის უცხოა, როცა გიჩემებენ - ჩემი ხარო. მირჩევნია, ყველაფერში უკონფლიქტო ვიყო.

**- შეყვარებული გყავს?**

- არ ვიცი, მყავს თუ არა. ოთხი წელია ამას ვარკვევ. იმაზეა დამოკიდებული ჩემი ყველა დღის განწყობა. ის მიყურებს, მაგრამ ვერ მხედავს, თუმცა ამბობს, რომ ვუყვარვარ. რაღაც სხვა მინდა. ისიც სხვანაირია. ჩვენ მაგნიტის ის ბოლოები ვართ, რომლებიც განიზიდებიან. პარალელები, რომლებიც არასდროს იკვეთებიან. დავრბივართ ვერცხლისწყალივით. ჩემზე ორი წლით უმცროსია და, ალბათ, ამიტომაც ავცდით, ხელს ყველაფერი გვიშლის.

**- ფილარმონიაში მოგაკითხა?**

- დიდი ხნის დუმილის შემდეგ ის სიურპრიზად მოვიდა და დარბაზში იყო. მე არ ვიცოდი, რომ ჩემი სიმღერის ადრესატი თურმე დარბაზში იყო. სიმღერა რომ დავამთავრე მოვიდა და ჩამეხუტა...

**- სიყვარული რა არის?**

- სიყვარული დროზე მეტია. რა არის, არ ვიცი, სამაგიეროდ ვიცი, რა არ უნდა იყოს - შეჩვევა არ უნდა იყოს. არ უნდა ფიქრობდე, რომ იცნობ. ყოველთვის რაღაც ახალი უნდა იყოს, რაც შიგნით პეპლებს გიჩენს. სიყვარული მუდმივობაა. თუ აღარ გიყვარს, ესე იგი არასდროს გყვარებია.

**- რატომ მიხვედი „X ფაქტორში“?**

- მინდოდა ახალი ეტაპი დაწყებულიყო. ყველა დღე ახალი სიცოცხლეა, წამი არ ბრუნდება. მე ისევ ისეთი ვარ, ისევ მეტროთი ვივლი. როცა ჩემთან გამოსვლას უყურებდნენ, მე აბაზანაში ჩავიკეტე და ყურებზე ხელები ავიფარე.

**- შენი იმიჯი შენ ხარ?**

- ეს სურათების გამო არ არის. ეს მე ვარ, ასეთი ვარ.

**- დედას ტანსაცმელი რატომ გაცვია?**

- სკოლაში სწავლისას არ მქონდა ბევრი ტანსაცმელი და დედა თავისას მაცმევდა. ამის გამო დამცინოდნენ, მაგრამ მერე რა, ეს მე ვიყავი. მერე მქონდა ბევრი ტანსაცმელი. დედა რომ ძალიან მენატრებოდა მის ტანსაცმელს ვიცვამდი. ჩემი ოჯახის წევრების სამოსი მაქვს წამოღებული. ბაბუა რომ მენატრება მისი გაურეცხავი „საროჩკა“ მაქვს და ვიცვამ და მისი სუნი აქვს... ასე ვიქცევი მამას, ბებიას შემთხვევაშიც.

**- ბედნიერება რა არის?**

- რა არის არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ყველაფერშია ბედნიერება. შემიძლია ბედნიერი წუთების გაგრძელება. ბევრი დღე რომ იყოს ბედნიერი. სულ შეგიძლია იყო ბედნიერი, მთავარია, შენი თავი მართო და შენ თავს ეკუთვნოდე.

**- ხარ ახლა ბედნიერი?**

- მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები არსებობს, ბედნიერი ვარ. პრობლემაა ის, რომ დედას ფეხზე ოპერაცია აქვს გასაკეთებელი და ამისთვის ფული არ გვაქვს. ბავშვობიდან ჩემი ოცნება იყო დედასთვის ვენების ოპერაცია გამეკეთებინა. მაჟრიალებს, როდესაც კაბას აიწევს და მის ფეხზე მდინარეების რუკასავით ზის ვენები. იმედია, მომავალში ყველაფერი კარგად იქნება.



„ძალიან მინდა შიშველმა ვხატო ბუნებაში. ტანსაცმელი გვზღუდავს. არ მიყვარს ტანსაცმელებით ადამიანებზე მსჯელობა. მე სულ დედას ტანსაცმელი მაცვია. ის მაცვია, რაც ტანს ფარავს ან რაც მაქვს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დათო ხახიძე გიგა ლორ

my View



**თამარ გონგაძე**



**დათო ხახიძე: „მაიკო ჰიპერაქტიური, ხალისიანი, ანტიდეპრესანტი ადამიანია. იქვე იყო ჩვენთან და დაძაბულობას გვიქარვებდა. ეს ადამიანი თვალში მომივიდა, მომეწონა და ეს ყველაფერი სიყვარულში დაახლოებით ორ თვეში გადაიზარდა“**

**მაია ლორთქიფანიძე: „მინდოდა, რომ მამა ამ ყველაფრის მომსწრე ყოფილიყო... იმედია, ჩვენთან ახლოსაა და უხარია ჩვენთან ერთად, ამაში დარწმუნებული ვარ“**

# ორი გვარის საბედისწერო გადაკვეთა



**გიგა ლორქიფანიძის ნაბოლარა ქალიშვილმა, მაია ლორთქიფანიძემ და მსახიობმა დათო ხახიძემ იანვარში იქორწინეს. თუმცა მათი ბედი გაცილებით ადრე გადაიკვეთა, ვიდრე 2013 წლის სექტემბერი დადგებოდა. 1967 წელს, რუსთავში, გიგა ლორქიფანიძემ თეატრი რომ ჩამოაყალიბა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა, დათოს მამა, მსახიობი გივი ხახიძე მაშინვე აიყვანა დასში. „მამა მეგობარს მიჰყვა ქასთინგზე თეატრში. მერე აღმოჩნდა, რომ ბატონმა გიგამ მამა მიიღო და დატოვა“, - იხსენებს დათო. „ბევრი ფოტო აღმოვაჩინეთ, სადაც მამა და გივი ხახიძე ერთად არიან გადაღებული. „სპექტაკლებში, რომლებიც რუსთავში იდგმებოდა, გიგა დათოს მამას ათამაშებდა, ფილმებში იღებდა“, - ამბობს მაია. ამდენად, ურთიერთობა მეოცე საუკუნის 60-აინ წლებში ჯერ მამებმა დაიწყეს, ხოლო 21 საუკუნეში მათმა შვილებმა ბედი ერთმანეთს დაუკავშირეს. ყველაფერი ხომ ზევით წყდება. ჩვენ რომ „შემთხვევითობა“ გვგონია, ეს დიდი დრამატურგიის ნაწილია, ჩვენ უბრალოდ ჩვენს როლებს ვასრულებთ.**

**დათო ხახიძე:** - შეიძლება ითქვას, ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ დაიგეგმა.

**მაია ლორთქიფანიძე:** - ჩემი და - ნინო დათოს თანამშრომელი და კოლეგაა, მეგობრები არიან. დათოს ნანაც იცნობდა. ყველაზე ბოლოს მე გავიცანი.

**გაცნობა**

დათო ხახიძეს კარგად იცნობს „ჩემი ცოლის დაქალების“ მაყურებელი. ის ზვიადის როლს ასრულებს, ნატაშკას ქმრის მეგობრის, რომელიც ნატაშკას სანდრექსასთან ურთიერთობას უკრძალავს და ახლახან სამსახური დააწყებინა. დათო რუსთაველია. თეატრალური უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ რუსთავის თეატრში რომ მივიდა, 2013 წლის ოქტომბრამდე იმუშავა. მეთოთხმეტე წელია მოზარდმაყურებელთა თეატრის დასის მსახიობია. რუსთავის თეატრი დეკემბრიდან გიგა ლორთქიფანიძის სახელს ატარებს. თეატრის წინ მისი ვარსკვლავი გაიხსნა. მაია რეჟისორის მესამე ქალიშვილია. ის ოჯახში ერთადერთია, რომელიც მსახიობი არ გახდა, ისიც მამის დაჟინებული მოთხოვნით. ამას ნანობს. ეს ფაქტი ძალიან უნანია ბატონ გიგასაც. მაიას მეგობრები მის იუმორის ნიჭს ხაზგასმით გამოყოფენ. ამას მაესტროც ამჩნევდა, ბუნებრივია, და მოგვიანებით ამიტომაც ნანობდა მესამე ქალიშვილს მსახიობობა რომ დაუშალა...

დათომ და მაიამ ერთმანეთი 18 სექტემბერს გაიცნეს. მას შემდეგ რიცხვი 18 ძალიან უყვართ. გაცნობა მოზარდმაყურებელთა თეატრში მოხდა.



**მაია ლორთქიფანიძე: „სპექტაკლებში, რომლებიც რუსთავში იდგმებოდა, გიგა დათოს მამას ათამაშებდა, ფილმებში იღებდა“**

**დათო:** - მაიამ დაახლოებით ერთი თვე იმუშავა ჩვენ თეატრში თავის პროექტზე. იმ დროს დათა თავაძემ დადგა „ზამთრის ზღაპარი“ და მსახიობებს წინასაპრემიერო ციებ-ცხელება გვქონდა. მაიკო ჰიპერაქტიური, ხალისიანი, ანტიდეპრესანტი ადამიანია. იქვე იყო ჩვენთან და დაძაბულობას გვიქარვებდა. ეს ადამიანი თვალში მომივიდა, მომეწონა და ეს ყველაფერი სიყვარულში დაახლოებით ორ თვეში გადაიზარდა. იუმორი აქვს, პოზიტიური ადამიანია, ვინც იცნობს, ყველას უყვარს. ჩემი გულის მოგება არ გასჭირვებია. ინიციატივა, რა თქმა უნდა, ჩემგან წამოვიდა. მივხვდი, რომ ამ ადამიანთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანების ურთიერთობაში.

**მაია:** - დათო პირველად აპრილში „ირინეს ბედნიერებაში“ ვნახე და ვიკითხე, ვინ არის ეს მსახიობი-მეთქი. მითხრეს და იქ დამთავრდა ყველაფერი. მერე სექტემბერში გავიცანით ერთმანეთი. მივხვდი, რომ მოვწონდი. თუმცა მაქსიმალურად ცდილობდა არ შეტყობოდა, მაგრამ მე მაინც ვატყობდი.

**დათო:** - ადამიანების ამოცნობის ექსპერტია.

**მაია:** - ყველაფერი კარგი მალე ვითარდება და ძალიან მალე დავქორწინდით, იანვარში უკვე ერთად ვცხოვრობდით.

დათო: - ჩვენ ასაკში ადამიანები, წესით, მალევე უნდა მიხვდნენ - რა უნდათ და რა - არა.

**მაია:** - ტოლები ვართ. დათო 41 წლის მარტში გახდა, მე მაისში გავხდები.

**სპონტანური ქორწილი**

იანვარში ერთ ჭერქვეშ დაიწყეს ცხოვრება. ხელის თხოვნა, ტრადიციისამებრ, ოჯახში შედგა. დათო ქეთევან კიკნაძესთნ მივიდა და ქალიშვილის ხელი სთხოვა. მსახიობი ღიმილით იხსენებს ამ ფაქტს.

**დათო:** - თუ უარს არ მეტყვით, ბედნიერი ვიქნები-მეთქი, ქალბატონ ქეთევანს ვუთხარი.

**მაია:** - დედა გაცილებით ადრე იცნობდა დათოს, როგორც მსახიობს. გული აუჩუყდა, ცრემლები გადმოყარა.

**დათო:** - თბილად მიმიღო და მითხრა, მოუარე ჩემს შვილს, ძალიან მინდა შენთან ერთად ბედნიერი იყოსო.

დათომ მეგობრებთან ერთად მაიას სიურპრიზი მოუწყო და 2 თებერვალს თავი ძალიან მოულოდნელად საკუთარ ქორწილში ამოაყოფინა, მამაპაპურში, ხანჯლებით და თამადებით.

**დათო:** - მთელი დღე ვატყუე, ხან რა მოვიგონე, ხან რა, რომ რესტორანში მიმეტყუებინა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მეც არ ვიცოდი ბოლომდე მეგობრები რას აპირებდნენ. რესტორან „ბოჰემაში“ მივედი და ერთი ამბავი დაგვხვდა.

**მაია:** - ძალიან ორიგინალური, ხალისიანი ქორწილი გამოვიდა. შესასვლელში მეგობრები ხანჯლებით დაგვხდნენ. მე მოუმზადებელი, შავი, ჩვეულებრივი კაბით ვიყავი, არაფერი ვიცოდი.

**დათო:** - შევხვდი და მეგობართან წავიყვანე სტუმრად და თავი საკუთარ ქორწილში ამოყო.

**მაია:** - ყვავილებისგან გაკეთებული გვირგვინი დამახვედრეს. ხანჯლების თავში მეგობარი მამაო დაგვხვდა, რომელსაც ეს გვირგვინი ეჭირა ხელში და დამახურა თავზე. იყო ქართული დიმპიტაური და ცეკვა-თამაში. ფოტოებზე ნახავთ მიტკლის ფერი მადევს გაოცებისგან. დათოსაც ეგონა 15 კაცი ხვდებოდა რესტორანში. კარი გაიღო და 100 კაცი დაგვხვდა.

**დათო:** - კონსპირაციულად გაკეთდა ყველაფერი, მეც ვერ წარმომედგინა ასეთი მასშტაბის ქორწილი თუ გამოვიდოდა. თამადა დათო გომართელი იყო.

**მაია:** - მინდოდა, რომ მამა ამ ყველაფრის მომსწრე ყოფილიყო... იმედია, ჩვენთან ახლოსაა და უხარია ჩვენთან ერთად, ამაში დარწმუნებული ვარ.

**- იცნობდით ბატონ გიგას?**

**დათო:** - რა თქმა უნდა, თეატრალური ინსტიტუტიდან, იმ დროს რექტორი იყო. პრემიერებს თბილად გვილოცავდა.

**სიყვარული 40 წლის ასაკში**

**- ამ ასაკში სიყვარული როგორია?**

**მაია:** - მეგობარი მეუბნებოდა, ამბობენ და წაკითხულიც მაქვს, 40 წლის მერე სიყვარულს სხვა გემო აქვსო და მართალიაო? მართალია, აბსოლუტური სიმართლეა-მეთქი. სხვა რამ ყოფილა ამ ასაკში სიყვარული. სიგიჟეა...

**დათო:** - სრული სიგიჟეა, უხვი გრძნობებით სავსე. ამ ასაკში ხასიათიდან და ყოველივე საერთო თვისებებიდან გამომდინარე მოდის სიყვარული. საერთო თვისებები ბევრად ხალისიანს და სისხლსავსეს ხდის ცხოვრებას.

**მაია: -** ამ სიყვარულის გარდა ერთ დიდ სიყვარულს ვატარებთ - ეს სამსახიობო ხელოვნებისადმი სიყვარულია. მე ლორთქიფანიძეების ოჯახში ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელიც ამ პროფესიას არ გაჰყვა და მსახიობი არ გახდა. მამა ამის წინააღმდეგი იყო და არაფ-



ნინისთან ერთად



გივიკო და გიგა



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თქიფშანიძის სიძე გახდა



## „სხვა რამ ყოფილა ჩვენ ასაკში სიყვარული. სიგიჟეა...“







რით თეატრალურ უნივერსიტეტში არ ჩამაბარებინა. მე თუ გადამაბიჯებ კარებს იქით, მაშინ ჩააბარეო. მერე მეც ვინანე და მამამაც ინანა, რომ არ ჩავაბარე სამსახიობო ფაკულტეტზე. დიდი შეცდომა დავუშვიო, ამბობდა. მერე ეტყობა რეჟისორის თვალით შემომხედა და ამიტომაც ნანობდა. დავამთავრე დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. ექვსი წლისამ სპექტაკლ „რეფორმატორში“ ვითამაშე. ამით ამოიწურა ჩემი სამსახიობო „კარიერა“. კულისებს მიღმა გავიზარდე. ვიცი ამ ყველაფრის ფასი. ამიტომ ვცდილობ დათოს ხელი შევუწყო თავის საქმიანობაში. ვიცი, ამ საქმეში რამხელა შრომა დევს. შევეცდები ხელი შევუწყო, რომ რეალიზებული მსახიობი იყოს. არტისტებმა თავისი პროფესიის ფანტასტიკური სიყვარული იციან. შედიან სამყაროში, საიდანაც 72 საათი შეიძლება ვერ გამოვიდნენ. მაგრამ ამაზე არ წუწუნებენ. შედეგს გულის ფანცქალით ელოდებიან, რომლისთვისაც არც ძალა და არც ენერგია არ ენანებათ. გამოვა სპექტაკლი და იმ მხურვალე ტაშს ან მიიღებენ, ან - ვერა. ვღიზიანდები ტაშს რომ არ უკრავს მაყურებელი. ხელებს ვიტყავებ ტაშის დაკვრის დროს, პირველი ტაშიდან ბოლომდე, ფეხზე მდგომი. მსახიობი ასე ფასდება.

**დათო:** - მსახიობობა ცხოვრების წესია. რეალობას მოწყვეტილი ხარ, სხვა ვნებები გაქვს. სულ პერსონაჟებზე ფიქრობ, ალაგებ... ამიტომ გვერდით მაიკოსნაირი ადამიანის ყოფნა ჩემთვის დიდი კომფორტია. შუაღამეს მოსულა გადაღებაზე დამლოდებია, წამოვუყვანივარ. ეს ყველაფერი ადამიანს ბედნიერს გხდის და გსიამოვნებს. ეს სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა კონფლიქტის საგანი ყოფილიყო. მაია არის ობიექტური შემფასებელი და ზუსტი დიაგნოზების დასმა იცის. ესეც მამშვიდებს, თავისებურად მეხმარება. ჩვენი შეხედულებები აქაც ემთხვევა და არ ვეწინააღმდეგები.

**- სად მოგწონთ დათო, რომელ როლში?**

- ყველგან, მაგრამ „ზამთრის ზღაპარში“ განსაკუთრებულად. მთავარი როლის შემსრულებელია და დიდი დატვირთვა აქვს.

**- ეგ პერსონაჟი ეჭვიანია, ცხოვრებაში ხართ ეჭვიანი?**

დათო: - ადამიანურად. რაც გიყვარს, იმის მიმართ ყოველთვის ეჭვიანობ. საქმის მიმართაც ასეა. დასაბამიდან ასეა კაცობრიობა. შექსპირი ადამიანს ძალიან კარგად იცნობს, იქ რაც ხდება, ნებისმიერს შეიძლება გადახდეს თავს.





**მაია:** „ყვავილებისგან გაკეთებული გვირგვინი დამახვედრეს. ხანჯლების თავში მეგობარი მამაო დაგვხვდა, რომელსაც ეს გვირგვინი ეჭირა ხელში და დამახურა თავზე. იყო ქართული დიმპიტაური და ცეკვა-თამაში. ფოტოებზე ნახავთ მიტკლის ფერი მადევს გაოცებისგან“



### ზვიადი

**- სერიალის ზვიადზე რას იტყვით?**

**დათო:** - სერიალის გმირი მაშინ დაიბადა, როცა მე და მაიამ ერთმანეთი გავიცანით. წინასაპრემიერო შფოთვები მქონდა, როდესაც ეკა მჟავანაძემ დამირეკა - მოდი ერთი როლის ქასთინგზეო. ვნერვიულობ და თეატრს ვერ ვწყდები-მეთქი, ვუთხარი. მაიკომ რომ გაიგო, მირჩია, როგორმე მოახერხე გადაღებაზე მისვლაო. მართლა გამოვძებნე დრო. ასე დაიწყო ახალი ეტაპი.

**- სამი როლი თეატრში, სერიალი, პირადი... კარგი პერიოდი გიდგათ.**

**დათო:** - სექტემბრიდან რაღაც მართლა შეიცვალა.

**მაია:** - სერიალზე ძალიან ვნერვიულობდი. ოთხ სეზონს უყურებს მაყურებელი და უცებ ახალი პერსონაჟი ჩნდება, ძნელია თავი დაიმკვიდრო. თავი ჩამოაყალიბა გმირმა და ნელ-ნელა დავწყნარდი.

**- გავხართ ერთმანეთს სერიალის მეგობრები, თქვენ და მახო აბულაძე.**

**მაია:** - ნატაშკაც ეუბნება ზვიადს, ასე ერთნაირებმა სად იპოვეთ ერთმანეთიო.

**დათო:** - მახო არაჩვეულებრივი მსახიობი და ადამიანია.

**- თქვენთვის მისაღები ტიპაჟია ზვიადი?**

- რა თქმა უნდა, მისაღებია. ბავშვობის მეგობრისთვის რაც შეგიძლია, ყველაფერს გააკეთებ. უცხო ამბავი სცენარისტებს არ მოუყოლიათ.

**მაია:** - დათო რომელ სერიაშიც თამაშობს, ოთხჯერ ვახვევ, ვაჩერებ და ვუყურებ. ჩემი შვილები მაშაყირებენ. დათოც ჩემი ნახვის მერე ნახულობს.

**- თქვენ რას საქმიანობთ?**

**მაია:** - ჩემი საქმიანობა მაქვს, პატარა ბიზნესი.





### შვილები

მაიას პირველი ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავს - 17 წლის ნინა და 10 წლის გიგა ლორთქიფანიძე-კვაჭანტირაძე. დათოს შვილი კი 7 წლის გივიკო ხახიძეა. გიგას სეხნია ბაბუის კვალზე წასვლა და რეჟისორობა უნდა, იღებს და ამონტაჟებსო, ამბობს დათო. ნინო მღერის, თუმცა ჯერ საჯაროდ გამოჩენის სურვილი არ ჰქონია.

**მაია:** - ჩვენ უფრო ვინერვიულეთ ჩვენ შესახებ რომ გვეთქვა შვილებისთვის, ვიდრე მათ. ნელ-ნელა შევაპარეთ და ისინიც დამეგობრდნენ.

**დათო:** - ერთად არიან და ურთიერთობებს აშენებენ.

### სიყვარული და ბედისწერა

**- როგორი აღმოჩნდა ერთ ჭერქვეშ ცხოვრება?**

**დათო:** - ერთ ჭერქვეშ ცხოვრებისას მეტ ვალდებულებებს იღებენ ადამიანები.

**მაია:** - ეს ვალდებულებები სასიამოვნოა. ერთი ინტერესი გვაქვს, ერთი სიყვარული.

**- სიყვარული რა არის?**

**დათო:** - ერთად ყოფნის აუცილებლობა. ძალიან ბევრი სიხარული და ძალიან ბევრი სითბოა.

**- ეს ყველაფერი, თქვენი ერთად შეყრა ბედისწერაა?**

**დათო:** - მე მაინც მგონია, რომ ბედისწერაა. შეგიძლია შემთხვევითობა დაარქვა, შეგიძლია - ბედისწერა. ეს ცხოვრება სიმბოლოებითაა სავსე. როცა ცხადდება, მერე ამჩნევ ამ ყველაფერს. მერე იქცევა ეს ყველაფერი ბედისწერად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი კანდელაკის შვილი საქართველოს ჩემპიონი გახდა



**my View**
თამარ გონგაძე

მოკრივე გიორგი კანდელაკის უფროსი ვაჟი, 15 წლის თარაშ კანდელაკი ზედიზედ მეორე წელია საქართველოს ჩემპიონი გახდა. კრივში პირველი ნომერი და კადეტთა ნაკრების წევრია. ასაკის მიუხედავად უკვე უამრავი მედალი და ჯილდო აქვს დაგროვილი. 75 კილოგრამი და 182 სანტიმეტრია. თვეობით შეკრებებზეა, სპორტით ცხოვრობს. შედეგიც არ აყოვნებს. საქართველოს ჩემპიონატში მოკრივეები 14 წლიდან მონაწილეობენ. შარშან საქართველოს ჩემპიონატი კრივში 60 კილოგრამი წონით კატეგორიაში ახალქალაქში ჩატარდა. თარაშიც პირველად 14 წლის ასაკში გახდა ჩემპიონი. წელს 15-16 წლის ასაკში და 75 კილოგრამი წონით კატეგორიაში იასპარეზა და ისევ პირველ ადგილზე გავიდა. ერთ წელში 15 კილო მამის სურვილით მოიმატა. კვების რაციონი და ცხოვრების რეჟიმი გიორგიმ შეუდგინა. ჩემპიონატი ქუთაისში 26-29 აპრილს ჩატარდა. ფინალში ჩეჩენ მოწინააღმდეგეს შეხვდა, რომელიც თელავის სახელით გამოდიოდა. ამბობს, რომ მამის ქებით განებივრებული არ არის.

**თარაშ კანდელაკი:** - ჩეჩენს დაუნდობლად ვეჩხუბე. ძლიერი მოწინააღმდეგე იყო და ჩემი ასპარეზობით კმაყოფილი ვარ.

**ნინო ყანჩაველი (დედა):** - 8 წლიდან მოყოლებული არ მახსოვს გიორგის ეთქვას, თარაშმა კარგად იჩხუბაო. ნორმალურად - იყო მისი შეფასება. მაგრამ ახლა შეაქო, პირველად მომეწონა თარაშის ბრძოლაო. ამ ჩეჩენს მანამდე ორი ბრძოლა ნოკაუტით აქვს მოგებული. ძალიან ვღელავდი, ასეთ მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას თარაშს ტრავმა არ მიეღო. ლოცვაში ვამბობდი, ჯანმრთელად იყოს-მეთქი. მის გამარჯვებას არ დავეძებდი. რომ გავიგე სამივე რაუნდი კარგი უპირატესობით მოიგო, ბედნიერი ვიყავი.

**თარაში:** - მამაჩემი ძალიან ემოციურია და ნერვიულობდა. მე სულ ვაწყნარებდი, მოვიგებ-მეთქი.

**- გამარჯვებულად რომ გამოცხადდი, რა გითხრა?**

**თარაში:** - კარგი ბიჭი ხარ, კარგია, რომ მიჯერებ, ასე გააგრძელე და მეტს მიაღწევო.

**- შენთვის რას ნიშნავს ასეთი წარმატება?**

- დიდი სტიმულია. 9-15 მაისს ბაქოში ალიევის ტურნირია. 29 მაისს ვარიანში მამას სახელობის ტურნირშიც ვმონაწილეობ. უკრაინაში უკრაინულ ნაკრებთან ერთად შეკრებებზე მივდივართ. სექტემბერში უკრაინაში ევროპის ჩემპიონატი გვექნება.

კრივში მძიმე წონა ფასობს, თარაშმაც ერთ წელში მოიმატა.



**EXCLUSIVE**

## „ვარჯიშის და შეჯიბრის დროს ძალიან მკაცრია, ცხოვრებაში პირიქით, მეგობრულია“





„მინდა ოლიმპიური ჩემპიონი გავხდე, რასაც მამამ ვერ მიაღწია“





დასთან და დედასთან ერთად

## თარაშ კანდელაკი: „მამაჩემი ძალიან ემოციურია და ნერვიულობდა. მე სულ ვაწყნარებდი, მოვიგებ-მეთქი. კარგია, რომ მიჯერებ, ასე გააგრძელე და მეტს მიაღწევო“

კალორიული რაციონი გიორგიმ შეუდგინა. დღეში ოთხჯერ სამი სახეობის საკვები - წვნიანი, ხორცი, ხილბოსტნეული უნდა მიიღოს. რეჟიმში შედის ათ **საათზე დაძინება.**

**თარაში:** - შეკრებების დროს ათზე ვიძინებ, ისე ძალიან ადრეა ძილისთვის. მამამ ამიკრძალა გაზიანი სასმელი, არადა, „კოკა კოლა“ მიყვარს. არ მაძლევს სწრაფი კვების ობიექტებში კვების უფლებას.

თარაშს 8 წლიდან მამასთან ერთად მწვრთნელი, მინდია ნოზაძე ამზადებს. მინდიას კი თავის დროზე გიორგი კანდელაკი წვრთნიდა. ფეხბურთი უყვარდა. მამას კრივში მომზადებაზე თავიდან უარს ეუბნებოდა. ჩხუბი და დარტყმა არ იჯდა მასში, არ არის კონფლიქტური და სპორტის ეს სახეობაც არ მოსწონდა. მაგრამ მამის „დაძალებით“ შეკრებებზე წასულს ნელ-ნელა მოეწონა კრივი. როგორც აღვნიშნე, გიორგის აქვს სტრატეგია, არასდროს აქებს შვილს.

**თარაში:** - კარგად იჩხუბე - ასეთი შექება არ მახსოვს. თუ საქართველოს მასშტაბით ბრძოლა ისე მთავრდება, რომ დამაჯერებლად არ ვიგებ და მხოლოდ ერთი ქულით ვიგებ, მამას გაფრთხილებული ჰყავს მსაჯები, რომ წაგებულად გამომაცხადონ. ამბობს, ხანდახან ვერ ხვდები, რომ ნამდვილად წააგე, ფიქრობ, მსაჯი ხომ არ გადაიხარა მოწინააღმდეგის მხარეს და ვიცი, ეს როგორი გულის ტკივილიაო. მით უმეტეს რახან გიორგის შვილი ვარ, არ უნდა, რომ იფიქრონ, რომ მის გამო მაგებინებენ.

**- ეს გულს არ გტკენს?**

- ცოტათი მტკენს. მაგრამ შეგუებული ვარ.

**- როგორია მამა მწვრთნელის ამპლუაში?**

- ვარჯიშის და შეჯიბრის დროს ძალიან მკაცრია, ცხოვრებაში პირიქით, მეგობრულია. მისი სიმკაცრე მეხმარება. სპორტსმენი 24 საათი უნდა ვარჯიშობდესო, მეუბნება.

**- როგორი მამაა?**

- სანადიროდ დავდივართ ერთად. რამდენიმე თვის წინ კახეთში ვიყავით სანადიროდ. მინადირია ტახზე, მწყერზე, წეროზე... ნანადირევის ჭამა არ მიყვარს. ლიახვზე ვთევზაობთ ხოლმე.

**ნინო:** - გიორგი თარაშისთვის განუმეორებელი მამაა. 24 წლის იყო მამა, რომ გახდა. ამათი ურთიერთობა ყველას აოცებს. არ უყვარს ზედმეტი ფუფუნებით შვილების გათამამება. ბავშვებს ბრენდის სახელი თუ წამოცდათ, მორჩა, მამა ბრაზდება. თვლის, რომ ცხოვრებაში სხვა უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებები არსებობს და ის უნდა იცოდნენ.

**- რითი ჰგავხარ მამას?**

- მიზანდასახულობით.

**ნინო:** - ჩემპიონატის დასრულებისას სურათის გადასაღებად კორესპონდენტი მისულა. გიორგი გამზადებულა, თარაში მიბრუნებია და ხუმრობით უთქვამს - რაო მამა, ჩემპიონთან სურათის გადაღება გინდაო. მერე გიორგი სიცილით მიყვებოდა, ასე მითხრაო. ისე მინდა გითხრათ, თავიდან მე და გიორგის დიდი ბრძოლა გვქონდა თარაშთან დაკავშირებით. ტრავმული სპორტია, საშიში და სანერვიულოა. მე გიორგის ბრძოლებს ვერ ვუყურებდი, შვილისას ხომ საერთოდ არ ვესწრები. ამიტომ არ მინდოდა ამ სპორტს გაჰყოლოდა. შეიძლება დარბაზთან ახლოს ვიყო, მაგრამ საყურებლად არ შევდივარ. თარაში ხასიათით ჰუმანური, კეთილი და მგრძნობიარე ადამიანია. თუ მისი წარმატებები არ იცით, ვერც აღიქვამთ, რომ ასეთ ველურ სპორტში წარმატებულია. ამიტომ ვკამათობდით. გიორგი საზღვარგარეთ რომ მიდიოდა, მე დროს ვიხელთებდი და ცეკვაზე დამყავდა. ვერ წარმომედგინა როგორ შეიძლებოდა თარაშს ასე ეცემა მოწინააღმდეგე. მაგრამ წარმატებები აქვს. ამ მუსიკოს ქალს მეც მასწავლეს კრივი. გიორგი ამბობს, მე ვგრძნობ თარაში ჩემი ხათრით არის ამ სპორტშიო.

**თარაში:** - არა, გადაწყვეტილი მაქვს მოკრივე ვიყო.

**- დამნდობი ხარ?**

- როცა ვხედავ, რომ დიდი უპირატესობით ვიგებ, მოწინააღმდეგეს სისხლი სდის, მერე უკვე ვცდილობ დავინდო და ვანელებ ჩხუბს.

**- რას გინდა მიაღწიო?**

- ოლიმპიური ჩემპიონი მინდა გავხდე, რასაც მამამ ვერ მიაღწია. დანარჩენი მას მოგებული აქვს.

გიორგის 11 წლის ქალიშვილიც ჰყავს. ნატა ჩოგბურთზე დაჰყავთ. სპორტული ოჯახის ტრადიციას არც ის არღვევს.

**- გიორგი ახლა რას საქმიანობს?**

**ნინო:** - სპორტსკოლა აქვს თბილისსა (ვერის ბაღში) და ვარიანში. თარაში მამამისის სახელობის სპორტსკოლაში ვარჯიშობს. გიორგი კი ბიზნესშია გადართული.



„თარაში ხასიათით ჰუმანური, კეთილი და მგრძნობიარე ადამიანია. თუ მისი წარმატებები არ იცით, ვერც აღიქვამთ, რომ ასეთ ველურ სპორტში წარმატებულია“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლაშა თაბუკაშვილის პირველი რომანი - ერთ ამოსუნთქვაში წასაკითხი შვიდწლიანი ნაშრომი






## ლაშა თაბუკაშვილი: „დიდ პროზაში ჩემი პირველი ნამუშევარია. პატარა ბუხუნა წიგნია. რომ არა ჩემი ოჯახის წევრების ჩარევა, უფრო პუნქტულა გამოვიდოდა. მეუღლემ და უფროსმა შვილმა ბევრი რამ ამოიღეს. ისინი ჩემი პირველი რედაქტორები არიან“

**ზურაბ აბაშიძე: „სანამ დაბეჭდავდა, მე წამაკითხა. ვფიქრობ, რომანი საინტერესო იქნება მკითხველისთვის. ეს ჩვენი წარსული, უახლესი ისტორია, 90-იანი წლებია“**

**EXCLUSIVE**

**my View**
**თამარ გონგაძე**

**„ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!“ - ეს ლაშა თაბუკაშვილის პირველი რომანია. მწერალმა წიგნზე შვიდი წელი იმუშავა. როგორც ამბობს, რომანი, საბოლოო ჯამში, გასულ ზაფხულს ერთ ამოსუნთქვაზე დაასრულა. „ვიმუქრებოდი - რომანს ვწერ-მეთქი, მაგრამ ვერაფრით დავამთავრე. თითქმის 800 გვერდი გადავაგდე და 310 გვერდი დავტოვე. უკმაყოფილების რეჟიმში ვიყავი. საღამოს ბედნიერი ხარ, მაგრად დაწერე გგონია და დილით თავზე იფხრეწ იმ ფურცლებს. მე „პროცესნიკი“ ვარ, წერის პროცესი უფრო მომწონს, ვიდრე რეზულტატი. საერთოდ, ღამით ვწერ, წავკისში დღისითაც ვწერდი“, - გვიმხელს მწერალი.**

წიგნი გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა. ზვიად კვარაცხელიას „ლიტერატურულ გაზეთში“ რომანის ნაწყვეტი წაუკითხავს და მისი გამოცემა მაშინვე გადაუწყვეტია.

**ლაშა თაბუკაშვილი:** „დამთხვეული ვარ, გამოცემისას ჩემთვის მნიშვნელოვანია ავტორის ზუსტი ინტონაცია. გამომცემლობის დამოკიდებულება უფრო მაინტერესებს, ვიდრე მატერიალური მხარე. მინდოდა წიგნი იაფი ყოფილიყო, 12 ლარი ღირს. განწყობა, რაც ყდიდან მოდის, ჩემთვის ძალიან ძვირფასია. დაკონკრეტება არ გვინდა.

წიგნის პრეზენტაციას მწერლის სამეგობრო ესწრებოდა, მათ შორის, ბევრი საზოგადოებისთვის ცნობილი სახე. ლაშა ოდნავ ღელავდა. პრეზენტაციის დაწყებამდე რომანზე სასაუბროდ მოვიხელთე.

**ლაშა თაბუკაშვილი:** - პაუზებით ვწერდი, სანამ მთავარზე არ ჩამოვყალიბდი. თვითონ გმირებმა მიბიძგეს სხვადასხვა მიმართულებით წასვლა. დიდ პროზაში ჩემი პირველი ნამუშევარია. პატარა ბუხუნა წიგნია. რომ არა ჩემი ოჯახის წევრების ჩარევა, უფრო პუნქტულა გამოვიდოდა. მეუღლემ და უფროსმა შვილმა ბევრი რამ ამოიღეს. ისინი ჩემი პირველი რედაქტორები არიან. კრიტიკისადმი ღია ვარ, რაც მითხრეს, უყოყმანოდ ამოვიღე. როდესაც ადამიანები ასე ახლოს გიცნობენ, ხვდებიან - სად გაგექცა კალამი. რომანში დრაივია, რიტმია, მოვლენები ერთმანეთს ცვლიან. მოქმედება თბილისში, კუბაზე, კორსიკაზე, პარიზში, ამერიკაში, რუსეთში - ბევრგან ვითარდება. კუბის გარდა ყველგან ვარ ნამყოფი. კუბისკენ ზურაბ აბაშიძემ მიბიძგა. კუბა მხოლოდ ლიტერატურული ალუზია არ არის. გიორგი რამიშვილმა კორსიკაზე სამი დღით მიმასპინძლა.

**- მოკლედ გვიამბეთ, რა ისტორიას ყვებით რომანში?**

- ორი იშხნელის ისტორიაა. ერთი, 62 წლის ასაკში, ამერიკიდან პირველად ჩამოდის საქართველოში. გუინპლენია, ტრაგიკული ისტორიით, ემიგრანტულ ოჯახში დაბადებული. არც ციხე დაჰკლებია. ბიზნესში ძლიერი აღმოჩნდება. მეორე გმირი 24 წლის ბექა იშხნელია, ნათესავები არიან. ბექა ხვდება ამერიკიდან ჩამოსულ ნათესავ ლაზარეს. აქედან იწყება ყველაფერი.

ავტორმა პრეზენტაციაზე წიგნიდან ნაწყვეტი წაგვიკითხა. ლაზარეს მშობლების გაცნობის თავი. სტუმრები ყურადღებით უსმენდნენ ლაშას. ვინც მის პიესებს იცნობს, ამ რომანის წაკითხვის სურვილი უმალ გაუჩნდება. 1998-1999 წლებში ნიუიორკის ცნობილმა დრამატურგიულმა ცენტრმა, რომელიც იუჯინ ო'ნილის სახელს ატარებს, ლაშა თაბუკაშვილი ორჯერ შეიყვანა მეოცე საუკუნის საუკეთესო დრამატურგთა სიაში. მილენიუმის შემდეგ ყველა დროის ასი საუკეთესო დრამატურგის სიაში მოხვდა.

**ვაჟა გიგაშვილი: „წერა რომ გააჩერა, შიში მქონდა - აღარ გააგრძელებს-მეთქი. ჩემზე უყვარს თქმა, ჩემი მასწავლებელიაო. 17 წლის იყო, მოვიდა და ჩემი ძმაკაცი გახდა, მე 32 წლის ვიყავი“**

**ვაჟა გიგაშვილი:** „ამ რომანის ნაწყვეტები მაქვს წაკითხული. მერე, წერა რომ გააჩერა, შიში მქონდა - აღარ გააგრძელებს-მეთქი. რომ დამირეკა, პრეზენტაცია მაქვსო, გამიხარდა. ლაშას ცხოვრებაცა და შემოქმედებაც ჩემთან არის გადაბმული. 17 წლის იყო, მოვიდა და ჩემი ძმაკაცი გახდა, მე 32 წლის ვიყავი. ჩემზე უყვარს თქმა, ჩემი მასწავლებელიაო. მე არაფერს ვასწავლი. მაგრამ რაშია იცით საქმე, ჩემს ძმაკაცებთან ერთად ქეიფობდა, გვემეგობრებოდა. მოკლედ, წინ რომანის კითხვის სიამოვნება მელის“...

**ოთარ შამათავა:** „მისი მეგობრებისთვის მნიშვნელოვანი დღეა. მისი პირველი რომანის დაბადებას დავესწარით, საკეისროთი გაჩნდა. გაცხადებული იყო პრეზენტაციის დღე, ასე რომ, საკეისროთი იშვა ლაშას პირველი რომანი. მისი გენებიდან გამომდინარე რომანი მამრობითი სქესის იქნება. მასში ვნებათაღელვა და მტლაშამტლუში ბევრი იქნება“.

**ზურაბ აბაშიძე:** „სანამ დაბეჭდავდა, მე წამაკითხა. ვფიქრობ, რომანი საინტერესო იქნება მკითხველისთვის. ეს ჩვენი წარსული, უახლესი ისტორია, 90-იანი წლებია. დღევანდელი გადასახედიდან საინტერესოა. სერიოზული გამოხმაურება მოჰყვება“.

**ვაჟა ლორთქიფანიძე:** „მე ყოველთვის ველოდები ლაშას ახალ ნაწარმოებს. საქმის კურსში ვიყავი, ვიცოდი, რაზე მუშაობდა. მაქვს ბედნიერება და წაკითხულიც მაქვს. ლაშას პიესებს გამოქვეყნებამდე ვკითხულობ ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ისევე, როგორც მის სხვა ნაწარმოებს, ამ რომანსაც თბილად მიიღებს მკითხველი. ლაშას შესანიშნავი პოეზია აქვს, სტუდენტობის პერიოდში წერდა. მას არ უყვარს თავისი პოეზია. მერე შეწყვიტა წერა. სულ ვთხოვთ, იქნებ დაუბრუნდეს პოეზიას“.

**გიო მგელაძე:** „როგორც ამბობს, მე მისი ოჯახის წევრი ვარ. როცა რეზიკოზე და ბომბოზე გაბრაზდება, ჩემი პირველი შვილი გიოაო, ამბობს. გადამეტებით არის ნათქვამი, მაგრამ მე მადლიერი ვარ იმით, რომ ამ ოჯახმა მიმიღო. ვულოცავ პირველი რომანის გამოცემას. ჩვენ ყველამ მოვისმინეთ რომანიდან შთამბეჭდავი ნაწყვეტი“.

**კოტე ყუბანეიშვილი:** „მე და ლაშა ბავშვობიდან ვმეგობრობთ. საბავშვო ბაღში ერთი ჯგუფით უკან ვიყავი და ლაშასი სულ მშურდა. ლაშა მედეას და რეზოს შვილი რომ იყო, სულ ცნობილი იყო - აბა, ლაშა ლექსი წაიკითხე, ლაშა ლაშა... მე არავინ მეძახდა და ამიტომ მისი მშურდა. მაშინ ლექსებს არ ვწერდი. ასე რომ, მთელი ცხოვრება მის შურში გავატარე:) ლაშა გენიალური ბიჭია. დიდი ოჯახის და ტრადიციების მატარებელი. მისი ნებისმიერი წარმატება მახარებს“.

**გაგა ნახუცრიშვილი:** „ყველასთვის, ვისაც წიგნი უყვარს, სასიხარულო ფაქტია ბატონი ლაშას წიგნის გამოსვლა. ვფიქრობ, მკითხველი დიდ სიამოვნებას მიიღებს ამ რომანის წაკითხვისას. მით უმეტეს, ჩვენს ქვეყანაში საზოგადოება კარგი რომანებით ნამდვილად არ არის განებივრებული. სასიხარულო მოვლენაა“.

**რეზო კლდიაშვილი**: „ძალიან მიხარია ლაშა თაბუკაშვილის წიგნი რომ გამოვიდა. ვნერვიულობ, იმიტომ, რომ მინდა წიგნი ძალიან კარგი იყოს. უკეთილშობილესი პიროვნებაა. რა არ დატრიალდა ლაშას და ყველა ჩვენგანის თავზე, მაგრამ მან პიროვნული ღირსება, ადამიანობა, სიკეთე, გულწრფელობა შეინარჩუნა. სულ სხვა ოჯახის შვილია და იმ სიყვარულის და სიკეთის გამგრძელებელია. ამ საღამოზეც როგორი თბილისია მოსული, არა? სხვანაირად კარგი თბილისი“...


ვაჟა გიგაშვილი


რეზო კლდიაშვილი


ვაჟა ლორთქიფანიძე


კოტე ყუბანეიშვილი


ზურაბ აბაშიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა მუსიკას უსმენს თანა




<u>სალი კიპაროიძე</u>

**„მუსიკა ფლობს მაგიურ ძალას, წამიერად ახდენს გაფანტული გონების კონცენტრაციას და ამშვიდებს აფორიაქებულ სულს“, – ეს სიტყვები ინგლისელმა დრამატურგმა, უილიამ კონგრივმა თავის ჰარმონიის ჰიმნში სამი საუკუნის წინათ დაწერა. საუკუნეების წინათ დაწერილი ხელნაწერები გვამცნობს, რომ „მუსიკალური აღზრდა ყველაზე ძლიერი იარაღია, რადგან რიტმი და ჰარმონია აღწევს ყველაზე დაცულ, სიღრმისეულ და იდუმალ ადგილებს ადამიანის სულში“. შესაბამისად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუსიკას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე. მუსიკას სამკურნალო მიზნებისთვისაც კი იყენებენ. მაგალითად, საბერძნეთში ეპიდავროსის ტაძარში, ცნობილი ექიმი ესკულაპი მუსიკას სულიერ დაავადებულთა სამკურნალოდ იყენებდა. პითაგორას თქმით კი, ჩვენ შეგვიძლია, მუსიკით ადამიანის შეშლილობას ვუმკურნალოთ“. თანაც ბიბლიიდან ცნობილია, რომ ისრაელთა სულიერად დაავადებული მეფე საული მშვიდდებოდა, როდესაც დავითის სიმღერასა და ქნარზე დაკვრას უსმენდა. დღესაც კი ევროპის სხვადასხვა საავადმყოფოებში ფსიქიკურად და ნერვიულად დაავადებული ავადმყოფების მკურნალობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუსიკას.**



პროფესორმა დოგელმა დაამტკიცა, რომ მუსიკალური ბგერების სხვადასხვა სიმაღლე, ძალა და ტემბრი სხვადასხვაგვარად მოქმედებს ადამიანის სისხლის მიმოქცევაზე. გერმანელ პროფესორ მენტცის აზრით კი, სასიამოვნო ბგერები ანელებს გულის მუშაობას, ხოლო უსიამო ბგერები აჩქარებს. ერთი სიტყვით, მუსიკა მოქმედებს არა მხოლოდ სულზე, ასევე გულსა და გონებაზეც. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ისინი განვაწყოთ კეთილად, ან პირიქით, ბოროტად. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ფაშისტურ გერმანიაში ადოლფ ჰიტლერის გამოსვლის წინ საზოგადოებას ამზადებდნენ და ასმენინებდნენ ისეთ მარშს, რომელიც მათ აღაგზნებდა და ტრანსში მოჰყავდა. ერთი სიტყვით, მუსიკით შეიძლება შესუსტდეს მეტისმეტი აღგზნებულობა, მოიხსნას დამქანცველი, ნერვიული და ფიზიკური გადაღლილობა ან პირიქით, გაძლიერდეს ყოველივე ეს. შესაბამისად, იმისდა მიხედვით, რა მუსიკას უსმენს ადამიანი, შეიძლება





## და მაინც, „რა თაობა მოდის“?



გავარკვიოთ მისი შინაგანი მდგომარეობა.

და მაინც, „რა თაობა მოდის?“ რას უსმენს დღევანდელი ახალგაზრდობა და ზოგადად, რა დამოკიდებულება აქვთ მათ მუსიკასთან? ამ ყველაფრის გარკვევას სტუდენტებთან შევეცადე.

**– რა არის შენთვის მუსიკა?**

**ნინი ჯღარკავა, სტუდენტი, 20 წლის:**

– მუსიკა ჩემთვის არის ყველაფერი და შესაბამისად, მიმაჩნია, რომ მუსიკის გარეშე ყველაფერი არაფერია. ვუსმენ თითქმის ყოველთვის, ძილისა და იმ მომენტის გარდა, როცა გამოცდას ვწერ.

**აჩი ნიკოლაიშვილი, სტუდენტი, 21 წლის:**

– მუსიკა ჩემთვის განტვირთვის ყველაზე კარგი საშუალებაა. ადამიანის გემოვნების განვითარებაზე ბევრი რამ ახდენს გავლენას, მაგრამ მიმაჩნია, რომ მათ შორის უპირველესია ხელოვნება, კერძოდ კი ხელოვნების ისეთი გავრცელებული დარგები, როგორებიცაა მუსიკა და მასთან ერთად კინოც. მუსიკა კი, ჩემი აზრით, უპირველესია, რადგან ვთვლი, რომ ყოველთვის და ყველგან, ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით, უფრო ხელმისაწვდომია, თან საკმაოდ ადვილად აღსაქმელი და შესაფასებელი. ყველაფერი ამის გამო კი, რომ მუსიკას ყველაზე ძლიერად და სწრაფად შეუძლია ადამიანზე ზეგავლენის მოხდენა.

**– რა მუსიკას უსმენ?**

**ნინი:** პატარ-პატარა დოზით თითქმის ყველა ჟანრის მუსიკას ვუსმენ, მაგრამ უმეტესად – კლასიკურ როკს. მიყვარს 60-იანებისა და 70-იანების ბენდები, განსაკუთრებით ბრიტანული ბენდები. ყველასგან გამორჩეულად მაინც Pink Floyd მიყვარს, მიყვარს იმიტომ, რომ ისინი ყველასგან განსხვავებულნი არიან, თანაც ფილოსოფიური ტექსტებითა და საოცრად ემოციური მუსიკით გამოირჩევიან. მათი სიმღერები დღემდე არ კარგავს აქტუალურობას, რადგან თითოეული მათგანი მსმენელს სულ სხვა სამყაროში აგდებს. მათი არც ერთი სიმღერა და მით უმეტეს ალბომი არ ჰგავს ერთმანეთს. შეგიძლია, ნებისმიერ ხასიათს შეუსაბამო და არასდროს მოგბეზრდება მათი მოსმენა.

**აჩი:** კონკრეტულად ერთი ისეთი ჟანრი არ მაქვს, რომელსაც სულ ვუსმენ, მაგრამ გამორჩეულად მაინც როკს, კლასიკური მუსიკასა და სხვადასხვა ფილმების საუნდტრეკებს ვანიჭებ უპირატესობას. თუმცა მაინც არსებობენ ისეთი კონკრეტული შემსრულებლები ან ბენდები, რომლებიც განსაკუთრებულად მიყვარს, მაგალითად: Queen, The beatles, Coldplay, Linkin Park, Hans Zimmer, Stingi და Enigma. მე ასეთ მუსიკას ვუსმენ, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მუსიკას, ასე თუ ისე, ყველა უსმენს, თუმცა სხვადასხვა ჟანრსა და სხვადახვა სიხშირით.

**– რას ფიქრობ თანამედროვე მუსიკოსებზე?**

**ნინი**: რაც შეეხება თანამედროვე











© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





# „მუსიკა გამოხატავს იმას, რასაც სიტყვებით ვერ გადმოსცემ და იმას, რაც არღვევს სიჩუმეს“

მუსიკოსებს, სიმართლე გითხრათ, დიდად არც ვუსმენ. დღეს უფრო მოდაშია პოპი და რეპი, რომელიც, ჩემი აზრით, სცენაზე მანჭვა-გრეხისა და კომპიუტერით გასწორებული ხმების მეტი არაფერია. დღევანდელი მომღერლების 90%-ის ცოცხალი შესრულება ამაზრზენი მოსასმენია, მაშინ როცა გასული საუკუნის ბენდების ცოცხალი შესრულება სტუდიურზე ბევრად უკეთესი იყო. მიმაჩნია, რომ დღევანდელი მუსიკა ახალ თაობას ადებილებს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მონოტონური მუსიკა და არაფრისმთქმელი ტექსტები, რომელიც სიმღერაში ასჯერ მეორდება (ჩემი ღრმა რწმენით, მეტის მოფიქრების უნარი არ აქვთ და იმიტომ). და რაც ყველაზე მთავარია, ტექნიკურ შესრულებასა და ტექსტებს რომ თავი დავანებოთ, მუსიკაში ემოცია დაიკარგა, ემოცია, რომელიც თავისთავად მუსიკაში თავისუფლების გარანტიცაა.

**აჩი:** ყველა ეპოქას ჰყავს თავისი გამოკვეთილი ვარსკვლავები და ასეა ახლაც. ერთი სიტყვით, ვთვლი, რომ კარგი მუსიკა 21-ე საუკუნეშიც იქმნება. თავისთავად ლოგიკურია, რომ, ასაკის მატებასთან ერთად, მატულობს მიმდინარეობათა რაოდენობაც, რადგან თითოეული ჩვენგანის ზრდასთან ერთად, იცვლება პრობლემები, შეხედულებები და ხშირად ინტერესების სფეროც. ის, რაც თინეიჯერობის ასაკში პრიორიტეტულია ხოლმე, ხშირად მოზრდილობის დროს უკანა პლანზე გადადის. ასე რომ, იმის განსაზღვრა, თუ როგორი მუსიკაა გემოვნებიანი, ჩემი აზრით, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რადგან საზოგადოების აზრი ყოველთვის გაყოფილია. ის, რაც ერთი ნაწილისთვის გემოვნებიანი და ხარისხიანია, მეორე ნაწილისთვის „პაპსა“ და მდარე მუსიკაა.



**– შენი აზრით, განსხვავდებიან თუ არა ერთმანეთისგან ის ადამიანები, რომლებიც განსხვავებული ჟანრის მუსიკას უსმენენ?**

**ნინი:**

– კი, რა თქმა უნდა, საკმაოდ. არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ვთვლი, რომ Pink Floyd-სა და Lil Weyne-ს ფანები ერთნაირად ვერ იაზროვნებენ. მუსიკა გემოვნებასა და აზროვნებას უყალიბებს ადამიანს, მაგრამ „კარგები“ და „ცუდები“ ყველა ჟანრის მსმენელებში შემხვედრია. ასე რომ, ასეთ რადიკალურ დიფერენცირებას მაინც ვერ მოვახდენ.

**აჩი:**

– რა თქმა უნდა, განსხვავდებიან, ხშირად ადამიანის მუსიკალური გემოვნებით მივმხვდარვარ, თუ რა ტიპის ადამიანთან მაქვს საქმე. ეს, ალბათ, ლოგიკურიცაა, რადგან მუსიკასთან, ხომ თითოეულ ჩვენგანს საკმაოდ ხშირი შეხება გვაქვს. ვუსმენთ ყველგან, სახლში, გზაში, მეგობრების წრეში. მე პირადად ძალიან ცოტა ადამიანს ვიცნობ, ვისთვისაც მუსიკა არაა ყოველდღიური რუტინის შეუცვლელი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ატრიბუტი.

ერთი სიტყვით, ისევე, როგორც ადამიანის გემოვნება, მუსიკის ჟანრებიც განსხვავებულია. მსოფლიოში დღეისათვის მრავალი მუსიკალური ჟანრია გავრცელებული, მათი სრული დახარისხება და ჩამოთვლა თითქმის შეუძლებელია, თუმცა არის ჟანრები, რომელსაც მსოფლიო და მსოფლიოს ფეხაწყობილი თანამედროვე თბილისიც განსაკუთრებულად სცემს პატივს. კლასიკური მუსიკა, ჯაზი, როკი, რეპი, პოპი და ელექტრონული მუსიკა, ქართველი ახალგაზრდების საყვარელი ჟანრებია. ყველა მათგანი ძალიან პოპულარულია, თუმცა, იმის დადგენა, ამათგან რომელი დგას პირველ ადგილზე, თითქმის შეუძლებელია. ძირითადად, ისე ხდება, რომ ერთი კონკრეტული პიროვნება უსმენს რამდენიმე ჟანრს, იშვიათად ვინმეს მხოლოდ ერთი მიმდინარეობა ჰქონდეს გამოყოფილი და იმის გარდა არაფერს უსმენდეს. სხვადასხვა კატეგორიის მსმენელები ერთმანეთის გემოვნების შეფასებებსაც ხშირად ახდენენ ხოლმე. განსაკუთრებით კი, ის იშვიათი ნაწილი „კრიტიკოსობს“, რომელსაც კონკრეტული მიმდინარეობა მკაცრად აქვს განსაზღვრული და იმ „ერთის“ გარდა არაფერს უსმენს. ხოლო, ვინც შერეულად უსმენს სხვადასხვა ჟანრის მუსიკას და რომელიმე მიმდინარეობის „დორბლმორეული, გაგიჟებული ფანი“ არ არის, სხვების მუსიკალური გემოვნების შეფასების დროს შედარებით ლოიალურია. ხშირად ეს შეფასებები არაადეკვატურია, რადგან ზოგჯერ სრულიად გაუგებარია მუსიკის ჟანრის გამო ადამიანისთვის ე.წ. „გოიმობის“ სტიგმის მიკერებაც. თუმცა ფაქტია, ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც ხდება ადამიანების დიფერენცირება, მუსიკალური მიმდინარეობის მიხედვით. როგორც გაირკვა, ჩვენს იმიჯს საზოგადოებაში, ჩვენი მუსიკალური არჩევანიც განსაზღვრავს. ერთი სიტყვით, მუსიკა გავლენას ახდენს ჩვენს განწყობაზე, გვაიძულებს, ვიყოთ უფრო გაბედულები, უფრო მხიარულები, ან, პირიქით, უფრო სევდიანები და დეპრესიულები. ეს ყველაფერი კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ და ვგრძნობთ ჩვენს გარშემო არსებულ სხვადასხვა ჰანგებს.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თამუნა თანდაშვილი - „ატლას

თამარ გონგაძე

**თამუნა თანდაშვილს ავიაკომპანია „ატლასჯეტ საქართველოს“ ბიზნესის განვითარების მენეჯერის პოზიცია უჭირავს. წამყვანი თურქული ავიაკომპანია, „ატლასჯეტი“, რომელსაც 13-წლიანი გამოცდილება აქვს, საქართველოში ოქტომბრის თვიდან ახორციელებს ფრენებს. ეს კომპანია მეოთხე ავიახაზია, რომელსაც ის საქართველოში წარმოადგენს. თამუნა თანდაშვილი პირველად სამი წლის წინ დაინტერესდა ავიასექტორით. ამბობს, რომ თუ ამ სფეროში ერთხელ მოხვდები, მერე მისგან ველარ წახვალ. თავდაპირველად „ატლასჯეტში“ ავიაგადაზიდვებს კურირებდა. 2014 წლის იანვრიდან „ატლასჯეტ საქართველოს“ ბიზნესის განვითარების მენეჯერის პოზიცია უჭირავს. ამ საქმიანი ქალის იმიჯის მიღმა ბევრი ძლიერი შტრიხი იკვეთება, მათ შორის - უზადო ხარისხში აყვანილი პასუხისმგებლობის გრძნობა, პროფესიონალიზმი, სანდოობის მოპოვების ნიჭი, უშრეტი ენერგია, ხასიათის სიმტკიცე და 24-საათიან სამსახურში ყოფნა. თვლის, რომ ამხელა პასუხისმგებლობის მატარებელ პოზიციაზე განმსაზღვრელი მოტივაცია, პროფესიონალიზმი და საქმის სიყვარულია. თამუნა თანდაშვილი თავის გამოცდილებას გვიზიარებს.**

## „მუდამ უნდა ზრუნავდე მგზავრებზე. ჩვენი კომპანიის სლოგანიც ხომ ეს არის - „ატლასჯეტი“, ავიაკომპანია, რომელსაც უყვარს მგზავრები“





**- რას ითხოვს საერთაშორისო ავიაკომპანიის ბიზნესის განვითარების მენეჯერის პოზიცია თქვენგან?**

- საავიაციო ბიზნესი იმდენად დინამიკურად ვითარდება, რომ მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულება დღეისათვის უკვე ხელმისაწვდომია მგზავრისთვის. ამ მაღალი კონკურენციის პირობებში, მნიშვნელოვანია ავიაკომპანიის მიერ მგზავრებისთვის განსხვავებული და განსაკუთრებული სერვისის შექმნა და შეთავაზება. საქართველოდან გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის მიხედვით სტამბული პირველ ადგილზეა. „ატლასჯეტი“ სწორედ ამ მიმართულებას სთავაზობს ქართველ მგზავრებს, საუკეთესო ფასად და პირობებით. ჩემს კომპეტენციაში შედის ქართული ბაზრისათვის ავიაკომპანია „ატლასჯეტის“ გაცნობა, ყველა იმ სერვისის დანერგვა, რომელსაც „ატლასჯეტი“ სთავაზობს მგზავრებს. ჩვენ ეკონომპლუს პროდუქტი შევიმუშავეთ მგზავრებისთვის, ჩვენი ბილეთის ღირებულებაში შედის კვება, ბარგი, უფასო ტრანსფერი ქალაქის ცენტრიდან აეროპორტამდე და პირიქით. ჩვენ მგზავრებს კომფორტულ ფრენას ვთავაზობთ ათათურქის აეროპორტში. ჩვენ წარმატების მიღწევის გზად გუნდური მუშაობა გვესახება. ნებისმიერი რთული სიტუაციების დროს მაქსიმალური მზადყოფნა უნდა გვქონდეს. გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მივიღოთ. შედეგიც ზუსტი უნდა იყოს. ყველაფერი „გუშინ“ უნდა გააკეთო.. სისტემა საათივით უნდა მუშაობდეს. ავიაკომპანიაში სისტემური სამუშაოა. ადგილობრივ ბაზარს უნდა ერგებოდე, და რაც მთავარია, მუდამ უნდა ზრუნავდე მგზავრებზე. ჩვენი კომპანიის სლოგანიც ხომ ეს არის - „ატლასჯეტი“, ავიაკომპანია, რომელსაც უყვარს მგზავრები.

**- ამ სფეროში მოსვლამდე რა გზა გაიარეთ, რა გამოცდილება გაქვთ?**

- პროფესიით პროექტების მენეჯერი ვარ. მაქვს პროექტების მართვის 12-წლიანი გამოცდილება სხვადასხვა სფეროში: სოციალური, ნავთობსექტორი, მომსახურების სფეროებში... ხუთი წელი ნავთობკომპანიაში ვმუშაობდი. მაშინ, როცა იქ მუშაობას ვიწყებდი, ნავთობის სფერო სრულიად უცნობი იყო ჩემთვის, მაგრამ რისკზე უნდა წავსულიყავი. ჩემი მოღვაწეობის დროს დაინერგა პირველი საწვავის კონტროლის სისტემა Fill&Go. სოლიდური გამოცდილება ბიზნეს განვითარების სფეროში და სიახლეებისკენ სწრაფვა საშუალებას მაძლევს საავიაციო ბიზნესში ვიმუშაო. მიყვარს რაღაცების ნულიდან დაწყება, ერთი შეხედვით - არაფრისგან შედეგის მიღება. სიახლე თუ არ არის ბიზნესში, ჩემთვის უინტერესოა. ავიაციაში მოხვედრამდე მეუბნებოდნენ, რომ ეს არის სფერო, სადაც მოხვდები და უკან ვერ მოდიხარო. რაღაც დონეზე რუტინულ საქმედ მეჩვენებოდა. მაგრამ, როგორც ამბობდნენ, ისე ყოფილა. განსაკუთრებით მაშინ თუ აზარტული ხარ, გიყვარს მოგზაურობა, სიახლეები და ადამიანებთან ურთიერთობა, ავიასერვისი დინამიკურია, მუდამ აქტუალური უნდა იყო. პროფესიონალიზმის დონე მაღალია. ავიასექტორში ადამიანები ხანგრძლივად მუშაობენ. სულ სწავლის რეჟიმში ხარ, ვერ მოეშვები. აქ ყველა ყველას იცნობს. მსოფლიოც აღარ გეჩვენება დიდად. ავიაკომპანიების მიხედვით რომ შეხედავ, ეს დიდი მასშტაბი ხელშესახები ხდება. ვერ მოეშვები, ეტყობა, ასაკი აქ მიწყობს ხელს. ბევრი ენერგიაა საჭირო. ამდენად, ეს ჩემთვის საინტერესო და პრიორიტეტული საქმეა. მოტივაცია, გამოცდილება და მიზანდასახულობაა მნიშვნელოვანი, ცოდნა უნდა გაიღრმავო. საერთაშორისო კომპანიებში კი ზრდის საშუალება გაქვს.

„ტურიზმის მხრივ, საქართველო იაფიანი მიმართულების ქვეყანა არ არის, მაგრამ იმდენად საინტერესო და განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყანაა ევროპელებისთვის, რომ ლონდონშიც ვაპირებთ ტურისტების მოზიდვას“

### 24-საათიანი გრაფიკი

„ატლასჯეტი“ პირველი თურქული კერძო ავიაკომპანიაა, რომელიც აქამდე მხოლოდ შიდა რეისებს ახორციელებდა. საერთაშორისო არენაზე გამოსვლა საქართველოთი დაიწყო. დღეს საქართველოში „ატლასჯეტი“ ორი ოფისით არის წარმოდგენილი - აეროპორტსა და ქალაქის ცენტრში, სადაც მალე ბრენდირებული ოფისი გაიხსნება. სხვა ქვეყნებში, სადაც „ატლასჯეტი“ შევა, ზუსტად ამ მაკეტით გაკეთდება ოფისები.

**თამუნა თანდაშვილი:** -კომპანიის პრეზიდენტმა თქვა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ საერთაშორისო მიმართულებების განვითარება საქართველოდან დავიწყეთო. ყოველი პროდუქტი, რასაც ეს ავიაკომპანია შეიმუშავებს, პირველად საქართველოში დაინერგება. ეს, ბიზნესის განვითარების კუთხით, ჩემ პასუხისმგებლობას მეტად საინტერესოს ხდის. ავიაციის სფეროში ყველა ბაზარი ერთმანეთისგან განსხვავდება. ქართველი მომხმარებელი გადაწყვეტილების მიღებისას თავისებურია. მისი ლოიალურობის მოპოვება ადვილი არ არის, მაგრამ თუკი კმაყოფილი დარჩა, ლოიალური ხდება და არჩევანს ბრენდზე აკეთებს. არ უნდა გააწბილო, უნდა აგრძნობინო, რომ მნიშვნელოვანია და ერთგული რჩება.

როდესაც ბაზარზე ახალი ავიაკომპანია შემოდის, ზოგადად, ძალიან საინტერესო პროცესებთან არის დაკავშირებული. როდესაც ავიაკომპანიაში მუშაობ, ძალიან მაღალია პასუხისმგებლობა; პასუხისმგებლობა მომხმარებლების, მგზავრების, სააგენტოებთან და საკუთრივ ავიაკომპანიის წარმომადგენლებთან მიმართებაში. შრომატევადი სამუშაოა, 24-საათიანი სამუშაო გრაფიკია. აქ შენი პასუხისმგებლობა არ მთავრდება, რაღაც კონკრეტულ დროს და მგზავრის წინაშე მას ვერ მოიხსნი. ჩვენ არ ვისვენებთ.

**- ამის მიუხედავად, ეს სფერო მაინც ასეთი მომხიბვლელია?**

- ასეა, იმიტომ, რომ მუდმივი ცვლილებები, განვითარება და აზარტი აქვს. ყოველთვის ცდილობ ბაზარზე პოზიციის მოპოვებას. მერე ამ პოზიციის შენარჩუნება ძნელია. ეს დაკავშირებულია მომსახურების ხარისხთან, პროდუქტის ტიპთან, რომელსაც მომხმარებელს სთავაზობ.

**- როგორია ქართველი მომხმარებელი?**

- ქართველი მომხმარებელი რთული და მომთხოვნია. უყვარს კომფორტი და ხარისხიანი მომსახურება, თუმცა მგრძნობიარეა ფასთან მიმართებაში. ჩვენ ავიაკომპანიასთან დაკავშირებით ძირითადად კომპლიმენტებს ვიღებთ, რადგან პრაქტიკულად სრულ სერვისს ვთავაზობთ.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჯეტის“ ენერგიული მენეჯერი



„ჩვენ ავიაკომპანიასთან დაკავშირებით ძირითადად კომპლიმენტებს ვიღებთ, რადგან, პრაქტიკულად, სრულ სერვისს ვთავაზობთ“

„თვითმფრინავში რომ ვჯდები, განწყობა მიმაღლდება. რა ხანგრძლივობისაც არ უნდა იყოს ფრენა, არ მეზარება, არ ვიღლები. მიყვარს ფრენის პროცესი და ყველაფერი, რაც მასთან არის კავშირში. როცა ავიაკომპანიის თანამშრომელი ხარ, სხვანაირია ფრენაც“

EXCLUSIVE

### ტურისტული მიზანი

„ატლასჯეტი“ საერთაშორისო მიმართულებების დამატებას აპირებს. 2 მაისიდან დაიწყეს ინგლისის ბაზრის ათვისება.

„ლონდონი, ისევე როგორც სტამბული, დიდი ბაზარია, თავისი დინამიკითა და მოსახლეობით. თბილისისთვის ეს მიმართულება მნიშვნელოვანია. ბევრი სასწავლო დაწესებულება გზავნის მოზარდებს ზაფხულის სკოლებში, ამიტომაც საინტერესო პროდუქტი იქნება. ბიზნესის კუთხითაც ხშირია ლონდონის მიმართულებით მოთხოვნა. ფასი და პირობები ხელმისაწვდომი და მიმზიდველია. იგეგმება კიევი-თბილისი-კიევი და ერბილი-თბილისი. კიევზე ფასზე გაკეთდება აქცენტი. ბევრი ტურისტი შემოდის ერბილის მიმართულებიდან და საქართველოს ეკონომიკისთვის ეს ძალიან კარგია. ისინი არა მხოლოდ თბილისს, არამედ ბათუმსაც სტუმრობენ. ექსპორტ-იმპორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გადაზიდვების სფერო. სახიფათო ტვირთების გადაზიდვა დავიწყეთ. ამ სფეროს ძირითადად სამედიცინო სექტორი იყენებს. მაგალითად, სისხლის გაგზავნისთვის, ანალიზების პასუხებს, რაც სახიფათო ტვირთების ნუსხას მიეკუთვნება. სატერმინალო მომსახურებას „საქართველოს ფოსტა“ ახორციელებს. ჩვენ გვაქვს ჩრდილოეთ კვიპროსის მიმართულება, რომელიც საქართველოსთვის ახალი პროდუქტია.

ბილეთის ფასი დღესდღეობით გადამწყვეტი ფაქტორია. 5 და 10 ევროს სხვაობა მგზავრისთვის გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ბილეთები ონლაინ იყიდება და მგზავრს ადვილად შეეძლება გაიგოს, რა ღირს ბილეთი საიტზე. 90-იან წლებში ამდენი საშუალება მგზავრს არ ჰქონდა. დღეს ვერც ფასში მოატყუებ და ვერც სერვისში. პასუხისმგებლობა ამ კუთხითაც კიდევ უფრო იზრდება. ჩვენ ავიასააგენტოებთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. ვაცნობიერებთ, რომ მათი მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. მგზავრს შეუძლია ავიასააგენტოში განახორციელოს ბილეთის რეალიზაცია.

**- რა არის თქვენი, როგორც ბიზნეს მენეჯერის, ახლანდელი მთავარი მისია?**

- გვინდა ტურისტული მიზნით თურქეთისთვის საქართველო საინტერესო ბაზრად გავხადოთ. ვითანამშრომლებთ იმ სააგენტოებთან, რომლებიც შიდა ტურების ორგანიზებაზე მუშაობენ. მინდა ჩემი აქ მუშაობის დროს ეს პროექტი განვახორციელო. ვფიქრობ, ის მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ. საქართველო სანახავი ქვეყანაა. ტურიზმის მხრივ საქართველო იაფიანი მიმართულების ქვეყანა არ არის, მაგრამ იმდენად საინტერესო და განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყანაა ევროპელებისთვის, რომ ლონდონშიც ვაპირებთ ტურისტების მოზიდვას. ეს ქვეყნის ინტერესია.

მე მომწონს ქართველების თურქული კულტურით დაინტერესება. მეზობელი ქვეყანაა და უნდა იცნობდე. ჩვენ თან განვსხვავდებით და თან ბევრი საერთო გვაქვს. სერიალებმა გავლენა მოახდინა და ქართველი ტურისტების ნაკადი გაიზარდა თურქეთში. საკუთრივ სტამბულში კულტურული ნიშნით სანახავად ჩადიან და არა მხოლოდ საშოფინგოდ და გასართობად. ახლა უკვე ვფიქრობთ, პოპულარიზაცია გავუწიოთ საქართველოს კურორტებს. ახლანდელმა თურქეთმა ბევრი რამ არ იცის საქართველოს შესახებ.

### საკვები

თვითმფრინავში საკვების თემა მუდმივი განხილვის საგანია. ბევრს მოსწონს, ბევრს - არა. ქართველებს ჭამა-სმა და გასტრონომიული საკითხი ძალიან გვაინტერესებს. „ატლასჯეტი“ ეკონომპლუსის ფასში საკვებსაც ათავსებს.

„არსებობს ავიაკომპანიები, რომლებსაც კლასის ტიპიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მენიუ აქვს. მენიუ ყველა ქვეყანაში სპეციფიკური სტანდარტია. ჩვენ მრავალფეროვანი საკვები და 14 ტიპის სასმელი გვაქვს. დისტანციის გათვალისწინებით ხდება მენიუს შერჩევა. როცა ბორტზე კვება გაქვს, სტანდარტული და ხარისხიანი უნდა იყოს. ეს გათვალისწინებულია. კვებასთან დაკავშირებით გამოკითხვებს ვატარებთ. უკმაყოფილო მგზავრი არ გვყოლია. უმნიშვნელო შენიშვნაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. მომხმარებელი ყურადღებას აქცევს საკვების მრავალფეროვნებას. ბრენდირებული უნდა იყოს სერვიზი, დაგვიანებით არ უნდა ჩამოურიგო. ყურადღებას აქცევენ მომსახურებას, გაღიმებული მიუტანს ბორტგამცილებელი თუ - არა. მენიუს სეზონების მიხედვით ვცვლით“.

### მოგზაურობა

ენერგიულ და მხიარულ თამუნას მოგზაურობა ყველაზე მეტად უყვარს.

„ეს იყო ერთ-ერთი მოტივატორი, რატომაც მოვხვდი ამ სფეროში. ახალი ადგილების და კულტურის გაცნობა-ათვისება მიყვარს. გიწევს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან თანამშრომლობა. ფრენისას ვაკვირდები მგზავრების ქცევას. მათ ვესაუბრები, ისე, რომ არ იციან ავიაკომპანიის თანამშრომელი რომ ვარ. არ ვიცი რატომ, მაგრამ სულ რაღაცებს მეკითხებიან. მეც ვუხსნი. მერე როცა იგებენ, რომ ეს ჩემი სფეროა, უამრავ შეკითხვას მისვამენ. ხშირად ყოფილა შემთხვევა, ვიღაც ცუდად გამხდარა და პირველადი დახმარება გამიწევია. ამ კურსს რომ გაივლი, გგონია, რომ ის აუცილებლად უნდა გამოიყენო და როგორც კი ხედავ, რომ ვიღაც ბორტზე ცუდად ხდება, მაშინვე ეხმარები. ბორტზე ქართველი მგზავრები ძალიან განსხვავდებიან უცხოელებისგან. ემოციურები არიან, წამოხტომა უყვართ. წესებს არ ემორჩილებიან.



თვითმრინავში რომ ვჯდები, განწყობა მიმაღლდება. რა ხანგძლივობისაც არ უნდა იყოს ფრენა, არ მეზარება, არ ვიღლები. მიყვარს ფრენის პროცესი და ყველაფერი, რაც მასთან არის კავშირში. როცა ავიაკომპანიის თანამშრომელი ხარ, ფრენაც სხვანაირია“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი



# ოქროს ფრთა
# GOLDEN FEATHER
# 2014

## დაჯილდოების მე-12 საზეიმო ცერემონია


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N17 (267) ორშაბათი, 5 მაისი, 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge



# „X ფაქტორისთვის“ „ნაჭუჭიდან გამოსული“ ცია ლაბაძე თავის პრობლემებზე გვიყვება

## რას კითხულობენ თანამედროვე ახალგაზრდები?



„წიგნებთან ურთიერთობა სიყმაწვილეს კვებავს, სიბერეს ამხიარულებს, ბედნიერებას ამშვენებს, ხოლო უბედურებაში თავშესაფარსა და დამშვიდებას იძლევა“



# დათო ხახიძე გიგა ლორთქიფანიძის სიძე გახდა

EXCLUSIVE

## ლაშა თაბუკაშვილის პირველი რომანი - ერთ ამოსუნთქვაში წასაკითხი შვიდწლიანი ნაშრომი




# EXCLUSIVE



„დაბადება უკვე თავისთავად პრაიმტაიმია და სიკვდილიც თავისთავად პრაიმტაიმია“

# ნატა მურვანიძის პრაიმტაიმი

ISSN 1987-7404



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება